



**საქართველოს უზენაესი  
სასამართლოს  
2018 წლის ანგარიში  
მართლმსაჯულების  
მდგომარეობის შესახებ**

**საქართველოს უზენაესი სასამართლო**

**თბილისი**

**2018**

## საკიეპელი

<b>შესავალი</b> .....	3
<b>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა</b> .....	5
<b>2018 წელს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/განაჩენების შედარებითი ანალიზი</b>	
სამოქალაქო საქმეთა პალატა .....	8
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა .....	49
სისხლის სამართლის საქმეთა პალატა .....	130
<b>სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზა</b> .....	151
<b>უზენაესი სასამართლოს ორგანიზაციული სტრუქტურა</b> .....	152
<b>გამოცემები ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის თაობაზე</b> .....	155
<b>თანამშრომლობა საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან</b> .....	157
<b>კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები, დედებაციათა ვიზიტები</b> .....	162
<b>ინფორმაცია სასამართლოს ბიუჯეტის შესახებ</b> .....	169
<b>დანართი</b>	
<b>სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა განხილვის თაობაზე</b> .....	170

## შესავალი

2018 წელი საქართველოში მოქმედი მართლმსაჯულების სისტემისთვის, ისევე როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის, დინამიკური, წინააღმდეგობრივი პერიპეტივითა და რეფორმებით დატვირთული იყო. სასამართლო სისტემა, როგორც ხელისუფლების მესამე შტო, რომელსაც საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის დამბალანსებლისა და გამანონასწორებლის განსაკუთრებული დანიშნულება აკისრია, ცდილობდა, მოვლენებს არ ჩამორჩენოდა და ღირსეულად გაერთმია თავი ამ მეტად საპასუხისმგებლო და ქართული სახელმწიფოებრიობისათვის მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულებისთვის.

2018 წელს საფუძველი ჩაეყარა სასამართლო ხელისუფლებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ინიციატივებსა და რეფორმებს, რომლებიც დღესაც წარმატებით გრძელდება. ამ მიმართულებით, არ შეიძლება, არ აღინიშნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ნინო გვენეტაძის წვლილი, რომელმაც თანამდებობა 2018 წლის 2 აგვისტოს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დატოვა. საქართველოს უზენაესი სასამართლო მართლმსაჯულების სისტემაში დაწყებული ყველა მნიშვნელოვანი სარეფორმო პროცესისა და წამოწყების სათავეში იმყოფებოდა, რასაც წინამდებარე ანგარიშიც ადასტურებს. თუმცა, კონსტიტუციულ ცვლილებებთან ერთად, კვლავ დიდ გამოწვევად რჩებოდა მართლმსაჯულების სისტემისადმი ჩვენი საზოგადოების ნდობა, ასევე, მოსამართლეთა რაოდენობრივი სიმცირე და გადატვირთულობა.

ჩვენ ყველანი ერთად ვთანხმდებით, რომ მოსამართლის პროფესიული კარიერის არსებითი მიზანი საზოგადოების, მოქალაქეების ნდობის მაქსიმალურად მოპოვებაა. მოსამართლეების და სასამართლოს მიმართ ნდობის ხარისხი კი, სასამართლოს დამოუკიდებლობის რეალურ მდგომარეობას განსაზღვრავს. სასამართლოს მიმართ ნდობის არარსებობა ნიშნავს სასამართლოს დამოუკიდებლობის არარსებობას.

იურისტმა, რომელიც სამოსამართლო საქმიანობას ეწევა, თავისი ინტელექტი და შინაგანი რესურსი კანონის შესასრულებლად უნდა გამოიყენოს. ასევე, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, უნდა დაეხმაროს იმ მხარეს, რომელსაც თავისი უფლებების დამოუკიდებლად დაცვის შესაძლებლობა არ აქვს.

ასეთი მიდგომის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი, რომელიც გარანტიას აძლევს ყველას, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად სასამართლოს მიმართოს. მოსამართლის დამოუკიდებლობა, სასამართლო სისტემის ორგანიზება, მოსამართლეთა საქმიანობის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები უნდა გამომდინარეობდეს სასამართლო ფუნქციებიდან, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკიდან და სამართლის სუბიექტის მიმართ თვითნებობის გამორიცხვის პრინციპიდან.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-18 მუხლის მეორე პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოამზადა 2018 წლის ანგარიში საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტის ძირითადი ნაწილი აანალიზებს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას საქართველოს მართლმსაჯულების მდგომარეობის გათვალისწინებით. იგი მოიცავს ინფორმაციას სამოსამართლო სამართლის მიხედვით ქვედა ინსტანციის სასამართლოებში სამართლებრივი ნორმის გამოყენების, განმარტებისა და პროცედურული წესების დაცვის საკითხებზე, აგრეთვე, 2017-2018 წლების განმავლობაში უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეთა პალატების მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილებების დასაბუთებისას, ითვალისწინებს საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ სტანდარტებს. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს, რომელთა გათვალისწინებითაც უზრუნველყოფს ეროვნულ სამართლებრივ სივრცეში საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვას. საერთაშორისო ნორმების განმარტებისა და შიდა პრაქტიკასთან შესაბამისობის საკითხებზე, უზენაესი სასამართლოს ანალიტიკურ-

მა და ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკის განზოგადების განყოფილებებმა საანგარიშო წლის განმავლობაში კვლევები და თემატური კრებულები გამოსცეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო გასულ წელს სამუშაო შეხვედრებისა თუ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომების ფორმატში მჭიდროდ თანამშრომლობდა სამოქალაქო საზოგადოების, დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და მათი წინადადებების გათვალისწინებით შეიმუშავებდა რეკომენდაციებს სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების საკითხებზე.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, საანგარიშო პერიოდში, მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, არაერთი საინტერესო შეხვედრა და ღონისძიება გამართა, საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან სტუდენტთა სტაჟირებისა და იმიტირებული სასამართლო პროცესების არაერთი პროგრამა განახორციელა. საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობისა და სასამართლოს თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, უზენაეს სასამართლოში სრული დატვირთვით ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა და მართლმსაჯულების მუზეუმი.

წარმოდგენილი ანგარიში უზენაესი სასამართლოს გუნდის, მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა ნაყოფიერი მუშაობის შედეგია, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდით.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე

მოსამართლე **მზია თოდუა**

## საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა

საერთო სასამართლოების სისტემა შედგება რაიონული/საქალაქო სასამართლოებისგან (მათ შორის, მაგისტრატი მოსამართლეებისგან), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოსაგან.


უზენაესი სასამართლოს მთავარი ფუნქციაა მართლმსაჯულების განხორციელების ზედამხედველობა საქართველოს საერთო სასამართლოებში. უზენაესი სასამართლო განიხილავს სამოქალაქო ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე საჩივრებს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება/განაჩენი:

- ა) მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
- ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;
- გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;
- დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;
- ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;
- ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;
- ზ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303.3 მუხლი);
- თ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391.5 მუხლი).

2016 წელს სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად,<sup>1</sup> უზენაესი სასამართლო განიხილავს საჩივარს, თუ მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას.

2018 წლის აგვისტოში ძალაში შევიდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი მე-16 ოქმი, რომელიც მოიცავს ევროპის საბჭოს წევრი უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების უფლებას – საქმის განხილვის პროცესში მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის მიღების მიზნით. აღნიშნული ფაქტი კიდევ უფრო აფართოებს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილებას და ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ეროვნულ ორგანოებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას.

<sup>1</sup> საკანონმდებლო ცვლილებები 2017 წლის 8 თებერვალს ამოქმედდა.



საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოადგენს საკასაციო ინსტანციის სასამართლოს, რომლის შემადგენლობაში არანაკლებ 28 მოსამართლე უნდა იყოს. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედებამდე, უზენაეს სასამართლოში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით, მოსამართლეთა რიცხვი 16-ით განისაზღვრებოდა. 2014-2015 წლებში უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში იყო 16 მოსამართლე, 2016 წელს – 13, 2017-ში – 12, ხოლო 2018 წლის ოქტომბრიდან უზენაეს სასამართლოში 10 მოსამართლე ახორციელებს უფლებამოსილებას (სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ერთ მოსამართლეს უფლებამოსილება გაუგრძელდა მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე).

## უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები



**მარია თოლუა**

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე



**ვასილ როინიშვილი**

თავმჯდომარის მოადგილე, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე, საკვალიფიკაციო პალატის წევრი, სადისციპლინო პალატის წევრი



**ნინო ბაკაქშური**

სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე



**ზურაბ**

**ჩლიკარიშვილი**

სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე, სადისციპლინო პალატის წევრი



**ბესარიონ**

**ალავიჩია**

სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე



**ეკატერინე**

**ბანიტაშვილი**

სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე, საკვალიფიკაციო პალატის წევრი



**ზაზა ქიტაშვილი**

სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე



**მაია ვაჩია**

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე



**ნურბაირ სსირიტაშვილი**

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე



**გიორგი შაველიაშვილი**

სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე, სადისციპლინო პალატის თავმჯდომარე



**ზაზა სილაშვილი**

სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე, საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარე

## 2018 წელს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/ განაჩენების შედარებითი ანალიზი

### I. სამოქალაქო საქმეთა კალატა

საქმეთა განხილვის თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი, უპირველესად, მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხისა და სტაბილურობის მნიშვნელობის შეფასებით უნდა დავიწყოთ. თავისი შინაარსით, მოსამართლეთა საქმიანობა ინტელექტუალურია, ის მაღალპროფესიულ მომზადებასა და შესაბამის უნარ-ჩვევებს მოითხოვს. მოსამართლეების ძირითად სამუშაოებში შედის: საქმის მასალების შესწავლა, მათი მოსმენა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება; უკეთეს შემთხვევაში, მომზადებული გადაწყვეტილების პროექტის ანალიზი და შესწორება. საკანონმდებლო მასალების მოძიება და შესწავლა; სასამართლოს სახელმძღვანელო პრაქტიკის შესწავლა; გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი ინფორმაციის ანალიზი. ამრიგად, აღნიშნული სამუშაოების ჩამონათვალი მოსამართლეთა პროფესიული საქმიანობის შემოქმედებით ხასიათზე მიუთითებს. მისი მიზანი არასტანდარტული/ატიპური და საპასუხისმგებლო ამოცანების გადაწყვეტაა. აქედან გამომდინარე, მოსამართლის საქმიანობას, გარკვეული დოზით, ზოგჯერ ინტელექტუალური ხარვეზი შეიძლება ჰქონდეს. ამის საზომი, როგორც წესი, მოსამართლის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტების ხარისხია. ამ თვალსაზრისით, სასამართლოს ამოცანაა წლიდან წლამდე ვითარების გაუმჯობესება, სასამართლო პრაქტიკის დახვეწა და განვითარება, რაც პირდაპირპროპორციულად აამაღლებს მისდამი საზოგადოების ნდობას.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასამართლო გადაწყვეტილებათა ხარისხი. ქვედა ინსტანციის სასამართლოები ძირითადად სწორად წყვეტენ დავებს, რაც თავისთავად აისახება უზენაეს სასამართლოში შემოსულ სამოქალაქო საქმეთა განხილვის შედეგზეც. აღნიშნული გულისხმობს, რომ საკასაციო სასამართლოში შემოსულ საქმეთა უმრავლესობა დაუშვებელია. კერძოდ, სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2018 წელს საკასაციო საჩივრის საფუძველზე განხილული 1062 საქმიდან დაუშვებლად ცნეს 553, ანუ საქმეების 52%. რაც შეეხება 2018 წელს შემოსულ საკასაციო საჩივართა რაოდენობას, იგი შეადგენს 1486-ს, საიდანაც 36,8% დაუშვებლად იქნა მიჩნეული; 11,1% დაშვებულია არსებითად განსახილველად, ხოლო საქმეთა დანარჩენი ნაწილი, რიგ შემთხვევებში, შეწყდა მხარეთა მორიგების გამო, ხოლო ნაწილი დარჩა განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს მიერ 2018 წელს განხილულ და გადაწყვეტილ საქმეთა განზოგადებული ანალიზის მიხედვით, 2017 წლის მდგომარეობასთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო საჩივრებში თითქმის თანაბარი დოზით იკვეთება სააპელაციო სასამართლოების მხრიდან მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა, რომელთა გამო კასატორები სააპელაციო სასამართლოს განჩინება/გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვენ. ამასთან, საყურადღებოა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი მსჯელობა და დასკვნა საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებით, სწორედ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი შედეგი დატოვა ძალაში (აღნიშნული საქმეების ანალიზი უფრო ვრცლად იხილეთ ქვემოთ).

2018 წელს საკასაციო სასამართლომ, 2017 წელთან შედარებით, ნაკლები რაოდენობის საკასაციო საჩივარი განიხილა არსებითად, რაც სააპელაციო სასამართლოების მიერ დავათა გადაწყვეტისა და გადაწყვეტილების დასაბუთების თვალსაზრისით უდავოდ პროგრესის მაჩვენებელია.

საკასაციო სასამართლომ 2017 წელს 64 საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები მატერიალური, ხოლო ზოგჯერ საპროცესო-სამართლებრივი დარღვევების გამო გააუქმა, ახალი გადაწყვეტილებით კი, როგორც სადავო ურ-



თიერთობების სამართლებრივი შეფასება, ასევე იურიდიული შედეგი შეცვალა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სააპელაციო სასამართლოს მიერ სახელმეკრულებო (ნასყიდობა, სესხი, ნარდობა), დელიქტური, საოჯახო (ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევის თვალსაზრისით), შრომითი, საკორპორაციო სამართლის მომწესრიგებელი ნორმების არასწორი განმარტება და გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლოს განმარტებათა უდიდესი ნაწილი ამგვარ დავებს შეეხება, 2018 წლის მონაცემებით, ამ მიმართულებით, ვითარება გაუმჯობესებულია. საქმეთა რაოდენობის ზრდა მეტ-ნაკლებად გამოწვეულია ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოებში მოსამართლეთა რიცხოვნობის ზრდითა და სპეციალიზაციის შემოღებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებებში დაშვებული შეცდომები, ზოგჯერ, შესაძლოა არა მარტო მოსამართლეთა პროფესიული მომზადების არასათანადო დონეს, არამედ სასამართლოთა გადატვირთულობით გამოწვეულ სტრესულ მდგომარეობასაც უკავშირდებოდეს.

უზენაესი სასამართლო, არსებითად იხილავს რა საკასაციო საჩივრებს, არაერთ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოებს საქმეს ხელახლა განსახილველად შესაბამისი მითითებებით უბრუნებს, რომლის მიხედვითაც, სააპელაციო სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებით უნდა შეაფასოს სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინამძღვარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოს არაერთი მითითების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლო ზოგჯერ ერთი და იმავე ხასიათის შეცდომებს უშვებს (მაგალითად, სარჩოს გადაანგარიშებასთან, სამუშაოდან გათავისუფლებასთან, აღიარებით მოთხოვნებთან დაკავშირებულ დავებში და ა.შ.; უფრო ვრცლად იხილეთ ქვემოთ).

2017 წელს საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არსებითად განიხილა 168 საქმე. აქედან, 37 სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა, ახალი გადაწყვეტილება 64 საქმეზე მიიღეს დაუშვებლობის მოტივით, სარჩელი 6 საქმეზე განუხილველად დატოვეს, ხოლო 60 საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი ძალაში დარჩა.

არსებითად განხილულთა შორის, 64 საქმეზე საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილება მიიღო. უმთავრესად, ახალი გადაწყვეტილებების მიღება განპირობებულია ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება-განმარტებით. თუმცა, ახალ გადაწყვეტილებათა შორის გვხვდება საპროცესო სამართლის წესების იმგვარი დარღვევაც, რომელსაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა.

2017-2018 წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის, არაერთი სამართლის ნორმის ინტერპრეტაცია მოახდინა ტიპურ შემთხვევათა შედარებისა და გადაწყვეტილებათა ანალიზის გზით.

## **სასარჩელო ხანდაზმულობა (მოთხოვნის განხორციელებადობა) ხანდაზმულობისა და საპრეტენზიო ვადების ურთიერთმიმართება**

ხანდაზმულობა მოვალის დაცვას ემსახურება. მხედველობაშია კანონით დადგენილი იმ ვადის გასვლა, რომლის შემდეგაც მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას შესრულებაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 144.1 მუხლი). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხანდაზმულობას სასამართლო საკუთარი ინიციატივით არ ითვალისწინებს. ის წარმოადგენს მოვალის კუთვნილ შესაგებელს, რომელიც მან მოსარჩელეს საქმეზე მოსამზადებელი სხდომის დამთავრებამდე უნდა წარუდგინოს.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 899-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების მიხედვით, თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე. შესაბამისად, სახელმეკრულებო მოთხოვნათა მიმართ ხანდაზმულობის ვადა უნდა აითვალოს სსკ-ის 129-ე მუხლით დად-

გენილი წესების მიხედვით. მითითებული ნორმის მეორე ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისთვის, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ბანკს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2014 წლის 25 თებერვლიდან, ხოლო მან სარჩელი აღძრა 2015 წლის 31 ივლისს, ანუ კანონით გათვალისწინებული სამწლიანი ვადის დაცვით.

სსკ-ის 1488-ე მუხლთან მიმართებაში პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 1488-ე მუხლში საუბარია არა სასარჩელო ხანდაზმულობის, არამედ პრეტენზიის წარდგენის ვადებზე, რაც განსხვავებული ცნებებია. მითითებული ნორმით დადგენილი ექვსთვიანი ვადა არის მამკვიდრებლის კრედიტორთა მიერ მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის (პრეტენზიის) წარდგენის და არა სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თუ მამკვიდრებლის კრედიტორებმა ზემოხსენებული ვადის დაცვით არ წარუდგინეს მოთხოვნა მემკვიდრეებს, ისინი კარგავენ მოთხოვნის უფლებას, რაც შემდგომში, სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, ამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იქნება. სსკ-ის 1487-ე მუხლი ავალდებულებს მემკვიდრეებს შეატყობინონ მამკვიდრებლის კრედიტორებს სამკვიდროს გახსნის შესახებ, თუ მათთვის ცნობილია გარდაცვლილის ვალდებულების შესახებ. ამავე კოდექსის 1488-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, **რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო**, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად. აღნიშნული ნორმების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატა განმარტა, რომ კრედიტორს მოვალის მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის წარდგენა ევალება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება მოვალის გარდაცვალების (სამკვიდროს გახსნის) შესახებ (სსკ-ის 1487) და იმ მემკვიდრეების შესახებ, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის წარმოშობის დროს მნიშვნელობა არ გააჩნია, რადგან შეუძლებელია მოთხოვნის წარდგენა, თუ არ არის განსაზღვრული ამ მოთხოვნაზე პასუხისმგებელ პირთა წრე (მემკვიდრეები, რომლებმაც მიიღეს მოვალის სამკვიდრო). საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა აპელანტთა მხრიდან, კრედიტორისათვის, მოვალის გარდაცვალების შესახებ შეტყობინების ვალდებულების (სსკ-ის 1487) შესრულება. ამდენად, პრაქტიკული მნიშვნელობის იყო იმ საკითხის გარკვევა, თუ როდიდან იწყებოდა სსკ-ის 1488-ე მუხლით გათვალისწინებული პრეტენზიის წარდგენის ვადის ათვლა. მითითებული ნორმა ადგენს, რომ ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა მამკვიდრებლის კრედიტორებმა შეიტყვეს სამკვიდროს გახსნის შესახებ, თუმცა ამავე ნორმის მიხედვით, მამკვიდრებლის კრედიტორებმა მოთხოვნა უნდა წარუდგინონ იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო. სსკ-ის 1499-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამკვიდრო მონაშობას გასცემს ნოტარიუსი. შესაბამისად, კრედიტორმა, რომლისთვისაც ცნობილი გახდება მოვალის გარდაცვალების შესახებ უნდა შეასრულოს შემდეგი იურიდიული მოქმედება – მან უნდა მიმართოს ნებისმიერ ნოტარიუსს, გარდაცვლილის მემკვიდრეების მიმართ მოთხოვნის წარდგენის პრეტენზიით. ნოტარიუსი კი ვალდებულია, მიიღოს მამკვიდრებლის კრედიტორის წერილობითი განცხადება, კრედიტორის პრეტენზიების შესახებ, განცხადება უნდა შედგეს კერძო ან საჯარო აქტის ფორმით, განცხადება მიიღება მიუხედავად იმისა, დადგა თუ არა მოთხოვნის ვადა. ამასთან, ნოტარიუსი ვალდებულია, მამკვიდრებლის კრედიტორის პრეტენზიების შესახებ აცნობოს პირებს, რომლებსაც სანოტარო ბიუროში წარდგენილი აქვთ განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ („სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 79-ე მუხლი).<sup>2</sup>

ერთ-ერთ საქმეზე ელექტრონერგის დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნა ორივე ინსტანციამ უარყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლისა (სსკ-ის 128-ე, 129.1, 130-ე მუხლები) და, აგრეთვე, იმ საფუძველით, რომ ვალის რესტრუქტურის გარიგება (სსკ-ის 341-ე მუხლი) ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ იყო მიღწეული. საკასაციო პალატამ დაადგინა სსსკ-ის 105-ე მუხლის დარღვევა მოცემულ საქმეზე, ვინაიდან გამოსაკვლევი იყო ვალის რესტრუქტურის გარიგების იურიდიული მნიშვნელობა სსკ-ის 341-ე და 144-ე მუხლების ნაწინააღმდეგობრივ მიმართებით.<sup>3</sup>

<sup>2</sup> საქმე №ას-171-160-2017.

<sup>3</sup> საქმე №ას-791-740-2017.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს დავა, რომელიც შეეხებოდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვედგომმა სასამართლომ, მართალია, სწორად გამოიყენა სსკ-ის 129.2, 130-ე, 139-ე, 140-ე მუხლები, თუმცა, არასწორად გამოთვალა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.<sup>4</sup>

ამ საქმეზე დასტურდებოდა, რომ მსესხებელს ბანკისათვის კრედიტის დაბრუნება არა ერთდროულად, არამედ ნაწილ-ნაწილ, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით ევალდებოდა (სსკ-ის 873-ე მუხლი), შესაბამისად, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო.<sup>5</sup> მითითებულ საქმეზე კი, გამოკვლეული და შეფასებული არ იყო მოსარჩელის მოთხოვნა ფულადი ვალდებულების შესრულების ნაწილში, როგორც ძირითადი საკრედიტო დავალიანების, სარგებლის, მოთხოვნილი პირგასამტეხლოს დაკისრებისა და გადასახდელი თანხის ოდენობის ნაწილში.<sup>6</sup>

საქმეზე, რომელიც შეეხებოდა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრებას, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დავალიანებისა და ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე. პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 130-ე მუხლი. კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც დადგენილი იყო, რომ სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მხარეთა შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და გაუქმდა მოსარჩელის (კრედიტორის) საკუთრების უფლება უზრუნველყოფის საგანზე, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ დავაში მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ვადის დენის საკითხი უკავშირდებოდა სწორედ ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული დავის შედეგს, ვინაიდან მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების დარღვევა, მოსარჩელისთვის (კრედიტორისთვის) ცნობილი გახდა სწორედ ამ დროიდან. ვინაიდან მოსარჩელემ მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა დაიკმაყოფილა მოვალის ქონების ხარჯზე (იპოთეკის საგნით), ამ მოცემულობაში მას მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თანხის მოთხოვნის არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა, ხოლო მას შემდეგ, რაც გაბათილდა კრედიტორის საკუთრების უფლება უზრუნველყოფის საგანზე, მოსარჩელეს წარმოეშვა მოვალისთვის სესხის დაბრუნების მოთხოვნის უფლება.<sup>7</sup>

### პირთა სიმრავლე ვალდებულებაში (სოლიდარული მოვალეები)

სოლიდარული ვალდებულების არსებობისას რამდენიმე პირს ეკისრება ვალდებულების შესრულება. ასეთი ვითარება ფრიად ხელსაყრელია კრედიტორისათვის, რადგანაც მას შეუძლია ნებისმიერი მოვალისგან მოითხოვოს შესრულება და მათგან ამოირჩიოს სწორედ ის, რომელიც ყველაზე გადახდისუნარიანი იქნება. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 385-ე მუხლის ფარგლებში საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ ამხანაგობის წევრთა ურთიერთმოთხოვნების კანონიერება უნდა შეფასებულიყო ყველა წევრის მონაწილეობის პირობებში. მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა ამხანაგობის იმ წევრისათვის ქირის თანხის დაკისრება, რომელმაც მოსარჩელის მიერ ქონების ამხანაგობაში შეტანის სანაცვლოდ, მშენებლობის დასრულებამდე ქირის გადახდა იკისრა შესატანის სახით. სააპელაციო სასამართლოს ხსენებული და-

<sup>4</sup> საქმე №ას-1543-1463-2017.

<sup>5</sup> შდრ: საქმე №ას-868-830-2014, რომელშიც განიმარტა, რომ „იმ ვალდებულებათა მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან დაკავშირებით, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით სრულდება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხსენებული ვადა აითვლება ყოველი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისათვის დამოუკიდებლად“.

<sup>6</sup> საქმე №ას-902-2018.

<sup>7</sup> საქმე №ას-158-154-2016.

საბუთება საკასაციო პალატამ უარყო სოლიდარული ვალდებულების იურიდიული თავისებურებით, თანახმად სსკ-ის 463-ე-465-ე მუხლებისა. საკასაციო პალატის დასკვნით, ამ მსჯელობას არ აბათილებდა სსკ-ის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი ამხანაგობის წევრთა ურთიერთპასუხისმგებლობის მონაწილეთა წილების შესაბამისად შეზღუდვის თაობაზე. ამ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატისაგან განსხვავებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განიხილა დავა იმ სოლიდარული მოვალის მიმართ, რომელსაც პრეტენზიას უყენებდა მოსარჩელე და ამავდროულად წარმოადგენდა სოლიდარულ მოვალეს.<sup>8</sup>

## ვალდებულების შეწყვეტა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით

გაქვითვის უფლების განმახორციელებელ პირს ეს უფლება ანიჭებს შესაძლებლობას სარჩელისა და იძულებითი აღსრულების გარეშე ნაწილობრივ ან სრულად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა.

ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც მოსარჩელე ძირითადი სარჩელით ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში არსებული დავალიანებისა და პირგასამტეხლოს დაკისრებას მოითხოვდა, ხოლო მოპასუხე – შეგებებული სარჩელით ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვას, ორი ინსტანციით ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ სარჩელზე, საკასაციო პალატამ იურიდიული შედეგი შეცვალა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ეწინააღმდეგებოდა სსკ-ის 420-ე, 442-ე და მომდევნო ნორმების მიზანსა და შინაარსს. **საკასაციო პალატამ განმარტა როგორც პირგასამტეხლოს სამართლებრივი ბუნება, ისე ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის წინაპირობები.** ამ უკანასკნელის შემთხვევაში, მიუთითა, რომ გაქვითვა პირის მატერიალურ-სამართლებრივად აღმჭურველი უფლებაა და ამ უფლების რეალიზაციას ერთ-ერთი მხარე მეორე მხარისათვის შეტყობინებით ახდენს. შესაბამისად, მხარეს ამ უფლების განსახორციელებლად არ სჭირდება სასამართლოსათვის დამოუკიდებელი სარჩელით მიმართვა ან დაწყებულ პროცესში შეგებებული სარჩელის აღძვრა და ზედმეტი სასამართლო ხარჯების განევა. პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მას შეუძლია, წარადგინოს მოთხოვნის მომსპობი (შემწყვეტი) შესაგებელი.<sup>9</sup>

## სანივთო მოთხოვნის უფლებები (მესაკუთრისა და მფლობელის უფლებების დაცვა, მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებები)

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების პროცესში მისი მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული სუბიექტური უფლებებითა და მოვალეობებით, განაპირობებენ შემდგომში მათ ქცევას არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში.

სუბიექტური უფლება გულისხმობს უფლებამოსილი პირის შესაძლო ქცევის სამართლებრივად უზრუნველყოფილ საშუალებას, ხოლო სუბიექტური ვალდებულება – ვალდებული პირის სამართლებრივად განპირობებული აუცილებელი ქცევა კონკრეტული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში.

უფლებამოსილი პირის ინტერესების დაკმაყოფილება, როგორც წესი, სანივთო ან ვალდებულებითი სამართალურთიერთობის მეშვეობით ხდება.

სანივთო (ქონებრივ) სამართალურთიერთობებში უფლებამოსილი პირის ინტერესების დაკმაყოფილებას ადგილი აქვს ნივთის სასარგებლო თვისებების ხარჯზე ამ ნივთზე უშუალო ზემოქმედების გზით. ვალდებულებითი სამართალურთიერთობების დროს კი პირის ინტერესების დაკმაყოფილება ვალდებული პირის განსაზღვრული მოქმედებების ხარჯზე მიმდინარეობს. ასეთი კლასიფიკაციის პრაქტიკული არსი სანივთო და ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერ-

<sup>8</sup> საქმე №ას-777-744-2016.

<sup>9</sup> საქმე №ას-708-678-2016.

თობების მონაწილე პირთა ქცევის სხვადასხვა სამართლებრივ რეგლამენტაციაშია.

საკუთრების უფლებიდან გამომდინარე, ერთ-ერთ დავაზე<sup>10</sup> ორი ინსტანციით უარყოფილი სარჩელი დააკმაყოფილა საკასაციო პალატამ. **ამგვარი იურიდიული შედეგი განაპირობა სადავო ნივთზე მფლობელობის საკითხის განუსაზღვრელობამ – მფლობელობის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნების დაუდგენლობამ** (სსკ-ის 162-ე მუხლი). ვინდოკაციურ სარჩელზე (სსკ-ის 170-ე მუხლის და 172-ე მუხლის პირველი ნაწილი), ორი ინსტანციით დაკმაყოფილებული იურიდიული შედეგი საკასაციო პალატამ სარჩელის უარყოფით შეცვალა, ვინაიდან მიიჩნია, რომ მოსარჩელე სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრედ არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში (სსკ-ის 312-ე და 170-ე მუხლები), რაც სსკ-ის 172-ე მუხლით მინიჭებულ მოთხოვნის უფლებას მას არ წარმოუშობდა.<sup>11</sup>

დავაზე, რომელიც მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის ვინდოკირებას შეეხებოდა, საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მფლობელის საკასაციო პრეტენზია დასაბუთებული იყო საქმის მასალების არასრული კვლევისა (სსსკ-ის 105-ე მუხლი) და დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არასწორად დადგენის თვალსაზრისით. საკასაციო პალატის დასკვნით, შეფასებას საჭიროებდა ის უდავო ფაქტი, რომ მოსარჩელეს სადავო ქონებაზე უფლება გადაეცა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, ხოლო თავად უძრავი ქონება, მრავალბინიანი კორპუსი, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრება იყო და ამხანაგობის წევრს წარმოადგენდა მოპასუხე, რაც ქმნიდა სსკ-ის 172-ე მუხლის შემადგენლობას. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დამადასტურებელ მტკიცებულებას, სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, წარმოადგენს საჯარო რეესტრის ამონაწერი, რამდენადაც, უძრავ ნივთზე არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი მფლობელობა მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციას არ ქმნის (სსკ-ის 158.2, 311.1 და 312-ე მუხლები). იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ იყო, მისი მესაკუთრედ მიჩნევა სამართლებრივად იყო შეუძლებელი, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სსკ-ის 170-ე და 172-ე მუხლების გამოყენებას, რადგანაც ამ ნორმათა საფუძველზე, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა მხოლოდ მესაკუთრემ შეიძლება მოითხოვოს. მოსარჩელეს პოსესორული (მფლობელობიდან გამომდინარე) მოთხოვნა გააჩნდა მოპასუხის მიმართ, რადგანაც იგი ნივთის ფლობის უფლების დამდგენ დოკუმენტებზე იყო დამყარებული, შესაბამისად, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმებიც მფლობელობის საკითხის მარეგულირებელ დანაწესებში უნდა მოძიებულიყო. პალატამ მიუთითა სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებულ განმარტებაზე კეთილსინდისიერი და მართლზომიერი მფლობელის ინსტიტუტებთან მიმართებით (სსკ-ის 59-ე, 162-ე, 163-ე, 164-ე მუხლები) და აღნიშნა, რომ, გარდა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის არასწორად განსაზღვრისა, სააპელაციო პალატამ იმგვარად მიიჩნია მოსარჩელის პოსესორული უფლება უპირატესად, რომ არ გამოუკვლევიან მოპასუხის შედავების საფუძვლიანობა. ქონების არაპირდაპირი მფლობელი, საკუთარ უფლებრივ კავშირს ნივთთან ამყარებდა ადმინისტრაციულ აქტზე, რომელიც, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, შესაძლოა, პირის მართლზომიერ (არაპირდაპირ) მფლობელად მიჩნევას განაპირობებდეს, რამდენადაც ამ აქტის გამოცემის დროს მოქმედი, როგორც სსრ-ის სამოქალაქო სამართლის, ისე – სსრ-ის საბინაო კოდექსი პირის ინდივიდუალურ საკუთრებას უძრავ ქონებაზე არ აღიარებდა (სსსრ-ის საბინაო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი აბზაცი). უფლებადამდგენი ადმინისტრაციული აქტის გაუქმების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვებოდა, თუმცა, შესაგებებელზე დართული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, თვითმმართველი ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე, კორპუსი, სადაც სადავო ბინა მდებარეობდა სახელმწიფომ განკარგა და იგი ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, შესაბამისად, უნდა შეფასებულიყო ნივთის პირდაპირი მფლობელის პრეტენზიები ქონების ფლობის მართლზომიერების თვალსაზრისით. საკასაციო პალატის დასკვნით, სააპელაციო სასამართლოს, მტკიცებულებათა ერთობლივად შეფასებით, არ გამოუკვლევიან მოდავე მხარეთა მფლობელობის დამადასტურებელი მტკიცებულებების უპირატესობის საკითხი, არამედ შემოიფარგლა მხოლოდ მოპასუხის წარმომად-

<sup>10</sup> საქმე №ას-211-196-2014.

<sup>11</sup> საქმე №ას-1099-1019-2017.

გენლის მიერ სხდომაზე მიცემული განმარტების ანალიზით, რომ ქონება იმ პირთა საკუთრებას წარმოადგენს, ვინც თავდაპირველად თვითნებურად დაეუფლა მას. ამ მხრივ, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავდა სამართლებრივ ანალიზს – მხარის ზოგადი განმარტება იძლეოდა თუ არა საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების უარყოფის შესაძლებლობას. გარდა აღნიშნულისა, გასაჩივრებული განჩინება არ იძლეოდა პასუხს კითხვაზე – შესაძლებელი იყო თუ არა, დაკმაყოფილებულიყო მოპასუხის მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშეშლის აღკვეთის შესახებ სარჩელი იმ პირობებში, როდესაც ყოფილი მესაკუთრის მიერ (სახელმწიფო) ამ ქონების განკარგვა (საჯარო რეესტრის მონაცემები) სარჩელით შედავებული არ ყოფილა.<sup>12</sup>

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს დავა, სადაც უძრავი ნივთის მფლობელი ნივთის გაუმჯობესებაზე განეული ხარჯის ანაზღაურებას მოითხოვდა მესაკუთრისაგან, ხოლო მესაკუთრე ამ ნივთის მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვას მოითხოვდა. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ სრულად დაკმაყოფილდა მხარეთა მოთხოვნები. საკასაციო პალატამ საქმის არსებითად განხილვის შედეგად დაადგინა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სამართლებრივად არასწორად შეაფასეს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები, არასწორად განსაზღვრეს მტკიცებების საგანი და არასწორადვე გაანალიზეს მტკიცებების ტვირთი მხარეთა შორის. **საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მფლობელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს არა სსკ-ის 987-ე, არამედ ამავე კოდექსის 163-ე მუხლი წარმოადგენდა და სარჩელის წარმატებისათვის უნდა დადგენილიყო სსკ-ის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებები:** მფლობელის მხრიდან სადავო უძრავ ქონებაზე გაუმჯობესებებისა და ხარჯების გაწევის ფაქტი; სარგებელი (ნაყოფი), რაც მფლობელმა მიიღო ნივთის ფლობის შედეგად, მესაკუთრის მიერ ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის წარდგენის შემდეგ. მფლობელის მიერ განეული ხარჯი ხომ არ გაიქვითებოდა (კომპენსირდებოდა) ნივთის სარგებლობიდან მიღებული ნაყოფით. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდებოდა, რომ განეული ხარჯები აღემატებოდა უძრავი ქონებით სარგებლობიდან მიღებულ ნაყოფს, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა გამოკლებოდა განეულ ხარჯებს და მიღებული სხვაობის ანაზღაურება მესაკუთრეს დაეკისრებოდა. ამასთან, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, სსკ-ის 163-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, მფლობელის კანონისმიერი უფლება – ხარჯების ანაზღაურებამდე უარი განეცხადებინა ნივთის მესაკუთრისთვის დაბრუნებაზე. იმ შემთხვევაში, თუკი ნივთით სარგებლობის ნაყოფი ტოლი იქნებოდა ან აღემატებოდა ძირითადი მოსარჩელის მიერ განეულ ხარჯებს, მესაკუთრის სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო, ხოლო მფლობელის მოთხოვნა – უარყოფილიყო.<sup>13</sup>

**საქმეზე, რომელიც მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას შეეხებოდა,** საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 105-ე მუხლის დარღვევა დაადგინა. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მხრიდან ისე დაკმაყოფილდა სარჩელი, რომ არ შემოწმებულია მოპასუხის შედავების არსებობა, რომელიც აცხადებდა, რომ წარმოადგენდა ნივთის მართლზომიერ მფლობელს. **საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 170-ე და 172-ე მუხლებით გათვალისწინებულ მესაკუთრის ვინდიკაციურ მოთხოვნას აფერხებდა ამავე კოდექსის 162-ე მუხლით გათვალისწინებული შესაგებელი, შესაბამისად, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შედავების საფუძვლიანობის შესამოწმებლად.**<sup>14</sup>

## მოთხოვნის დათმობა (ცესია)

მოთხოვნის დათმობისას მოთხოვნა ერთი კრედიტორიდან (ცედენტი) ხელშეკრულების ან კანონის საფუძველზე მეორე კრედიტორზე (ცესიონერი) გადადის.

მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმისა, და შესაბამისად, მტკიცებების საგნის არასწორად განსაზღ-

<sup>12</sup> საქმე №ას-1105-1062-2016.

<sup>13</sup> საქმე №ას-1042-962-2017.

<sup>14</sup> საქმე №ას-686-686-2018.

ღვრის მოტივით საკასაციო პალატამ სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნა საქმე იმ მითითებით, რომ სასამართლო არ იყო შეზღუდული, შესაბამისი ფაქტობრივი წინაპირობების დადასტურების შემთხვევაში, სარჩელის საფუძვლიანობა შეემონებინა, მათ შორის იმ სამართლებრივი საფუძვლით, რომელზეც მხარე არ აპელირებდა. მოცემულ საქმეში მოსარჩელე დავობდა იმაზე, რომ მან შეასრულა სხვა პირის ვალდებულება, ხოლო სანაცვლო შესრულების მოთხოვნისას აღმასრულებლისა და რეალური მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ვალდებული პირი აღმოჩნდა ქონების არმქონე, რის შედეგადაც მას ადგებოდა ზიანი. როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სარჩელის უარყოფის საფუძვლად მითითებულ იქნა ის გარემოება, რომ მოვალის კრედიტორის მხრიდან მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი ვერ დაამტკიცა მოსარჩელემ. საკასაციო სასამართლოს მითითებით კი, სარჩელში გადმოცემული ფაქტობრივი მოცემულობის გათვალისწინებით, სასამართლოს უნდა დაედგინა ვალის გასტუმრებით მოსარჩელემ ხომ არ დაიკავა კრედიტორის ადგილი და ხომ არ ჩაენაცვლა მას მოთხოვნაში? საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლიანი სასამართლოს კონცეფციის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს არა მხოლოდ მართლმსაჯულების მიუკერძოებლად განხორციელება, არამედ ამ პროცესში სადავო გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა (სსკ-ის 105-ე მუხლი), რომლის ფარგლებშიც, სასამართლომ უპირველესად, პასუხი უნდა გასცეს მთავარ კითხვებს: ვინ? ვისგან? რას? რის საფუძველზე ითხოვს? დასახული მიზნის მისაღწევად უნდა შეფასდეს მათ შორის მხარეთა ახსნა-განმარტებები, რომელიც, პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მტკიცებულებას წარმოადგენს (სსკ-ის 102.2 მუხლი). პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და აღნიშნა, რომ ქვემდგომ სასამართლოს უნდა დაედგინა, რა საფუძვლით შეასრულა მოსარჩელემ მოვალის ვალდებულება და რა სამართლებრივი ურთიერთობა იყო სახეზე. მესამე პირის მხრიდან ვალდებულების შესრულება შესაძლოა, მატერიალურ-სამართლებრივ უფლებამონაცვლეობაზე მიუთითებდეს. ამ მხრივ კი, გამოსაკვლევი იყო, არსებობდა სასყიდლიანი ცესია (სსკ-ის 198-ე (1), 199-ე მუხლები) თუ კრედიტორსა და მესამე პირს შორის დადებული იყო ვალის გადაკისრების ხელშეკრულება (სსკ-ის 203-ე (1) მუხლი).<sup>15</sup>

## კომპენსაციის განსაზღვრის საკითხი ექსპროპრიაციის დროს

ქონების ექსპროპრიაციიდან გამომდინარე კომპენსაციის დაკისრების შესახებ დავაზე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ წარდგენილი ექსპერტის დასკვნები და უპირატესობა მიანიჭა მოსარჩელის მიერ წარდგენილ დასკვნას მაშინ, როდესაც აღნიშნული დასკვნა არ შეიცავდა ფაქტებით გამყარებულ არგუმენტაციას. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტის დასკვნით სარწმუნოდ არ დასტურდებოდა ექსპროპრირებული უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად შეაფასა მოპასუხის ახსნა-განმარტება სადავო უძრავი ქონების ფასის გაძვირების გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით და გამოიყენა იგი მოპასუხის საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად. ამ ვითარებაში საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს სარჩელის საფუძვლიანობაზე, რადგან არ არის დადგენილი ჩამორთმეული ქონების რეალური საბაზრო ღირებულება, ხოლო სააპელაციო სასამართლოს, სადავო სამართალურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე, არ უსარგებლია სპეციალური კანონის მე-9 მუხლით სასამართლოსათვის მინიჭებული უფლებამოსილებით ქონების შეფასების მიზნით დამოუკიდებელი ექსპერტის დანიშვნის თაობაზე.<sup>16</sup>

## სახელშეკრულებო დავები

ხელშეკრულება ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნების თავისუფალი გამოვლენის

<sup>15</sup> საქმე №ას-921-861-2017.

<sup>16</sup> საქმე №ას-388-361-2017.

ნის შედეგია, მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის გამოხატულებაა, რომლის ძალითაც მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, შეასრულონ ან არ შეასრულონ ესა თუ ის მოქმედება. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი პირი თავისუფალია ვისთანაც უნდა იმასთან შევიდეს გაცვლით ურთიერთობებში და განსაზღვროს ამ ურთიერთობის შინაარსი. ამასთან, მხარეთა „ნების ავტონომია“ არ ათავისუფლებს მონაწილეებს ვალდებულებებისაგან, გაითვალისწინონ ერთმანეთის დასაცავი ინტერესები.

## ნასყიდობა

შემძენის მიერ საწვავის ფასის ანაზღაურების დავაზე, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების დასკვნა სარჩელის უარყოფის თაობაზე, **საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენდა, ამასთანავე, ვინაიდან ნასყიდობის საგანი იყო საწვავი, მოძრავი ნივთის შეძენის წესებიდან გამომდინარე (სსკ-ის 186-ე მუხლი), ზეპირად დადებული გარიგების მტკიცება დაიშვებოდა სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულებით, მათ შორის – საგადასახადო მიზნებისათვის საჯარო სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური ანგარიშფაქტურის საშუალებით, რომელიც დადასტურებული იყო მოპასუხის მიერ, მისი შევსება-დადასტურებისათვის გათვალისწინებული წესებიდან გამომდინარე, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად დადასტურებდა ხელშეკრულების დადებას, რაც იურიდიულად გამართლებულს ხდიდა გამყიდველის მოთხოვნას.**<sup>17</sup>

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების (სარჩელში), ხელშეკრულებიდან გასვლისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის (შეგებებულ სარჩელში) დავაზე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო ფაქტობრივი გარემოება (გამყიდველის შეგნებულ დუმილთან დაკავშირებით) დაადგინა იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა ამ ფაქტის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები, რის გამოც არასწორად განმარტა მატერიალური ნორმები – სსკ-ის 495-ე მუხლი.<sup>18</sup>

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება, სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, გააუქმა და მსგავსად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებისა, ახალი გადანყვეტილებით, სარჩელი არ დააკმაყოფილა, საკასაციო სასამართლომ სრულიად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა, რომ მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებებით ვერ შეძლო საკუთარი მოთხოვნის საფუძვლიანობის დამტკიცება. **ამ გადანყვეტილებით საკასაციო პალატამ დაადგინა, რომ მხარეთა შორის სსკ-ის 477-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა არ დგინდებოდა, რადგანაც გამყიდველს მყიდველისათვის საქონელი არ გადაუცია, შესაბამისად, ამ უკანასკნელს არარსებული ვალდებულების ძალით ვერ წარმოეშობოდა საფასურის გადახდის ვალდებულება.**<sup>19</sup>

საქმეზე, რომელიც ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობდა და ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული სარჩელი, საკასაციო პალატამ ახალი გადანყვეტილებით სრულად უარყო მოთხოვნა. მოსარჩელე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ამტკიცებდა, რომ მოპასუხეს (მყიდველს) ხელშეკრულების პირობების დაცვით მიანოდა გარკვეული ღირებულების პროდუქცია, საიდანაც მყიდველმა მხოლოდ ნაწილი აანაზღაურა, ხოლო მოპასუხე კვალიფიციური შედავებით მიუთითებდა, რომ გამყიდველის მიერ მიწოდებული პროდუქცია ნივთობრივი ნაკლის მქონე იყო, რის გამოც ნასყიდობის საფასურის დარჩენილი ნაწილის ანაზღაურების ვალდებულება მას არ გააჩნდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მან გამყიდველს ნაკლიანი პროდუქციის ახლით შეცვლა მოსთხოვა, რასაც ამ უკანასკნელის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ქვემ-

<sup>17</sup> საქმე №ას-793-760-2016.

<sup>18</sup> საქმე №ას-486-467-2016.

<sup>19</sup> საქმე №ას-455-437-2016.



დგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა, რომ მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩელი-საგან მოთხოვნა ნასყიდობის საფასურის შემცირება. პალატამ განმარტა, რომ კანონიდან გამომდინარე, ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, მყიდველს შეუძლია, მოითხოვოს დამატებითი შესრულება სსკ-ის 490-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. დამატებითი შესრულების მოთხოვნა უპირატესია სხვა მოთხოვნის უფლებებთან მიმართებით (იგულისხმებოდა სსკ-ის 477-ე და 492-ე მუხლები – ფასის შემცირება, სსკ-ის 477-ე, 487-ე, 491-ე, 405.1 და 352.1 მუხლები – ხელშეკრულებიდან გასვლა, 477-ე, 494.1, 394.1 და 408.1 მუხლები – ზიანის ანაზღაურება). რადგანაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მყიდველმა გამყიდველს შესრულებულის ახლით შეცვლა მოსთხოვა, სსკ-ის 492-ე მუხლით გათვალისწინებული ნასყიდობის საფასურის შემცირების მოთხოვნის უფლებას იგი ვერ გამოიყენებდა.<sup>20</sup>

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების მართლზომიერება (სსკ-ის 405-ე და 352-ე მუხლები) საკასაციო პალატამ შეაფასა ხელშეკრულების დადების განმაპირობებელი არსებითი ფაქტორის (სსკ-ის 327-ე მუხლი) დაცულობის კუთხით; ვინაიდან რამდენიმე მოსარჩელე მოთხოვნას აფუძნებდა მინოდებული პროდუქციის უზარისხოვარზე, ხოლო მტკიცებულება (ლაბორატორიული კვლევა) მხოლოდ ერთ-ერთი სახეობის პროდუქტის ნაწილში ადასტურებდა შეთანხმებულისაგან განსხვავებული პროდუქციის მინოდების ფაქტს, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მხოლოდ იმ მოსარჩელის მიმართ იქნა წარმომოხილად მიჩნეული, რომელმაც პროდუქციის სწორედ ეს ნაწილი შეისყიდა და არა სხვათა მიმართ. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა ორივე ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა.<sup>21</sup>

## იჯარა

საიჯარო ქირის დაკისრების შესახებ სარჩელი<sup>22</sup> საკასაციო პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა, მაშინ, როდესაც სააპელაციო ინსტანციაში საიჯარო ქირის მოთხოვნა სრულად იყო დაკმაყოფილებული, ხოლო პირველ ინსტანციაში – სრულად უარყოფილი. საკასაციო პალატის განსხვავებული სამართლებრივი შედეგი მიღებულია საიჯარო ვალდებულების შეწყვეტის უფლების კეთილსინდისიერების სტანდარტის (სსკ-ის 8.3 და 115-ე მუხლები) ფარგლებში განმარტების საფუძველზე; ვინაიდან მოიჯარის განსაზღვრული სახელშეკრულებო ინტერესი მიიჯარის მიერ უარყოფილი იყო, ამ დროიდან გონივრულ ვადაში შეეძლო მიიჯარეს, მოეშალა იჯარის ხელშეკრულება და, მაშასადამე, სწორედ დროის ამ მონაკვეთში წარმოიშობოდა იჯარის ქირის გადახდის ვალდებულება (სსკ-ის 581-ე მუხლის პირველი ნაწილი და 588-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სხვა დავაზე სააპელაციო სასამართლოს კვალიფიკაცია იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის (მოშლის) სსკ-ის 357-ე მუხლის წინაპირობების არარსებობის თაობაზე, უმართებულოდ მიიჩნია, რადგან შემომნებელი არ იყო იჯარის ხელშეკრულების მოშლის (შეწყვეტა) წარმომშობი (დამფუძნებელი) წინაპირობები (სსკ-ის 581-ე, 558-ე, 561-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი წანამძღვრები), აგრეთვე, მოთხოვნის შემწყვეტი, ნორმები (სსკ-ის 427-ე მუხლები და ა. შ.).<sup>23</sup>

## სესხი

საქმეზე, სადაც სესხის დაბრუნების მოთხოვნით აღძრული სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლომ უარყო, სააპელაციო პალატამ კი, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, საკასაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს და განმარტა, რომ, სსკ-ის 623-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნაზე მტკიცების ტვირთის მქონე მოსარჩელემ გასაგებად და დამაჯერებლად ვერ შეძლო სადავო ფაქტობ-

<sup>20</sup> საქმე №ას-940-2018.

<sup>21</sup> საქმე №ას-38-38-2018.

<sup>22</sup> საქმე №ას-862-828-2016.

<sup>23</sup> საქმე №ას-360-360-2018.

რივი გარემოების დამტკიცება. მარტოოდენ, სესხის შესახებ შეთანხმება (არსებით პირობებზე შეთანხმება) ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშნავდა სესხის ხელშეკრულების დადებას. რადგანაც სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისა და იურიდიული ძალის აუცილებელი პირობაა ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლისთვის რეალურად (ფიზიკურად) გადაცემა, სადავოობის შემთხვევაში, მხარემ უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთანხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცემის შესახებ ფაქტობრივი გარემოებაც.<sup>24</sup>

სესხიდან გამომდინარე მოთხოვნის შესახებ დავაზე, რომელიც სააპელაციო პალატამ ხელახლა განიხილა საკასაციო სასამართლოს მითითებათა ფარგლებში, საკასაციო სასამართლომ შეცვალა გადაწყვეტილების იურიდიული შედეგი და განმარტა, რომ გამსესხებელმა, რომელიც სანარმოა, სტანდარტული პირობებით გააფორმა ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან (მსესხებელთან), ხოლო სადავო ხელშეკრულების მე-3 მუხლის სააპელაციო სასამართლოსეული ინტერპრეტაცია არ გამომდინარეობდა სსკ-ის 344-345-ე მუხლებიდან.<sup>25</sup>

სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე მიღებული გადაწყვეტილებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა მატერიალური ნორმის არასწორმა განმარტებამ განაპირობა: საკასაციო სასამართლოს დასკვნით, მიუხედავად კანონით დადგენილი ფორმის არარსებობისა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულება სამართლებრივ შედეგს მხოლოდ ფორმის დაცვას უკავშირებდა, შესაბამისად, მასში ცვლილებებიც და დამატებებიც სამართლებრივ შედეგს, ამ ფორმის დაცვის შემთხვევაში წარმოშობდა.<sup>26</sup>

საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევად შეფასდა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების მოცულობის განსაზღვრა საქმეზე, სადაც ორი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ვალდებულება შემოიფარგლებოდა 293 აშშ დოლარით, თუმცა კრედიტორს პრეტენზია ჰქონდა 293,000 აშშ დოლარზე; იმის გათვალისწინებით, რომ სანოტარო აქტივი ციფრობრივად და სიტყვიერად აღნიშნული სიმბოლოები ინვევდა განსხვავებულ შედეგს – ციფრობრივად სესხის სახით გადაცემულ თანხად მითითებული იყო 293, ხოლო სიტყვიერად – ორას ოთხმოცდაცხრამეტი ათასი აშშ დოლარი, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, რეალურად რამდენი გადაეცა მოვალეს სესხად (სსკ-ის 68-ე და 623-ე მუხლები).<sup>27</sup>

საკრედიტო ორგანიზაციასა და ფიზიკურ პირს შორის დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების მოთხოვნაზე პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა გამსესხებლის სარჩელი ნაწილობრივ და მსესხებელს დააკისრა სესხის ძირითადი თანხისა და ხელშეკრულების განმავლობაში გადასახდელი პროცენტის ანაზღაურება, რადგანაც დადგენილად მიიჩნია, რომ კრედიტორმა თავად გადააცილა ბრალეულად შესრულების მიღების ვადას და მას მეორადი მოთხოვნის წარდგენის უფლება აღარ ჰქონდა. სააპელაციო პალატამ ნაწილობრივ შეცვალა რა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სარჩელი დააკმაყოფილა სრულად. საკასაციო განხილვის ეტაპზე შეიცვალა რა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა კრედიტორის მოქმედებები და არასწორად არ იხელმძღვანელა სსკ-ის 390-ე და 393-ე მუხლების „გ“ ქვეპუნქტით, შესაბამისად, პალატამ ახალი გადაწყვეტილებით მხარი დაუჭირა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ სამართლებრივ შედეგს.<sup>28</sup>

საქმეში, რომელშიც დავის საგანს სესხის სახით გადაცემული თანხის უკან დაბრუნება წარმოადგენდა, საკასაციო პალატამ სარჩელი უარყო, მაშინ, როდესაც სააპელაციო ინსტანციაში სარჩელი სრულად იყო დაკმაყოფილებული, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში კი სრულად უარყოფილი. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო თანხა კასატორს, როგორც კომპანიის დირექტორს (წარმომადგენელს) გადაეცა და აქედან გამომდინარე ის, როგორც ფიზიკური

<sup>24</sup> საქმე №ას-398-371-2017.

<sup>25</sup> საქმე №ას-712-682-2016.

<sup>26</sup> საქმე №ას-109-105-2016.

<sup>27</sup> საქმე №ას-819-767-2017.

<sup>28</sup> საქმე №ას-1071-991-2017.

პირი, პასუხს არ აგებდა მოსარჩელის წინაშე. საკასაციო პალატამ სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებით აღნიშნა, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელი ელემენტის არსებობა, სახელდობრ, ის, რომ მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, უკან დაებრუნებინა იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი (სსკ-ის 623-ე მუხლი).<sup>29</sup>

## ნარდობა

სახელშეკრულებო მოთხოვნიდან გამომდინარე დავაზე საკასაციო სასამართლომ ცალ-ცალკე შეაფასა შუამავლობის, დავალების, ნარდობისა და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, რამაც შესაძლებელი გახადა მართებულად დაკვალიფიცირებული მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ყველაზე მეტად ნარდობის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ბუნება ჰქონდა და მომსახურების განეგას შემკვეთის მითითებების ფარგლებში მოიცავდა, რამდენადაც სადავო ურთიერთობის ელემენტები სსკ-ის 629-ე მუხლის შემადგენლობას ქმნიდა.<sup>30</sup>

ერთ-ერთ საქმეში, სადაც მოსარჩელე (ამხანაგობა) ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების წევრებისაგან, ამხანაგობის მიზნის მისაღწევად, დამატებით მოითხოვდა შესატანის (თანხის) დაკისრებას, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ სარჩელი უარყოფილ იქნა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის დადებული წერილობითი შეთანხმებები მოპასუხეების საერთო საქმიანობის სამართლებრივ ურთიერთობად და არასწორად გამოიყენა სსკ-ის 930-ე და მომდევნო მუხლები, შესაბამისად, შეცვალა იურიდიული შედეგი და ახალი გადანყვეტილებით, სასარჩელო მოთხოვნა უარყო. პალატის განმარტებით, ამ საქმეში ამხანაგობასა და მოპასუხეებს შორის ურთიერთობა წარმოადგენდა ნარდობას და, შესაბამისად, სადავო ურთიერთობა უნდა მოწესრიგებულიყო სსკ-ის 629-ე და მომდევნო ნორმებით.<sup>31</sup>

## დავალება

საქმეზე, რომელიც შეეხებოდა დავალების ხელშეკრულების ფარგლებში მარწმუნებლის მოთხოვნას რწმუნებულისათვის მინდობილი მოქმედების შედეგად მიღებულის დაკისრებას, საკასაციო პალატამ დაადგინა ქვემდგომი სასამართლოს მიერ სსკ-ის 105-ე მუხლის დარღვევა, კერძოდ, პალატის დასკვნით, სასამართლოს შეფასება არ მიუცია მხარეთა განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტებისათვის და არ დაუდგინა, ხომ არ არსებობდა სსკ-ის 711-ე მუხლით გათვალისწინებული დავალების გადანდობის ფაქტი, რომელიც ასახვას ჰპოვებდა პასუხისმგებლობის ზომაზე.<sup>32</sup>

## მიზარება

ერთ-ერთ საქმეზე, სადაც დავის საგანს მიზარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სასყიდლის ანაზღაურება წარმოადგენდა, საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს იმ დასაბუთებით, რომ არც პირველი ინსტანციის სასამართლოს და არც სააპელაციო პალატას არ შეუფასებია მოპასუხის შედავება სარჩელზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის თაობაზე. საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის განხილვისას დაირღვა სსკ-ის 85-ე მუხლის მოთხოვნები, რადგანაც დადგენილი იყო, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის მიზარების ხელშეკრულება არ დადებულა, არამედ იგი გააფორმა

<sup>29</sup> საქმე №ას-683-683-2018.

<sup>30</sup> საქმე №ას-304-287-2017.

<sup>31</sup> საქმე №ას-866-808-2017.

<sup>32</sup> საქმე №ას-1190-1110-2017.

გადამზიდველმა, რომელიც ტვირთის საზღვაო გადაზიდვის კონოსამენტში თავად იყო ტვირთიმძღვრე რეგისტრირებული, შესაბამისად, მოპასუხე არ წარმოადგენდა შემნახველთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირს და მის მიმართ სარჩელი იყო უსაფუძვლო. კასაციონი, როგორც შემნახველი, არ ეთანხმებოდა ქვემდგომი სასამართლოების დასკვნებს და მიიჩნევდა, რომ მოპასუხე, რომელიც მიბარებული ტვირთის მესაკუთრე იყო, სწორედ ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს წარმოადგენდა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მიბარების საზღაურის ანაზღაურების მოთხოვნის მარეგულირებელ ნორმებს სსკ-ის 764-ე (1) და 775-ე მუხლები წარმოადგენს. სარჩელში მოხმობილი ხელშეკრულება იყო სასყიდლიანი გარიგება, რომლის წინააღმდეგაც მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შესაგებელი იქნა წარდგენილი, სადაც ის აპელირებდა, რომ არ იყო შემნახველის მოთხოვნაზე პასუხისმგებელი პირი. ამ თვალსაზრისით მან მიუთითა გადამზიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტზე (კონოსამენტის გადაუცემლობა) და აღნიშნა, რომ მას ბრალი არ მიუძღვოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნივთის შემნახველის საწყობში განთავსებაში. პალატამ მიუთითა გადაზიდვის ხელშეკრულების მარეგულირებელ ნორმებზე და, ვინაიდან გადამზიდველს ტვირთიმძღვრისათვის არ ჰქონდა გადაცემული ტვირთის განმკარგავი დოკუმენტი, მიიჩნია, რომ ქვემდგომ სასამართლოს უნდა დაედგინა მიბარების ხელშეკრულებაზე პასუხისმგებელი სათანადო მოპასუხის ვინაობა და ემსჯელა პროცესში მის ჩაბმაზე.<sup>33</sup>

მიბარების საკითხთან დაკავშირებულ ერთ-ერთ დავაზე (სარჩელით მოთხოვნილი იყო ავტოდრომზე ავტომანქანების დგომისა და შენახვისათვის მოპასუხისათვის საფასურის გადახდის დაკისრება) საკასაციო სასამართლომ ხელახლა განსახილველად დააბრუნა საქმე სააპელაციო სასამართლოში იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 764-ე მუხლი, რის გამოც სასამართლომ ავტოდრომზე ავტომანქანების მიბარება არასწორად მიიჩნია უსასყიდლოდ მიბარებად.<sup>34</sup>

## საბანკო კრედიტი

საქმეზე, რომელიც ბანკის მიერ ფიზიკური პირის ანგარიშიდან მისი თანხმობის გარეშე თანხის ჩამონერისა და ამ თანხის ვალის დასაფარად მიმართვის კანონიერებას უკავშირდებოდა, ორი ინსტანციით დაკმაყოფილებული სარჩელი საკასაციო პალატამ უარყო და მიუთითა, რომ მოვალის მხრიდან ხელშეკრულებით იმ ვალდებულების აღება, რომელიც ბანკს ანიჭებდა თანხის ჩამოჭრის უფლებამოსილებას, წინასწარი აქცეპტირება მოახდინა მსგავსი ქმედების განხორციელებისა. შესაბამისად, ბანკი უფლებამოსილი იყო, მსესხებლის ვალდებულების დასაფარად დამატებითი ნებართვის გარეშე ჩამოენერა თანხა ამ უკანასკნელის ანგარიშიდან. ხანდაზმულობასთან მიმართებით, პალატამ განმარტა, თუ მსესხებელს არ სურს ხანდაზმული მოთხოვნის შესრულება, იგი ბანკში გახსნილ ანგარიშზე თანხას არ შეიტანს, ხოლო თუ შეიტანს, ივარაუდება, რომ ნებაცემობით ასრულებს იმ მომენტში ბანკის წინაშე არსებულ ყველა ვალდებულებას და შესრულებულს უკან ველარ დაიბრუნებს (სსკ-ის 144.2 მუხლი).<sup>35</sup>

## საბანკო გარანტია

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნაზე საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილება მიიღო. მოცემულ საქმეზე დადგენილი იყო, რომ გარანტმა 35 000 ლარზე გასცა საბანკო გარანტია, რომელიც პრინციპალმა გააყალბა და ნაცვლად 35 000 ლარისა, ბენეფიციარს წარუდგინა 835 000 ლარზე გაცემული გარანტია. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა ნაწილობრივ დააკმაყოფილეს ბენეფიციარის სარჩელი გარანტის მიმართ. სასამართლოების მოტივაცია ემყარებოდა იმას, რომ გარანტს 35 000 ლარის ანაზღაურებაზე გამოვლენილი ჰქონდა ნება. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ხსენებული მოსაზრება და ახალი გადაწყვეტილებით უარყო სარჩელი. გადაწყვეტილების თანახმად, ბენეფიციარის მოთ-

<sup>33</sup> საქმე №ას-1085-1042-2016.

<sup>34</sup> საქმე №ას-965-930-2016.

<sup>35</sup> საქმე №ას-305-290-2016.

ხოვნის დამფუძნებელ ნორმად, როდესაც საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება წარმოადგენს დავის საგანს, სსკ-ის 879-ე მუხლი გვევლინება. იმისათვის, რათა ამომწურავად შეფასდეს სადავო ვალდებულების წარმოშობა, შეფასებას ექვემდებარება თავად ხელშეკრულების დადების საკითხი, რომელიც კრედიტორის მოთხოვნის ნამდვილობას განაპირობებს. ამ თვალსაზრისით, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობათა მარეგულირებელი სპეციალური ნორმები არ შეიცავს შესაბამის დათქმებს, რის გამოც, გამოყენებულ უნდა იქნეს სახელშეკრულებო სამართლის მომწესრიგებელი იმ ნორმათა დებულებები, რომლებიც ამავე კოდექსის 879-ე-890-ე მუხლების დათქმებს არ ეწინააღმდეგება. სამართლის თეორიაში გაბატონებული მოსაზრებით, სსკ-ის 51-ე მუხლის თანახმად, ცალმხრივად გამოვლენილ ნებას სამართლებრივი შედეგები მოჰყვება მას შემდეგ, რაც ნება ადრესატს მიუვა, ანუ ცალმხრივი გარიგება იურიდიულ ძალმოსილებას მას შემდეგ შეიძენს, რაც მისი გარეგანი ფორმირების პროცესი ადრესატის აღქმის არეალში მოქცევით დასრულდება. სისხლის სამართლის საქმის მასალებით დოკუმენტის გაყალბების ფაქტის მიმართ არ დადგინდა ბენეფიციარის რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუმცა ბენეფიციარის კეთილსინდისიერება მას ვერ დაიცავდა. კეთილსინდისიერებით არ შეიძლება ყოველთვის აიხსნას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის ინტერესი, რადგანაც თავად კეთილსინდისიერება კონტრაქტის იცავს მაშინ, როდესაც ეს გათვალისწინებულია კანონით (მაგ: სსკ-ის 312-ე მუხლი), რამდენადაც კანონმდებლის ამგვარი მიდგომა წარმოადგენს კოლიდირებულ სიკეთეთა შორის უპირატესი უფლების მქონე პირის განსაზღვრის ინსტრუმენტს და ცდილობს, ამ გზით დაიცვას ყველა იმ კეთილსინდისიერი პირის ინტერესები, რომლებიც მართლზომიერად განკარგავდნენ საკუთარ სამოქალაქო უფლებებს და გააჩნდათ ამ განკარგვის ლეგიტიმური შედეგის დადგომის მოლოდინი. განსხვავებით ამისაგან, კეთილსინდისიერი პირის ინტერესების დაცვა ვერ გადაწონის იმ პირის უფლებებს, რომელიც სამოქალაქო ურთიერთობაში არ შესულა და არც შესაბამისი უფლება-მოვალეობები წარმოშობია. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან გარანტიის მიერ გამოვლენილი ნება საერთოდ არ მისვლია ბენეფიციარს, საკასაციო პალატამ საბანკო გარანტია არც 35 000 ლარის ფარგლებში არ მიიჩნია იურიდიული ძალის მქონედ.<sup>36</sup>

ერთ-ერთი საქმეში აღძრული იყო სარჩელი საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი საგარანტიო თანხის დაბრუნების მოთხოვნით. სარჩელი ორივე ინსტანციაში დაკმაყოფილდა, თუმცა საკასაციო პალატამ შეცვალა იურიდიული შედეგი, რადგან მიიჩნია, რომ საბანკო გარანტიას გააჩნია განსხვავებული ბუნება და როგორც წესი, საბანკო გარანტიის ფარგლებში პრინციპალის მოთხოვნის დაკმაყოფილება არ არის დამოკიდებული კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ხელშეკრულების დარღვევაზე, ვალდებულების შესრულებაზე და ა.შ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ გარანტიის გამცემი ვალდებულია, გადაიხადოს თანხა ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე. საბანკო გარანტიის, როგორც ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალების მიზანია, დაიცვას ბენეფიციარი იმ რისკისაგან, რომელიც დაკავშირებულია ვალდებულების არაჯეროვან ან საერთოდ შეუსრულებლობასთან. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო გარანტია გამოუთხოვად ვალდებულებას წარმოადგენდა და გარანტორს ეკისრებოდა ბენეფიციარის წინაშე მისი შესრულების ვალდებულება, თუკი ბენეფიციარის დაკმაყოფილების შემდეგ აღმოჩნდებოდა, რომ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნა შესრულდა (პრინციპალმა დააკმაყოფილა ბენეფიციარის მოთხოვნა), შეწყდა სხვა საფუძველით, ან ბათილია, წარმოიშობოდა ვითარება, როდესაც ბენეფიციარი საბანკო გარანტიიდან იღებს დაკმაყოფილებას ისე, რომ საერთოდ არ გააჩნია ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.<sup>37</sup>

საბანკო გარანტიებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნით აღძრულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ სადავო ფაქტობრივი გარემოება დაადგინა საქმეში არსებული მტკიცებულებების არასათანადოდ შეფასების შედეგად (სსსკ-ის 105-ე მუხლი). კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც საქმეში არსებული ხელშეკრულების საგნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები არ შეესაბამებოდა საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფილი პრინციპალის ვალდებულების მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, შეუძლებელი იყო იმის

<sup>36</sup> საქმე №ას-367-348-2015.

<sup>37</sup> საქმე №ას-1038-999-2016.

დადგენა, რომ აღნიშნული გარანტიები სწორედ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით გაიცა, რის გამოც არ არსებობდა წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.<sup>38</sup>

## ამხანაგობა

საქმეში, სადაც მოსარჩელე ამხანაგობის წევრებისაგან ამხანაგობის სახელზე შეტანილი თანხის უკან დაბრუნებას მოითხოვდა იმ საფუძველით, რომ შეთანხმებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა მას არ ჩაჰბარებია და არც თანხა დაბრუნებია უკან, პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი სრულად დააკმაყოფილა, რომელიც მხოლოდ ერთმა მოპასუხემ გაასაჩივრა. სააპელაციო პალატამ ახალი გადანყვეტილების მიღებით შეცვალა თანხის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირთა წრე და სარჩელი აპელანტისათვის თანხის დაკისრების ნაწილში არ დააკმაყოფილა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის ფაქტობრივი გამართულობა და დასაბუთებულობა არ აკმაყოფილებდა საპროცესო კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რადგანაც მასში სრულყოფილად და თანამიმდევრობით არ იყო ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით (სსსკ-ის 177-178-ე მუხლები). აქედან გამომდინარე, სასამართლოს ევალეზობდა, ხელი შეეწყო მოსარჩელი-სათვის ყველა არსებით ფაქტზე დროული და სრულყოფილი განმარტებების გაკეთებაში, განსაკუთრებით იმაში, რომ მას განეგრძო არასაკმარისად წარმოდგენილი მითითებები ფაქტებთან დაკავშირებით.<sup>39</sup>

## სამისდღეშიო რჩენა

ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნების მოთხოვნით აღძრულ ერთ-ერთ დავაში, სადაც ორი ინსტანციის სასამართლომ წარდგენილი სარჩელი უარყო, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ბებიასა და შვილიშვილს შორის სადავო უძრავ ქონებაზე დადებული შეთანხმება, რომელიც დასათაურებული იყო, როგორც „ჩუქების ხელშეკრულება“, თავისი შინაარსით არ წარმოადგენდა უძრავი ქონების ჩუქებას, რადგანაც მოსარჩელემ (ბებია) დამაჯერებლად, რელევანტური მტკიცებულებებით დაადასტურა, რომ შვილიშვილთან (პირველ მოპასუხესთან) სამისდღეშიო რჩენაზე (სსსკ-ის 941-ე მუხლი) დადო ხელშეკრულება და მას ამ უკანასკნელისათვის საკუთრების გასხვისების უფლებამოსილება არ მიუნიჭებია (სსსკ-ის 945-ე მუხლი). ამ ნაწილში, საკასაციო პალატამ, მართალია, მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დაიდო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, თუმცა აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას აბრკოლებდა კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველობა (სსსკ-ის 59-ე მუხლი – არარა გარიგება), ვინაიდან, სსსკ-ის 942-ე მუხლის მიხედვით, ამ სახის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის წერილობით ფორმასთან ერთად სავალდებულოა მისი სანოტარო წესით დამოწმება, რაც შესრულებული არ იყო. ვინაიდან, მოპასუხემ არ წარმოადგინა კვალიფიციური შედავება (სსსკ-ის 201-ე მუხლი) საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო გარიგება არ წარმოშობდა სამართლებრივ შედეგს, არამესაკუთრე პირთან დადებული გარიგების ბათილობის სამართლებრივი საფუძველით. ამავე საქმეში საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა სადავო უძრავი ქონების შემძენების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ არც მესამე მოპასუხეს შეუძენია სადავო ნივთზე საკუთრება, რადგანაც ის პირველი მოპასუხის (შვილიშვილის) ცოლისდა იყო და, აქედან გამომდინარე, არსებობდა იმის პრეზუმფცია, რომ მან იცოდა გამსხვისებლის არამესაკუთრეობის თაობაზე. აღნიშნული პრეზუმფცია მესამე მოპასუხემ ვერ გააქარწყლა. ამრიგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ საჯარო რეესტრში მესამე მოპასუხე არასწორად იყო რეგისტრირებული სადავო ნივთის მესაკუთრედ, ხოლო, ვინაიდან ამ რეგისტრაციის საფუძველი, ნასყიდობის ხელშეკრულება გაბათილდა, რეგისტრაცია უნდა გაუქმებულიყო („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი და 26-ე მუხლის 1.„ბ“

<sup>38</sup> საქმე №ას-960-925-2016.

<sup>39</sup> საქმე №ას-1114-1034-2017.

ქ/პუნქტი) და უნდა აღდგენილიყო რეგისტრაციამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობა, რადგანაც მესამე მოპასუხის მოქმედებით მოსარჩელეს (ბებიას) მიაღდა ზიანი (სსკ-ის 408.1 მუხლი).<sup>40</sup>

## ვალდებულების დარღვევის შედეგები (მეორადი მოთხოვნები)

### ზიანი

ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილების მიღებით უარყო. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან დადასტურებული იყო, რომ მოპასუხემ მართლსაწინააღმდეგოდ შეუნყვია მოსარჩელეებს სადავო პერიოდში ელექტროენერჯია, რა დროსაც უძრავი ქონება ელექტროენერჯით მარაგდებოდა გენერატორის საშუალებით, რომლის სანვავის ხარჯის გაღებაც დამქირავებლის ვალდებულებას არ წარმოადგენდა, მოქმედებდა პრეზუმფცია, რომ გენერატორს სანვავით უზრუნველყოფდნენ მოსარჩელები და ამ პრეზუმფციის უარყოფის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა, რაც გულისხმობს იმას, რომ მოპასუხეს უნდა ემტკიცებინა სსკ-ის 494.1 და 394.1 მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, კერძოდ, ის, რომ გენერატორის სანვავით მომარაგება არა მოსარჩელებმა, არამედ სხვა პირებმა განახორციელეს. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა ასევე სათანადოდ არ გამოიკვლიეს, თუ რა მოცულობის ელექტროენერჯია გამოუმუშავებოდა ელექტროგენერატორით სადავო პერიოდში ყოველდღიურად (სსკ-ის მე-4, 102-ე და 105-ე მუხლები).<sup>41</sup>

ზიანის ანაზღაურების შესახებ დავაზე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია და არ შეუფასებია, მოსარჩელის მიერ რამდენად კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ხორციელდებოდა ამხანაგობის წარმომადგენლობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა ორგანიზაცია-დანესეულებში. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავდა არგუმენტაციას, თუ რის საფუძველზე მივიდა სააპელაციო სასამართლო იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელის მიერ ნაწილობრივ განხორციელებული შენატანი, ინტელექტუალური შენატანის სახით, წარმოადგენდა მოსარჩელეზე განხორციელებული უძრავი ქონების ღირებულების ნახევარს. ამრიგად, საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა ქვემდგომ სასამართლოში, რომელსაც მატერიალური და საპროცესო სამართლის წესების დაცვით უნდა განესაზღვრა პასუხისმგებელ პირთა წრე, შეეფასებინა რამდენად კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულა მოსარჩელემ ინტელექტუალური შენატანი, ემსჯელა ორივე სახის შენატანის კუმულატიურად განუხორციელებლობის პირობებში უნდა ყოფილიყო თუ არა ცნობილი მის მიერ ვალდებულება შესრულებულად, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა შეფასებულიყო მხარის მიერ განხორციელებული შენატანის ღირებულება და ამის შემდგომ გადაენწყვიტა სარჩელის ბედი.<sup>42</sup>

### მიუღებელი შემოსავალი

საკასაციო სასამართლომ სახელშეკრულებო დავებზე ქვემდგომ ინსტანციებში მიღებული იურიდიული შედეგი შეცვალა ვალდებულების დარღვევის პერიოდის (მონაკვეთი) განუსაზღვრელობის მოტივით: ერთ-ერთ საქმეზე<sup>43</sup> საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის მოთხოვნის უფლება კრედიტორს აქვს სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე სწორედ ვალდებულების დარღვევის პერიოდში. გასათვალისწინებელია „არის“ და „უნდა იყოს“ შორის სხვაობის მნიშვნელობა.

<sup>40</sup> საქმე №ას-979-911-2017.

<sup>41</sup> საქმე №ას-1002-923-2017.

<sup>42</sup> საქმე №ას-190-179-2017.

<sup>43</sup> საქმე №ას-929-869-2017.

მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი ზიანის ანაზღაურების შესახებ ორი ინსტანციაში დაკმაყოფილებული სარჩელი საკასაციო პალატამ უარყო სსკ-ის 411-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალის მოქმედებისა და კრედიტორისათვის მიყენებულ ზიანს შორის ლოგიკური და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დაუდასტურებლობის საფუძველით (სსკ-ის მე-4, 102-ე და 105-ე მუხლები).<sup>44</sup>

საქმეზე, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვდა ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებულ ზიანის სახით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 636-ე მუხლის შინაარსი და ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებულ ზიანში გაითვალისწინა ის სარგებელი, რასაც მიიღებდა მოსარჩელე ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ანუ მიუღებელი შემოსავალი (სსკ-ის 411-ე მუხლი). საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის დაკისრებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მხოლოდ მიუღებელ შემოსავალს უკავშირდებოდა. მოცემულ შემთხვევაში, ასანაზღაურებელი ზიანი კი, ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავდა, რომელსაც, სავარაუდოდ, მიიღებდა მენარდე, თუ მან საამისოდ გარკვეული ქმედებები განახორციელა.<sup>45</sup>

## მორალური ზიანი

შვილის გარდაცვალებით გამონეული სულიერი ტკივილისა და ტანჯვისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ორი ინსტანციით დაკმაყოფილებულ სარჩელზე, საკასაციო პალატამ სარჩელის უარყოფით შეცვალა იურიდიული შედეგი. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა მატერიალური სამართლის ნორმების არასწორად გამოყენებამ და განმარტებამ განაპირობა, კერძოდ, საკასაციო სასამართლომ განსაზღვრა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები და განმარტა, რომ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად შვილის გარდაცვალებით გამონეული სულიერი ტკივილისა და ტანჯვისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დასაშვებია გამონაკლისის სახით, მხოლოდ მაშინ, როდესაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს მძიმე ფსიქოპათოლოგიური დარღვევები, რომლებიც არსებითად სცილდება, უბედური შემთხვევის გამო, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის მიმართ სულიერი ტკივილით მიყენებულ ზიანს (ვნებებს) და, რომელიც, ამის გამო, შეიძლება, გავაიგივოთ სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან (სსკ-ის 999-ე და 1006-ე მუხლები).<sup>46</sup>

მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, საკასაციო პალატამ მოთხოვნა სსკ-ის 413-ე მუხლთან ერთად 992-ე მუხლის სამართლებრივი საფუძველითაც შეამოწმა და დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური ზიანის სრულფასოვანი ანაზღაურებისთვის შესაფერის კომპენსაციად პირველი და სააპელაციო სასამართლოების მიერ მიკუთვნებულ თანხაზე ოთხჯერ მეტი ოდენობა მიიჩნია.<sup>47</sup>

მორალური ზიანის ანაზღაურების (სსკ-ის 413-ე მუხლი) დავაზე<sup>48</sup> მართებული გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო, რომელმაც სარჩელი უარყო; სააპელაციო სასამართლომ კი, მოთხოვნა არამართლზომიერად დააკმაყოფილა, რადგან დაუდასტურებელი იყო არაკომპეტენტურად და არაკვალიფიციურად ჩატარებული მკურნალობის ფაქტობრივი გარემოებები (სსკ-ის 1007-ე მუხლისა და 992-ე მუხლის ნინაპირობები), რაც გამორიცხავდა 413-ე მუხლის სამართლებრივ შედეგს. სადავო ფაქტობრივი გარემოებების დაუდასტურებლობის მოტივით საკასაციო პალატამ უარყო ორი ინსტანციით დაკმაყოფილებული სარჩელი.<sup>49</sup>

<sup>44</sup> საქმე №ას-1006-927-2017.

<sup>45</sup> საქმე №ას-319-304-2016.

<sup>46</sup> საქმე №ას-593-568-2016.

<sup>47</sup> საქმე №ას-660-660-2018.

<sup>48</sup> საქმე №ას-111-111-2018.

<sup>49</sup> საქმე №ას- 860-860-2018.



## პირბასამტეხლო

ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო პირბასამტეხლოს დაკისრების შესახებ საქმეზე საკასაციო სასამართლომ დარღვევა დაადგინა პირბასამტეხლოს დარიცხვის პერიოდის არასწორ განსაზღვრაში. პირბასამტეხლოს დაკისრების ნაწილში სარჩელი ნაწილობრივ იყო დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოში, რაც უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოში. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა პირბასამტეხლო მოვალეს დროის იმ მონაკვეთშიც დააკისრეს, რა დროსაც, სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება სარჩელზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სახით შეჩერებული იყო. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი ადგენს, რომ განგრძობითი პირბასამტეხლოს დარიცხვის პერიოდში არ მოიწოდება გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების პერიოდი, ანუ დროის ის მონაკვეთი, როდესაც სააღსრულებო წარმოება შეჩერდა სწორედ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით.<sup>50</sup>

საქმეში, რომელშიც მოსარჩელე პირბასამტეხლოს შემცირებას მოითხოვდა, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილეს, ხოლო საკასაციო პალატამ სარჩელის უარყოფით შეცვალა იურიდიული შედეგი იმ საფუძველზე, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ, რომელიც მენარმე სუბიექტია, ვერ დაასაბუთა, თუ რატომ იყო შეუსაბამოდ მაღალი შეთანხმებული პირბასამტეხლო, მან ვერ მიუთითა ისეთ გარემოებებზე, რომელიც საკასაციო პალატას სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენების აუცილებლობაში დაარწმუნებდა. პალატის განმარტებით, პირბასამტეხლოს შემცირებისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, თუ რამდენად აცნობიერებდა მითითებულ პირობას მხარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას. თუ მხარე აღჭურვილია ადვოკატით, სამენარმეო ურთიერთობებში გამოცდილი სუბიექტია, თავად მენარმეა და ა.შ. ივარაუდება, რომ ასეთ ვითარებაში შეთანხმებული პირბასამტეხლო, თუნდაც შეუსაბამოდ მაღალი, მხარეთა ნამდვილ ნებას შეესაბამება და შემცირებას არ ექვემდებარება.<sup>51</sup>

სხვა საქმეშიც არასწორად შეფასდა სანოტარო აქტი – ხელშეკრულება სახელწოდებით „ვალის აღიარება“ (სსკ-ის 341-ე და სსსკ-ის 105-ე მუხლები) და მეორეც, არასწორად განისაზღვრა პირბასამტეხლო დასარიცხი თანხის მოცულობა (შეუსრულებელი ვალდებულება) (სსკ-ის 417-ე, 394-ე მუხლები).<sup>52</sup>

## კანონისმიერი მოთხოვნები

(საკუთრების უფლების დელიქტური დაცვა, დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნები, უსაფუძვლო გამდიდრებიდან მოთხოვნები)

საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ დავაზე საკასაციო სასამართლოს დიდმა პალატამ გაიზიარა მოპასუხეების პრეტენზია სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად კონდიქციური სამართლის ნორმების გამოყენების უსაფუძვლობასთან დაკავშირებით, მაგრამ არ გაიზიარა მათი მოსაზრება, რომ საწარმოს წილებზე საკუთრების აღდგენის (დაბრუნების) მოთხოვნას საფუძველი საერთოდ არ გააჩნდა. დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მტკიცების ტვირთი არასწორად გამიჯნა და გაანაწილა. მტკიცების ტვირთის სწორად განაწილების შემთხვევაში, მას შესაძლებლობა ექნებოდა, განხორციელებულად ჩავთვალა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 992-ე, 998-ე მუხლებისა და 408-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წინამძღვრები. დიდმა პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 54-ე მუხლს ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია, ის დეფინიციურია და კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწინებს. მარტოოდენ გარიგების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენება, დიდმა პალატამ არასაკმარისად მიიჩნია და, აქედან გამომდინარე, ამ ნორმის სააპელაციო სასამართლოსეული

<sup>50</sup> საქმე №ას-1488-1408-2017.

<sup>51</sup> საქმე №ას-1451-1371-2017.

<sup>52</sup> საქმე №ას-432-432-2018.

ინტერპრეტაცია – არადამაჯერებლად, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის პრინციპებს. ხსენებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია ასევე მოპასუხის მხრიდან საპროცესო თავდაცვის საშუალებათა განკარგვის თვალსაზრისითაც, კერძოდ, დიდმა პალატამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 201-ე მუხლით განსაზღვრული წესით შესაგებლის წარდგენის პროცესუალურ მნიშვნელობაზე. მან აღნიშნა: სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურ-სამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს.<sup>53</sup>

საქმეზე, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვდა მართლსაწინააღმდეგოდ გასხვისებული ქონების მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვას, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, თუმცა, საკასაციო პალატამ საქმის არსებითი განხილვის შედეგად დაადგინა, რომ სასამართლოებს არ ჰქონდათ შესწავლილი სარჩელის დასაბუთებულობა, შედავების არსებობა და საქმის განსახილველად მომზადებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა პროცესუალური საკითხები. სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ისე იქნა უარყოფილი სააპელაციო საჩივარი შემძენის კეთილსინდისიერებაზე მითითებით, რომ მას არც კი მოუძიებია მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი და არ განუსაზღვრავს მტკიცების საგანი. საკასაციო პალატამ დავის არსებითად გადაწყვეტის შედეგად დაადგინა, რომ სარჩელი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით იყო დასაბუთებული, მოსარჩელეს მითითებული ჰქონდა მოთხოვნის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინაპირობა, რომლის შედეგად საკასაციო სასამართლომ განსაზღვრა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები და მიუთითა მესაკუთრის უფლებების აღდგენის, როგორც სანივთო, ისე – დელიქტურ საშუალებებზე და ამ სამართლებრივი დასაბუთების შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადგენისა და დავაზე კანონიერი, დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს. ხსენებული განჩინება მნიშვნელოვანია მათ შორის იმ თვალსაზრისით, რომ საკასაციო სასამართლომ იურიდიული პირის მხრიდან ქონების შეძენის დროს დაადგინა იურიდიული პირის კეთილსინდისიერების განსაზღვრის კრიტერიუმები.<sup>54</sup>

დელიქტური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, სხვა დავაზე საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით განმარტა, რომ დელიქტურ სამართალში მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი სსკ-ის 992-ე მუხლია, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი შედეგი („ზიანის ანაზღაურების ვალდებულება“) ქმედების აბსტრაქტული შემადგენლობიდან („სხვა პირის მიმართ განხორციელებული ქმედება“) გამომდინარეობს. ამავე გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელების განხილვის საპროცესო წესად სსსკ-ის XXXIV<sup>3</sup> თავით დადგენილ ნორმებზე მიუთითა.<sup>55</sup> მან აღნიშნა, რომ სსსკ ითვალისწინებს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის გამარტივებული წესით განხილვას (თავი XXXIV<sup>3</sup>, 309<sup>16</sup>-309<sup>21</sup> მუხლები). მხედველობაშია სარჩელი დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელების განხილვისას გამოიყენება სსსკ-ის XXXIV<sup>3</sup> დადგენილი ნორმები. ამ კატეგორიის საქმეების განხილვის თავისებურება ისაა, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნიათ (სსსკ-ის 309<sup>20</sup> მუხლის მეორე ნაწილი), რაც იმას გულისხმობს, რომ დამტკიცებულად და განხორციე-

<sup>53</sup> საქმე №ას-664-635-2016.

<sup>54</sup> საქმე №ას-28-25-2017.

<sup>55</sup> საქმე №ას-866-833-2016.

ლებულად ითვლება დელიქტური სამართლის მთავარი ნორმის, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი ნაწინამძღვარი: ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი, ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი და ბრალი („ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევა ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით“).<sup>56</sup>

საქმეში, რომელშიც მოსარჩელეები ნოტარიუსისგან ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდნენ, იმ საფუძველზე, რომ ნოტარიუსმა უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის მინდობილობა სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის დარღვევით დაამონმა, რის შედეგადაც, ზიანი მიადგა მოსარჩელეებს, პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი უარყო, ხოლო სააპელაციო პალატამ ახალი გადანყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. საკასაციო სასამართლომ დაადგინა რა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასრულყოფილად გამოიკვლიეს მტკიცების საგანში შემავალი ზიანის ფაქტობრივი ელემენტები, მცდარი შეფასება მისცა მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, რამაც სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები განაპირობა, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხოლოდ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის დარღვევა არ იყო საკმარისი სსკ-ის 992-ე მუხლის წინაპირობების განხორციელებულად მიჩნევისათვის და სარჩელის წარმატებისათვის საჭირო იყო ზიანის ფაქტის დადგენა.<sup>57</sup>

საქმეზე, რომელზეც დავის საგანი იყო ამხანაგობის წევრის მოთხოვნა ამხანაგობის თავმჯდომარის, მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი მესამე პირისა და ნოტარიუსისგან ზიანის ანაზღაურება, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა არც ერთი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა კანონისმიერი ვალდებულებიდან გამომდინარე სარჩელის საფუძველიანობის თაობაზე. საქმეზე საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ამხანაგობა, რომლის მიზანსაც საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა წარმოადგენდა, არ იყო დასრულებული. მართალია, იმ ქმედებათა შედეგად, რომელსაც მოსარჩელე დელიქტურად მიიჩნევდა, განიკარგა ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრება, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ამხანაგობას/მის წევრს შეეძლო, მოთხოვნა წარედგინა ამხანაგობის სასარგებლოდ, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ინდივიდუალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები.<sup>58</sup>

### უსაფუძვლო გამდიდრება (კონდიქცია)

კანონისმიერი მოთხოვნიდან გამომდინარე, საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უარყოფილი სარჩელი სააპელაციო პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა, ხოლო საკასაციო პალატამ შეცვალა იურიდიული შედეგი და სარჩელი სრულად დააკმაყოფილა. საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე სადავო უძრავი ქონების არამართლზომიერი ფლობით უსაფუძვლოდ გამდიდრდა, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა (უძრავი ქონების არამართლზომიერი ჩარევის შედეგად მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნა) სსკ-ის 982-ე და 408.1 მუხლებიდან გამომდინარე, წარმატებული იყო და სრულად უნდა დაკმაყოფილებულიყო.<sup>59</sup>

საქმეზე, სადაც მხარის მიერ კონდიქციური მოთხოვნა იყო წარდგენილი, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ არ არსებობდა სსკ-ის 976-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წინაპირობები, კერძოდ, სსკ-ის 976-ე მუხლის მიხედვით, შესრულებაში იგულისხმება სხვა პირის ქონების შეგნებული და მიზანმიმართული გაზრდა, ანუ, როცა შემსრულებელი, როგორც წესი, შეცდომით ასრულებს ფაქტობრივად არარსებულ ვალ-

<sup>56</sup> შდრ. სუსგ საქმე №ას-866-833-2016.

<sup>57</sup> საქმე №ას-508-475-2017.

<sup>58</sup> საქმე №ას-1040-960-2017.

<sup>59</sup> საქმე №ას-197-186-2017.

დებულებას ან როდესაც იკვეთება ბათილი ან არშემდგარი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ვითარება. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელემ კი არ განახორციელა შესრულება, არამედ ადგილი ჰქონდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე იძულებით (მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ) აღსრულებას, რომელიც განხორციელდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამდენად, რადგანაც მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი, ედავა იპოთეკისა და მომსახურების ხელშეკრულებების ცალკეული პუნქტების ნამდვილობაზე, სასამართლოს არ უნდა ემსჯელა ამ დებულებების სამართლებრივ ბუნებაზე და სტანდარტული პირობის ბათილობიდან გამომდინარე შედეგებზე (სსკ-ის 342-ე და მომდევნო მუხლები).<sup>60</sup>

## საოჯახო დავები

### მამობის დადგენა

დავა, რომლითაც მამა ქორწინებაში დაბადებულ არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის წესის დადგენას, ხოლო დედა შეგებებული სარჩელით სააქტო ჩანაწერში მამის გრაფაში ცვლილების შეტანას მოითხოვდა, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, როგორც პირველი ინსტანციის, ისე – სააპელაციო სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების საფუძველზე სასამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებით. ქვემდგომმა სასამართლოებმა სარჩელის უარყოფა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება დაასაბუთეს სსკ-ის 1190-ე მუხლით და საფუძველად დაუდეს ის ფაქტი, რომ მამა გენეტიკურ კვლევაზე აცხადებდა უარს. თავის მხრივ, თავდაცვის საპროცესო საშუალებად მამა აპელირებდა იმ კანონისმიერ პრეზუმფციაზე, რომ ბავშვის ქორწინებაში დაბადება მათ ბიოლოგიურ კავშირს ადასტურებდა და ამ ვარაუდის გაქარწყლება ეკისრებოდა შეგებებულ მოსარჩელეს. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მამის არგუმენტი და ჩათვალა, რომ შეგებებული სარჩელის მატერიალურ საფუძველს სსკ-ის 1189-ე მუხლი წარმოადგენდა, ხოლო მამა-შვილის კავშირის ფაქტის გაქარწყლების ვალდებულება ეკისრებოდა დედას, რომელსაც მითითების ეტაპზეც კი არ აღუნიშნავს იმგვარი ფაქტები, რომლებიც ჩანაწერის ნამდვილობას ეჭვქვეშ დააყენებდა, უფრო მეტიც, ეროვნული და საერთაშორისო სამართლით, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ დაადგინა, რომ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესს მისი ოჯახთან გაერთიანება წარმოადგენდა და არა დედის იმგვარი ქმედება, რომელიც მხოლოდ სააქტო ჩანაწერის გაუქმებას ემსახურებოდა და ბიოლოგიური მამის ვინაობას არც ასახელებდა, უფრო მეტიც, მესამე პირს მამობის ჩანაწერის ნამდვილობაზე არ აღუძრავს სარჩელი, რომელთან მიმართებითაც სწორედ სსკ-ის 1190-ე მუხლის შესაბამისად (ბიოლოგიური ან ანთროპოლოგიური კვლევა) დადგინდებოდა ბავშვთან ბიოლოგიური კავშირი.<sup>61</sup>

### გვარის მიკუთვნება

არასრულწლოვანი შვილისთვის გვარის მიკუთვნების მოთხოვნით აღძრული სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა, თუმცა სააპელაციო პალატამ მოთხოვნა ნაწილობრივ წარმატებულად მიიჩნია და სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით არასრულწლოვანს ორივე მშობლის გვარი მიაკუთვნა. ამ საქმეზე საკასაციო პალატამ სარჩელის უარყოფით შეცვალა იურიდიული შედეგი იმ საფუძველით, რომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების განმაპირობებელი არც ერთი წინაპირობა. პალატის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები გააჩნიათ (სსკ-ის 1197-ე მუხლი), არასრულწლოვანისთვის მამის გვარის მიკუთვნება იმ პირობებში, როდესაც ბავშვი დაბადებიდან დედასთან ცხოვრობს, ხოლო მამასთან ერთი დღეც არ უცხოვრია, არ გამომდინარეობდა კანონის მიზნებიდან და არ შეესაბამებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ეროვნული კანონმდებლობა ბავშვის გვარის შეცვლის შესახებ სარჩელის აღძვრის დისკრეციას ანიჭებს მხოლოდ

<sup>60</sup> საქმე №ას-1167-1087-2017.

<sup>61</sup> საქმე №ას-85-81-2017.

იმ მშობელს, რომელთანაც იმყოფება ბავშვი საცხოვრებლად. ამასთან, ასეთი სარჩელი დაკმაყოფილებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვარის შეცვლა ბავშვის უპირატეს ინტერესებს შეესაბამება.<sup>62</sup>

### ალიმენტის დაკისრება

განსახილველ საქმეში, სადაც დავის საგანს ალიმენტის დაკისრება წარმოადგენდა, ქვემოთაღნიშნული ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილეს. საკასაციო სასამართლომ საქმის არსებითად განხილვის დროს მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორად იყო განსაზღვრული სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი (სსკ-ის 1214-ე მუხლი), თუმცა არასრულყოფილად იყო გამოკვლეული მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წინაპირობები, როგორც ბავშვის, ისე ორივე მშობლების რეალური მატერიალური მდგომარეობა. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი მოპასუხის ხარჯების ამსახველი მტკიცებულებები სათანადოდ არ იქნა გამოკვლეული და, აქედან გამომდინარე, არ დადგინდა, თუ რომელი ხარჯები წარმოადგენდა ამ უკანასკნელის მიერ გასაღებ აუცილებელ ხარჯებს. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ალიმენტის განსაზღვრისას მნიშვნელოვანი იყო სასამართლოს დადგინა არა მხოლოდ ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური მდგომარეობა, არამედ – ალიმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირის საჭიროებები, იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც აუცილებელი იყო, მისი ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის. ამავე საქმეში საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საპროცესო რეალიზაციის წესზეც და განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული და სსსკ-ის 354-ე მუხლით კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სასამართლოს ინიციატივითაც. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული საპროცესო წესის გამოყენება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მით უფრო გამართლებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო, როგორც სამართალწარმოების მეორე ინსტანცია, დავის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლოა და ამავე კოდექსის 380-ე მუხლით მას ახალ მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობაც გააჩნია. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, როდესაც საკითხი სსკ-ის 1202-ე მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმიწევნით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ქვამარიტი ინტერესები.<sup>63</sup>

### მეუღლეთა თანასაკუთრება

სსსკ-ის 385-ე მუხლის არასწორი განმარტების მოტივით, საკასაციო სასამართლომ სამი საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს<sup>64</sup> იმ დასაბუთებით, რომ სსსკ-ით დამკვიდრებული შეზღუდული აპელაციის პრინციპის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლო წარმოადგენდა ფაქტების დამდგენ ზემდგომ სასამართლოს და პირველი ინსტანციისათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება გამართლებული იყო მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო პალატა დაადგენდა, რომ მას თავად გაუჭირდებოდა საქმის გარემოებების დადგენა. ხსენებულ საქმეებში საკასაციო სასამართლოს ძირითად მითითებას წარმოადგენდა ის, რომ საქმის განხილვის შედეგად დღის წესრიგში არ დამდგარა დავაში ახალი სუბიექტის ჩაბმის აუცილებლობა, ასევე, მხარეებს დასაბუთებული პრეტენზია არ წარუდგენიათ საქმის სასამართლო სხდომაზე განსახილველად მომზადების წესების დარღვევის კუთხით (სსსკ-ის 203-ე მუხლი), რომელთა გაზიარებაც სასამართლოს ჩამოუყალიბებდა შინა-

<sup>62</sup> საქმე №ას-245-233-2017.

<sup>63</sup> საქმე №ას-1011-931-2017.

<sup>64</sup> საქმე №ას-1132-1088-2016; №ას-543-506-2017; №ას-777-744-2016.

გან რწმენას, რომ მხარეებს არ მიეცათ თანაბარი შესაძლებლობა, განეკარგათ მტკიცების საშუალებები და შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ხელახლა განსახილველ დავათა შორის ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნა მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შექმნილი უძრავი ქონების გასხვისების კანონიერებასა და ქონების 1/2-ის მესაკუთრედ ცნობას შეეხებოდა. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელე სადავო ქონებაზე თანასაკუთრების უფლების წარმოშობას ქორწინებას უკავშირებდა, შესაბამისად, უნდა შემონემებულიყო სსკ-ის 1158-ე მუხლის წინაპირობები, ასევე, უნდა გარკვეულიყო, რა საფუძველით ითხოვდა მოსარჩელე გარიგების ბათილობას, ვინაიდან სსკ-ის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან ის არ ეთანხმებოდა გარიგებას. ამ წინაპირობების შემონება მნიშვნელოვანი იყო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის განსასაზღვრად, რამდენადაც მიკუთვნებითი მოთხოვნა შეიძლება, გამომდინარეობდეს სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველებიდან (სსკ-ის 172.1 მუხლი; 992-ე და 408.1 მუხლები; 982-ე მუხლი). სარჩელის ფორმალური გამართულობის შემონების შემდგომ, სააპელაციო პალატას უნდა შეესწავლა შესაგებლის არსებითობის საკითხიც (სსკ-ის 185-ე და 312-ე მუხლები).<sup>65</sup>

### ნიშნობის სარეზერვო საკუთრების უფლების წარმოშობა

მოძრავი ქონების (ოქროს ნივთები) ვინდიცირებასთან დაკავშირებული საქმე მნიშვნელოვანია მატერიალური სამართლის ნორმათა გამოყენების თვალსაზრისით, რამდენადაც **როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლომ ნიშნობაზე მეუღლისათვის გადაცემული ოქროს ნივთები ჩათვალა მხარის საკუთრებად და სსკ-ის 172-ე მუხლის საფუძველზე უარი განაცხადა მათ გამოთხოვაზე, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება არ შემდგარა. საკასაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 1109.2 მუხლზე, რომლითაც საფუძვლიანად მიიჩნია სარჩელი, თუმცა, სსსკ-ის 253-ე მუხლით გათვალისწინებული ქონების ღირებულების დასადგენად საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს.**<sup>66</sup>

### შრომითი დავები

შრომით დავაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა და გათავისუფლებული მუშაკი აღდგენილ იქნა სამსახურში, ხოლო სააპელაციო ინსტანციაში სამსახურში აღდგენის სანაცვლოდ მუშაკს მიეცა კომპენსაცია იმ დასაბუთებით, რომ გართულებული ურთიერთობის ფონზე სამსახურში აღდგენა მიზანშეუწონელი იქნებოდა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გამოსაკვლევ იყო სამსახურში აღდგენის შეუძლებლობის საკითხი იმ თვალსაზრისით, რომ დაუდგენელი იყო საერთოდ რა თანამდებობა ეკავა მუშაკს გათავისუფლებამდე და რომელ თანამდებობაზე აღდგენას ითხოვდა იგი (საქართველოს შრომის კოდექსის, შემდეგში – სშკ, 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი).<sup>67</sup>

რეორგანიზაციის საფუძველით მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ დავაზე საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილება მიიღო. მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა დასაქმებულის სარჩელი, ხოლო სააპელაციო პალატამ უარყო იგი. საკასაციო სასამართლომ საქმის არსებითად განხილვის შედეგად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ხელშეკრულების მოშლის თაობაზე დამსაქმებლის ცალმხრივი ნება იყო უკანონო, თუმცა, სანარმოში შემდგომ განვითარებული მოვლენების გამო (საერთოდ გაუქმდა მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობა), საკასაციო პალატამ მიიჩნია რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა დასაშვები იყო დროის იმ მონაკვეთამდე, ვიდრე

<sup>65</sup> საქმე №ას-543-506-2017.

<sup>66</sup> საქმე №ას-168-168-2018.

<sup>67</sup> საქმე №ას-1122-1042-2017.

არსებობდა სადავო პოზიცია კომპანიაში. ხსენებულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა რეორგანიზაციის საფუძველით პირის სამუშაოდან დათხოვნის მართლზომიერების საკითხი (სმკ-ის 37.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), ასევე, სმკ-ის 38.8, 32-ე, 44-ე მუხლები და სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი.<sup>68</sup>

რაც შეეხება საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს, აღნიშნულ დავაზე საკასაციო საჩივარი განსახილველად დაშვებული იყო სასამართლო პრაქტიკასთან წინააღმდეგობის საფუძველით. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე (დირექტორის არჩევის წესი), 44-ე (დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა) მუხლები და არასწორად დაადგინა, რომ დირექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის სტატუსი შესაძლოა გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დანიშნული იყო განსაზღვრული ვადით და ვადის დამთავრება უკავშირდებოდა დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის წესით ახალი დირექტორის შერჩევას.<sup>69</sup>

მნიშვნელოვანია დავა, რომელიც საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობას, კონკურსის შედეგების გაუქმებას, სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობასა და სამუშაოზე აღდგენას ეხებოდა, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა ისე უარყვეს სარჩელი, რომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლიეს და სათანადოდ არ შეაფასეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი), რასაც შედეგად მოჰყვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა საკმარისი არგუმენტაციის გარეშე, კერძოდ, მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის არაადამაკმაყოფილებელი შეფასება გახდა, ისე, რომ კომისიას არ დაუდგენია შეფასების კრიტერიუმები, კონკურსის შესაძენი გასაუბრების ეტაპისათვის, რაც კონკურსის (მათ შორის, გასაუბრების ეტაპის) გამჭვირვალედ ჩატარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. თუ შეფასების კრიტერიუმები არ არსებობს ან მათი არსებობის მიუხედავად, გასაუბრების ეტაპის ოქმი არ შეიცავს საკმარის ინფორმაციას კონკურსის შედეგების ობიექტური შეფასებისათვის, კონკურსის მართლზომიერად მიჩნევა შეუძლებელი იქნება. საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ კონკურსის ჩატარების დროს გამჭვირვალობის პრინციპის დარღვევა მისი შედეგის გაუქმების საფუძველი ვერ გახდებოდა. შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადგენისა და დავაზე კანონიერი, დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს.<sup>70</sup>

საქმე, რომელიც შეეხებოდა დამსაქმებლის მიერ შრომითი ურთიერთობის ცალმხრივად მოშლის კანონიერებას და დასაქმებული მოითხოვდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას (დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას) მის მიმართ განსხვავებული მოპყრობის გამო, საკასაციო სასამართლომ ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს. შრომით ურთიერთობაში დისკრიმინაციის დაუშვებლობის, ასევე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპებზე მითითებით საკასაციო პალატამ განმარტა ამ კატეგორიის დავაში მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების წესი. განჩინების თანახმად, მოსარჩელეს ეკისრება იმგვარი ფაქტების მითითების ტვირთი, რაც ფორმალური თვალსაზრისით დისკრიმინაციის შემადგენლობას ქმნის, ხოლო მოპასუხეს კანონი ავალდებულებს, დაადასტუროს საკუთარი ქმედების მართლზომიერება. განჩინებაში გადმოცემულია დისკრიმინაციის ფაქტის მტკიცებისათვის დასაშვები/განკუთვნილი მტკიცებულებების სახეები და ის სტანდარტი, რომელიც ამ კატეგორიის საქმეებზე დადგენილია, როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ისე – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკით. მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს მხრიდან უმთავრეს დარღვევას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დისკრიმინაციის ნიშნების არსებობა დავის საგანს წარმოადგენდა, როგორც პირველ, ისე – სააპელაციო განხილ-

<sup>68</sup> საქმე №ას-943-908-2016.

<sup>69</sup> საქმე №ას-557-532-2016.

<sup>70</sup> საქმე №ას-703-673-2016

ვის ეტაპზე, ხოლო მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა განსხვავებული მოპყრობის მაკვალიფიცირებელ ყველა ნიშანზე (მიუთითების ტვირთი), რაც არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ შეუფასებია.<sup>71</sup>

შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებზე საკასაციო პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქმე, სადაც მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა საკასაციო პალატამ უვადო ხელშეკრულებად მიიჩნია, ვინაიდან მუშაკის გათავისუფლებამდე გასული იყო სშკ-ის მე-6 მუხლის 1<sup>3</sup> ნაწილის ამოქმედების შემდეგ 2 წელზე მეტი, ხოლო, თავის მხრივ, 2011 წლის 7 თებერვლიდან 2016 წლის 01 იანვრამდე დროის მონაკვეთი აღემატებოდა 30 თვეს. შესაბამისად, მხარეთა შორის არსებული შრომითი ურთიერთობა გარდაიქმნა უვადო შრომით-სამართლებრივ ურთიერთობად, რაც გამორიცხავდა, ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზომიერებას. აღნიშნული სარჩელი პირველი ინსტანციით დაკმაყოფილდა, ხოლო სააპელაციო სასამართლოში უარყოფილ იქნა.<sup>72</sup>

აღსანიშნავია გადაცდომასა და რეაგირებას შორის ზომიერი ბალანსის დაცულობის პრობლემა. ერთ-ერთ შრომით დავაზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა დარღვევა გამოვლინდა.<sup>73</sup> მუშაკის მხრიდან ვალდებულების სიმძიმის ხარისხის შეფასებასა და დისციპლინური ღონისძიების არასწორ შერჩევაში (სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი). სარჩელი ორივე ინსტანციის სასამართლომ უარყო. შრომით დავაზე, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის ცალმხრივად მოშლის შესახებ დამსაქმებლის ნების ბათილად ცნობას, ტოლფას თანამდებობაზე აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას შეეხებოდა, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილება მიიღო. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი დასაბუთებულად მიიჩნიეს და დააკმაყოფილეს სრულად, თუმცა ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნის შემთავრებლად არ მიიჩნიეს ის ფაქტი, რომ ამ თანამდებობაზე კანონიერად იყო დასაქმებული სხვა პირი. საკასაციო სასამართლომ, სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე დაადგინა, რომ მესამე პირს ასევე გააჩნდა სამსახურებრივი პოზიციის შენარჩუნების ინტერესი და ამ ნაწილში მიიჩნია, რომ ნაცვლად აღდგენისა, მოსარჩელეთა უფლება კომპენსაციის მიცემის გზით უნდა ყოფილიყო დაცული.<sup>74</sup>

დავაში, რომელშიც, მოთხოვნას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენდა, პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ, ხოლო სააპელაციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა, საკასაციო პალატამ ტოლფას თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის დაკისრების ნაწილში სარჩელის უარყოფით შეცვალა იურიდიული შედეგი. საკასაციო პალატამ, სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილიდან გამომდინარე, ტოლფასი სამუშაო შეაფასა როგორც ფუნქციური დატვირთვით, ისე შრომის ანაზღაურების მხრივ მსგავსი თანამდებობა. განსახილველ შემთხვევაში კი, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანამდებობა როგორც ფუნქციურად, ისე შრომის ანაზღაურებით განსხვავებული იყო მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობისგან. ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნული თანამდებობის ტოლფასად მიჩნევის პირობებშიც შეუძლებლად მიიჩნია მოსარჩელის აღდგენა. ამ თვალსაზრისით, პალატამ ყურადღება მიაქცია იმ უდავო გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ტოლფასად მიჩნეული თანამდებობა არ იყო ვაკანტური და იგი მესამე პირს კონკურსის წესით ჰქონდა დაკავებული, შესაბამისად, ხსენებულ პოზიციაზე მოსარჩელის აღდგენით შეილახებოდა ამ უკანასკნელის უფლებები, რომელიც ამ თანამდებობაზე ლეგიტიმურად იყო დანიშნული, რაც დამოუკიდებელ საფუძველს წარმოადგენდა იმისთვის, რომ სარჩელი კორდინატორის – როგორც ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნაზე უარყოფილიყო.<sup>75</sup>

გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბა-

<sup>71</sup> საქმე №ას-344-322-2017.

<sup>72</sup> საქმე №ას-82-82-2018.

<sup>73</sup> საქმე №ას-499-499-2018.

<sup>74</sup> საქმე №ას-1339-1259-2017.

<sup>75</sup> საქმე №ას-637-637-2018.



თილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრულ დავაზე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სშკ-ის მე-9 მუხლის შინაარსი, სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ აღნიშნული მუხლის ჩანაწერი – ნებისმიერ დროს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის უფლების შესახებ, ამავე კოდექსის 37-ე მუხლში ჩამოთვლილ გათავისუფლების საფუძვლებს უნდა დაუკავშირდეს. ნორმის ასეთი განმარტება არ გამომდინარეობს სშკ-ის არც მე-9 და არც 37-ე მუხლების შინაარსიდან და პირდაპირ ეწინააღმდეგება მათ. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ სშკ-ის 37-ე მუხლით (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები) გათვალისწინებულ საფუძვლებზე მითითებისა და მათი დამტკიცების ტვირთს დამსაქმებელს დავაკისრებდით დასაქმებულთან გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდეგ შრომითი ხელშეკრულების დაუდებლობის შემთხვევაშიც, მაშინ გამოსაცდელი ვადა საერთოდ დაკარგავდა თავის დანიშნულებას. გამოსაცდელი ვადა კი ის ერთადერთი პერიოდია, რომლის განმავლობაშიც კანონმდებელმა დამსაქმებელს თავისუფლება მიანიჭა, არ გააგრძელოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან, თუ მიაჩნია, რომ იგი არ შეესაბამება შესასრულებელ სამუშაოს. ამრიგად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შეუსაბამობაზე არ შეიძლება გავრცელდეს მტკიცების ის სტანდარტი, რომელიც გათვალისწინებულია სშკ-ის 37-ე მუხლით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაზე ასევე არ ვრცელდება ამ კანონის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებიც, რაც მოიცავს წინასწარი გაფრთხილების, კომპენსაციისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების ვალდებულებას.<sup>76</sup>

შრომით დავაზე საკასაციო პალატამ დარღვევები დაადგინა ორი მიმართულებით: ჯერ ერთი, საკასაციო პალატამ მიაჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს არ დაურღვევია საპროცესო სამართლის ნორმა, როდესაც იმსჯელა შრომითი ხელშეკრულების უვადოდ მიჩნევის საკითხზე და ვადის გასვლის საფუძვლით გათავისუფლება უკანონოდ შეაფასა (სშკ-ის მე-6 მუხლის 1<sup>2</sup> მუხლი). ვინაიდან, მოსარჩელემ სადავოდ გახადა სადავო ბრძანება, მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება სასამართლოს ვალდებულებად იქნა მიჩნეული. შესაბამისად, ხელშეკრულების ვადის ამონურვის ფაქტობრივი საფუძვლის არარსებობასა და ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიჩნევის საკითხზე მსჯელობა მოთხოვნის ფარგლებს დარღვევად არ შეფასდა (სსსკ-ის მე-3, მე-4 და 393.3 მუხლები). მეორეც, საკასაციო პალატამ განუხილველად დატოვა დაზუსტებული სარჩელი იძულებითი განაცდურის მოთხოვნის შესახებ, ვინაიდან სასამართლოს წარედგინა საქმის ხელახლა პირველ ინსტანციაში დაბრუნების შემდეგ (სსსკ-ის 83.2 მუხლი).<sup>77</sup>

ამავე საფუძვლით საკასაციო სასამართლომ განიხილა კიდევ ერთი შრომითი დავა სადაც დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არასწორად განაწინა მტკიცების ტვირთი. აღნიშნული გამოიხატა იმაში, რომ სააპელაციო პალატა სადავო ფაქტობრივი გარემოების (რომ დასაქმებულებმა არ შეასრულეს ან არაჯეროვნად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობები) დადგენისას დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელეთა (დამსაქმებლების) მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, კერძოდ, ელექტრონული ფორმით განხორციელებულ მიმონერებს და, ვინაიდან აღნიშნული მიმონერები მოპასუხემ სადავო გახადა სხვადასხვა მიზეზთა გამო (მაგ.: სადავო მიმონერა არ არის განხორციელებული ორგანიზაციის ელ.ფოსტით, აღნიშნული წერილებით არ დასტურდება, ვის მიერ ან ვის მიმართ არის განხორციელებული მიმონერა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია უკავშირდება სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს და პერიოდს, 2013 წლის მაისი-ივნისის თვეებიდან მოსარჩელეთა მიერ შრომითი მოვალეობების შესრულება არ მიიჩნია დადასტურებულად, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე (სასარჩელო მოთხოვნა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა).<sup>78</sup>

<sup>76</sup> საქმე №ას-227-216-2017; №ას-142-134-2017.

<sup>77</sup> საქმე №ას-1052-2018.

<sup>78</sup> საქმე №ას-366-340-2017.

## შრომით ურთიერთობაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხები

საქმეებზე, რომლებშიც დავის საგანი სარჩოს გადაანგარიშება იყო, ორი ინსტანციით დაკმაყოფილებულ სარჩელზე, საკასაციო პალატამ შეცვალა იურიდიული შედეგი. სადავო შემთხვევაში, მართალია, ქვემდგომი ინსტანციები ეყრდნობოდნენ სარჩოს გადაანგარიშების მიზანს, თუმცა, არასწორად განმარტავდნენ ნორმას. ამ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ შეაფასა „თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული მარჩენალი, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“ (სსკ-ის 408-ე მუხლი). მითითებული მიზანი პალატამ დაუკავშირა პირის აქტიური შრომისუნარიანობის პერიოდს.<sup>79</sup>

## სასამსახურო (დავლების) ხელშეკრულება

საქმეზე, რომელიც არასამენარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის დირექტორის გათავისუფლების ბრძანების კანონიერებას, მის სამუშაოზე აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას შეეხებოდა, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნიეს და დააკმაყოფილეს შრომის კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით. საკასაციო სასამართლოს მხრიდან შეცვლილ იქნა გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით უარყოფილ იქნა სარჩელი იმ დასაბუთებით, რომ იურიდიული პირის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, მასთან დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა არა შრომით, არამედ – სასამსახურო ხელშეკრულებას, რომელიც კორპორაციულ-სამართლებრივი თვალსაზრისით (გამნესება) კორპორაციულ აქტს წარმოადგენდა, ხოლო საწარმოს მიერ დადებული ხელშეკრულება ყველაზე ახლოს დავლების მარეგულირებელ ნორმებთან იდგა, შესაბამისად, მოთხოვნის საფუძველიც სსკ-ში უნდა ყოფილიყო მოძიებული. საკასაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 720.1 მუხლზე და განმარტა, რომ ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (ნესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან. გარდა ამისა, საკასაციო პალატამ დაადგინა, რომ ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობა, მოცემულ საქმეზე განსხვავდებოდა მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.<sup>80</sup>

## კრედიტორთა რიგის განსაზღვრა გაკოტრების საქმის განხილვისას

გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში მოთხოვნის რიგის განსაზღვრის საკითხზე საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით უარყო როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე და განმარტა, რომ გამიჯვნას ექვემდებარება „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>4</sup> მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული მე-5 და მე-7 რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სამართლებრივი საფუძვლები. ხსენებული კანონის დებულებათა, როგორც სიტყვასიტყვითი, ისე თელეოლოგიური განმარტების შედეგად დგინდება, რომ კანონმდებლის ნება კრედიტორთა მოთხოვნების რიგის განსაზღვრის თაობაზე გამომდინარეობს მოთხოვნის მქონე სუბიექტთა ინტერესების მნიშვნელობიდან და პრინციპი იმგვარია, რომ ჯერ კმაყოფილდება ის მოთხოვნები, რომლებიც შედარებით უფრო არსებითია და ერთი რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდგომ, დღის წესრიგში დგება შემდგომი რიგის კრედიტორთა დავალიანების გასტუმრების საკითხი. კანონი მე-5 რიგის კრედიტორად მოიაზრებს იმ მოთხოვნის უფლების მქონე პირს, რომლის მიმართ არსებული ვალდებულება, ყველა წინა რიგის დაზღვევის ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ მე-5 რიგის კრედიტორებად გვევლინებიან პირები, რომლებიც მზღვეველთან დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იმყოფებოდნენ სამართლებრივ ურთიერთობაში, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი მოთხოვნა (როგორც ვალდებულებითი, ისე კანონისმიერი, გარდა მე-6 რიგის მოთხოვნებისა), კანონით დადგენილი წესის თანახ-

<sup>79</sup> საქმე №ას-424-397-2017.

<sup>80</sup> საქმე №ას-225-214-2017.

მად, ანაზღაურდება მე-7 რიგში. ამდენად, საკითხი იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა მოსარჩელე მე-5 რიგის კრედიტორს, უნდა გადაწყდეს მზღვეველთან მისი სამართლებრივი კავშირის შესაბამისად.<sup>81</sup>

## სამენარმეო დავები

პარტნიორთა კრების მოწვევისა და დივიდენდების განაწილების დავალდებულების შესახებ საქმეზე საკასაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ვინაიდან მოსარჩელეს კრების მოწვევის უფლებამოსილებით არ უსარგებლია, არ განუსაზღვრავს დღის წესრიგი და არ გაუგზავნია იგი პარტნიორებისათვის, სასამართლოს არ აქვს უფლება ჩაერიოს საწარმოს შიდა-სამეურნეო საქმიანობაში და მიიღოს გადაწყვეტილება მოპასუხე კომპანიაში პარტნიორთა კრების მოწვევისა და დივიდენდის განაწილების თაობაზე. ამავე საქმეზე საკასაციო სასამართლომ დაადგინა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სსსკ-ის 248-ე მუხლის დარღვევა, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა ფაქტობრივად არ პასუხობდა დაზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნას, რადგან მოსარჩელე საქმის სააპელაციო წესით განხილვისას არ ითხოვდა 2013 წლის მოგების აუცილებლად განაწილებას, არამედ მის მოთხოვნას შეადგენდა 2013 წლის წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება და მხოლოდ მოგების არსებობის შემთხვევაში, მისი დივიდენდების სახით პარტნიორებს შორის განაწილება-არგანაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, სასამართლომ დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით დააკმაყოფილა სარჩელი.<sup>82</sup>

სასამართლო წესით დივიდენდის მოთხოვნის შესახებ სარჩელზე, რომელიც უარყოფილ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, საკასაციო პალატამ ახალი გადაწყვეტილება გამოიტანა. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პარტნიორები საზოგადოების კაპიტალში ფლობდნენ თანაბარ წილს. მართალია, პარტნიორთა კრებას დივიდენდის განაწილების საკითხზე გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული, თუმცა ზემოხსენებული მიზეზი სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, პარტნიორთა კრების დისკრეციაში სასამართლოს შეჭრის შესაძლებლობას ადგენდა. ხსენებულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ უარყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნები და დაუშვებლად მიიჩნია სასამართლოს მიერ დივიდენდის დაკისრების საკითხი, მიუხედავად პარტნიორთა წილობრივი მონაცემებისა, ამასთანავე, მსგავს შემთხვევაში უფლების დაცვის მექანიზმებზე მიუთითა.<sup>83</sup>

საკასაციო პალატამ დარღვევა დაადგინა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 პუნქტის არასწორ გამოყენებაში, სახელდობრ, ვინაიდან სადავო იყო კომპანიის სასარგებლოდ ყოფილი დირექტორისათვის თანხის დაკისრება (დერივაციული სარჩელი), ხოლო სარჩელი ემყარებოდა საზოგადოების ხელმძღვანელობის პერიოდში დირექტორის არაკეთილსინდისიერი ქმედებით საზოგადოებისთვის ზიანის მიყენებას, რაც გამოიხატებოდა საქონლის დაბალ ფასად გაყიდვასა (ხელმძღვანელის მიერ მატერიალური უფლების გამოყენება) და საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებულ სასამართლო დავაზე სარჩელზე უარის თქმაში (ხელმძღვანელის მიერ საპროცესო უფლების განკარგვა), საკასაციო პალატამ ხელმძღვანელის მიერ საწარმოს საქონლის ნასყიდობის საფასურის დადგენასა და სადავო საპროცესო უფლების განკარგვაზე (სსსკ-ის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) გაავრცელა კორპორაციული მართვის პროცესში „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფცია; აღნიშნულ დავაში პირველი ინსტანციით სარჩელი უარყოფილ იქნა, სააპელაციო სასამართლოში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საკასაციო პალატამ კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ზიანის მოცულობა შეამცირა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 პუნქტის საფუძველზე.<sup>84</sup>

<sup>81</sup> საქმე №ას-906-872-2016.

<sup>82</sup> საქმე №ას-552-527-2016.

<sup>83</sup> საქმე №ას-1141-2018.

<sup>84</sup> საქმე №ას-687-658-2016.

სამენარმეო ურთიერთობიდან გამომდინარე დავაში, დადგინდა, რომ სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები და, შესაბამისად, არასრულყოფილად დაადგინა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ფაქტობრივი წანამძღვრები, ამასთან, არასწორად გაანალიზა მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი და არ გამოიკვლია საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც საბოლოო ჯამში არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა, კერძოდ, სარჩელი ისე იქნა უარყოფილი, რომ გასაჩივრებული განჩინებით არ განსაზღვრულა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა/ნორმები და, შესაბამისად, არც დასაბუთებას არ შეიცავდა ნორმით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი წინაპირობების არარსებობის თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ უკრიტიკოდ, სარჩელის დასაბუთებულობის შემონგების უგულვებლყოფით, გაიზიარა მოპასუხის შედავება პარტნიორის საზოგადოებიდან არა გარიცხვის, არამედ გასვლის თაობაზე. მტკიცებულებებიც შეფასდა მხოლოდ პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის ქრილში მაშინ, როდესაც ამ მტკიცებულებებით სადავო გარემოებები არ მტკიცდებოდა. სააპელაციო პალატის დასკვნები ურთიერთგამომრიცხველი და არათანმიმდევრული იყო. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ერთი და იმავე პარტნიორის ერთდროულად საზოგადოებიდან გასვლაც და გარიცხვაც დაუშვებელია, რამდენადაც განსხვავებულია მათი წინაპირობები და პროცედურა. საზოგადოებიდან გასვლა პარტნიორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც გულისხმობს პარტნიორის ნებაყოფლობით გასვლას საზოგადოებიდან, ხოლო პარტნიორის გარიცხვა არის მისი ნების სანინაღმდეგო უკიდურესი ღონისძიება, რაც დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების განხორციელებისას. შესაბამისად, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილების (სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი), სარჩელსა და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი საფუძვლების, ისე მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევისა და ობიექტურად შეფასების მიზნით, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს.<sup>85</sup>

## საავტორო დავები

საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ აღძრულ სარჩელზე, რომელიც მოპასუხეს უკრძალავდა ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული ნაწარმოებების შესრულებას, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნა სარჩელის წარმატებულობის თაობაზე იმ დასაბუთებით, რომ სარჩელის მოთხოვნა იყო ბუნდოვანი. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრევენციის საშუალებები, მართალია, უფლების დაცვას ემსახურებოდა, თუმცა, მოსარჩელე ვალდებული იყო ედავა კონკრეტული და არა აბსტრაქტული უფლების დარღვევაზე. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების სასამართლო წესით დაცვა არ არის მიმართული უფლების პრევენციული და/ან აბსტრაქტული დაცვისკენ, გარდა ამისა, გაურკვეველია, რა ფორმით უნდა განხორციელდეს უფლების დაცვა, როდესაც ქვემდგომი სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ფორმირებულ იქნა იმდენად ბუნდოვნად, რომ შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი ნაწარმოების შესრულების უფლება აეკრძალა მოპასუხეს.<sup>86</sup>

## პროცესუალურ-სამართლებრივი საკითხები

### პროცესის ხარჯები

გარდა ზემოხსენებულისა, მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც საფუძვლად დაედო საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა, მაგალითად, მოძრავი ნივთების ვინდიცირების თაობაზე აღძრულ სარჩელზე საკასაციო პალატამ დაადგინა, რომ მოთხოვნა სწორად დაკმაყოფილდა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ, თუმცა, მფლობელის საკასაციო განაცხადი საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის

<sup>85</sup> საქმე №ას-201-201-2018.

<sup>86</sup> საქმე №ას-256-256-2018.

მოტივით იქნა დაშვებული. კასატორი ჩიოდა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ ქონების ვინდიცირებისას, როდესაც სადავო არ იყო მასზე საკუთრების უფლების გადაცემა, დავის საგნის ღირებულება ქონების საბაზრო ფასის შესაბამისად განსაზღვრა და მხარეს მოუწია სახელმწიფო ბაჟის სახით სოლიდური თანხის გადახდა. საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტა, როდესაც მხარე პრეტენზიას აცხადებს მოპასუხის მხრიდან ნივთით/ქონებით უკანონო სარგებლობაზე და მოითხოვს ამ ქონების მისი მფლობელობიდან გამოთხოვას იმგვარად, რომ საკუთრებაზე არ დავობს, სწორედ 4 000 ლარით გამოითვლება დავის საგნის ღირებულება (შედარებისათვის იხ. ამავე ნორმის „ბ“ და „ი“ ქვეპუნქტები), ხოლო ამავე კოდექსის 39-ე მუხლი ანესრიგებდა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის საკითხს და ნორმის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრისათვის სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა. გადანყვეტილების თანახმად, ის ფაქტი, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების პასუხად აპელანტმა შეასრულა სასამართლოს დავალება და გადაიხადა ბაჟი – 7 000 ლარი, ვერ იქნება შემთავრებელი კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის. სსსკ-ის 389-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 390-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადანყვეტილების/განჩინების სარეზოლუციო ნაწილი სხვა საკითხებთან ერთად, უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სასამართლო ხარვეზის განაწილების თაობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ შემაჯამებელი აქტის მიღებისას მოთხოვნის მატერიალურ ნაწილთან ერთად უნდა იმსჯელოს სასამართლო ხარვეზის საკითხზეც.<sup>87</sup>

საპროცესო ხარვეზის (სასამართლო ხარჯი – სახელმწიფო ბაჟი) განაწილების დარღვევა დადგინდა ერთ საქმეზე,<sup>88</sup> რაც განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის ხარვეზის განაწილებისას არ გაითვალისწინა სააპელაციო საჩივრის მხოლოდ ნაწილობრივი დაკმაყოფილების იურიდიული შედეგი (სსსკ-ის 37-ე, 53-ე მუხლები).

### მტკიცებულებათა შეფასება

უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის, ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარებისა და თანხის დაკისრების შესახებ დავაზე საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სააპელაციო სასამართლომ მატერიალური ნორმით განსაზღვრული დასაშვები მტკიცებულების – ფულადი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის უგულებელყოფით პრიორიტეტი მიანიჭა მონმეთა ჩვენებებს. ამასთან, აღნიშნული ჩვენებებიც შეაფასა სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მტკიცებულებათა შეფასების წესის დარღვევით და საქმე არასწორად გადაწყვიტა.<sup>89</sup>

რწმუნებულისთვის გასამრჯელოს გადახდის საკითხზე საკასაციო სასამართლომ მონმეთა ჩვენებების შესწავლის შედეგად, მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია მოპასუხის მიერ სადავოდ გამხდარი მონმეთა ჩვენებები, რის შედეგადაც არასწორად მიიჩნია დადგენილად დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულების ფაქტი (სსსკ-ის 105-ე მუხლი), საკასაციო პალატის დასკვნით, მტკიცებულებათა არასწორი შეფასების გამო, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.<sup>90</sup>

მსგავსი ტიპის საქმეში (საადვოკატო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება), სადაც სადავო იყო მოპასუხისათვის საადვოკატო მომსახურების ღირებულების ანაზღაურების დაკისრების მართებულობა, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თანხის დაკისრება, როგორც იურიდიული შედეგი, დამოკიდებული იყო სამართლებრივად მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტების დადგენაზე: დაიდო თუ არა მხარეთა შორის ზეპირი ხელშეკრულება და რა პირობებით? მოსარჩელე მხარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა კონკრეტული პირობებით მხარეთა შორის სა-

<sup>87</sup> საქმე №ას-969-934-2016.

<sup>88</sup> საქმე №ას-923-2018.

<sup>89</sup> საქმე №ას-970-935-2016.

<sup>90</sup> საქმე №ას-497-477-2016.

ხელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტის დადასტურება, რაც მან ვერ შეძლო სათანადო და სარწმუნო მტკიცებულებების წარდგენის გზით (სსსკ-ის 102-ე მუხლი). სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებულ მტკიცებულებებსა და ამ მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილ ფაქტებს შორის კი არ იკვეთებოდა ურთიერთკავშირი, რაც შედეგის (სარჩელი დაკმაყოფილდა) გაუქმების საფუძველს ქმნიდა.<sup>91</sup>

საკასაციო პალატამ საქმეზე სამართლებრივი შედეგი შეცვალა მტკიცების სპეციალური სტანდარტისა და საპროცესო სამართალში პრეზუმფციების მოქმედების შედეგად – სადავო ნივთის მფლობელს დააკისრა რა სსკ-ის 158-ე მუხლით გათვალისწინებული კანონისმიერი ვარაუდი მართლობიერი მფლობელობის წარმოშობისა (ბაზისი მფლობელობისა), ამ პრეზუმფციის გაუქმების ნაცლებლობა საფუძველად დაედო ნივთის ვინდიცირებას.<sup>92</sup>

თანხის დაკისრების შესახებ სარჩელი, რომელიც საკასაციო სასამართლომ, პრაქტიკასთან წინააღმდეგობის საფუძველზე განიხილა, განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მტკიცების ტვირთი და მოსარჩელეს დააკისრა იმაზე მეტის მტკიცების ვალდებულება, რაც მას პროცესუალურად ეკისრებოდა, რის შედეგადაც არასწორად იქნა დადგენილი, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო საკუთარი მტკიცების ტვირთის რეალიზება. მოსარჩელის მხარეს მტკიცების ტვირთის ხელახლა გადატანა მოპასუხის მხრიდან მხოლოდ კვალიფიციური უარყოფის პირობებში იქნებოდა მართებული, ანუ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე შესაგებელში თანხების მიღების რაიმე საფუძველზე მიუთითებდა, ხოლო იმ პირობებში, როდესაც მხარის მიერ არაკვალიფიციური შესაგებლის წარდგენის გამო, ვერ იქნა გაქარწყლებული მხარეთა შორის სასესიო ურთიერთობების არსებობის პრეზუმფცია, საკასაციო სასამართლომ საფუძველიანად მიიჩნია სარჩელი სასესიო ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ.<sup>93</sup>

### აღიარებითი სარჩელი

გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ დავაზე, მიუხედავად იმისა, რომ ვლინდებოდა საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევა, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება ისე დატოვა ძალაში, რომ არ იმსჯელა, რამდენად დასაშვებია იყო აღიარებითი სარჩელი. სინამდვილეში, სარჩელში აღნიშნული იყო, რომ დავის დაწყების მიზანი ქონებრივი დანაკლისის თავიდან აცილება და, აქედან გამომდინარე, მოპასუხის სასარგებლოდ რეგისტრირებული გირავნობის უფლების გაუქმება იყო. მართალია, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სსსკ-ის 380-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი და დაადგინა ახალი ფაქტობრივი გარემოება, თუმცა, ამ ფაქტთან მიმართებით, არ შეამოწმა სარჩელის გამართულობა (დასაბუთებულობა). **გამართულობის შემოწმებისას მას უნდა განეხილა და პასუხი გაეცა იმ საკითხზე, თუ რა სურდა მოსარჩელეს. საპროცესო ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს ამ უკანასკნელისთვის უნდა მიეცა სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტებისა და სასარჩელო მოთხოვნის დაკონკრეტების საშუალება (სსსკ-ის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), რადგანაც ამ შემთხვევაში გარიგებების ბათილობა არა დამოუკიდებელ მოთხოვნას, არამედ მიკუთვნებითი მოთხოვნის (მაგალითად, გადაცემულის უსაფუძვლო გამდიდრების წესების თანახმად უკან დაბრუნება) წინაპირობას წარმოადგენდა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის ხელახალი განხილვის დროს სააპელაციო სასამართლოს თვითონ უნდა გამოეკვლია, თუ რა სახის მიკუთვნებითი მოთხოვნა შეიძლება, გააჩნდეს მოსარჩელეს მოპასუხის მიმართ და მას შემდეგ, რაც მოსარჩელე სარჩელის გარემოებებსა და მოთხოვნას დაზუსტებდა, უნდა დაედგინა რომელი სამართლის ნორმიდან ან ნორმებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ამგვარი მოთხოვნა (სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი) და შესრულებულია თუ არა იმ სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინამძღვარი, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს.**<sup>94</sup>

<sup>91</sup> საქმე №ას-303-288-2016.

<sup>92</sup> საქმე №ას-533-509-2016.

<sup>93</sup> საქმე №ას-1062-1022-2016.

<sup>94</sup> საქმე №ას-1219-1139-2017.

ორი ინსტანციით არსებითად განხილულ რამდენიმე საქმეზე,<sup>95</sup> სადაც სარჩელი, მართალია, უარყოფილი იყო, თუმცა მოთხოვნის დამადასტურებელ გარემოებათა მტკიცების შეუძლებლობის საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლით (სსსკ-ის მე-4, 102-ე, 105-ე მუხლები) საკასაციო პალატამ დაადგინა საპროცესო-სამართლებრივი ნორმების დარღვევა, სახელდობრ, ვინაიდან აღძრული იყო აღიარებითი სარჩელი, დავის მიმართ მართლზომიერი იურიდიული ინტერესის არსებობა, რომელიც განეკუთვნება სამართლის საკითხს სასამართლოს თავისი ინიციატივით უნდა შეემოწმებინა (სსკ-ის 178. 1. „ლ“; 186-ე და 180-ე მუხლები).

სარჩელის ფორმალურ საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობაზე დავა. მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა, იმ დასაბუთებით, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება, თუმცა მოსარჩელის მოთხოვნიდან გამომდინარე, არ შეამოწმა სარჩელის გამართულობა (დასაბუთებულობა), რა დროსაც სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, თუ რა სურდა მოსარჩელეს. მართლმსაჯულების ეფექტურობა მის საპროცესო ეკონომიაშიც გამოიხატება და სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს მოსარჩელისათვის შეკითხვების მეშვეობით უნდა მიეცა სასარჩელო მოთხოვნის დაკონკრეტების (დაზუსტების) შესაძლებლობა (სსსკ-ის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), რადგანაც ამ შემთხვევაში, მოთხოვნილი აქტების ბათილობა, სავარაუდოდ, იმის წინაპირობას წარმოადგენდა, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის დაზუსტება, მოთხოვნის გამართულად ჩამოყალიბება არ წარმოადგენს იმ შემთხვევას, რომელიც დადგენილია სსსკ-ის 381-ე მუხლით და დაუშვებლად მიიჩნევა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დავის საგნის შეცვლას ან გადიდებას.<sup>96</sup>

ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება, თუმცა მოსარჩელის მოთხოვნიდან გამომდინარე, არ შეამოწმა სარჩელის გამართულობა (დასაბუთებულობა). სააპელაციო სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, რამდენად იყო შესაძლებელი მიკუთვნებითი მოთხოვნის დაყენება ანუ – არა არსებული ფაქტობრივი გარემოებების ან ახალი მტკიცებულებების წარდგენის/მითითების გზით, არამედ უკვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, რათა მოსარჩელემ მიაღწიოს მისთვის სასურველ იურიდიულ შედეგს, რომელიც აღსრულებადი იქნება (სსსკ-ის 180-ე მუხლი).<sup>97</sup>

საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევაზე მსჯელობისას გამორჩეულად უნდა აღინიშნოს ის აღიარებითი სარჩელები, რომლებიც კანონის თანახმად, არ იყო დასაშვები, თუმცა პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების მიერ ამ ტიპის დაუშვებელი სარჩელები არსებითად იქნა განხილული. საკასაციო სასამართლომ არაერთ განჩინებაში განმარტა სსსკ-ის 180-ე მუხლის წინაპირობები და აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმები.<sup>98</sup>

## სარჩელის უზრუნველყოფა

მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევისა და მოთხოვნის განმაპირობებელი საფუძვლების არასწორად შეფასება-დადგენის მიზნით საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც გაზიარებულ იქნა სარჩელის უარყოფის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა. მოცემულ საქმეზე დავის საგანს სარჩელის უზრუნველყოფის გაუმართლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენდა და მოსარჩელე ზიანის ფაქტს ძირითადად იმას უკავშირებდა, რომ უზრუნველყოფის საგანზე ყადაღის დადებამდე მას ჰქონდა გაფორმებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ბე-თი იყო უზრუნველყოფილი. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების დასკვნა ემ-

<sup>95</sup> საქმე №ას-437-409-2017; №ას-932-872-2017; №ას-196-185-2017; №ას-623-582-2017; №ას-324-307-2017; №ას-747-699-2017.

<sup>96</sup> საქმე №ას-595-554-2017.

<sup>97</sup> საქმე №ას-1509-1429-2017, №ას-921-2018.

<sup>98</sup> საქმე №ას-833-779-2017; №ას-597-597-2018; №ას-949-885-2017; №ას-523-489-2017; №ას-1248-1168-2017; №ას-271-271-2018; №ას-320-303-2017; №ას-1151-1071-2017; №ას-1357-1277-2017; №ას-1393-1313-2017; №ას-486-454-2017; №ას-50-50-2018.

ყარებოდა იმ ფაქტორს, რომ უძრავ ნივთზე დადებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობა მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციით განისაზღვრებოდა. ვინაიდან რეესტრაცია, როგორც ფორმა არ იყო დაცული, მისი უზრუნველყოფის საშუალება ასევე მართლსაწინააღმდეგოდ იქნა მიჩნეული. საკასაციო პალატამ უპირველესად განმარტა, რომ განსახილველი კატეგორიის საქმეები დელიქტური ვალდებულების სპეციალურ სახეს წარმოადგენს და მას არეგულირებს არა დელიქტის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები, არამედ – სსსკ-ის 199-ე მუხლი, გარდა ამისა, საკასაციო პალატამ განმარტა მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განანიღების წესი და ის ფაქტი, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არ წარმოადგენს გარიგების ფორმას, ამ უკანასკნელ შემთხვევასთან მიმართებით, პალატამ მიუთითა მანამდე დამკვიდრებულ პრაქტიკაზეც, რომლისგანაც განსხვავდებოდა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა.<sup>99</sup>

### დაუსწრებელი გადაწყვეტილება

ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება გააუქმა და სარჩელი ნაწილობრივ არ დააკმაყოფილა. აღნიშნულ საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული მონინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო. სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული გამართულობის თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის საფუძვლები და პრეტენზიები ჯეროვნად არ შეუმონმებია სააპელაციო სასამართლოს.<sup>100</sup>

მოპასუხის გამოუცხადებლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას განმარტა თუ რას წარმოადგენს კანონის ძალით დადგენილი ფაქტებისა და მოთხოვნის ურთიერთმიმართებით სარჩელის იურიდიული საფუძვლიანობის შეფასება. მოცემული დავა შეეხებოდა სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროვიზიისა და ამ ვალდებულების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრებას. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელში გადმოცემული ფაქტები არ იძლეოდა ხელშეკრულების წერილობით დადებულად მიჩნევის შესაძლებლობას, სსკ-ის 418.2 მუხლის შესაბამისად კი, პირგასამტეხლოს მოთხოვნა იყო დაუშვებელი, შესაბამისად, პალატამ ნაწილობრივ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში იყო დატოვებული.<sup>101</sup>

ხელახლა განსახილველად დაბრუნებულ საქმეში, საკასაციო პალატამ დარღვეულად მიიჩნია სახაზინო ადვოკატის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობის განხილვის წესი. კერძოდ, საკასაციო პალატის დასკვნით, შუამდგომლობის განხილვა მიზანშეწონილი იყო სასამართლო სხდომამდე, რადგანაც შუამდგომლობაზე პასუხის შესახებ მხარე ინფორმირებული უნდა ყოფილიყო დადგენილი წესით, შუამდგომლობის სხდომაზე განხილვისა და უარყოფის შემთხვევაში კი, უზრუნველყოფილიყო საქმის განხილვის გადადება, რადგან აპელანტს გონივრული ვადა უნდა ჰქონოდა, თავად მოეძია წარმომადგენელი. შესაბამისად, სასამართლომ მხარის მიერ სხდომის თვითნებურად მიტოვების საფუძვლით მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არამართლზომიერად მიიჩნია. დადგინდა, რომ მოცემულ საქმეზე მხარეთა თანასწორობის პრინციპი დაირღვა.<sup>102</sup>

განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მართლზომიერების შემოწმებისას საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შესამოწმებელი იყო სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებების სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან იურიდიული მართებულობა (სსსკ-ის 230-ე და 387-ე მუხლები).<sup>103</sup>

<sup>99</sup> საქმე №ას-1216-1136-2017.

<sup>100</sup> საქმე №ას-931-871-2017.

<sup>101</sup> საქმე №ას-1468-1388-2017.

<sup>102</sup> საქმე №ას-1033-953-2017.

<sup>103</sup> საქმე №ას-378-378-2018.



დაუსრულებელი გადანყვეტილების გამოტანის/ძალაში დატოვების შესახებ განჩინების კანონიერებასთან მიმართებით, საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება გააუქმა და პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსრულებელი გადანყვეტილება/მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინება ძალაში დატოვა, რადგან არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს შეფასება იმის შესახებ, რომ არსებობდა დაუსრულებელი გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლებისათვის სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა დაუძლეველი ძალის ან სხვა მოვლენის არსებობა, რამაც მხარის სასამართლოში დროულად გამოცხადებას ხელი შეუშალა.<sup>104</sup>

ხელახლა განსახილველად დაბრუნებულ საქმეთა შორის აღსანიშნავია მხარის გამოუცხადებლობის მოტივით მიღებული დაუსრულებელი გადანყვეტილებებიც. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსსკ-ის 215.3 და 102-ე მუხლების საფუძველზე ჯეროვნად არ იყო გამოკვლეული სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის არგუმენტად წარმოდგენილი ავადმყოფობის ცნობის (ფორმა 100) იურიდიული შინაარსი; სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა, რომ ვინაიდან მსგავსი შინაარსის დოკუმენტი სხვა დროსაც წარმოადგინა მხარემ, სახეზე იყო ქრონიკული დაავადება, რაც სხდომის გადადების შემთხვევაშიც დააბრკოლებდა მხარის სხდომაზე გამოცხადებას. საკასაციო პალატამ დაადგინა საპროცესო დარღვევა სსსკ-ის 233-ე, 241-ე 215.3, 105-ე მუხლების საფუძველზე, რადგან მიიჩნია, რომ პაციენტს დაესვა დიაგნოზი – ჰიპერტონული კრიზი, რომელიც არ არის ქრონიკული დაავადება, ცნობა გაიცა კონკრეტულად სხდომის დღეს და ასახავდა სწორედ სადავო მომენტისათვის მოპასუხის არადაამაკმაყოფილებელ ჯანმრთელობის მდგომარეობას.<sup>105</sup>

შეტყობინება-დაბარების წესის დარღვევის მოტივით, საკასაციო სასამართლომ რამდენიმე საქმეზე გააუქმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსრულებელი გადანყვეტილება და საქმე იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნა, იმ საპროცესო დარღვევის გამო, რომ მხარეს, საქმის სააპელაციო განხილვის ეტაპზე შეტყობინება, სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, არ მიუღია.<sup>106</sup>

მნიშვნელოვანია საქმე დაუსრულებელი გადანყვეტილების გამოტანის თავისებურების შესახებ. მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოდგენლობის გამო სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად მიიჩნევა, სააპელაციო სასამართლოს თავადაც შეეძლო აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად შეეფასებინა და გამოეტანა საქმეზე საბოლოო გადანყვეტილება. შესაბამისად, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 230-ე მუხლის დარღვევით დამტკიცებულად ჩათვალა ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელზეც თავად მოსარჩელეს არ მიუთითებია და ამის შედეგად გამოიტანა სამართლებრივად არასწორი დასკვნა.<sup>107</sup>

შეტყობინება-დაბარების საპროცესო წესების დარღვევის მოტივით გაუქმდა ასევე სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელითაც ძალაში იყო დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შესაგებლის შეუტანლობის გამო მიღებული დაუსრულებელი გადანყვეტილება და განჩინება ამ გადანყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქვემდგომი სასამართლოების მიერ არასწორად განიმარტა სსსკ-ის 241-ე მუხლი.<sup>108</sup>

## ინკვიზიციური სამოქალაქო პროცესში

**საოჯახო სამართლიდან გამომდინარე საქმეთა უმრავლესობაში, რომლებიც არსებითად იქნა განხილული საკასაციო სასამართლოს მხრიდან, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სა-**

<sup>104</sup> საქმე №ას-385-358-2017.

<sup>105</sup> საქმე №ას-1078-998-2017.

<sup>106</sup> საქმე №ას-553-528-2016; №ას-1188-1148-2016; №ას-381-354-2017; №ას-1108-1065-2016.

<sup>107</sup> საქმე №ას-825-791-2016.

<sup>108</sup> საქმე №ას-105-105-2018.

**აპელაციო სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია სსსკ-ის 105-ე, 354-ე და 380-ე მუხლები.** საქმეზე, სადაც დავის საგანს შვილთან/შვილიშვილთან ურთიერთობის წესის დადგენა (ძირითად სარჩელში), მამობის გაუქმება, დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანა (შეგებებულ სარჩელში) წარმოადგენდა, საკასაციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დავაში, რომელიც არასრულწლოვნის ინტერესების გამორკვევას შეეხებოდა, სასამართლო აღჭურვილი იყო ინკვიზიციურობის ელემენტებით და არ იყო შეზღუდული, მათ შორის სააპელაციო განხილვის ეტაპზე მიეღო ახალი მტკიცებულებები.<sup>109</sup>

ბავშვთან ურთიერთობის წესის დადგენის შესახებ ერთ-ერთ დავაზე, რომელზეც დავის საგანი ასევე შვილთან ურთიერთობის წესის დადგენა იყო, როგორც პირველი, ისე სააპელაციო სასამართლომ მიერ დადგინდა, რომ მამას ურთიერთობა უნდა ჰქონოდა შვილთან და განისაზღვრა ამ ურთიერთობის კონკრეტული წესი. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დედის იმგვარ შედავებაზე, რომლის თანახმადაც, მამა მოიხმარდა ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, ხოლო სააპელაციო სასამართლომ ამ ფაქტის მტკიცება დააკისრა ფაქტის მიმთითებელ მხარეს. საკასაციო პალატის დასკვნით, იმ პირობებშიც კი, თუ სადავო გარემოების მტკიცების ვალდებულებას დავაკისრებდით დედას, მაინც არ იარსებებდა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნების გაზიარების წინაპირობა, რადგანაც დედას დაუნესდებოდა მტკიცების იმგვარად მაღალი სტანდარტი, რომლის დაძლევისაც იგი ვერ შეძლებდა („პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და 27-ე მუხლი). გარდა ამისა, საკასაციო პალატამ მოცემულ დავაში ბავშვის საუკეთესო ინტერესების ფარგლებში კვლევის საგნად მიიჩნია მამის შედავება, რომლითაც ის ეჭვქვეშ აყენებდა ბავშვთან ბიოლოგიურ კავშირს.<sup>110</sup>

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენის შესახებ დავაზე მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევის მოტივით საკასაციო სასამართლომ საქმე სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა ხელახლა განსახილველად. საკასაციო პალატამ დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა უცვლელად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, იმ პირობებში, როცა ბავშვის საუკეთესო ინტერესები გამოკვლეული არ ყოფილა.<sup>111</sup>

## სსპა საპროცესო დარღვევები

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან მენარდის სარჩელი შემკვეთისათვის თანხის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ – 23 874 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით მენარდეს უარი ეთქვა ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე შემკვეთისათვის 63 165 ლარის, ასევე, მიუღებელი შემოსავლის – 9 078 ლარის დაკისრებაზე. საქალაქო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით მხოლოდ მენარდემ გაასაჩივრა და სააპელაციო განაცხადის მოცულობა, ბუნებრივია, აპელანტის სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებას არ უკავშირდებოდა. მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილება, სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შევიდა კანონიერ ძალაში. სააპელაციო პალატამ 63 165 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანად მიიჩნია რა აპელანტის მოთხოვნა, იგი გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს (სსსკ-ის 377-ე (1) და 384-ე მუხლები) და ახალი გადაწყვეტილებით შემკვეთს დააკისრა მათ შორის ის თანხა, რაც მას კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკვე დაკისრებული ჰქონდა, შესაბამისად, ამ ნაწილში არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. ხსენებულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ განმარტა კიდევ ერთი პროცესუალური საკითხი: აღიარების მნიშვნელობა საქმის განხილვისას, ამგვარ აღიარებას მოჰყვება პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგი, თუკი მხარე მას არ გააქარწყლებს (სსსკ-ის 131-ე და 133-ე მუხლები).<sup>112</sup>

<sup>109</sup> საქმე №ას-85-81-2017.

<sup>110</sup> საქმე №ას-1122-1078-2016.

<sup>111</sup> საქმე №ას-207-196-2017.

<sup>112</sup> საქმე №ას-856-800-2017.

სარჩოს ანაზღაურების მოთხოვნით აღძრული სარჩელი პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა ნაწილობრივ დააკმაყოფილეს. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ მათ სწორად განსაზღვრეს მოსარჩელის სასარგებლოდ დასაკისრებელი თანხის ოდენობა, თუმცა არასწორად განისაზღვრა იმ პირთა წრე, რომლებსაც მოსარჩელის წინაშე პასუხი უნდა ეგოთ. სწორედ ამ უკანასკნელი საფუძვლით შეცვალა საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინება და სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით, მოპასუხეებად დასახელებული თითოეული პირის სოლიდარული პასუხისმგებლობა დაადგინა, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, რომლის მეორე აბზაცის მიხედვითაც, გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებულ ვალდებულებებზე (თავდაპირველი საწარმოს გაყოფის შესახებ გადანყვეტილების მიღებისა და ამ გადანყვეტილების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დროისათვის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1999 წლის 9 ივნისის №2073-II მოქმედი რედაქცია).<sup>113</sup>

ერთ საქმეში, პირველმა და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა, მიუხედავად მოპასუხეების მიერ მოსამზადებელ სხდომაზე სარჩელის ნაწილობრივ ცნობისა, მოსარჩელის მოთხოვნა სრულად უარყვეს. სარჩელის ცნობის პროპორციულად უზენაესმა სასამართლომ ახალი გადანყვეტილებით სრულად გაიზიარა კასატორის პრეტენზია სარჩელის ცნობის ინსტიტუტთან დაკავშირებით და დააკმაყოფილა იგი.<sup>114</sup>

საკასაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლომ გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და მოპასუხისათვის დაკისრებული თანხა იმ ნაწილშიც შეამცირა, რა ნაწილშიც სააპელაციო პრეტენზია არ ყოფილა წარდგენილი. საკასაციო სასამართლოს ახალი გადანყვეტილებით მითითებული საპროცესო დარღვევის უარყოფის გზით შეიცვალა გასაჩივრებული გადანყვეტილება.<sup>115</sup> მოთხოვნის ფაქტობრივი ფარგლების დარღვევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის შესახებ საქმე. საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლო მოთხოვნის ფარგლებს გასცდა, მამის მდგომარეობა, ბავშვის ნახვის დროსთან მიმართებით, იმგვარად გააუარესა, რასაც აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეც კი არ ეთანხმებოდა.<sup>116</sup>

**სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანის შესახებ დავაზე საკასაციო პალატამ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სსკ-ის 106-ე მუხლის დარღვევა დაადგინა, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით პრეიუდიციული წესით დადგენილად მიიჩნია ისეთი ფაქტები, რომლებიც რეალურად არ ყოფილა დადგენილი კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით, რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი სამართლებრივი დასკვნა სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე.**<sup>117</sup>

საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველად საკასაციო სასამართლომ არ მიიჩნია სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხი. დავის საგანს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება წარმოადგენდა. საკასაციო პალატის დასკვნით, სარჩელსა და შესაგებელში მითითებული გარემოებების შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლოს შეეძლო თავად გადაეჭრა საკითხი იმის თაობაზე, მხარეთა შორის არსებობდა შრომითი თუ ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა. საკასაციო სასამართლომ მიმოიხილა ამ ორ ურთიერთობას შორის განმასხვავებელი ნიშნები (მხარეთა თანასწორობა ან დაქვემდებარებული შრომა, ორგანიზაციული მოწესრიგება და სხვა, სსკ-ის 629-ე და სშკ-ის 2.1 მუხლები) და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს.<sup>118</sup>

<sup>113</sup> საქმე №ას-118-110-2017.

<sup>114</sup> საქმე №ას-170-159-2017.

<sup>115</sup> საქმე №ას-2-2-2017.

<sup>116</sup> საქმე №ას-159-149-2017.

<sup>117</sup> საქმე №ას-684-655-2016.

<sup>118</sup> საქმე №ას-1132-1088-2016.

ზეპირი ფორმით დადებული მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საფასურის დაკისრების საქმეზე, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოთხოვნის უარყოფის წინაპირობა სარჩელის ფორმალური გაუმართაობა იყო. საკასაციო პალატამ მიუთითა საქმეში მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობებზე, რომლებითაც იგი სამივე ინსტანციის სასამართლოსაგან მოითხოვდა საქმის მასალების მოძიებას. ამ მხრივ, საქმეში არ მოიპოვებოდა სამართალწარმოების შემაჯამებელი აქტები, რომლითაც მხარეს უარი ეთქვა საქმის მასალების გამოთხოვაზე ან დადგინდებოდა მათი დაკარგვის ფაქტი. სააპელაციო სასამართლომ კი, მხოლოდ მოსარჩელის წინააღმდეგობრივ პოზიციაზე მითითებით მიიჩნია, რომ სარჩელი იყო ფორმალურად დაუსაბუთებელი და არ უცდია იმის გარკვევა, მოსარჩელე თავისი არა ერთი განცხადებით ხომ არ მოითხოვდა სსსკ-ის 351<sup>1</sup>-351<sup>6</sup> მუხლებით გათვალისწინებული საშუალებით სარგებლობას (დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა). ამ მხრივ მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებებზე შეიძლება მიჩნეულიყო, როგორც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სადაც საუბარია სარჩელში მითითებული კონკრეტული ფაქტების დადგენილად მიჩნევის წინაპირობებზე), ისე – ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინება. საკასაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო პალატამ მოპასუხის სიტყვიერი განმარტება შესრულების გზით ვალდებულების შეწყვეტის თაობაზე მიიჩნია დაუსაბუთებლად (სსკ-ის 429-ე მუხლი) და მიუთითა შესრულების მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების წესზე. ამავე საქმეში საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთი თანამოპასუხის მიმართ სსსკ-ის 272-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და სსკ-ის 453-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმის წარმოების შეწყვეტა გაუმართლებლად მიიჩნია, რადგანაც დავის საგანი ნასყიდობის საფასურის გადახდა იყო და ამ ურთიერთობაში უფლებამონაცვლეობა, სსკ-ის 1328-ე (1) მუხლის შესაბამისად, დაიშვებოდა. **ვერც მოსარჩელემ წარადგინა და ვერც სასამართლოს მხრიდან იქნა მოძიებული ინფორმაცია თანამოპასუხის გარდაცვალების შედეგად მის მიერ სამკვიდროს დატოვებისა და სამკვიდრო ქონების კანონით ან ანდერძით მემკვიდრის მიერ მიღების თაობაზე, შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებათა კვლევის შედეგად დადგინდებოდა მოპასუხის გარდაცვალების ფაქტი, ასევე, ის გარემოება, რომ სამკვიდრო ქონება არ არსებობდა, საქმის წარმოების შეწყვეტა დასაშვები იქნებოდა სსკ-ის არა 272-ე მუხლის „ე“, არამედ – 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.**<sup>119</sup>

საქმეზე, რომელიც ნასყიდობის საფასურის გადახდას უკავშირდებოდა, ხოლო ვალდებული პირი საპროცესო თავდაცვის საშუალებად ხანდაზმულობის ინსტიტუტს იყენებდა, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა. მოთხოვნის ხანდაზმულობის უარსაყოფად სააპელაციო პალატამ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის მხრიდან მიიღო ახალი მტკიცებულება და შეცვალა გადაწყვეტილება. საკასაციო განხილვის ეტაპზე საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მოვალის პრეტენზია სასამართლოს მხრიდან სსსკ-ის 380-ე მუხლის დარღვევის თაობაზე და ამავე კოდექსის 404-ე მუხლის ფარგლებში დაუშვებლად ცნო ის მტკიცებულება, რომელსაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარებოდა, შესაბამისად, ახალი გადაწყვეტილებით გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი.<sup>120</sup>

ქონების უმკვიდროდ ცნობისა და საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სარჩელი პირველ ინსტანციაში უარყოფილ იქნა, ხოლო სააპელაციო სასამართლოში ნაწილობრივი დაკმაყოფილების შედეგად საცხოვრებელი ფართის გარკვეული ნაწილი ცნობილ იქნა უმკვიდროდ და საკუთრებაში გადაეცა მესამე პირს. საკასაციო სასამართლომ დარღვევა დაადგინა იმ მიმართულებით, რომელიც გამოიხატა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (სსსკ-ის 266-ე მუხლი) დადგენილი სამართალური ერთობის ხელახალ დადგენა-შეფასებაში ანუ სადავო უძრავი ნივთის ძირითადი ნაწილის კუთვნილების საკითხი უკვე მოწესრიგებული იყო სასამართლო გადაწყვეტილებით და ვერ გახდებოდა სხვა სამართალწარმოების დავის საგანი.<sup>121</sup>

<sup>119</sup> საქმე №ას-581-540-2017.

<sup>120</sup> საქმე №ას-1437-1357-2017.

<sup>121</sup> საქმე №ას-1558-1478-2017.

აღსანიშნავია ასევე საქმე, რომელიც ყადაღადადებული მოძრავი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლებას შეეხებოდა. ყადაღის საგანს წარმოადგენდა ავტომანქანა, რომლის მფლობელიც მიუთითებდა, რომ ზეპირი ნასყიდობის საფუძველზე შეიძინა ნივთი, ხოლო გამყიდველის დავალიანების გამო შემოსავლების სამსახურმა დააყადაღა იგი. პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ნივთის მფლობელის სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც გაზიარებულ იქნა სააპელაციო პალატის მხრიდან, თუმცა მოვალე, რომელიც სადავოდ ხდიდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას, ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან არ ყოფილა მიწვეული საქმის განხილვაზე სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. საკასაციო სასამართლომ საქუთრების, ასევე, სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა დაადგინა ამ უკანასკნელის მიმართ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე პალატას.<sup>122</sup>

საქმის წარმოების შეჩერების წინაპირობების თაობაზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში მოცემულ ორ დავას შორის სამართლებრივი ურთიერთკავშირისა და, შესაბამისად, ვალდებულების შესრულების შემაფერხებელი გარემოებების არარსებობის დადგენისას შემოიფარგლა მხოლოდ ზედაპირული და ფორმალური შემოწმებით, მიუთითა რა ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოს გადანიშნულების კანონიერი ძალის არარსებობის თაობაზე. სააპელაციო პალატამ არ შეაფასა დავებს შორის ურთიერთმიმართება იმ თვალსაზრისით, პარალელურად მიმდინარე დავაში სასამართლოს მიერ მრავალბინიანი სახლის საერთო ფართობის 5 პროცენტზე მეტით გაზრდის თაობაზე მესაკუთრეთა თანხმობის არარსებობის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა ნამეტი ფართის გათვალისწინებით მხარეთა შორის შეთანხმებული პროექტის განხორციელება და, შესაბამისად, ნამეტი ფართების გადაცემაზე მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამრიგად, საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის ფარგლების, დავის მონაწილე სუბიექტების, დავის არსისა და დავათა შორის სამართლებრივი ურთიერთკავშირის დადგენისთვის აუცილებელი სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების დეტალური შესწავლისა და შეფასების შედეგად განსაზღვროს, არსებობს თუ არა მოპასუხის მიერ დასახელებული ვალდებულების შესრულების შემაფერხებელი გარემოებები და ამ გარემოებათა დადგენისათვის სხვა საქმეში დასადგენი გარემოებების გათვალისწინების აუცილებლობა.<sup>123</sup>

ერთ საქმეში საკასაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადანიშნულება, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანიშნულების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, თუმცა შეცვალა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა მოცემულ დავასთან მიმართებით საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად მიიჩნია, რომ „განსახილველი დავისადმი საქართველოს საერთო სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის პრინციპის შემოწმების საკითხი სამართლის საკითხს განეკუთვნება და მხარის მიუთითების არარსებობის პირობებშიც, მისი შემოწმება სასამართლოს პრეროგატივა და ინიციატივაა, რაც არ განიხილება მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპის უგულებელყოფად. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოცემულ დავაზე საქართველოს სასამართლოს არ აქვს საერთაშორისო კომპეტენცია, რადგან ასეთ შემთხვევაში სარჩელი წარმოებაში არ უნდა მიეღოს საქართველოს სასამართლოს ან მისი წარმოებაში არასწორად მიღების შემთხვევაში, განუხილველად უნდა დაეტოვებინა“.<sup>124</sup> საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის არმქონედ მიჩნევის მიუხედავად დავის არსებითად განხილვასთან დაკავშირებით, რადგან ასეთ შემთხვევაში სასამართლომ დავა არსებითად არ უნდა განიხილოს. განსახილველ შემთხვევაში კი, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია ჰქონდათ.

<sup>122</sup> საქმე №ას-1107-1027-2017.

<sup>123</sup> საქმე №ას-1249-1169-2017.

<sup>124</sup> საქმე №ას-242-242-2018.

საქმეში, რომელშიც დავის საგანს უსაფუძვლოდ მიღებული თანხის უკან დაბრუნება წარმოადგენდა (სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), ორი ინსტანციით განხილულ იქნა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით; საკასაციო პალატამ საპროცესო დარღვევა განსჯადობის წესში დაადგინა, ვინაიდან მოთხოვნას ფაქტობრივ საფუძვლად ის გარემოება დაედო, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენის აღსრულების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა ჯარიმის თანხა; შემდგომში ეს ვალდებულება შეწყდა შთანთქმის პრინციპის გამოყენების საფუძვლით ზემდგომ ინსტანციაში (სასკ-ის მე-2 და მე-3 მუხლები; სსსკ-ის მე-11 მუხლი). სარჩელის სამართლებრივი საფუძველი თანხის უკან დაბრუნების შესახებ არ გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, რამდენადაც შესაბამისი იყო განაჩენის აღსრულების საკითხი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სამოქალაქო კანონმდებლობასთან.<sup>125</sup>

2017 წელს არსებითად განხილულ საქმეთაგან 37 საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს. დაბრუნებულ საქმეთა შორის უმრავლესობაზე საკასაციო სასამართლოს მხრიდან დადგინდა, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა დაარღვიეს საქმის განხილვის საპროცესო წესები. ძირითადი მითითებები უკავშირდებოდა ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან დავის ფაქტობრივი გარემოებების არასრულად დადგენას, რაც გამორიცხავდა საკასაციო სასამართლოს მხრიდან საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას. 2017 წელს საკასაციო სასამართლოს მიერ არსებითად განხილულ საქმეთა შორის 60 საქმეზე უცვლელად იქნა დატოვებული გასაჩივრებული განჩინება/გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლოს ხსენებული განჩინებებიდან ირკვევა, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავდა საკმარის იურიდიულ დასაბუთებას, თუმცა საკასაციო საჩივრების არსებითად განხილვის შედეგად დადგინდა, რომ მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, საქმეზე სწორი შედეგი დადგა. არცთუ იშვიათ შემთხვევაში ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან დადასტურდა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის არასწორი გამოყენება, თუმცა, იმ საფუძვლით, რომ ხსენებულ დარღვევას უკანონო გადაწყვეტილების მიღება არ მოჰყოლია შედეგად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებები უცვლელად იქნა დატოვებული.<sup>126</sup> 2017 წელს არსებითად განხილულ საქმეებთან შედარებით, საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2018 წელს არსებითად განიხილა 127 საქმე, საიდანაც ახალი გადაწყვეტილება მიიღო 52 საქმეზე, სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა 30 საქმე, დაუშვებლობის მოტივით სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული 22 საქმეზე, ხოლო 58 საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი ძალაში დარჩა. ხელახლა განსახილველად დაბრუნებულ საქმეთა უმრავლესობაზე კვლავ დადგინდა ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან საპროცესო სამართლის ნორმათა იმგვარი დარღვევა, რაც საკასაციო სასამართლოს მხრიდან ახალი გადაწყვეტილების გამოტანას გამორიცხავდა. შეინიშნება ასევე, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მატერიალური სამართლის ნორმათა არასწორი გამოყენება, ისევე, როგორც ნორმათა განმარტების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის გამოყენებლობა. საპროცესო სამართლის წესების დარღვევით განხილულ საქმეთა შორის კვლავ აღსანიშნავია ის განჩინებები, რომლებითაც სარჩელები იქნა განუხილველად დატოვებული და თითქმის ყველა საქმეზე, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არ იყო შემონიშნული აღიარებითი სარჩელის მიმართ მხარის იურიდიული ინტერესის არსებობა, რაც შეეხება უცვლელად დატოვებულ საქმეებს, მათი უმრავლესობა მოთხოვნის დამფუძნებელ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორ მოძიებას ემყარება, თუმცა არაერთ შემთხვევაში დადგინდა, რომ არ იკვეთებოდა ის დარღვევები, რომელთა თაობაზეც მხარე პრეტენზიას გამოთქვამდა საჩივარში.

<sup>125</sup> საქმე №ას-665-621-2017.

<sup>126</sup> საქმე №ას-319-302-2017; №ას-376-360-2016; №ას-489-457-2017; №ას-572-531-2017; №ას-373-347-2017; №ას-381-365-2016; №ას-519-485-2017; №ას-532-498-2017; №ას-622-581-2017; №ას-671-642-2016; №ას-724-692-2016; №ას-839-805-2016; №ას-860-803-2017; №ას-938-903-2016; №ას-964-929-2016; №ას-1066-986-2017; №ას-1067-1026-2016; №ას-1079-1036-2016; №ას-1159-1114-2016; №ას-2011-972-2016; №ას-279-265-2016; №ას-549-524-2016; №ას-429-412-2016; №ას-432-415-2016; №ას-655-626-2016; №ას-158-148-2017; №ას-423-406-2016; №ას-478-446-2017; №ას-626-598-2016; №ას-539-504-2017; №ას-570-545-2016; №ას-367-341-2017; №ას-1167-1122-2016; №ას-123-115-2017; №ას-133-125-2017; №ას-681-652-2016; №ას-694-665-2016; №ას-673-644-2016; №ას-650-616-2015; №ას-656-627-2016; №ას-871-838-2016; №ას-891-858-2016; №ას-903-869-2016; №ას-178-167-2017; №ას-53-49-2017; №ას-№ას-483-451-2017; №ას-531-497-2017; №ას-631-589-2017; №ას-885-825-2017; №ას-1266-1186-2017.

## დასკვნა

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების გაუქმება, უმთავრესად, განპირობებული იყო როგორც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მხრიდან საპროცესო-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება-განმარტებით, ასევე, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევით.

საპროცესო წესების დარღვევიდან გამომდინარე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს საქმის მომზადების ეტაპზე დაშვებული დარღვევები. კერძოდ, ძირითადად გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან არ განკარგულა საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული სარჩელისა თუ შესაგებლის დაზუსტების ვალდებულება. საყურადღებოა მხარეთათვის კანონით დაკისრებული (სსსკ-ის 83.4, 177-ე, 178-ე, 201-ე, 203-ე და მომდევნო მუხლები) მითითების ტვირთის ფარგლებში მოთხოვნის განმაპირობებელი ფაქტების, ასევე, მოპასუხის შედავების არსებითობის შემოწმება, რაც დავის მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად გადაწყვეტის ფუნდამენტია და, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსამართლეს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის კვლევაში, სადავო და უდავო ფაქტების გამიჯვნასა და მტკიცების საგნის/მტკიცების ტვირთის განანიღებებაში.

საქმეთა იმ ნაწილში, რომლებიც ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს, ძირითადად ვლინდება იმგვარი საპროცესო დარღვევა, როგორცაა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორი განანიღებება-განსაზღვრა, ასევე, მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევა/შეფასება.

საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევას შორის განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში ასახა და შემდგომ დიდი პალატის გადაწყვეტილებით ხაზი გაესვა აღიარებითი სარჩელის, როგორც უფლებადამდგენი სარჩელის დასაშვებობის მკაცრ საპროცესო წინაპირობებს, ხშირია შემთხვევა, როდესაც ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან დაუშვებელი სარჩელები არსებითად კვლავ განიხილება და წყდება. ამგვარი სარჩელები არაერთხელ დაუბრუნდა, მოთხოვნის დაზუსტების მიზნით, ქვემდგომ სასამართლოებს, ხოლო უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად დაედო საკასაციო განხილვის ეტაპზე სარჩელის განუხილველად დატოვებას.

საქმეთა განხილვისას გამოიკვეთა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრების წესის დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების მხოლოდ ერთჯერადი გასაჩივრების შესაძლებლობას ითვალისწინებს, – რაც უზენაესმა სასამართლომაც არაერთხელ განმარტა, – სააპელაციო სასამართლოები, ზოგიერთ შემთხვევაში, კვლავ უთითებენ შემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობაზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოში ამ ტიპის საჩივრები განუხილველად რჩება (სსსკ-ის 1971, 419-ე-420-ე მუხლები).

რაც შეეხება მატერიალური სამართლის ნორმათა დარღვევის მოტივით გაუქმებულ/შეცვლილ გადაწყვეტილებებს, სწორედ ზემოხსენებული საქმის მომზადების ეტაპის დარღვევის მოტივით, ძირითადად, არასწორი კვალიფიკაცია ჰქონდა მინიჭებული სასარჩელო მოთხოვნას, არასწორად იყო განსაზღვრული მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები და მოპასუხის თავდაცვის საპროცესო საშუალების სამართლებრივი ეფექტი (მაგ: მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი/დამაბრკოლებელი, გამომრიცხველი შესაგებელი), რამაც იურიდიულად არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. ზოგიერთ შემთხვევაში, გამოვლინდა ნორმათა კონკურენციის საკითხის არასწორი გადაწყვეტა, ხოლო ზოგჯერ – დეფინიციური ნორმების მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძვლად გამოყენება.

უზენაესი სასამართლოს სტაბილურ პრაქტიკასთან წინააღმდეგობრიობის თვალსაზრისით, მუშაკის ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული სარჩოს გადაანგარიშების შესახებ დავებში კვლავ იკვეთება ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან მატერიალურ-სამართლებრივი ნორმე-

ბის დარღვევა, კერძოდ, არასწორადაა განმარტებული ზიანის ანაზღაურების მიზანი ვალდებული პირისათვის სარჩოს დაკისრებისას.

ამრიგად, 2017-2018 წლებში საკასაციო სასამართლოში განხილულ საქმეთა ანალიზიდან ირკვევა, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას დაშვებული ხარვეზები, სასამართლოთა გადატვირთულობასთან ერთად, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სარჩელის მიღებისა და საქმის მომზადების ეტაპზე დაშვებულ შეცდომებს (უზუსტობებს) უკავშირდება.



## II. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 2018 წელს სულ შემოვიდა 1616 საქმე (საკასაციო საჩივარი, კერძო საჩივარი, განსჯადობა, სარჩელის უზრუნველყოფა), ანუ 33,2%-ით მეტი 2017 წელთან შედარებით. აქედან, 1575 საქმე შემოსულია საკასაციო და კერძო საჩივრის საფუძველზე, რაც 35,1 %-ით აღემატება 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2018 წელს სულ განხილულია 1259 საქმე, ანუ 19,7%-ით მეტი, ვიდრე 2017 წელს. აქედან, საკასაციო და კერძო საჩივრის საფუძველზე განხილულია 1216 საქმე, ანუ 21,0%-ით მეტი 2017 წელთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში გაუმჯობესებულია სასამართლო გადაწყვეტილებათა ხარისხი, შეინიშნება ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმეთა არსებითად სწორად განხილვისა და გადაწყვეტის ტენდენცია, რაც უზენაეს სასამართლოში შემოსულ ადმინისტრაციულ საქმეთა შედეგზეც აისახება. საკასაციო სასამართლოში შემოსულ საქმეთა უმრავლესობა დაუშვებლად არის ცნობილი. კერძოდ, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 2018 წელს საკასაციო საჩივრის საფუძველზე განხილული 1139 საქმიდან, დაუშვებლად იქნა ცნობილი 969, ანუ განხილული საქმეების 85,1%.

2017-2018 წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვან არაერთ საკითხზე გაამახვილა ყურადღება. განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომითი, სოციალური, სამშენებლო, საგადასახადო, საჯარო ინფორმაციასთან, ზიანის ანაზღაურებასთან, უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავები, რომლებზედაც ახალი გადაწყვეტილებების მიღება, როგორც წესი, ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება-განმარტებითაა განპირობებული. თუმცა, ახალ გადაწყვეტილებათა შორის გვხვდება ასევე საპროცესო სამართლის ნორმების იმგვარი დარღვევა, რომელმაც შედეგი იქონია გადაწყვეტილების კანონიერებაზე. ამასთან, გასაჩივრებული გადაწყვეტილების/განჩინების შემომწმების პროცესში გამოვლენილია ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და მათი შეფასების, მატერიალურ-სამართლებრივ ნორმათა გამოყენების და მათი შესაბამისი გარემოებებისადმი მისადაგების მიმართ არსებული, აგრეთვე, ისეთი საპროცესო-სამართლებრივი ხარვეზები, რამაც უშედეგად გასაჩივრებული გადაწყვეტილების/განჩინების გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საჭიროება წარმოშვა. რაც შეეხება უცვლელად დატოვებულ გადაწყვეტილებებს/განჩინებებს, შედეგის გაზიარების პირობებში საქმეზე არსებითი მსჯელობა მეტწილად გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში მოცემული არგუმენტაციისა და შესაბამისი დასაბუთების შეცვლის აუცილებლობამ, ასევე კონკრეტული შედეგის დამატებითი დასაბუთების, ხოლო რიგ შემთხვევებში, საკასაციო საჩივრის მოტივების ცალსახად გამორიცხვის საჭიროებამ გამოიწვია. ხაზგასასმელია ისიც, რომ იკვეთება საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასებული, სადავო სამართალურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების შემდგომში გაზიარების ტენდენციები სააპელაციო სასამართლოს მხრიდან, რაც ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ გადაწყვეტილებათა დასაბუთების პროცესში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთიანი სასამართლო პრაქტიკის მხედველობაში მიღებაზე მიუთითებს.

ამდენად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივრების დაშვება და გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე მსჯელობა ძირითადად გამოიწვია ისეთი სამართლებრივი პრობლემის წამოჭრამ, რომელიც აქამდე სასამართლოთა მსჯელობის საგანი არ გამხდარა. აგრეთვე, აღნიშნული განაპირობა განსაკუთრებული სპეციფიკით გამორჩეულმა დავებმა, სადაც ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მსჯელობების გაუზიარებლობის გამო, საკასაციო სასამართლომ, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დადგენისა და უკვე დადგენილი პრაქტიკის განვითარების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნია, სადავო საკითხი თავად მოენესრიგებინა. თუმცა, 2017-2018 წლებში განხილულ საქმეთა შორის გვხვდება ასევე ისეთი დავებიც, რომლებზეც საკასაციო პალატა სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის კონკრეტულ განმარტებას არ

დაეთანხმა და, საკითხის არსებითად სწორად გადაწყვეტის მიზნით, თავად განმარტა იგი. შესაბამისი კატეგორიის დავებზე უზენაესი სასამართლოს განმარტებებისა და მითითებების სისტემური ანალიზი უკეთ წარმოაჩენს არსებულ სურათს.

## შრომითი დავები

უპირველესად, აღსანიშნავია შრომით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები, სადაც დავის საგანი შესაძლოა იყოს საჯარო სამსახურში მიღებიდან გათავისუფლების ჩათვლით, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი. საჯარო სამსახურად ითვლება სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სამსახური, რომელიც დაკავშირებულია მმართველობითი (ადმინისტრაციული) ფუნქციების განხორციელებასთან. ადმინისტრაციული ფუნქციები გვხვდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების შტოებში, ასევე თვითმმართველობის დონეზე და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო მოხელეთა არც თუ მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, სასამართლოებს ხშირად უწევთ შრომითი დავების განხილვა.

2017 წელს განხილულ შრომით დავებს შორის აღსანიშნავია საქმე,<sup>127</sup> რომელშიც მოსარჩელემ, რომელიც წერილობით დათანხმდა იმავე ადმინისტრაციულ ორგანოში სხვა თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად გადაყვანას, შემდგომში მოითხოვა გადაყვანამდე არსებულ თანამდებობაზე აღდგენა ორი საფუძვლით, კერძოდ, ახალ თანამდებობაზე მისი მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა არ უნდა მომხდარიყო, რადგან გადაყვანამდე არსებულ თანამდებობაზე იგი დანიშნული იყო უკონკურსოდ, ამასთანავე ახალი თანამდებობა არ შეესაბამებოდა მის პროფესიულ ცოდნასა და უნარებს. საკასაციო პალატამ აღნიშნულ საქმეზე ერთხელ – 2015 წელს, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სათანადო დასაბუთების არარსებობისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არასრულყოფილად დადგენის გამო, საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად,<sup>128</sup> თუმცა ხელახლა განხილვის შემდეგ სააპელაციო პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი. საკასაციო პალატამ იმსჯელა საჯარო სამსახურში პირის მიღების ზოგად წინაპირობებზე, კონკურსის ჩატარების პრინციპებზე, დანიშნულებაზე, ამოცანებზე, ფუნქციაზე და განმარტა კონკურსის გარეშე თანამდებობის დაკავების კანონით განსაზღვრული წინაპირობები. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონის დანაწესი დაწესებულების სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანისას პირის უკონკურსოდ დანიშვნის შესახებ, ვრცელდება მხოლოდ კონკურსგავლილ პირებზე, ნორმა არ გამორიცხავდა ამ რეგულიაციის გამოყენებას იმ პირების მიმართ, რომლებსაც უკონკურსოდ ჰქონდათ დაკავებული თანამდებობა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად განიშარტა იმჟამად მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე და 30-ე მუხლები, მათი გამოყენების წინაპირობები, არასწორად დადგინდა მითითებული ნორმების მოსარჩელეზე გავრცელების შესაძლებლობა. საქმეზე დადგინდა აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს მიერ თავისი უფლებამოსილების ფარგლების გაცდენა, რადგან თავად შეაფასა ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხი, დაადგინა პირის კონკრეტული თანამდებობის საკონსურსო მოთხოვნებთან შესაბამისობა ასეთი კონკურსის ჩატარების გარეშე, მაშინ როდესაც სასამართლოს უნდა ემსჯელა მხოლოდ კონკრეტული პირის მიერ მოვალეობების დროებით შესრულების შესაძლებლობაზე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილებას ჰქონდა წინააღმდეგობრივი ხასიათი, სარეზოლუციო ნაწილი არ შეესაბამებოდა გადაწყვეტილებაში ასახულ მსჯელობას, ამასთანავე, სათანადოდ არ შეფასდა საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება – სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ მოსარჩელის წერილობითი თანხმობა. გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების მიუხედავად, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით განხილვის, მხარის არასათანადო წესით მოწვევის, მოსამართლის აცილების საფუძვლების არსებობის შესახებ. საბოლოოდ, ახალი გა-

<sup>127</sup> საქმე №ბს-250-248(2კ-16).

<sup>128</sup> საქმე №ბს-629-616(2კ-14).

დანყვეტილებით საკასაციო სასამართლომ ფიზიკური პირის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ასევე აღსანიშნავია საქმე, რომელიც პოლიციელის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერებას შეეხებოდა,<sup>129</sup> სადაც საკასაციო სასამართლოს მიერ ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მსჯელობების გაუზიარებლობა და ახალი გადაწყვეტილების მიღება პოლიციელისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების მნიშვნელობამ და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მისმა სტატუსმა განაპირობა. კერძოდ, განიმარტა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიციის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი პრინციპია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპი, რომლის შესაბამისად, პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და საკუთრების უფლებებს და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება არ იყო შესაბამისი იმ დარღვევისა, რაც მის მიერ იქნა ჩადენილი და განმარტა, რომ მოსარჩელის სამსახურის სტატუსიდან გამომდინარე, მას თავად უნდა უზრუნველყო სახელმწიფო უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. პოლიციელის მიმართ მოქმედებდა მაღალი სადისციპლინო-სამემსრულებლო მოთხოვნები, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომლებს ქცევის კიდევ უფრო მაღალ სტანდარტს უწესებდა და მკვეთრად მიჯნავდა მათ საჯარო სამსახურის სხვა მოხელეებისაგან. ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციელის ქცევის სტანდარტები მონესრიგებული იყო ასევე საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსით, რომლის შესაბამისად, პოლიციელი ყურადღებიანი და თავდაჭერილი უნდა იყოს. განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა იჩინდეს აგრეთვე იარაღის ტარებისა და გამოყენებისას. იარაღის გამოყენების უფლება მას მინიჭებული აქვს მხოლოდ საკუთარი ან სხვა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად და არა სხვა რაიმე მიზნებისათვის.

ძალოვან სტრუქტურაში დასაქმებული პირის სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებს, მის ფუნქციებსა და კომპეტენციის ფარგლებს, გათავისუფლების ჩადენილ დარღვევასთან პროპორციულობას ეხებოდა აგრეთვე სხვა შრომით-სამართლებრივი დავა,<sup>130</sup> სადაც შესაფასებელი იყო მოხელის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და აღნიშნულიდან გამომდინარე, მოხელის გათავისუფლების კანონიერება. მოსარჩელე მუშაობდა საგამოძიებო უწყებაში და გათავისუფლდა სხვისი პერსონალური მონაცემების სამსახურებრივი საჭიროების გარეშე მოძიების, დამუშავებისა და შესამე პირისათვის გადაცემის საფუძველით. საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, თუმცა სააპელაციო პალატამ საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილების შეცვლით მიიღო ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ ბრძანება სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ადმინისტრაციული წარმოების ხელახლა ჩატარება. საკასაციო პალატის მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა და პალატას დაევალა საქმის ხელახლა განხილვა იმ საფუძველით, რომ სათანადოდ არ შეფასებულა მტკიცებულებები, არ დადასტურებულა მათი ურთიერთშესაბამობა, არ იყო დასაბუთებული სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების წინაპირობების არსებობა, სასამართლომ არ გამოიყენა საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება დამატებითი მტკიცებულებების მოძიების შესახებ, არ მოხდა ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულად გამოთხოვა და შესწავლა, გენ.ინსპექციის დასკვნის შემდგენი პირების ახსნა-განმარტებების გამოთხოვა, მესამე პირის მოწმედ დაკითხვა, უფლების დარღვევის ინტენსივობის დადგენა და აღნიშნულის საფუძველზე გამოყენებული დისციპლინური ღონისძიების პროპორციულობის შეფასება. სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა აგრეთვე მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელის მიერ სხვისი პერსონალური მონაცემების მოძიებაზე უთითებდნენ. სააპელაციო პალატამ დაადგინა მოსარჩელის მიერ მონაცემთა დამუშავება, თუმცა არ უმსჯელია მათი დამუშავების მიზანზე. მონაცემების სხვა მიზნებისათვის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ, ასევე პირის თანხმობის შემთხვევაში ან როდესაც აშკარაა მონაცემე-

<sup>129</sup> საქმე №ბს-644-637(კ-16).

<sup>130</sup> საქმე №ბს-494-489(კ-16).

ბის პირის ინტერესებში გამოყენების საჭიროება, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დადასტურებულია. დარღვევის დასადგენად საკმარისი იყო მოსარჩელის მიერ არასამსახურებრივი მიზნით მონაცემების მოძიებისა და დამუშავების დადასტურება. სააპელაციო პალატამ ჯეროვნად არ შეაფასა აღნიშნული გარემოება. საკასაციო პალატამ იმსჯელა პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობაზე, პირის ნდობაზე განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის მატარებელი ორგანოების მიმართ, პროფესიული ვალდებულებების, პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის საერთაშორისო პრინციპების დაცვის საჭიროებაზე, პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვის რეჟიმში ტრანსფორმირებაზე. უზენაესი სასამართლოს მითითებით, მოხელის მიერ მესამე პირისათვის ინფორმაციის გადაცემის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, სააპელაციო პალატას დამოუკიდებლად უნდა შეეფასებინა მოსარჩელის მიერ საიდუმლო ინფორმაციის არასამსახურებრივი მიზნებისათვის მოძიებისა და დამუშავების ფაქტი, ემსჯელა პირად ცხოვრებაში ჩარევის ინტენსივობის ხარისხზე და დაედგინა მოსარჩელის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომის რელევანტურობა.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ კიდევ ერთი შრომითი დავის<sup>131</sup> არსებითად განხილვის მიზანს მოსარჩელის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული სავარაუდო საპროცესო-სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი დარღვევების ცალსახა გამორიცხვა წარმოადგენდა. ამასთან, საყურადღებო იყო ისიც, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ სხვადასხვაგვარი განმარტება იქნა გაკეთებული სადავო საკითხთან დაკავშირებული გარემოებების თაობაზე. საბოლოოდ, საქმის განხილვის შედეგად საკასაციო პალატამ საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურებთან დაკავშირებით დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდებისა და სამსახურიდან გათავისუფლების საკითხის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა მოხელის მიმართ არსებულ მაღალი ხარისხის ნდობას და გაიზიარა საქართველოს დაზვერვის სამსახურის პოზიცია მასზედ, რომ დაზვერვის სამსახურის საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული თითოეული მოსამსახურის კეთილსინდისიერებასა და სამსახურის მხრიდან მათ მიმართ არსებულ ნდობაზე, ხოლო მოსამსახურის მიერ ფარულობის პრინციპის შეგნებული, გააზრებული დარღვევა ხსენებულ ნდობას საგრძნობლად ამცირებს. ასეთი მოსამსახურის მიმართ სამსახურის ნდობა სამომავლოდ უკიდურესად დიდი საფრთხის შემცველია, ვინაიდან სამსახური თავისი სპეციფიკიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, საქმიანობას ახორციელებს ფარულად და წინმსწრებად (პრევენციულად). შესაბამისად, სამსახური ვერ იქნება უფრო დიდი მასშტაბების ან/და დანაშაულის ნიშნების შემცველი გადაცდომის მოლოდინში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების პირობებში, მართებულად მიიჩნია მოსარჩელის ქმედების უხეშ დისციპლინურ გადაცდომად შეფასება და შესაბამისად, მისთვის დისციპლინური სახდელის სახით სამსახურიდან განთავისუფლების განსაზღვრა. ამასთან, მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე განსაზღვრული შედეგის უცვლელად დატოვებისა, საკასაციო პალატამ დამატებით იმსჯელა საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურის განთავისუფლების მეორე სამართლებრივ საფუძველზე – სამსახურებრივ შეუსაბამობაზე, რა დროსაც ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნა სამსახურებრივი და თანამდებობრივი შეუსაბამობის ტერმინები. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს მითითებით, „დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამსახურებრივი შეუსაბამობა, განსხვავებით თანამდებობრივი შეუსაბამობისაგან, მოიცავს არა მოსამსახურის მხოლოდ კონკრეტულ თანამდებობასთან შეუსაბამობას, არამედ მის შეუსაბამობას უშუალოდ დაზვერვის სამსახურთან და მის საქმიანობასთან მიმართებით. ამდენად, სამსახურებრივი შეუსაბამობის საფუძველი შეიძლება გახდეს როგორც მოსამსახურისათვის კონკრეტული სამსახურის სპეციფიკური საქმიანობისათვის მოთხოვნილი კომპეტენციის, ასევე, ასეთ სამსახურში განსაზღვრული მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო პირადი თუ საქმიანი თვისებების არარსებობა. საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაზვერვის სამსახურის მოსამსახურე კონკრეტული საქმიანობის შესრულებისათვის კომპეტენტური და მაღალი კვალიფიკაციის მქონე იყო, მის მიერ სამსახურის ფარულობის პრინციპის დარღვევა მას პირადი თვისებებით შეუსაბამოს ხდიდა დაზვერვის სამსახურისათვის.

<sup>131</sup> საქმე №ბს-260-260(კ-18).

შრომით დავაზე, რომელშიც სადავო იყო მოსარჩელის მიმართ აღძრული დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველზე გათავისუფლება, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სარჩელის დაკმაყოფილება უარყო საკასაციო პალატამ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა სადავო აქტით გათვალისწინებულ გარემოებებს.<sup>132</sup> სადავო აქტის გამოცემას საფუძველად დაედო უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა, რომლის თანახმად დასტურდებოდა, რომ მოსარჩელემ იმოქმედა არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებით და თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის მეშვეობით საბიუჯეტო სახსრები პირადი სარგებლის მიხედვით გამოიყენა, როდესაც მას ინტერესთა შეუთავსებლობის გამო არ ჰქონდა ასეთი სარგებლის მიღების უფლება, რადგან ეს დაკავშირებული იყო საჯარო სამსახურში მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან, რითაც დაზარალდნენ დახმარების საჭიროების მქონე სხვა პირები და ზიანი მიადგა დამსაქმებელი ადმინისტრაციული ორგანოსა და საერთოდ საჯარო სამსახურის რეპუტაციას. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელეს არ გააჩნდა მისი ოჯახის წევრებთან მიმართებაში არსებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლებამოსილება, რამდენადაც მას ჰქონდა პირადი ინტერესი, რომელიც ზეგავლენას ახდენდა საქმის გადანაცვლებაზე. მოსარჩელე მისი ოჯახის წევრების დაფინანსების საკითხის განხილვისას წარმოადგენდა სზაკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სუბიექტს, რაც აღნიშნული კოდექსის 92-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულებას აკისრებდა მას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრება სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე, რამდენადაც ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო ვალდებული იყო, რომ პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლების კანონიერების შემონახვის შესახებ დავაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად და საფუძვლიანად შეემოწმებინა მოცემულ საქმეზე სადავო ბრძანების კანონიერება.

შრომით დავაზე<sup>133</sup> საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მრავლობითი დარღვევების არსებობის შესახებ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების გაზიარების კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა. მოსარჩელე სადავოდ არ ხდოდა, რომ ადგილი ჰქონდა საქმეში დაცულ მტკიცებულებებში მითითებული მთელი რიგი კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევებს, რომლებიც ატარებდა არაერთგვარად ხასიათს და საქმიანობის შესრულების დროს ქმნიდა მნიშვნელოვან რისკებს. მოსარჩელე სადავოდ ხდოდა მისი გათავისუფლების ბრძანების ფორმალურ კანონიერებას და მიუთითებდა სადავო აქტის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული წესის დარღვევით დასაბუთებაზე. აღნიშნულზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისი კომპეტენციის შესაბამისად, ნორმატიულ საფუძველზე განსაზღვრული ამოცანებისა და მოვალეობის შესრულების მიზნით, ინსპექტირების ჩატარების წესის დაცვით შედგენილი დასკვნით დასტურდებოდა, რომ მოხელის მხრიდან ადგილი ჰქონდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაცდომას, რაც გამოიხატა მის სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეულ შეუსრულებლობასა და არაჯეროვან შესრულებაში. ამდენად, უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება. ასევე, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს მიეცა მითითება დასკვნაში დაფიქსირებულ დარღვევებზე რეაგირების შესახებ. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ გამოვლენილ მრავლობით დარღვევებზე პასუხისმგებელ პირს, მასზე დაკისრებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, წარმოადგენდა დაწესებულების ხელმძღვანელი და მის მიერ მასზე ნორმატიული აქტით დაკისრებული უფლებამოსილების შეუსრულებლობითა და არაჯეროვანი შესრულებით დაირღვა სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპი. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მისი უფლებამოსილების შეუსრულებლობამ და არაჯეროვანმა შესრულებამ გამოიწვია საჯარო დაწესებულების ძირითადი მიზნის სახელმწიფო ორგანოს პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის შეფერხება, რაც სამინისტროს მიზნებთან შეუსაბამო ქმედებად იქნა მიჩნეული საკასაციო პალატის მიერ.

<sup>132</sup> საქმე №ბს-883-875(3კ-16).

<sup>133</sup> საქმე №ბს-1182-1176(2კ-17).

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქმეზე,<sup>134</sup> სადაც მოსარჩელე თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ბრძანების უკანონობის საფუძვლად მის დაუსაბუთებლობაზე მიუთითებდა, ხოლო მოპასუხის – გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მტკიცებით, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება გამგებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენდა და მას დასაბუთების ვალდებულება არ წაეყენებოდა. სადავო საკითხის შეფასებისას საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ორგანული კანონით – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გამიჯნული იყო გამგებლის/მერის მიერ გამგეობის/მერიის თანამდებობის პირთა და გამგეობის/მერიის სხვა მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება, გარდა ამ მუხლის 1<sup>1</sup> და 1<sup>2</sup> პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ვრცელდებოდა გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელზე. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა დანიშვნა-გათავისუფლების მარეგულირებელი ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, გამგებელს გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების დანიშვნა-გათავისუფლებაზე მინიჭებული ჰქონდა ფართო დისკრეცია და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის გაუთვალისწინებლად (რომელიც არ ვრცელდებოდა გამგეობის თანამდებობის პირებზე), მხოლოდ მის უშუალო შეხედულებაზე იყო დამოკიდებული აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა, განსხვავებით სხვა მოსამსახურეთაგან, რომელთა შრომითსამართლებრივი ურთიერთობების რეგულაციისას გამოიყენებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესი. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი წარმოადგენდა გამგეობის თანამდებობის პირს, რომელსაც გამგებელი ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძველზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა საკუთარი შეხედულებით. აღნიშნულ მსჯელობას ადასტურებდა ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით (59-ე და 60.4 მუხლები), გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს უფლებამოსილება განესაზღვრებოდა გამგებლის უფლებამოსილების ვადით და ეს უფლებამოსილება, სხვა საფუძველზეთან ერთად, უწყებოდა გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში. ამასთან, მოსარჩელის თანამდებობაზე დანიშვნა მოხდა სწორედ გამგებლის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, კონკურსისა და თანამდებობის დასაკავებლად კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. ანალოგიური სამართლებრივი შეფასება მიეცა საკასაციო სასამართლოს მიერ განხილულ კიდევ ერთ საქმეს,<sup>135</sup> სადაც დავის საგანს ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ადიგენის მუნიციპალიტეტის ბრძანების კანონიერება წარმოადგენდა. მოსარჩელე სადავო ბრძანების უკანონობის საფუძვლად ამ შემთხვევაშიც მის დაუსაბუთებლობაზე მიუთითებდა, ხოლო მოპასუხის – ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის მტკიცებით, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება გამგებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენდა და მას დასაბუთების ვალდებულება არ ეკისრებოდა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის პირველი მოადგილე წარმოადგენდა გამგეობის თანამდებობის პირს, რომელსაც გამგებელი ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძველზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა საკუთარი შეხედულებით.

**აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 1 ივლისიდან ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამ ახლებურად დაარეგულირა საჯარო შრომითსამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, რამაც შრომით დავებში აღნიშნული კანონის დანაწესთა განმარტების საჭიროება წარმოშვა.**

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ პრეცედენტული განმარტება გააკეთა ახალ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან დაკავშირებით,<sup>136</sup> სადაც და-

<sup>134</sup> საქმე №ბს-894-886(კ-16).

<sup>135</sup> საქმე №ბს-237-237(კ-18).

<sup>136</sup> საქმე №ბს-234-234(2კ-18).

ვის საგანს წარმოადგენდა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების დადგენა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სადავო ბრძანების უკანონობის თაობაზე, თუმცა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას დაკავებულ თანამდებობაზე მოსარჩელის აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, მოცემული საკითხი იმ ეტაპისთვის არ ექვემდებარებოდა სასამართლოს კონტროლს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურას წარმოადგენდა, რის გამოც დამატებით ამ მოთხოვნაზე მსჯელობა სცილდებოდა სასამართლო უფლებამოსილების ფარგლებს და ამ ნაწილში სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას. საკასაციო სასამართლომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118.3 მუხლი განმარტა სისტემურად, რიგი საპროცესო-სამართლებრივი მექანიზმების მიმოხილვის საფუძველზე და მიიჩნია, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილობის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება მოხელის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ წარმოადგენს ექსკლუზიურ, გამომრიცხველი ხასიათის კომპეტენციას. აღნიშნული ვალდებულების ექსკლუზიურობას არ ადგენს არც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და არც სხვა რომელიმე საკანონმდებლო აქტი. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოსათვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მხოლოდ აღნიშნული ვალდებულების დაკისრების ფაქტი არ გულისხმობს სასამართლო კომპეტენციის გამორიცხვას, იმსჯელოს მოსარჩელის პირვანდელ, უფლების შელახვამდე არსებულ მდგომარეობაში აღდგენის საკითხზე და გადწყვიტოს იგი. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასება ადმინისტრაციული ორგანოს აღნიშნული კომპეტენციის ექსკლუზიურობასა და მოხელის აღდგენის თაობაზე სასამართლო კომპეტენციის გამორიცხვასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, საჯარო დაწესებულების მხრიდან ხსენებული ვალდებულების განხორციელება/განუხორციელებლობისა და ჯეროვანი თუ არაჯეროვანი შესრულების კონტროლის შესაძლებლობის გამორიცხვას გულისხმობს, რაც თავის მხრივ, არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესს, რომლის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, რომლის საფუძველზეც, სასამართლო ხელისუფლება კონტროლს უწევს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას.

საკასაციო სასამართლომ არსებითად განხილულ ერთ-ერთ საქმეზე<sup>137</sup> ასევე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლთან, კერძოდ, სამსახურში აღდგენის საკითხთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კონკრეტული სამსახური წარმოადგენდა იმ სამსახურის იდენტურს, სადაც მოსარჩელე მუშაობდა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან დავის განხილვის მომენტამდე არაერთხელ შეიცვალა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იმ სამსახურის დასახელება, რომელშიც მოსარჩელე მუშაობდა. საკასაციო სასამართლომ შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობითა და მათი ურთიერთშეჯერებით მიიჩნია, რომ მხოლოდ განყოფილებების სახელწოდებათა მსგავსება არ შეიძლება მიჩნეულიყო იმის დასტურად, რომ სახეზე იყო იდენტური სამსახურები. საკასაციო სასამართლომ აღნიშნულთან მიმართებით გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ საქმეზე მითითებული დებულებების შინაარსობრივი შედარებით ცალსახად დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ შესაძარებელი სამსახურები სხვადასხვა ფუნქციების მატარებელი იყო. ამასთან, ერთმნიშვნელოვნად არ დგინდებოდა, თუ რომელი სამსახური ახორციელებდა იმავე ფუნქციებს, საიდანაც გათავისუფლებულ იქნა მოსარჩელე. ამდენად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც მოსარჩელე აღდგებოდა განთავისუფლებამდე არსებული სამსახურის **ტოლფას თანამდებობაზე**. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხეს – ქალაქ თბილისის მერიას მოსარჩელის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენისას უნდა ეხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლით დადგენილი პროცედურებით.

საკასაციო პალატამ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით (27.10.156.4346-ს)

<sup>137</sup> საქმე №ბს-610-610(კ-18).

გათვალისწინებულ სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელის უფლებების აღდგენაზე მნიშვნელოვანი მითითებებით დაუბრუნა სააპელაციო პალატას საქმე განსახილველად<sup>138</sup> და განმარტა, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის, სასამართლო განხილვის დროს არსებითა სააპელაციო პალატამ გამოიკვლიოს, რამდენად არსებობს მოსარჩელის სამსახურში იმავე თანამდებობაზე აღდგენის შესაძლებლობა/შეუძლებლობა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელის თანამდებობა დაკავებულია სხვა მოხელის მიერ და მისი დანიშვნის კანონიერება არ არის სადავო, სააპელაციო პალატამ ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით (სასკ-ის მე-19 მუხ.) მტკიცებულებათა გამოთხოვის გზით, უნდა გამოიკვლიოს ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების სახეები, მათი შემადგენლობა და დასაქმებულ პირთა რაოდენობა, გამოკვლევას საჭიროებს ასევე საკითხი, ხომ არ აქვს ადგილი ერთი სამსახურის/თანამდებობის ფორმალურ მონაცვლეობას ერთსა და იმავე ან ზემდგომ/ქვემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და არსებობს თუ არა საჯარო დაწესებულებაში იმავე დატვირთვის და ფუნქციური მახასიათებლების მქონე თანამდებობა. მითითებული საკითხის გამოკვლევა ატარებს მნიშვნელოვან დატვირთვას იმავე დაწესებულებაში მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობაზე, ან ტოლფას თანამდებობაზე მისი აღდგენის კუთხით. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო პალატას ჰქონდა შესაძლებლობა, მისთვის სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სარწმუნოდ დაედგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რამდენადაც აღნიშნული განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის გარეშე შეუძლებელი იყო საქმეზე კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანა.

სააპელაციო პალატას ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა საქმე,<sup>139</sup> რომელშიც მოსარჩელე ითხოვდა რეორგანიზაციის გამო საჯარო სამსახურიდან მისი გათავისუფლების შესახებ აქტის ბათილად ცნობას, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას, სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ცალკე წარმოებად გამოიყო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ მოთხოვნა და განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომელმაც დაიწყო დავა განსჯადობის შესახებ, უზენაესი სასამართლოს მიერ დადგინდა მოთხოვნის ადმინისტრაციული წესით განხილვა. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტამდე საქალაქო სასამართლომ განაგრძო დანარჩენ მოთხოვნებზე არსებითი მსჯელობა და სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, მოხელის გათავისუფლების შესახებ აქტი სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი, სააპელაციო პალატამ უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გასაჩივრდა ორივე მხარის მიერ. უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას დადგინდა დავის საგნის დაზუსტების საჭიროება, აღინიშნა, რომ აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის საფუძვლიანობისა და აქტის კანონიერების შემოწმების ფარგლებში უნდა მომხდარიყო დისკრიმინაციის ფაქტის არსებობაზე მსჯელობა. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე გადაწყვეტეს დავა, რომ არ უმსჯელიათ ორგანოს მხრიდან მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობაზე და აღნიშნული საფუძვლით მის გათავისუფლებაზე. სადავო აქტის კანონიერების შეფასება „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997წ. კანონის ნორმებთან არ იქნა საკმარისად მიჩნეული, რადგან აქტის კანონიერების განსაზღვრისთვის გადამწყვეტი იყო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგამომდინარე მოთხოვნებია და ისინი ერთად უნდა განხილულიყო. გარდა ამისა სააპელაციო პალატამ სრულყოფილად არ დაადგინა საქმის გარემოებები, სათანადოდ არ განსაზღვრა ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და მისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები რეორგანიზაციამდე და მის შემდეგ, კონკრეტული თანამდებობის იდენტიფიკაციის დადგენის მიზნით სააპელაციო პალატას დეტალურად არ გაუანალიზებია რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ყველა სტრუქტურული ერთეული, სათანადოდ არ გამოკვლეულა აგრეთვე ახალი საშტატო ერთეულების წარმოქმნის საკითხი, არ შეფასებულა ახალ საშტატო ერთეულზე მოსარჩელის გადაყვანის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია საკასაციო სასამართლოს მიერ 2018 წელს განხილული მოხელის დისკრიმინაციული ნიშნით სამსახურიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი შრომითი და-

<sup>138</sup> საქმე №ბს-376-376 (2კ-18).

<sup>139</sup> საქმე №ბს-834-826(2კ-16).



ვა,<sup>140</sup> სადაც საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტისათვის არსებით მნიშვნელობას იძენდა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, რამდენადაც ხსენებული უკავშირდებოდა სადავო აქტის ბათილად ცნობას და სამსახურში აღდგენას. თუმცა, ამავდროულად, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ სადავო აქტის გამოცემის საფუძველი იყო მოსარჩელის განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ მიუთითა გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობაზე დანიშვნის წესზე და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობაზე პირის დასანიშნად საჭირო იყო, უპირველ ყოვლისა, ამის თაობაზე გამგებლის ნება-სურვილის გამოხატვა. ამასთან, გარკვეულწილად გამგებლის წარმომადგენლის მუშაობაზე იყო დამოკიდებული ტერიტორიული ერთეულის გამართული და სტაბილური ფუნქციონირება, შესაბამისად, ბუნებრივი იყო, რომ გამგებელი ამ თანამდებობაზე დასანიშნად შეარჩევდა ისეთ პირს, რომელთან მუშაობაც არ გაუჭირდებოდა და მისი დახმარებით წარმართავდა მუნიციპალიტეტის ეფექტიან საქმიანობას. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს განმარტებები იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო ჩატარებინა ადმინისტრაციული წარმოება და გამოერკვია, მოსარჩელის მიერ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების დაწერა წარმოადგენდა თუ არა მის ნამდვილ ნებას. ხსენებულის საპირისპიროდ, საკასაციო პალატის მიერ განიმარტა, რომ საქმის ფაქტობრივ გარემოებათა კვლევისა და დადგენის საპროცესო-სამართლებრივი მექანიზმები თითოეულ შრომით-სამართლებრივ დავაში მიმართული უნდა იყოს იქითკენ, პირის ნების ფორმირება – შინაგანი სურვილი და მისი გარეგნული გამოხატულება თანხვედრაშია თუ არა, მისი მიზანი დანამდვილებით არის თუ არა შრომითი ურთიერთობიდან გასვლა, ადმინისტრაციის (დამსაქმებლის) უფლება – დააკმაყოფილოს პირის ნება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, მართლზომიერად არის თუ არა გამოყენებული.

ასევე შრომით დავაზე, რომელშიც მოსარჩელე სადავოდ ხდიდა პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერებას<sup>141</sup> საკასაციო პალატამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და ახალი გადაწყვეტილებით უარი უთხრა მოსარჩელეს მოთხოვნაზე. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება მოსარჩელეზე ზენოლის განხორციელების საფუძველზე განცხადების დაწერის თაობაზე არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით. საკასაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლის შესაბამისად, პირის იძულება, დაწეროს განცხადება საკუთარი ინიციატივით სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე, ან სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამ წლამდე ვადით ან უამისოდ. მოცემულ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი წესით სასამართლოს მითითების საფუძველზე ჩატარებული შემოწმებით – უტყუარად და სარწმუნოდ დაადგინა პირის ნების გამოხატვის ნამდვილობის საკითხი. უფლებამოსილების ფარგლებში ჩატარებული შემოწმებით დგინდებოდა, რომ მოსარჩელის მიერ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა არ იყო პროვოცირებული ძალადობის, იძულების, მუქარის, შანტაჟის, დაპირისპირებისა და სხვა პირის არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებით ჩამოყალიბებული ან განპირობებული და განცხადების დაწერისას იგი თავისუფლად გამოხატავდა მის ნებას. ამდენად, პირის სურვილი, აღარ იყოს დასაქმებული საჯარო სამსახურში უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მიჩნეულ იქნა მისი კონსტიტუციური ნების გამოვლენად და დამსაქმებელს მიეცა რეკომენდაცია გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი დასაქმებულის გათავისუფლების შესახებ – წერილობითი განცხადების საფუძველზე თავისი ინიციატივით, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 95-ე მუხლის შესაბამისად. მოსარჩელე არ უთითებდა რა შინაარსის ზენოლისა და მუქარის საფუძველზე მიმართა ადმინისტრაციას გათავისუფლების მოთხოვნით, ხოლო მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ განხორციელდა ზენოლა, არ შეიძლება საფუძველად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას და აღნიშნული გარემოებები უნდა დასტურდებოდეს სათანადო მტკიცებულებით, რაც მოცემულ შემთხვევაში ემყარებოდა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებას მის მიმართ განხორციელებულ იძულების ფაქ-

<sup>140</sup> საქმე №ბს-663-659(კ-17).

<sup>141</sup> საქმე №ბს-802-794(კ-16).

ტზე და საქმეზე დაკითხული არც ერთი მოწმის ჩვენებით არ დგინდებოდა. საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იძულება არ არის ფაქტი, იძულება არის სამართლებრივი შეფასება ფაქტებისა, რაზეც მიუთითებს მოსარჩელე და წარადგენს მტკიცებულებებს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს არათუ არ წარუდგენია სათანადო მტკიცებულებები, სამართლებრივი შეფასებისათვის შესაბამის ფაქტებსა და მტკიცებულებებზეც არ ჰქონია მითითება. შესაბამისად, საკასაციო პალატის მოსაზრებით სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მტკიცების ტვირთი არასწორად გაანაწილა, ასევე არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმები.

მნიშვნელოვანი განმარტებები იქნა გაკეთებული ასევე ერთ-ერთ შრომით დავაზე,<sup>142</sup> სადაც საკასაციო სასამართლომ, მართალია, გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დამდგარი შედეგი, თუმცა სადავო საკითხის ამგვარი გადაწყვეტის კანონიერება დამატებითი არგუმენტაციით დაასაბუთა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გამოსაცდელი პერიოდის არსებობა გამორიცხავს მოხელესა და დამსაქმებელს შორის სრული ხარისხის ნდობის არსებობას, რამდენადაც გამოსაცდელ პირობებში მოხელის ქცევით საჯარო დაწესებულება მასზე სადამკვირვებლო რეჟიმის გავრცელებას ახდენს, რაც ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოხელის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, მოხელის მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ სრული ნდობის არარსებობაზე მიუთითებს. ასეთ ვითარებაში, გამოსაცდელი პერიოდის დასრულების შემდგომ საჯარო დაწესებულება მოხელის თანამდებობაზე დატოვებისა თუ მისი გათავისუფლების, როგორც ორი ალტერნატიული, კანონიერი შედეგის მიმართ აღიჭურვება დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც იგი ერთპიროვნულად წყვეტს მოხელესთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელების მიზანშეწონილობას. შესაბამისად, ასეთ პირობებში, სასამართლო ვერ შეიჭრება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციაში და თავად ვერ განუსაზღვრავს მას გამოსაცდელი პერიოდის შედეგების საფუძველზე არასასურველად მიჩნეული პირის კონკრეტულ თანამდებობაზე საქმიანობის მიზანშეწონილობას. ამდენად, საკასაციო სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა მოხელის გამოსაცდელ პერიოდში და გამოსაცდელი პერიოდის შემდგომ გათავისუფლების საკითხის კანონიერების შემოწმების კუთხით ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე სასამართლო კონტროლის ფარგლები და აღნიშნა, რომ განსხვავებით გამოსაცდელი პერიოდისაგან, გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდგომ მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის გაგრძელება მოხელის მიერ აღნიშნული პერიოდის წარმატებით გადალახვაზე მეტყველებს. შესაბამისად, რამდენადაც მითითებულ შემთხვევაში მოსარჩელეს გადალახული ჰქონდა გამოსაცდელი ვადა, მისი თანამდებობიდან გათავისუფლებისას იზრდებოდა საჯარო დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტიც. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლება, მით უფრო შტატების შემცირების საფუძველით, რა დროსაც კონკრეტულ პირთა თანამდებობაზე შენარჩუნება საუკეთესოს შერჩევის პრინციპით უნდა წარიმართოს, ობიექტურ, ცხად და გამჭვირვალე პროცესსა და კრიტერიუმებს უნდა ეფუძნებოდეს, რაც შედეგობრივად განთავისუფლებულ პირს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, სრულად აღიქვას და გაიაზროს მისი განთავისუფლების, ასევე, მასთან შედარებით სხვა კონკრეტულ პირთათვის უპირატესობის მინიჭების საფუძველები.

2018 წელს განხილულ შრომით დავებს შორის განსაკუთრებული სპეციფიკით გამოირჩევა ასევე **საექიმო საქმიანობის განხორციელებასთან** დაკავშირებული საქმეები. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ დავაზე<sup>143</sup> საკასაციო სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა დისციპლინური და პროფესიული სახდელები, კერძოდ, აღნიშნა, რომ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი განხორციელებისთვის დაკისრებული სახდელი თავისი ბუნებით დისციპლინური, ანუ კერძო-სამართლებრივია, რომელიც შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარეობს და სწორედ ასეთი ურთიერთობის მომწესრიგებელი აქტებით რეგულირდება, მაშინ, როდესაც პროფესიული პასუხისმგებლობის დაკისრება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდება და პასუხისმგებლობის აღნიშნული სახე მინაარსით, ცალსახად, საჯარო-სამართლებრივ სახდელს წარმოადგენს. აღნიშნულ საქმეზე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამედიცინო დაწესებულების ექიმთათვის კანონმდებლო-

<sup>142</sup> საქმე №ბს-664-664(კ-18).

<sup>143</sup> საქმე №ბს-257-257(კ-18).

ბით განსაზღვრულ დისციპლინურ, ადმინისტრაციულ, პროფესიულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობათა განსხვავებული სამართლებრივი ხასიათის, აგრეთვე, მათი დაკისრებით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და განსხვავებული მიზნების მიღწევის საჭიროების ფონზე, პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული თითქოს ალტერნატიული შემცველობის დანაწესი, ამგვარი შინაარსის მიუხედავად, ცალ-ცალკე რამდენიმე მათგანის გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ემსჯელა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიმართ დარღვევის გამოვლენიდან 2 წლის გასვლის შემდგომ პროფესიული სახდელის ხანდაზმულობის საკითხზე, რომელზედაც ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მხრიდან ყურადღება არ გამახვილებულა. კერძოდ, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია ექიმის მხოლოდ წერილობითი გაფრთხილებისათვის 5-წლიან ხანდაზმულობის ვადა, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ დარღვევის ჩადენისა და არა აღნიშნული დარღვევის გამოვლენის ფაქტთან. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ კანონმდებლობა განსაზღვრის მიღმა ტოვებს იმას, თუ დარღვევის გამოვლენიდან რა ვადაში შეიძლება დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიმართ პროფესიული სახდელის გამოყენება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის განუსაზღვრელობის პირობებშიც კი, პროფესიული განვითარების საბჭოს მხრიდან ექიმის მიერ გადაცდომის ჩადენაზე არაგონივრულ ვადაში რეაქციის გამოვლენა პროფესიული სახდელის მოცემული სახის გამოყენების ეფექტურობას მნიშვნელოვნად ამცირებდა და, შესაბამისად, ზრდიდა გადაცდომის ჩადენის გამოვლენიდან 2 წლის გასვლის შემდგომ ამგვარი სახდელის გამოყენების რელევანტურობის, მართებულობის და აუცილებლობის დასაბუთების ხარისხის საჭიროებას. ამდენად, საკასაციო სასამართლომ საბოლოოდ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, ბათილად ცნო პროფესიული სახდელის დაკისრების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სახდელის შემფარდებელ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა, რა დროსაც მას უნდა ემსჯელა და დაესაბუთებინა გადაცდომის ჩადენასა და მის გამოვლენას შორის 2-წლიანი მონაკვეთის გათვალისწინებით, რატომ იყო რელევანტური, საჭირო და ალტერნატიული ღონისძიებებიდან ყველაზე მისაღები კონკრეტული სახდელის შესაბამისი ზომით გამოყენება და რატომ ვერ მიიღწეოდა აღნიშნული შედეგი უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობის დაკისრების გზით.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ასევე მნიშვნელოვანი გადანყვეტილება მიიღო საექიმო საქმიანობის არასწორად წარმართვისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით.<sup>144</sup> საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პასუხისმგებლობის დაკისრებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, მის შეფარდებამდე დარღვევის არარსებობა, გადაცდომის სიმძიმე, პიროვნება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს პროფესიული პასუხისმგებლობის გამოყენებულ სახის ადეკვატურობას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ექიმისთვის სერტიფიკატის მოქმედების 6 თვის ვადით შეჩერება აბსოლუტურად შეუსაბამო, არაადეკვატური და ლოიალური გადანყვეტილება იყო ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებაში, რომელსაც მოჰყვა უმძიმესი შედეგი – პაციენტის გარდაცვალება. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ევროსასამართლოს პრაქტიკის განზოგადება და მიუთითა კონკრეტულ საქმეებზე.

გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ სააპელაციო პალატის გადანყვეტილების გაუქმებას ყოველთვის მისი უსწორობა არ განაპირობებს, ზოგ შემთხვევაში შეცვლილი ნორმატიული რეგულირება მისი გამოტანის დროს სწორ და დასაბუთებულ გადანყვეტილებას კანონშესაბამოდ აქცევს. მაგალითად, **მიუღებელი ხელფასის ანაზღაურებასთან დაკავშირებით** ერთ-ერთ დავაში სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების გასაჩივრების ვადაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილების გათვალისწინებით, უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება.<sup>145</sup> მოცემულ საქმეში პირი სამსახურიდან გათავისუფლდა ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის დროს. მოსარჩელე ითხოვდა გათავისუფლების შესახებ აქტის ბათილად ცნობას,

<sup>144</sup> საქმე №ბს-744-740(კ-17).

<sup>145</sup> საქმე №ბს-189-188(კ-16).

სამსახურში აღდგენას და სრულ იძულებით განაცდურს. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც სააპელაციო პალატამ მართებულად შეცვალა, მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ ორგანოს გადანყვეტილება ბათილად ცნო, მოპასუხეს დაავალა მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენა, თუმცა განაცდურის ანაზღაურება ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკისრა მხოლოდ 3 თვის ოდენობით. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება გასაჩივრდა ორივე მხარის მიერ, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს საკასაციო საჩივარი, რომელშიც მოთხოვნილი იყო სააპელაციო პალატის გადანყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, დაუშვებლად იქნა ცნობილი. ამდენად, საკასაციო პალატამ იმსჯელა მხოლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ოდენობაზე. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დავის გადანყვეტისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, მასში ასახული მიდგომები, რადგან მისი გამოტანა მოხდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილების ძალაში შესვლამდე. კომპენსაციის ზედა ზღვრის შეზღუდვა ლახავს პირის კონსტიტუციურ უფლებას თანამდებობრივი სარგოს სახით მიუღებელი შემოსავლით გამონვეული ზარალის სრულად ანაზღაურებაზე. ამდენად, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში საკასაციო პალატის მიერ მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა იძულებითი განაცდურის სრული ანაზღაურება.

ასევე მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების შეცვლით მიიღო ახალი გადანყვეტილება,<sup>146</sup> სადაც სარჩელი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების ვადა, მართალია, ამოიწურა, თუმცა იგი გაგრძელდა დაახლოებით ორი თვით. საკასაციო სასამართლოს მითითებით, დავის სწორად გადანყვეტისათვის უპირველესად უნდა შეფასებულიყო მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, იგი წარმოადგენდა კერძო სამართლებრივ თუ საჯარო სამართლებრივ – ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა შეფასებულიყო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების საკითხი, ვინაიდან განსხვავებულია ასეთ ხელშეკრულებათა დადებისა და ვადის გაგრძელების წესი და ფორმა, ასევე, მათი სამართლებრივი ბუნება. საკასაციო სასამართლომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიიჩნია და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 69-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების ერთადერთი ლეგიტიმური ფორმა არის წერილობითი და მისი გაგრძელებაც ასევე უნდა გაფორმდეს წერილობით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ხელშეკრულების არარსებობის პირობებში კი მოსარჩელეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა. ამასთან, ვალის აღიარების საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის ვალის აღიარებად მიჩნევისთვის, მასში პირდაპირ, ნათლად და გარკვევით უნდა იყოს გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს ნება ვალის გადახდის თაობაზე. ამასთან, იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამავე ორგანოს მხრიდან ვალის გადახდის დაპირების ელემენტს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მომავალში დაუბრუნდება ამ საკითხს და ანაზღაურებს დავალიანებას.

საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე<sup>147</sup> მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. საქართველოს კანონის 127-ე მუხლთან მიმართებით, კერძოდ, საკასაციო სასამართლომ სამართლებრივად დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რისი გათვალისწინებითაც, გააუქმა გასაჩივრებული გადანყვეტილება და ახალი გადანყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის მისი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე ანაზღაურება დაავალა. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს განმარტება იმის თაობაზე, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალდებულება, მოსარჩელისათვის შეერჩია და შეეთავაზებინა კონკრეტული ვაკანტური თანამდებობა,

<sup>146</sup> საქმე №ბს-719-719(კ-18).

<sup>147</sup> საქმე №ბს-647-640(2კ-კს-16).

არ ქმნიდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის მეორე წინადადებით გათვალისწინებულ ფაქტობრივ წანამდღვრებს, რათა ანაზღაურებულიყო მოთხოვნილი განაცდური ხელფასი. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ შეფასების მიღმა დატოვებულ ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, საგულისხმო იყო, რომ წელთა ნამსახურობისა და ღვანლის გათვალისწინებით, მოსარჩელე ყოველთვიური ხელფასის სახით 3500 ლარს ღებულობდა, რაც წარმოადგენდა წოდებრივ უცვლელ სარგოს, რა თანამდებობაზეც არ უნდა ყოფილიყო იგი დანიშნული. ამ კატეგორიის მოხელეებისთვის ცალსახად დადგენილი იყო ყოველთვიური ხელფასი – 3500 ლარი.

არსებითად განხილულ კიდევ ერთ შრომით საქმესთან<sup>148</sup> მიმართებით, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდგომ 2-თვიანი თანამდებობრივი სარგოს, როგორც კომპენსაციის, გაცემის ნაწილში მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, სადაც საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სადავო საკითხი ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით მოანესრიგა. კერძოდ, საკასაციო პალატის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ ჰქონდა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ, მართალია, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და ამავე ბრძანებით განისაზღვრა მისთვის ფულადი კონპენსაციის სახით 2 (ორი) თვის თანამდებობრივი სარგოს ჩარიცხვა, თუმცა აღნიშნული ბრძანების გამოცემიდან მეორე დღეს, იგი კვლავ დაინიშნა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოში ერთ-ერთი განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად 2017 წლის 2 მაისიდან 1 ივლისამდე, ხოლო 2017 წლის 30 ივნისიდან იგი დაინიშნა იმავე პოზიციაზე მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. საკასაციო სასამართლომ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლზე, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, დანესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო. საკასაციო სასამართლომ აღნიშნული ნორმა მიზნობრივად განმარტა, კერძოდ, მიუთითა, რომ დასახელებული კომპენსაციის გაცემის მიზანი სამუშაოდან გათავისუფლებული პირისათვის სხვა სამუშაოს პოვნამდე არსებობის შენარჩუნების მინიმალური ფინანსური უზრუნველყოფა იყო. აღნიშნული დახმარება უმუშევრად დარჩენილი მოხელის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენდა. საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსარჩელე უწყვეტად, დავის განხილვის დღემდე აგრძელებდა მუშაობას და იღებდა მისი პოზიციისათვის შესაბამის თანამდებობრივ სარგოს. შესაბამისად, იგი არ იმყოფებოდა სამსახურის დაკარგვის საშიშროების ქვეშ, ერთი დღეც არ დარჩენილა უმუშევარი, სამსახურის დაკარგვის გამო იგი არ ჩავარდნილა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სრულიად კანონიერად იქნა გაუქმებული 2 თვის თანამდებობრივი სარგოს სახით კომპენსაციის მიცემა მოსარჩელის იმავე დაწესებულებაში სხვა თანამდებობის დაკავების გამო.

**არსებითად განხილულ დავათა შორის საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ასევე შვებულებასთან დაკავშირებული საკითხებიც.** კერძოდ, შრომით დავაზე,<sup>149</sup> რომელშიც საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა 2012 და 2013 წლების გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების ანაზღაურების ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრების ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის იმ მუხლებით, რომელიც მის მიერ საქმის განხილვისას ჯერ არ იყო ამოქმედებული. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მიხედვით ყველას აქვს პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება; ამდენად, დასაქმებულის უფლება – ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით რეალიზდება დამსაქმებლის ვალდებულებით, უზრუნველყოს დასაქმებულის ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა. შვებულება არის დასაქმებულის უფლება, რომლის რეალიზება დასაქმებულის ნების გამოვლენაზე დამოკიდებული. საქართველო „ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4 ივნისის კონვენციის მონაწილეა (რეტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის

<sup>148</sup> საქმე №ბს-453-453(კ-18).

<sup>149</sup> საქმე №ბს-651-644(2კ-16).

22 თებერვლის დადგენილებით), რომელიც აღიარებს შვებულების უფლების გამოყენებას და ავალდებულებს ამ კონვენციის მონაწილე ყველა მხარეს უზრუნველყოს ამ უფლების დაცვა. ამასთან, კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად, „ეროვნული კანონები ან წესები შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ პირმა, რომელიც თავისი ყოველწლიური შვებულების განმავლობაში იმუშავეს ფასიან სამუშაოზე, შეიძლება დაკარგოს შვებულების პერიოდის ანაზღაურება“. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეს შეეძლო, მოეთხოვა 2012 და 2013 წლების კუთვნილი შვებულების ანაზღაურება, შრომის კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობის – შვებულების მომდევნო წლისათვის გადატანის უფლების გამოყენების შემთხვევაში, რაც მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

## სოციალური დავები

სოციალური დავები მოიცავს ურთიერთობათა ფართო სპექტრს. სოციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი კანონმდებლობის კომპლექსური ხასიათი, სოციალური უფლების სუბიექტთა არაერთგვაროვნება, ზოგ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ნორმათა არასათანადო განმარტება და ფაქტობრივი გარემოებების არასრულყოფილად გამოკვლევა, ხშირად წარმოშობს მსგავსი კატეგორიის დავებს. როგორც წესი, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ საკითხის სწორად გადაწყვეტა ხდება, თუმცა არსებობს გამოწვევები. საკასაციო სასამართლოს მიერ 2017-2018 წლებში არსებითად განხილულ საქმეთაგან ხაზგასასმელია დავები, სადაც გამოვლენილ იქნა არა მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი დებულებების არასწორად განმარტება-შეფასების პრობლემატიკა, არამედ ასევე საპროცესო-სამართლებრივი ხარვეზებიც, რამაც რიგ შემთხვევებში საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი წარმოშვა. თავდაპირველად აღსანიშნავია საპენსიო დავები, რომლებიც მეტწილად პენსიის უკანონო შეჩერება-შენწყვეტას შეეხებოდა და სადაც მოსარჩელეთა მთავარ მიზანს სწორედ უკანონოდ შეწყვეტილი პენსიის აღდგენა წარმოადგენდა. საპენსიო დავებში საკასაციო პალატამ სოციალური გარანტიების სახით მისაღები პენსია არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის ქრილში მიმოიხილა და მასზე საკუთრების უფლების გავრცელების ფარგლები დაადგინა.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>150</sup> რომელშიც დავის საგანი იყო სახელმწიფო პენსიის შეჩერება და შეწყვეტა, შეფასებას საჭიროებდა არა მხოლოდ შეწყვეტის კანონიერება, არამედ აგრეთვე დასადგენი იყო გამოსაყენებელი ნორმატიული რეგულირება, სააპელაციო პალატამ საკითხის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დებულებებით ისე, რომ არ შეუფასებია აღნიშნული აქტით პენსიის შეწყვეტის საფუძვლების განსაზღვრის დასაშვებობა. საკასაციო პალატამ იმსჯელა კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ნორმათშემოქმედებითი უფლებამოსილების მინიჭების წინაპირობებსა და ფარგლებზე, დელეგირების მნიშვნელობასა და ამოცანაზე, კანონისა და კანონქვემდებარე აქტის ურთიერთმიმართებაზე. უზენაესი სასამართლოს მიერ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის დებულებების ანალიზის შედეგად დადგინდა სახელმწიფო პენსიის გაცემის კანონით გაუთვალისწინებელი საფუძვლით შეწყვეტის დაუშვებლობა. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა ორგანოს მიერ უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, მისი ძალაში ყოფნა არ გულისხმობდა დავის უსათუოდ ამ ნორმის საფუძველზე გადაწყვეტის საჭიროებას, რადგან დავის გადაწყვეტისას სასამართლო უფლებამოსილია ნაკლები იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის იერარქიულად უფრო მაღალი დონის ნორმატიული აქტისადმი შესაბამისობის საკითხი გადაწყვიტოს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით და ასეთი შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში უარი თქვას ნორმატიული აქტის გამოყენებაზე, მისი ფორმალური გაუქმების გარეშე (ინციდენტური კონტროლი). გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ამ საქმეში, ისევე როგორც სხვა არაერთ შემთხვევაშიც, არ დასტურდებოდა ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ სახელმწიფო პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ აქტების გამოცე-

<sup>150</sup> საქმე №ბს-815-807(კ-16).

მა, მათი მხარისათვის გაცნობა, რაც დამატებით ასაბუთებდა სარჩელის საფუძვლიანობას, რადგან ამ სფეროზე მოქმედებს სზაკ-ის ნორმები წარმოების ჩატარების, აქტის გამოცემისა და მისი ადრესატისადმი გაცნობის შესახებ. საკასაციო სასამართლომ კიდევ ერთხელ მიუთითა ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვის, აქტის გამოცემისა და მხარისათვის გაცნობის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.

ამასთან, 2017 წელს განხილულ საქმეთაგან მითითებული დავა არ იყო ერთადერთი, სადაც აღნიშნულ საკითხებზე გამახვილდა ყურადღება. სხვა საქმეში,<sup>151</sup> რომელშიც დავის საგანი ასევე სახელმწიფო პენსიის შეჩერება/შენწყვეტა იყო, ასევე არ დასტურდებოდა სახელმწიფო პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა და ადრესატისათვის ჩაბარება. აღნიშნულ დავაში საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერება-შენწყვეტის კანონით განსაზღვრული საფუძვლების წარმოქმნა თავისთავად არ ქმნის დამოუკიდებელ ინდივიდუალურ რეგულაციას, ისინი წარმოადგენენ კონკრეტული პირის მიმართ სათანადო ინდივიდუალური აქტის გამოცემის პირობას და არა თავად ინდივიდუალურ აქტს. სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერება ხდება არა რეალაქტის ანუ მიმღებისთვის კომპენსაციის გაცემის შეჩერებით, არამედ აღნიშნულის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, რომლის გასაჩივრების ვადის ათვლა ხდება არა შეჩერების კანონით განსაზღვრული პირობის დადგომიდან, არამედ შეჩერების შესახებ აქტის ბენეფიციარისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ოფიციალური ჩაბარების მომენტიდან. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემის პროცესში სზაკ-ით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნების დაცვის საჭიროებაზე, როგორცაა წარმოებაში დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა, საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა, აქტის გამოცემა, მხარისათვის ოფიციალურად გაცნობა და სხვ.. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო პალატის მიერ დადგინდა აქტების გამოცემლობა და შესაბამისად, მათი ადრესატისათვის ჩაუბარებლობა, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სარჩელი მაინც არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ ნორმატიული მონესრიგების გათვალისწინებით მხარეს უნდა ევარაუდა აღნიშნული სამართლებრივი შედეგის (პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის) დადგომა და მიემართა უფლებამოსილი ორგანოსათვის. საკასაციო პალატამ ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ გამარტივებული წარმოება, პროცედურის ეკონომიურობისა და ეფექტურობის მოთხოვნები, არ გულისხმობს ადრესატისათვის აქტის გამოცემის საფუძვლების და გამოცემული აქტის შესახებ ინფორმაციის შეუტყობინებლობას, დაუშვებელია მხარეს დაეკისროს აქტის გასაჩივრების ვალდებულება მისი შინაარსის ოფიციალურად გაცნობამდე. სააპელაციო პალატის მიერ არასწორად შეფასდა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და უგულვებლყოფილ იქნა სზაკ-ით დადგენილი ნორმატიული დანაწესები, რამაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია. უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პენსიის, როგორც სამის-დღემშიო სახელმწიფო გასაცემის დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე, მის შეჩერებასა თუ შეწყვეტასთან დაკავშირებული გადაწვეტილებების მიღებისას სზაკ-ით განსაზღვრული მოთხოვნების ზედმინევით დაცვის აუცილებლობაზე. აღნიშნული განმარტებები უზენაესმა სასამართლომ გაიმეორა 2018 წელს არსებითად განხილულ საქმეშიც,<sup>152</sup> რომელიც ასევე პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონიერებას ეხებოდა. მითითებულ დავაში საკასაციო პალატამ კვლავ გაამახვილა ყურადღება აქტის გამოცემის, ადრესატისათვის აქტის გამოცემის საფუძვლების და გამოცემული აქტის შესახებ ინფორმაციის შეტყობინების საჭიროებაზე.<sup>153</sup>

საკასაციო სასამართლოს მიერ განხილულ კიდევ ერთ საქმეზე იქცა მსჯელობის საგნად პენსიის შეჩერება-შენწყვეტის კანონიერება,<sup>154</sup> სადაც დადგინდა ერთგვაროვან პრაქტიკასთან წინააღმდეგობის საფუძვლით საკასაციო სასამართლოს მიერ გაუქმებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა

<sup>151</sup> საქმე №ბს-365-360(კ-16).

<sup>152</sup> საქმე №ბს-236-234 (კ-16).

<sup>153</sup> აღნიშნულ გარემოებებზე უზენაეს სასამართლოს ფართოდ აქვს ნამსჯელი 2017 წლამდეც, მაგალითად, №ბს-770-762(კ-15) და №ბს-854-836(კ-12) საქმეებში.

<sup>154</sup> საქმე №ბს-575-572(კ-17).

იმავე სასამართლოს. კერძოდ, საკასაციო პალატის მითითებით, ისევე როგორც ზემოხსენებულ დავებში, აღნიშნულ შემთხვევაშიც მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ის გარემოება, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა მოსარჩელის პენსიის შეჩერების, ასევე პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები, რაც საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლოს შეფასების საგანი უნდა გამხდარიყო. სააპელაციო პალატას ასევე უნდა ემსჯელა საცხოვრებელი ადგილის გამო პენსიონერის მიერ თანხების ანგარიშიდან განაღდებას შეუძლებლობის ფაქტთან დაკავშირებით. ამასთან, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა შეჩერებული პენსიის განახლების პირობებში კანონმდებლობით არა უმეტეს ერთი წლის პენსიის მიუღებელი თანხის ანაზღაურების დასაშვებად მიჩნევის თაობაზე. საკასაციო სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და შემდგომში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტა, რომ სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებულ საკუთრებად მიიჩნევა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა საპენსიო გასაცემლის არა თუ ერთი წლის შესაბამისი ოდენობით, არამედ სრულად ანაზღაურების თაობაზე. მიუხედავად საკასაციო სასამართლოს მიერ ერთხელ უკვე განხილულ და სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების დროს გაკეთებული მითითებებისა, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებისას სააპელაციო სასამართლომ სრულად არ გაითვალისწინა საკასაციო პალატის მიერ განსაზღვრული, მხედველობაში მისაღები გარემოებები, კერძოდ, მართალია, საკასაციო სასამართლოს განჩინებით უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით<sup>155</sup> დამდგარი შედეგი, თუმცა შეიცვალა მისი დასაბუთება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლა ადრესატისათვის მის გაცნობაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის გადაწყვეტილებათა გამოცემის და მათი ადრესატისათვის ჩაბარების ან კანონით გათვალისწინებული სხვაგვარი წესით გაცნობის საკითხს ფუნდამენტური მნიშვნელობა მიენიჭა პირის სოციალური გარანტიების დაცვის კუთხით, რამდენადაც პირის ინფორმირებულობა ასეთ პირობებში არსებით გავლენას ახდენს მის მიერ სამომავლოდ განსახორციელებელ მოქმედებებზე. ამასთან, საკასაციო სასამართლომ თავად მიუთითა შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებზე და დაასაბუთა მოსარჩელისათვის მიუღებელი პენსიის სრულად ანაზღაურების მართებულობა.

ანალოგიური განმარტებების ფონზე დასაბუთდა ზემოხსენებულ კატეგორიას მიკუთვნებული საქმე,<sup>156</sup> რომელზეც საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების დასაბუთებაში აღნიშნა, რომ მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და სადავო აქტის ბათილად ცნობით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა მიუღებელი პენსიის ანაზღაურება, მაგრამ სასამართლომ გადაწყვეტილება სამართლებრივად სხვაგვარად დაასაბუთა. სააპელაციო სასამართლომ კი სრულიად დაუსაბუთებლად გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და არგუმენტირებული მსჯელობის გარეშე დააკმაყოფილა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ძირითად მოტივს წარმოადგენდა ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ პენსიის შეჩერების საკითხი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით უნდა გადაწყვეტილიყო. აღნიშნული აქტი კი კანონით დადგენილი წესით უნდა გაცნობოდა პირს, რამდენადაც იგი კანონიერ ძალას მხოლოდ ამის შემდგომ იძენდა.

სახელმწიფო პენსიის შეწყვეტიდან წარმოიშვა დავაც,<sup>157</sup> რომელშიც პირი დასაქმებული იყო ერთ-ერთი სამინისტროს სსიპ-ში, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ დაენიშნა პენსია, რომელიც მოგვიანებით შეუწყდა საჯარო სამსახურში მუშაობის გამო. დაახლოებით 3 წლის შემდეგ პირმა განცხადებით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს პენსიის დანიშვნის მოთხოვნით, რა-

<sup>155</sup> საქმე №ბს-798(კ-18).

<sup>156</sup> საქმე №ბს-78-78(კ-18).

<sup>157</sup> საქმე №ბს-259-259(კ-18).



ზეც უარი ეთქვა საჯარო უწყებაში მუშაობის საფუძვლით. აღნიშნული უარი პირმა სასამართლოში გაასაჩივრა და დამატებით მოითხოვა სრული განაცდური პერიოდის მისაღები პენსიის ჯამური ოდენობის ანაზღაურება. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ აქტის ბათილად ცნობისა და პენსიის გაცემის დავალების მოთხოვნების ნაწილში საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, შესაბამისად, ამ ნაწილში ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიდგომები არ შეცვლილა, თუმცა უზენაესი სასამართლოს მიერ განსხვავებული განმარტებები გაკეთდა განაცდური პენსიის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ იცოდა პენსიის გაცემის შეწყვეტის შესახებ, თუმცა დაახლოებით 3 წლის განმავლობაში რაიმე პრეტენზია ორგანოსათვის არ წაუყენებია. შეწყვეტის კანონიერებასთან მიმართებით მოსარჩელეს არ მიუმართავს არც შიდა და არც გარე ადმინისტრაციული კონტროლის საშუალებებისათვის, არ მიუმართავს ზემდგომი ორგანოსათვის ადმინისტრაციული საჩივრით, არ აღუძრავს სარჩელი სასამართლოში, რითაც ფაქტობრივად დაეთანხმა დამდგარ სამართლებრივ შედეგს – პენსიის შეწყვეტას. ამასთანავე, პენსიის შეწყვეტაზე გადაწყვეტილების გაუსაჩივრებლობა არ ართმევდა მოსარჩელეს პენსიის ხელახლა დანიშვნის მოთხოვნის უფლებას, რადგან ნორმატიულად განსაზღვრულია პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, საერთო წესით, პენსიის ხელახლა დანიშვნის შესაძლებლობა. ყურადღება ამ საქმეშიც გამახვილდა პენსიის შეჩერებასა და შეწყვეტას, აღდგენასა და ხელახლა დანიშვნას შორის სხვაობაზე. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება გაუქმდა მხოლოდ განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების ნაწილში. იდენტურ საკითხს ეხებოდა საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული კიდევ ერთი გადაწყვეტილება,<sup>158</sup> სადაც ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილება მიუღებელი პენსიის სრულად დაკმაყოფილების ნაწილში არ შეესაბამებოდა მითითებულ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. აღნიშნულ საქმეში, იმ გარემოებებზე მითითებით, რომ პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, არ დადგენილა მისი უკანონობა, ასევე იმის მითითებით, რომ მოსარჩელემ მოითხოვა მხოლოდ სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელი პენსიის სრულად ანაზღაურების პირობა.

პენსიის შეწყვეტის კანონიერებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული დავის გადაწყვეტისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება, შესაბამისად, გარემოებების სასამართლოს მიერ შეფასების აუცილებლობის გათვალისწინებით, საჭიროდ მიიჩნია გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.<sup>159</sup> ზემოხსენებული დავა შეეხებოდა ორი სახელმწიფოს – საქართველოსა და ისრაელის მოქალაქისათვის პენსიის შეწყვეტას მისი მომვლელის განცხადების საფუძველზე, რომელმაც მასზე გაცემული მინდობილობის წარდგენის გზით მოსარჩელის მიერ პენსიის ისრაელში მიღების მოტივით მისი მარნმუნებლისათვის პენსიის შეწყვეტა მოითხოვა. თავის მხრივ, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს პენსიის განახლების მოთხოვნით, თუმცა ისრაელში პენსიის მიუღებლობის შესახებ მის მიერ შესაბამისი ცნობის წარდგენამდე, ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი განუცხადა მოსარჩელეს სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, იკვეთებოდა არა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტობრივი გარემოებების მოპოვების, დადგენის თუ გამოკვლევის საჭიროება, რისი შესაძლებლობაც, შესაძლოა, აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონოდა, არამედ სასამართლოს მიერ მათთვის სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემისა და გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური კანონიერების შემოწმების აუცილებლობა, რისი უფლებამოსილებაც უპირობოდ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა.

საქმეში, რომელშიც მოსარჩელე, როგორც პირველი რიგის მემკვიდრე ითხოვდა გარდაცვლილი

<sup>158</sup> საქმე №ბს-666-666(კ-18).

<sup>159</sup> საქმე №ბს-149-147(2კ-17).

მამის გარდაცვალებამდე მიუღებელი ორი თვის საკომპენსაციო თანხის გაცემას,<sup>160</sup> მოსარჩელის მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლომ უარყო, ხოლო სააპელაციო ინსტანციამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა. საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა სარჩელის საფუძვლიანობის შესახებ კასატორის მოსაზრება და განმარტა, რომ სახელმწიფო კომპენსაცია, ისევე როგორც პენსიის მიღება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პირის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. კომპენსაციის გაცემის შეჩერება არ გულისხმობს მასზე უფლების დაკარგვას, მხოლოდ იმის გამო, რომ კანონქვემდებარე აქტით დადგენილი მოთხოვნები, შეჩერებული სახელმწიფო კომპენსაციის განახლებასთან დაკავშირებით კომპენსაციის მიმღები პირის სიცოცხლეში მიმართვის თაობაზე, არ იქნა დაცული. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ვინაიდან მინდობილობის ვადის გასვლის გამო, გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემის შეჩერების საკითხი და აღნიშნული იცავს სახელმწიფოს გასაცემლის თანხის არამიზნობრივი განკარგვა/მითვისებისგან, შესაძლებელია გაკეთდეს შეფასება, რომ კომპენსაციის გაცემის შეჩერება გულისხმობს ერთნაირი მინდობილობის ვადის გასვლის შემთხვევაში, პროცედურული მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას და არ უნდა იწვევდეს სახელმწიფო კომპენსაციაზე უფლების დაკარგვას. ასევე ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა გარდაცვლილი დედის სიცოცხლეში მიუღებელი პენსია,<sup>161</sup> პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა განსხვავებული გადაწყვეტილებები მიიღეს. საბოლოოდ, საკასაციო პალატამ, ახალი გადაწყვეტილებით „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონზე და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებით, პენსიის მიღების უფლება განიხილა საკუთრების უფლების ქრილში და დააკმაყოფილა მოთხოვნა.

საქმეზე, რომელშიც დავის საგანი იყო ერთჯერადი დახმარების გაცემა და მატერიალური ზიანის ანაზღაურება,<sup>162</sup> პირველი ინსტანციის სასამართლომ უარყო მოთხოვნა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ სარჩელი სრულად დააკმაყოფილა. საკასაციო პალატამ ერთჯერადი დახმარების გაცემის ნაწილში გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგი, რადგან საქმეში წარმოდგენილი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ავადმყოფობის მონუმბით დასტურდებოდა, რომ არსებობდა ერთჯერადი დახმარების სახით გასაცემი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსარჩელეზე უფლების წარმომშობი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული გაცემის საფუძველი. ამასთან, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ და მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შემოწმებისას უპირველესად უნდა დადგინდეს კონკრეტულად ზიანის არსებობა, მიზეზობრივი კავშირი და ზიანის ოდენობა. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა მოსარჩელის მიერ განუხილავ ხარჯის კავშირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებულ ტრავმასთან, ხოლო მოსარჩელის მიერ მკურნალობის ჩატარების პროცესა და მის არასათანადოობასთან დაკავშირებით პრეტენზია არ ყოფილა დაყენებული და სადავოდ არ გამხდარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შესაბამისი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი, რაც შესაძლოა, გამხდარიყო ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

**სოციალური კატეგორიის დავებში ასევე აღსანიშნავია სახელმწიფო კომპენსაციასთან დაკავშირებული საქმეები.** მაგალითად, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე ერთ-ერთ საქმეზე<sup>163</sup> საკასაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით დამდგარი შედეგი, კერძოდ, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ სუბიექტს, ქვედა ინსტანციის სასამართლოების განმარტებები, ისევე როგორც ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები, წინააღმდეგობაში მოდიოდა თავად კომპენსაციის – როგორც დამატებითი სოციალური დაცვის გარანტიის არსთან, სამართალურთიერთობის ამგვარი განმარტებით იგნორირებული იყო კომპენსაციის დანიშვნის მიზნები და იწვევდა პროკურატურის მუშაკთა მიმართ

<sup>160</sup> საქმე №ბს-667-663(კ-17).

<sup>161</sup> საქმე №ბს-400-397(კ-17).

<sup>162</sup> საქმე №ბს-445-445(კ-18).

<sup>163</sup> საქმე №ბს-671-664(კ-16).

თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დარღვევას. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სწორად გამოიყენეს სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, თუმცა არასწორად განმარტეს იგი. კერძოდ, ნორმა არ უნდა ყოფილიყო გაგებული ისე, თითქოს პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდა კომპენსაციას, თუ მას უშუალოდ პროკურატურის ორგანოდან დათხოვნის მომენტიდან ექნებოდა სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი, მათ შორის, პროკურატურის სისტემაში არანაკლებ 4 წლის სტაჟი. პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილ მუშაკს კომპენსაცია მიეცემოდა იმის გათვალისწინებით, რომ პროკურატურის ორგანოებში მუშაობით სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახური ჰქონდა გავლილი. აქედან გამომდინარე, ფაქტს, პირდაპირ პროკურატურის ორგანოებიდან მოხდებოდა პირის განთავისუფლება თუ სხვა ორგანოდან, კომპენსაციის დანიშნვის საკითხთან არ უნდა ჰქონოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან ამით არ იცვლებოდა ის გარემოება, რომ პროკურატურის მუშაკმა განსაკუთრებული შრომა გასწია სახელმწიფოს წინაშე. შესაბამისად, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ნორმაში აღნიშნული ტერმინი „დათხოვნისას“ გულისხმობდა არა უშუალოდ პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნის ფაქტს, არამედ მიუთითებდა პირის სამსახურიდან დათხოვნის მომენტისათვის კომპენსაციის გაანგარიშების წესზე. ნორმა განმარტებული უნდა ყოფილიყო იმგვარად, რომ პროკურატურის მუშაკი კომპენსაციას მიიღებდა პროკურატურის ორგანოდან დათხოვნის მომენტისათვის მისი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის გათვალისწინებით.

**სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხებს** ეხებოდა 2018წ. განხილული საქმე,<sup>164</sup> რომელშიც საკასაციო პალატამ ხაზი გაუსვა სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერებასა და შეწყვეტას შორის, კომპენსაციის განახლებასა და ახლიდან დანიშვნას შორის არსობრივ სხვაობას. უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების წინაპირობებზე, სოციალური უზრუნველყოფის ურთიერთობებში ნორმის უკუძალის გავრცელებაზე, ფაქტების უტყუარად დადგენის მიზნით სათანადო მტკიცებულებების მოძიების, მათი სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების საჭიროებაზე, მსგავსი კატეგორიის დავებში კანონით განსაზღვრული კომპენსაციის მიღების უფლების მქონე სუბიექტთა წრისადმი მოსარჩელის კუთვნილების უტყუარად დადგენის აუცილებლობაზე.

აღსანიშნავია საკასაციო სასამართლოს მიერ განხილული კიდევ ერთი საქმე,<sup>165</sup> სადაც საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სადავო საკითხის ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით მოწესრიგებისას განსაკუთრებული ყურადღება კომპენსაციის ბუნებასა და მისი დანიშნვის მიზნებზე გაამახვილა და მიუთითა, რომ კასატორს სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება მოპოვებული ჰქონდა სასჯელალსრულების სისტემაში მუშაობის შედეგად, მას შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არასოდეს უმუშავია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით კომპენსაციის მიღები გახდა მხოლოდ იმის გამო, რომ სასჯელალსრულების სისტემა გადავიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში. საბოლოოდ, საკასაციო პალატის მსჯელობა წარმართა იმ კუთხით, თუ რომელი ხაზით და რა ოდენობით უნდა მიეღო სახელმწიფო კომპენსაცია მოსარჩელეს, რამაც შედეგად გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვია.

ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც სადავო იყო სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსით,<sup>166</sup> პირველი ინსტანციის სასამართლოს უარი სარჩელზე არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ და ასკ-ის 32.4 მუხლით დაუბრუნა ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხი განსახილველად. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადამწყვეტილება არ ეფუძნებოდა ფაქტობრივი გარემოებების სრულ და ყოველმხრივ გამოკვლევას. სააპელაციო პალატამ საკანონმდებლო რეგულაციების მიუხედავად ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ისეთი გარემოებების გამოკვლევა, რაც განმცხადებლის მიერ უნდა იქნეს წარდგენილი კომპენსაციის მიღების შესახებ განცხადებასთან ერთად, ხოლო სამართალწარმოების ეტაპზე სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული საპროცესო კომპეტენციის გამოყენებით სასამართლოს აქვს შესაძლებლობა მოი-

<sup>164</sup> საქმე №ბს-395-392(კ-17).

<sup>165</sup> საქმე №ბს-1160-1154(კ-17).

<sup>166</sup> საქმე №ბს-13-13(კ-18).

პოვოს მტკიცებულებები. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ მოსარჩელე ექცეოდა სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირთა წრეში, რადგან „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში ნამსახურების გაიგივების კანონით გათვალისწინებული საფუძველი არ არსებობს „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით ჩამოთვლილ პირებთან. მოქმედი კანონმდებლობით კომპენსაციის მიმღებ პირთა წრე ამომწურავად არის ჩამოყალიბებული, რომელშიც არ არის სსრ კავშირის სამხედრო სავალდებულო სამსახური. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეზე დადგენას საჭიროებდა მოსარჩელის სამხედრო წოდება, მისი სამხედრო სამსახურში ნამსახურების საფუძვლები და უნდა დადგენილიყო, რამდენად არის კავშირი შესაძლებლობების შეზღუდვის ფაქტსა და სამხედრო სამსახურში მიღებულ ტრავმას შორის, რადგან, საკითხის მარეგულირებელი კანონით სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირს წარმოადგენს პირი – რომელსაც ასეთი სტატუსი მინიჭებული აქვს „სამედიცინო – სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2017 წელს არაერთი საქმე იქნა განხილული საკასაციო პალატის მიერ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის მინიჭების თაობაზე.<sup>167</sup> თავდაპირველად არ იყო ჩამოყალიბებული მყარი პრაქტიკა და საქმეებში, რომლებშიც სადავო იყო „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული რომელი შემთხვევა ვრცელდება მოსარჩელის მამკვიდრებლის გარდაცვალებაზე, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს, რომელიც საფუძველად დაედო სარჩელის დაკმაყოფილებას, ნორმატიული შინაარსი არ გააჩნია და ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, არ არსებობდა ნორმატიული აქტის პროექტის განმარტებითი ბარათის საფუძველზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს მხოლოდ კანონის საფუძველზე და მისი განმარტების საგანს წარმოადგენს კანონმდებლის ობიექტური მიზნის განსაზღვრა, ხოლო ნორმის განმარტება უნდა ეფუძნებოდეს მოსამართლის მიერ ნორმის აღქმას. როგორც მითითებულ საქმეში, ასევე ანალოგიურ საქმეში<sup>168</sup> საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნორმის სწორად შეფარდებისა და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებით გამოწვეული პოლიციელის დაღუპვის შემთხვევის სწორი კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტია პოლიციელის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და პოლიციელის გარდაცვალებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობა. კერძოდ, პოლიციელის გარდაცვალება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ იმის შედეგად, რომ მან თავისი სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულა ან ასეთ მოვალეობას ასრულებდა „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტში ჩამოთვლილი გარემოებების არსებობის პირობებში და სწორედ პროფესიული უფლებამოსილების განხორციელებას მოჰყვა შედეგად მისი გარდაცვალება. ამ კატეგორიის დავებში საკასაციო პალატა მხოლოდ რამდენიმე დავის განხილვის შემდეგ – 2018 წელს მივიდა საკითხის ამომწურავ განმარტებამდე. კერძოდ, საკასაციო სასამართლომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის გარდაცვალების შემთხვევებთან დაკავშირებულ დავებზე ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების კუთხით არსებითად განიხილა ადმინისტრაციული დავა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებით მიიღო ახალი გადაწყვეტილება,<sup>169</sup> სადაც ერთმანეთისგან გამიჯნა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი და 1<sup>1</sup> პუნქტებით დადგენილი შემთხვევები, რაც განსაზღვრავს გარდაცვლილი პოლიციელის ოჯახისათვის სოციალურ გარანტიებს – ერთჯერადი ფულადი დახმარების ოდენობასა და ყოველთვიური კომპენსაციის მიღების უფლებას. მითითებულ საქმეში

<sup>167</sup> საქმე №ბს-352-349(კ-17).

<sup>168</sup> საქმე №ბს-594-591(კ-17).

<sup>169</sup> საქმე №ბს-942-938(კ-17).

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ტერმინი „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურის გარდაცვალება“ ფართო მოცულობისაა და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებად ითვლება, როგორც ავტოავარიაში დაღუპვა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გარდაცვალება, ასევე ისეთი შემთხვევები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული პოლიციელის პროფესიული საქმიანობის უშუალო განხორციელებასთან. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტით განსაზღვრული შემთხვევა კი გულისხმობს ობიექტური საფრთხის არსებობის პირობებში, უშუალოდ პოლიციური ღონისძიებების განხორციელების პროცესში, პოლიციელის დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევას. ამასთან, მითითებული კატეგორიის დავებთან დაკავშირებით ერთ-ერთ საქმეზე<sup>170</sup> შეფასება მიეცა მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხს, სადაც ხანდაზმულად იქნა მიჩნეული 1992 წლის შემთხვევასთან დაკავშირებით 2016 წელს დაყენებული მოთხოვნა ერთჯერადი ფულადი დახმარების თაობაზე. ვალდებული პირის მიერ მოთხოვნის აღიარებასა და ხანდაზმულობის დენის ხელახლა დაწყებასთან დაკავშირებით კი საკასაციო სასამართლომ მიერ განიმარტა, რომ ადმინისტრაციის მიერ გაცემული დოკუმენტის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვალდებულების აღიარებად განხილვისათვის, საკმარისი არ არის, რომ აღნიშნულ დოკუმენტში დაფიქსირებული იყოს პირის მიმართ ადმინისტრაციული ორგანოს დავალიანების არსებობა; მასში გამოხატული უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ნება, მოცემული უნდა იყო დაპირება, რომ სამომავლოდ ადმინისტრაციული ორგანო აანაზღაურებს დავალიანებას. ასევე განიმარტა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული 100 000 ლარი წარმოადგენს ერთჯერად კომპენსაციას, რომელთან დაკავშირებითაც კანონი უკუქაღალას არ ადგენს, ის ძველ ურთიერთობაზე ვერ გამოიყენება. რაც შეეხება ყოველთვიურ კომპენსაციას 1000 ლარის ოდენობით, რომელიც ეძლევა ოჯახის წევრს, მასთან დაკავშირებით უკუქაღალა დაადგინა კანონმა.

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე ითხოვდა მისი შვილის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალების გამო „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ დახმარებას.<sup>171</sup> მითითებული უფლება წარმოშობილია „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში 2005 წლის 20 აპრილის №1337-III კანონით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 15.07.1998, გვ. 14), რომლითაც მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ იქნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადი დახმარების – 15 000 ლარის ოდენობით გაცემა. იმავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. საქმეში ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაედო ფაქტების არასწორი შეფასება და ნორმის არასწორი განმარტება, რაც საკასაციო პალატამ არ გაიზიარა და სამართლებრივ ურთიერთობებში კანონის ცოდნის პრეზუმფციის მოქმედებაზე, სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 130-ე და 131-ე მუხლებზე მითითებით მოთხოვნის წარმოშობის უფლება დაუკავშირა იმ მომენტს, როცა მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა მისი შვილის გარდაცვალების, გარდაცვალების მიზეზისა და გარდაცვალებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ, თუმცა სამართალური თითქმის წარმოშობა – სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის ფაქტის დადგენის მიზნით უფლებამოსილი ორგანოსათვის მიმართვა დამოკიდებული იყო მოსარჩელის მოქმედებაზე. ამდენად, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ იმ პირობებშიც კი, თუ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობას დაუკავშირებთ პირის სამხედრო სამსახურის ტერიტორიაზე და უშუალოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვალების ფაქტის დადასტურების თარიღს, აღნიშნული ვერ შეცვლის იმ გარემოებას, რომ მოსარჩელემ მისი გარდაცვალების ფაქტის დასადაგენად მიმართა უფლებამოსილ ორგანოს, როცა უკვე გასული იყო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ამოქმედები-

<sup>170</sup> საქმე №ბს-1040-1034(კ-17).

<sup>171</sup> საქმე №ბს-101-100(კ-17).

დან მოთხოვნის ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა. რამდენადაც, მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებული იყო მოსარჩელის მოქმედებაზე, რაც მან განახორციელა კანონით გათვალისწინებული ვადის დარღვევით.

საკასაციო პალატამ ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს შვილის გარდაცვალების გამო სარჩოს დაკისრების შესახებ აღძრულ სარჩელზე დავა.<sup>172</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებით მოპასუხეს დაევალა სარჩოს დაკისრება, ისეთ პირობებში, როდესაც საქმეზე არ იყო გამოკვლეული და დადგენილი რამდენად აკმაყოფილებდა მოსარჩელე სარჩოს მიმღები პირის კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ამასთან ბუნდოვანი იყო მისაღები თანხა წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურებას თუ სახელმწიფო კომპენსაციას, გარდა ამისა, გასაჩივრებული გადანყვეტილებიდან არ დგინდებოდა, რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით მიიღო სააპელაციო პალატამ თანხის დაკისრების შესახებ გადანყვეტილება. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ თანხის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის სამართლებრივი შეფასებისას, უპირველესად, უნდა განისაზღვროს, სოციალური სფეროს მარეგულირებელ ნორმებს ეფუძნება ის, თუ დელიქტით გამონვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობას. მოთხოვნის უფლების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების სათანადო შემოწმების შემთხვევაში სააპელაციო პალატას ჰქონდა შესაძლებლობა დაედგინა, რამდენად არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, მოსარჩელის სასარგებლოდ ყოველთვიურად თანხის გადახდის ვალდებულება, რაც პალატის მიერ არ იქნა განხორციელებული. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანი (სარჩოს სახით) გულისხმობს პირის სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამონვეული უარყოფით შედეგებს და ეს ზემოქმედება უნდა მომდინარეობდეს ბრალეული ქმედებით. სარჩოს დაკისრებისათვის აუცილებელია დადგინდეს მოპასუხის ბრალეული ქმედება, აღნიშნული ფაქტის დადგენის გარეშე შეუძლებელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა მოსარჩელის მეუღლის გარდაცვალებასა და მოპასუხის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებები და არსებობს სარჩოს დაკისრების წინაპირობები, სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი აკეთებს მითითებას სარჩოს გადახდის ვალდებულების ვადაზე.

ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დადებითად გადანყვეტილი სარჩელი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო პალატას, რადგან სასარჩელო მოთხოვნის – მოსარჩელეთათვის **ვეტერანის სტატუსის** მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადანყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ ფაქტები არ იყო სათანადოდ გამოკვლეული. საკასაციო პალატის მოსაზრებით მხოლოდ საბრძოლო მოკვლევის არსებობა არ წარმოადგენს სტატუსის მინიჭებისათვის საკმარის მტკიცებულებას და არ არის ერთადერთი და უტყუარი მტკიცებულება ვეტერანის სტატუსის მინიჭებისათვის, რამდენადაც აღნიშნული მტკიცებულების გარდა გათვალისწინებულია, რომ ვეტერანის სტატუსის მაძიებლის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს იმ პერიოდში მიღებული ჯილდოების, სამხედრო ტრავმების შესახებ ცნობებისა და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტების დედნები და სათანადოდ დამოწმებული ასლები. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კანონმდებლობა ვეტერანის სტატუსის მაძიებელს ანიჭებს ფართო შესაძლებლობას შესაბამისი სტატუსის მოპოვებისათვის და აძლევს შესაძლებლობას, მათ ხელთ არსებული ნებისმიერი მტკიცებულებით დაადასტურონ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა. განსახილველ შემთხვევაში დაუსაბუთებელი იყო სააპელაციო პალატის მითითება საკითხის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არასრულყოფილად გამოკვლევისათვის დაკავშირებით, იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესწავლილი იყო მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი ერთადერთი მტკიცებულება, საბრძოლო მოკვლევა, ასევე გამოკითხული იყო თითოეული მათგანი, რომელთაც ვერ გაიხსენეს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ამსახველი კონკრეტული გარემოებები (რა ვითარებაში იბრძოდნენ). სააპელაციო პალატა არ მიუთითებდა რა კონკრეტული საკითხი არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, რამაც განაპირობა ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეთა მიერ ადმინისტრაციული ორგანოსთვის წარდგენილი ვერ იქნა ისეთი სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა საბრძოლო მოქმედებების პერიოდში, მათი სამხედრო ფორმირებაში სამსახურს და კონფლიქ-

<sup>172</sup> საქმე №ბს-925-921(კ-17).

ტურ ზონაში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას, ხოლო რაც შეეხება საბრძოლო მოკვლევების აქტს, იგი წარმოადგენს კომისიისათვის წარსადგენ ერთ-ერთ და არა ერთადერთ დოკუმენტს, რომლითაც პირს უნდა მიენიჭოს ვეტერანის სტატუსი.<sup>173</sup>

უზენაესმა სასამართლომ განიხილა აგრეთვე სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის გაჭიანურების გამო ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საქმეც,<sup>174</sup> რომელზეც მართალია, არ შეცვლილა სააპელაციო პალატის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი, თუმცა შეიცვალა გადაწყვეტილების დასაბუთება, უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლებზე, ზიანის ანაზღაურებიდან ან უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე, მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ორგანოს მიერ დაინტერესებული პირის დახმარების, საკითხის გადაწყვეტისათვის ობიექტურად აუცილებელი ინფორმაციის მოძიების საჭიროებაზე, ადმინისტრაციული წარმოების ინკვიზიციურ ხასიათზე.

**მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული სოციალური დახმარების საკითხებთან დაკავშირებით, სადაც შეფასება მიეცა ოჯახის დეკლარაციის სამართლებრივ ბუნებას, ასევე განიმარტა ოჯახის სარეიტინგო ქულის განსაზღვრის წესი.**

მაგალითად, ერთ-ერთ დავაზე<sup>175</sup> საკასაციო სასამართლომ, მართალია, შედეგობრივად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა რიგ საკითხებში არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებებს. მითითებულ საქმეში, სადაც დავის საგანს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება წარმოადგენდა, მოსარჩელეები მათ მოთხოვნას ძირითადად იმ გარემოებაზე აფუძნებდნენ, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ არასწორი ინფორმაციით შევსებული დეკლარაციის საფუძველზე მინიჭებული სარეიტინგო ქულის გამო შეუწყდათ სოციალური შემწეობის გაცემა. მათ მიზანს შემონიშნების შედეგად გაზრდილი ქულების კანონიერების შესწავლა-შეფასება და მინიჭებული ახალი სარეიტინგო ქულის შეცვლა წარმოადგენდა. ამასთან, მოსარჩელეებს კანონიერი ინტერესი გააჩნდათ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას მინიჭებული ახალი სარეიტინგო ქულის შეჩერების მიმართ და მოცემული დავის ფარგლებში მათ ძირითად მოთხოვნას სწორედ მათი ოჯახის გადამოწმების შედეგად მინიჭებული ახალი სარეიტინგო ქულის შეჩერება და გაზრდილი ქულების შეცვლა წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა დაევალა. სადავო აქტების კანონიერების შეფასებისას საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმ მოცემულობით, სადაც აღნიშნული იყო, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო არ იყო უფლებამოსილი უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე და მას კანონისმიერი ვალდებულება ჰქონდა განეხილა წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი, თუმცა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება სარეიტინგო ქულების შეჩერების თაობაზე მოსარჩელეთა მოთხოვნის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ სარეიტინგო ქულის მინიჭება წარმოადგენდა ქმედებას, რომლის შეჩერებაც არ დაიშვებოდა. საკანონმდებლო ნორმების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ელემენტებისა და მისი მახასიათებლების გათვალისწინებით, სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის დეკლარაციის საფუძველზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს ოჯახის სამართლებრივ მდგომარეობას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საკასაციო სასამართლოს მითითებით, სწორედ სარეიტინგო ქულით წყდება შემწეობის გაცემა/არ გაცემის საკითხი და სოციალურად დაუცველი ოჯახის მიერ რიგი სოციალური შეღავათებით სარგებლობის უფლება; ხოლო სარეიტინგო ქულის გამოთვლის წესი თუ უშუალოდ ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის მიწოდების ფორმა, გავლენას ვერ მოახდენს სარეიტინგო ქულის აქტად მიჩნევაზე, ვინაიდან, განმსაზღვრელია არა მისი ფორმა, არამედ მისი

<sup>173</sup> საქმე №ბს-838-834(კ-17).

<sup>174</sup> საქმე №ბს-956-952(კ-18).

<sup>175</sup> საქმე №ბს-509-506(2კ-17).

სამართლებრივი ბუნება. ამდენად, საკასაციო სასამართლომ სარეიტინგო ქულის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, დაინტერესებული მხარისთვის სარეიტინგო ქულის მოქმედების შეჩერების მნიშვნელობისა და სარეიტინგო ქულის მოქმედების შეუჩერებლობით დამდგარი შედეგების გათვალისწინებით, ასევე თავად ადმინისტრაციული საჩივრის მიზნებიდან გამომდინარე, არ გაიზიარა აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და გამორიცხა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში სარეიტინგო ქულის მოქმედების შეჩერების დაუშვებლობა. რაც შეეხება მატერიალურ ზიანს (რაც მოსარჩელეთა მტკიცებით გამონვეული იყო სწორედ გაზრდილი სარეიტინგო ქულის შეუჩერებლობით), სასამართლო იმ ეტაპზე მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა აღნიშნულის თაობაზე, ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა ნამსჯელი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის საფუძველზე სადავო სარეიტინგო ქულის შეჩერების მოთხოვნაზე; მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი კი არ არსებობდა.

საკასაციო პალატამ ასევე იმსჯელა იმაზე, თუ რა მდგომარეობით არსებული ინფორმაციებით უნდა მომხდარიყო ოჯახის სარეიტინგო ქულის განსაზღვრა.<sup>176</sup> საკასაციო პალატის მიერ სოციალური დახმარების გაცემასთან დაკავშირებით განისაზღვრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვალდებულება, რომ საქართველოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ოჯახის რეგისტრაციისა და შესაბამისი სარეიტინგო ქულის მინიჭების მიზნით, დეკლარირება განეხორციელებინა როგორც ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მინოდებული ინფორმაციის, ასევე, ამ ინფორმაციის შესაბამის საჯარო დაწესებულებებში გადამოწმების გზით. ამასთან, „ოჯახის დეკლარაციის“ შევსებასა და სარეიტინგო ქულის განსაზღვრას შორის არსებული დროის მონაკვეთის გათვალისწინებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ვალდებული იყო გადაემოწმებინა უშუალოდ სარეიტინგო ქულის მინიჭების შემდგომ შესაბამისი აქტის გამოცემის დროს არსებული ოჯახის სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული უკანასკნელი საჯარო ინფორმაციები და სარეიტინგო ქულის განსაზღვრა სწორედ ამგვარ ინფორმაციებზე დაყრდნობით მოეხდინა. საკასაციო სასამართლომ, აგრეთვე, არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და მის საწინააღმდეგოდ ხაზგასმით მიუთითა, რომ დეკლარაციის ხელმოწერა არ გამორიცხავდა პირის შესაძლებლობას, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენითა თუ სასამართლო წესით ეჭვქვეშ დაყენებინა ოჯახის დეკლარაციის შედგენისა და დარიცხული სარეიტინგო ქულის კანონიერება. ასეთ ვითარებაში, დეკლარაციაში დაფიქსირებული და სარეიტინგო ქულის დასამუშავებლად სპეციალურ პროგრამაში შეტანილი ინფორმაციის მართებულობა უნდა დადგენილიყო არა დეკლარაციაზე ხელმოწერის არსებობა-არარსებობის გარკვევით, არამედ „ოჯახის დეკლარაციაში“ დაფიქსირებული ან/და პროგრამაში შეტანილი ინფორმაციის რეალურად არსებულ, ობიექტურ გარემოებებთან გადამოწმების გზით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული **დევნისლის სტატუსთან დაკავშირებით** განხილულ საქმეზეც,<sup>177</sup> სადაც საკასაციო პალატამ საცხოვრებელი ადგილის დეფინიციასთან მიმართებით დადგინდა ერთიან სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ვინაიდან იმ დროს მოქმედი კანონის მიხედვით, არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილად ითვლებოდა და ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, მოსარჩელის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს იმ პერიოდისათვის (1990-1992 წელი) მშობლების საცხოვრებელი ადგილი – მარტვილის რაიონი წარმოადგენდა და თუნდაც აფხაზეთში ბიძის ოჯახში დროებითი ცხოვრება ვერ იქნებოდა მოაზრებული, რომ მან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იძულებით დატოვა. აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი არის სპეციალური სამართლებრივი აქტი, სადაც კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვრა და პირდაპირ მიუთითა იმ სავალდებულო პირობებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირი ჩაითვლება იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად. კერძოდ, კანონის დანაწესიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პირი მიჩნეულ იქნეს იძულებით გადაადგილებულად – დევნილად აუცილებელია, რომ მას იძულებით, სა-

<sup>176</sup> საქმე №ბს-580-580(კ-18).

<sup>177</sup> საქმე №ბს-215-213(კ-17).



კუთარი ნების საწინააღმდეგოდ უხდებოდა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება, ადგილის, სადაც იგი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებას, საქმიანობას ეწევა. საკასაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელე 1992 წლამდე ფაქტობრივად ცხოვრობდა ბიძის ოჯახში, ქ. გაგრაში და მან იძულებით დატოვა აღნიშნული ტერიტორია. მისი აფხაზეთში მუდმივად ცხოვრების ფაქტს ადასტურებდა ის გარემოებაც, რომ იგი 1983 წელს შევიდა გაგრის საშუალო სკოლაში, სადაც ისწავლა 7 კლასი და 1994 წელს დაამთავრა მარტვილის რაიონის სოფელ სერგიეთის საშუალო სკოლა. ამდენად, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო საკითხის დამატებითი შესწავლის მიზნით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენება.

**დევნისი მოსარჩელის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების** ნაწილში აქტისა და ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე აღძრულ სარჩელზე<sup>178</sup> ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადებითად გადაწყვეტილი დავა ხელახლა განსახილველად დააბრუნა საკასაციო პალატამ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა არ შეამოწმეს სარჩელის შესაბამისობა სასკ-ის მე-17 მუხლის პირველი ნაწილისა და სასკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნებთან და დააკმაყოფილეს მოსარჩელის მოთხოვნა ისე, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს. სასამართლოს არ გამოუკვლევია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილის მიღებამდე მოსარჩელეს უნდა შეეცყო თუ არა მისი უფლების დარღვევის შესახებ. საკასაციო პალატამ საკითხის მარეგულირებელი მთელი რიგი ნორმებით გათვალისწინებული წესების მოშველიებით სააპელაციო სასამართლოს მისცა მითითება დავაზე დაედგინა რა დროიდან უნდა სცოდნოდა მოსარჩელეს მისი უფლების დარღვევის – მისი თანხმობის გარეშე სადავო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

ასევე აღსანიშნავია **დევნისის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით** ერთ-ერთი დავა, სადაც საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა ქვედა ინსტანციის სასამართლოებს და საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება.<sup>179</sup> საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მართებულად ეთქვა უარი საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის მიღებაზე, ვინაიდან მისი ოჯახის წევრს უკვე მიღებული ჰქონდა კომპენსაცია. განიმარტა, რომ დევნილთა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილების სუბიექტს წარმოადგენდა დევნილი ოჯახი და არა თითოეული დევნილი ცალ-ცალკე. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია მითითებული დავის განსხვავება იმ საქმეებისაგან, რომლებშიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ფიგურირებს, სადაც ამ უკანასკნელის მიერ მოქალაქეებთან ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას აუცილებელია მათი წერილობითი თანხმობა, რის გარეშეც ადმინისტრაციული ხელშეკრულება ძალაში ვერ შევიდოდა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო ინსტიტუტი არის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ხელშეკრულება იდება ხელშეკრულების მხარეების ურთიერთთანხმდევრი, საერთო მიზნისაკენ მიმართული ნების გამოხატვის შედეგად, შესაბამისად, ნების არარსებობის შემთხვევაში არ არსებობს ადმინისტრაციული ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში, ნება გამოხატული იყო ოჯახის ერთ-ერთი წევრის, ოჯახის უფროსის მიერ და იგულისხმებოდა, რომ მას ხელშეკრულების გაფორმებისას მიღებული ჰქონდა ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობაც, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდებოდა რაიმე უკანონო სახის ზემოქმედება, რაც მას აიძულებდა მისი ნების საწინააღმდეგოდ ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე.

<sup>178</sup> საქმე №ბს-133-131(2კ-17).

<sup>179</sup> საქმე №ბს-681-681(კ-18).

## საგადასახადო დავები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2017-2018 წლებში არსებითად განხილულ საგადასახადო დავებთან მიმართებით შესაძლოა ითქვას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებების/განჩინებების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, უმეტესად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებების გაუზიარებლობისა და მათი შეცვლის საჭიროების შედეგს წარმოადგენდა. რიგ შემთხვევებში, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში ვლინდება ისეთი მატერიალური და საპროცესო-სამართლებრივი ხარვეზები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ საქმის შედეგზე. თავის მხრივ, ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობისა და სრულყოფილად გამოუკვლევობის მოტივით გაუქმებულ გადაწყვეტილებებზე საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საჭიროება წარმოიშვა, ხოლო რიგ შემთხვევებში, მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს მიერ კონკრეტული შედეგით საქმის გადაწყვეტის გაზიარებისა, საკასაციო პალატამ სადავო საკითხების სათანადო დასაბუთების საჭიროებისა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის გალრმავების მიზნით არსებითად იმსჯელა.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ განხილულ საქმეთაგან აღსანიშნავია საგადასახადო დავა,<sup>180</sup> რომელზეც სადავო აქტების კანონიერების შესწავლისას საკასაციო პალატამ შეაფასა საგადასახადო შემომწმებისას საკანონმდებლო აქტებში არსებული ხარვეზის პირობებში გადასახადის გადამხდელის მიერ არასწორად დაანგარიშებული მოსაკრებლის გამო დარიცხული ძირითადი გადასახადის დარიცხვის კანონიერება. საკასაციო პალატამ ახალი გადაწყვეტილებით გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და მოსარჩელეს უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ კანონი უნდა განიმარტოს სისტემურად, ყველა პრინციპის დაცვით. საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ნორმის განმარტებისას სასამართლო არ გასცდეს კანონის ფარგლებს. სასამართლო განმარტავს სამართლის ნორმებს, მაგრამ არ ქმნის მათ. მართლმსაჯულება შებოჭილია კანონით. აღნიშნული ძირითადი პრინციპი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლოს არ გააჩნია კანონშემოქმედებითი ფუნქცია, იგი ახდენს მხოლოდ ნორმის განმარტებას შესაბამისი კანონის ფარგლებში. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არამართებული იყო სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ძირითადი გადასახადისაგან მოსარჩელის გათავისუფლების თაობაზე, ვინაიდან, კანონით დაწესებული გადასახადების გარდაუვალი გადახდის პრინციპის თანახმად, საგადასახადო სანქცია გამიჯნულია საგადასახადო ვალდებულებისაგან. საგადასახადო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს პირს კუთვნილი საგადასახადო ვალდებულების შესრულებისაგან.

საკასაციო პალატის მიერ ყურადღება გამახვილდა ასევე საგადასახადო ორგანოს განმარტებების მნიშვნელობაზე, მათი გაცემის სამართლებრივ შედეგზე, ჯარიმისა და საურავისაგან გადასახადის გადამხდელის გათავისუფლების საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ წინაპირობებზე.<sup>181</sup> საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ არასწორად მოახდინა მათი სამართლებრივი შეფასება, დღგ-ს ძირითადი დარიცხვის კანონიერების დადგენის გამო, იმთავითვე მართლზომიერად მიიჩნია ჯარიმისა და საურავის დარიცხვა ისე, რომ არ შეუფასებია მათი გადახდის ვალდებულებისაგან მენარმის გათავისუფლების შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ნაწილობრივ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ბათილად ცნო საგადასახადო ორგანოს აქტი არასამენარმეო ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებადი უძრავი ქონების გასხვისების გამო ინდივიდუალური მენარმისათვის გადასახადის ძირითადი საურავისა და ჯარიმის დაკისრების ნაწილში და ორგანოს დაავალა საქმის გარემოებათა ხელახლა გამოკვლევა. საკასაციო პალატამ, ოპერაციის განხორციე-

<sup>180</sup> საქმე №ბს-915-911(2კ-17).

<sup>181</sup> საქმე №ბს-858-850(კ-16).

ლების დროს მოქმედი კანონმდებლობისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მითითება გადასახადის ძირითადი თანხის დარიცხვის მართლზომიერების შესახებ იმ საფუძველით, რომ საგადასახადო ორგანოს განმარტებას არ აქვს სასამართლოსათვის სავალდებულო მნიშვნელობა, თუმცა ჯარიმისა და საურავის დარიცხვის კანონიერების შეფასებისას, საკასაციო პალატამ გაითვალისწინა, რომ სადავო პერიოდში ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების მიზნით გამოსცემდა ბრძანებებს, შიდა ინსტრუქციებს და მეთოდურ მითითებებს, რითიც ხელმძღვანელობდნენ საგადასახადო ორგანოები. მიუხედავად იმისა, რომ მეთოდურ მითითებებს გადამხდელის მიმართ არ ჰქონდათ ნორმატიული, იმპერატიული ხასიათი, მითითება წარმოადგენდა საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის განმარტების და გამოყენების ოფიციალურ დოკუმენტს. აღნიშნულ საქმეში საგადასახადო ინსპექციებს მიეთითათ, რომ ფიზიკური პირის მიერ საკუთრებაში არსებული ქონების ერთჯერადი რეალიზაცია არ უნდა განხილულიყო ეკონომიკურ საქმიანობად. ვინაიდან გადამხდელის მიერ გადასახადის გადაუხდელობას საფუძველად ედო საგადასახადო ორგანოს განმარტება, რომლითაც, როგორც წესი, ხელმძღვანელობდნენ საგადასახადო ორგანოები საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში და რომლის გამოყენება გადასახადის გადამხდელს, მისთვის არასავალდებულო ხასიათის მიუხედავად, შეეძლო თავის საქმიანობაში, რაც ქმნიდა გადამხდელის შეცდომაში შეყვანის გარკვეულ პირობას, შეძლებისდაგვარად ერთმნიშვნელოვანი და ცხადი უნდა იყოს არა მხოლოდ საგადასახადო კანონმდებლობა, არამედ საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის განმარტება, სადავო აქტების გამოცემის დროს ნამსჯელი არ ყოფილა მოქმედი კოდექსით გათვალისწინებული სანქციისგან გათავისუფლების პირობებზე, მოსარჩელის კეთილსინდისიერად მიჩნევაზე, გადაუხდელობის მიზეზის – შეცდომის არსებობაზე.

საქმეში, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა აზარტული და მომგებიანი თამაშობების თითოეულ სახეობაზე ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულების კონტროლის საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ აქტების კანონიერებას.<sup>182</sup> პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება არ გაიზიარა საკასაციო პალატამ და მიიჩნია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ საკითხის მარეგულირებელი ნორმების განმარტება არ შესაბამებოდა კანონმდებლის მიზანს. განსახილველ შემთხვევაში სადავო იყო მომგებიანი თამაშობების გარე პერიმეტრზე ვიდეოკონტროლის (ვიდეორჩანერის) წესის (სანებართვო პირობის) დაცვის (შესრულების) საკითხი. ნორმატიული აქტით დადგენილია, რომ მომგებიანი თამაშობების გარე პერიმეტრზე ვიდეორჩანერის ვალდებულება არსებობს მუდმივად. შესაბამისად, ორგანიზატორი ვალდებულია უზრუნველყოს თამაშობების გარე პერიმეტრზე ვიდეორჩანერის უწყვეტობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ითვლება, რომ ის არ ასრულებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებას (სანებართვო პირობას), რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს და იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას. საკასაციო პალატამ მიუთითა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დადების განხორციელების ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის – კანონიერების პრინციპის ზედმიწევნით დაცვის ვალდებულებაზე 2013 წლის გადაწყვეტილებაში გაკეთებულ განმარტებაზე.<sup>183</sup> სამართალდარღვევას წარმოადგენს სანებართვო პირობების შეუსრულებლობა – რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზე იყო, რამდენადაც ტოტალიზატორის გარე პერიმეტრზე ვიდეორჩანერა არ მიმდინარეობდა მუდმივად. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ კანონი თამაშობების ორგანიზატორს ავალდებულებს შენობა-ნაგებობა უზრუნველყოს მუდმივი დენის წყაროთიც. სასამართლოს არ გააჩნია კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა იმსჯელოს მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოების პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიჩნევის თაობაზე. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ჩამწერი მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლის კონკრეტული – უტყუარი საფუძველი სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო. საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სპეციალურ წესს, თუ როგორ უნდა მოიქცეს თამაშობების ორგანიზატორი ტექნიკური საშუალების (ვიდეორჩამწერი მოწყობილო-

<sup>182</sup> საქმე №ბს-227-225(კ-17).

<sup>183</sup> საქმე №ბს-544-535(კ-12).

ბის) დაზიანების შემთხვევაში, ის გარემოება, რომ ორგანიზატორი ვალდებულია აზარტულ და სხვა მომგებიანი თამაშობების გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული სისტემით ვიდეორჩანერა აწარმოოს მუდმივად, ხოლო ვიდეორჩანერის შედეგად მიღებული მაგნიტური ლენტები (ელექტრონული ინფორმაცია), შესაბამისი ჩანაწერებით, არანაკლებ 30 დღისა შეინახოს სათანადოდ დაცულ ადგილზე და დასაბუთებული მოთხოვნისთანავე შესამოწმებლად წარუდგინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და სხვა უფლებამოსილ პირს – სუბიექტს აკისრებს ვალდებულებას სათანადო გულისხმიერებით მიუდგეს ინფორმაციის შექმნისა (ჩანაწერა) და მისი შენახვის პროცესს, რაც გულისხმობს ყველა საჭირო ზომის მიღებას (მაღალხარისხიანი და შესაბამისი გარანტიის მქონე ტექნიკური მოწყობილობის (ვიდეოსისტემის) მონტაჟი, სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის მონტაჟი და სხვა) სანებართვო პირობების (კანონით გათვალისწინებული ვალდებულების) შესასრულებლად. აღნიშნული ვალდებულების უგულვებელყოფით ტოტალიზატორის ფუნქციონირება (მუშაობა) ადასტურებს ბრალის არსებობას, რაც მენარმე სუბიექტის მიმართ საჯარიმო სანქციის გამოყენების საფუძველია.

საკასაციო სასამართლოს მიერ საგადასახადო სამართალდარღვევებთან მიმართებით განხილულ საქმეთაგან აღსანიშნავია **საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვასთან** დაკავშირებული ერთ-ერთი დავა,<sup>184</sup> სადაც საკასაციო პალატის მიერ განიმარტა, რომ გადასახადის გადახდელს საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვის გამო პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა გამოწვეული იყო სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ანუ საკანონმდებლო ნორმა ცალსახად ადგენს, რომ სახეზე უნდა იყოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი და დადასტურებული ფაქტი, რომ მენარმეს საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვაში ბრალი არ მიუძღვის და მისი დაკარგვა გამოწვეულია სხვა პირის ბრალეული ქმედებით ან დაუძლეველი ძალის არსებობით. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო შესაძლებლობის გამოყენება და განმარტა, რომ აღნიშნული დავის კანონიერად გადანაცვლისათვის პრინციპული იყო გარკვეულიყო მენარმის იმ ქმედების ბრალეულობის საკითხი, რომელიც საგადასახადო ორგანოებმა სამართალდარღვევად დააკვალიფიცირეს. ამასთან, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ დაბეგვრასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვისათვის დადგენილი ვალდებულებიდან გამომდინარე, გადახდელი ვალდებული იყო უზრუნველყო საკონტროლო-სალარო აპარატის სათანადო შენახვა-დაცულობა ნ წლის განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საკითხის ხელახლა განხილვისას არსებითი იყო სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შესწავლილიყო მოსარჩელის პირადი აღრიცხვის ბარათი და გამოკვლეულიყო, მოხდა თუ არა 2007 წლის შემდეგ გადასახადის დარიცხვა. შესაბამისად, შემომწმებელიყო, იყო თუ არა შესაძლებელი განსახილველ შემთხვევაზე აღნიშნული რეგულაციის გავრცელება.

ზაზგასამელია ასევე ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ გაკეთებული სამართლებრივი შეფასებები **საქართველოს საბაჟო საზღვარზე საბაჟო კონტროლის წესების დარღვევით ჩადენილ საგადასახადო სამართალდარღვევებთან დაკავშირებით**,<sup>185</sup> კერძოდ, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენება და მიიჩნია, რომ აღნიშნულ დავასთან მიმართებით, არ არსებობდა დამატებით ფაქტობრივ გარემოებათა კვლევის, აგრეთვე, ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ მიღებული გადანაცვლებების დამატებით დასაბუთების საჭიროება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქონელი, რომელიც თან არ ახლავს საბაჟო საზღვარზე გადამადგილებელ პირს და მოთავსებული არ არის მგზავრის ბარგსა თუ ხელბარგში, წარმოადგენს არაპირადი გამოყენების ნივთს, რომელიც ექვემდებარება დეკლარირებას. ამასთან, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება ჩამორთმეული ნივთების ერთდროულად ტარებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ამ საქონელთა შემადგენლობაში შედიოდა ორი წყვილი საყურე, ასევე, ისეთი ნივთები, რომელთა სხეულზე გაკეთება და ტარება შეუძლებელია, კერძოდ, ოქროს მონეტა და ჰალსტუხის სამაგრი. საკასაციო სასამართლოს მიერ სააპე-

<sup>184</sup> საქმე №ბს-765-757(კ-16).

<sup>185</sup> საქმე №ბს-572-572(კ-18).

ლაციო სასამართლოს შეფასების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე, განიმარტა, რომ საბაჟო კონტროლისაგან მაღულად საქონლის გადმოტანა/გადატანა გულისხმობს როგორც სპეციალური სამალავით, ანუ მანქანის კონსტრუქციით გაუთვალისწინებელი, არაქარხნული, კუსტარულად დამზადებული, საქონლის ფარული გადაზიდვისათვის მოწყობილი სპეციალურად დახურული საშუალებით, ასევე, მის გარეშე საქონლის საბაჟო წესების დარღვევით გადაზიდვას. ამასთან, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მითითებები სამართალდარღვევის განზრახ ჩადენის ფაქტის დადგენის შეუძლებლობასთან მიმართებით და განმარტა, რომ საგადასახადო სამართალდარღვევის სამართლებრივი ბუნება დაკავშირებულია პირის როგორც ბრალეულ, ასევე, გაუფრთხილებელ ქმედებასთან. აღნიშნულ საქმეზე, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის განხილვისას გამოყენებულ იქნა საქართველოს საბაჟო კოდექსის დანაწესები, რომელიც სადავო პერიოდისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე, ძალადაკარგულად იყო ცნობილი. ამასთან, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა თარჯიმნის მოუწვევლობის საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს შეფასებები და განმარტა, რომ საქმეში მონაწილე წარმოების ენის არმცოდნე მხარის თარჯიმნით აღჭურვა არა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, არამედ თავად საგადასახადო პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებას წარმოადგენდა, რომლის რეალიზაცია, ასევე მის ნებაზე იყო დამოკიდებული, მით უფრო მაშინ, როდესაც საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებსა და საგადასახადო პასუხისგებაში მიცემულ პირს შორის კომუნიკაციას წარმოების ენის მცოდნე პირი უზრუნველყოფდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელზე<sup>186</sup> საკასაციო საჩივარი ეფუძნებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის არასწორ გამოყენებას და საქმის ფაქტობრივი გარემოებების არასწორ სამართლებრივ შეფასებას, რაც საკასაციო სასამართლომ გაიზიარა, მიიჩნია, რომ არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების გაზიარების შესაძლებლობა მოსარჩელის ქმედების შეფასებასთან დაკავშირებით და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების შესაბამისად, განმარტა მითითებული მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის აღმოფხვრის შესაძლებლობა, ოქმის შედგენის პროცედურა და წესი. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ გადასახადის გადამხდელთა უმთავრესი ვალდებულება გადასახადების დროულად და სრულად გადახდაა, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობებიც ამ ვალდებულების სრულყოფილად შესრულებასთანაა დაკავშირებული. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა კი დაკავშირებულია ამ მოვალეობის ჯეროვან შესრულებასთან, საგადასახადო ორგანოების შესაძლებლობასთან, გააკონტროლონ გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდა.

ამავდროულად მნიშვნელოვანია აღინიშნოს საკასაციო სასამართლოს მიერ 2017 წელს არსებითად განხილული, ფაქტობრივი გარემოებებით თითქმის იდენტური ორი საგადასახადო დავა,<sup>187</sup> რომელზეც გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსაბუთებლად იქნა გამოყენებული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაღვრული პროცესუალური შესაძლებლობა. სააპელაციო პალატას სრული უფლებამოსილება ჰქონდა თავად გადაენწყვიტა დავა და მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებში შეემონებინა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური კანონიერება, რამდენადაც გასაჩივრებული აქტების მიღებისას არ იყო დარღვეული აქტის გამოცემის ის პროცედურები, რაც უპირობოდ შექმნიდა საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობას; ხოლო თუ დავის გადაწყვეტისას სასამართლო საჭიროდ მიიჩნევდა გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას ან დადგენას, შესაძლებლობა ჰქონდა ესარგებლა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის დანაწესებით მინიჭებული საპროცესო კომპეტენციით და თავად მოეპოვებინა მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, რატომ იყო შეზღუდული თავად გამოეკვლია ისინი. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ხე-

<sup>186</sup> საქმე №ბს-946-942(კ-17).

<sup>187</sup> საქმე №ბს-329-327(კ-17); №ბს-990-986(კ-17).

ლახლა განხილვისას უნდა ემსჯელა სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალურ კანონიერებაზე, გამოცემის სამართლებრივ საფუძველსა და კანონმდებლობასთან მათ შესაბამისობაზე, რამდენადაც საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, იკვეთებოდა არა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტობრივი გარემოებების მოპოვების, დადგენის თუ გამოკვლევის საჭიროება, რისი შესაძლებლობაც, შესაძლოა, აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონოდა, არამედ უნდა მომხარიყო სასამართლოს მიერ მათი სწორი სამართლებრივი შეფასება და გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური კანონიერების შემოწმება, რისი უფლებამოსილებაც უპირობოდ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა.

საგადასახადო დავაზე, რომელშიც მოსარჩელე სადავოდ ხდიდა საგადასახადო ორგანოს მიერ არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით გადასახადების დარიცხვას,<sup>188</sup> საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ორი ინსტანციის სამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე და განმარტა, რომ საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილი ეხება ყველა სახის გადასახადის განსაზღვრას. ხსენებული ნორმით საგადასახადო ორგანოს უფლება ეძლევა მხოლოდ ამ ნაწილითა და საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში გადამხდელს გადასახადი დაარიცხოს მის ხელთ არსებული მასალების/სანდო ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავების მეშვეობით. ეს მასალები ან ინფორმაცია შეიძლება არსებობდეს თვით გადამხდელთან, მაგრამ არასრული სახით, ან საგადასახადო ორგანოში და ეხებოდეს მსგავსი საქმიანობით დაკავებულ სხვა პირს. ამ მასალების გამოყენებისას საგადასახადო ორგანომ, შესაბამისი კორექტივები უნდა შეიტანოს გადამხდელთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების შესაბამისად. მიზანი კი ის არის, რომ სამართლიანად, გონივრული განსჯის საფუძველზე უნდა დადგინდეს საგადასახადო ვალდებულებები. ამდენად, სავარაუდო საგადასახადო ვალდებულების ფორმირებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს არა მარტო შესაძლო შემოსავლებმა, არამედ – შესაძლო გამოქვითებმა, ხარჯებმაც. მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ უფლებას საგადასახადო ორგანო მოიპოვებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ნაწილის ორი პუნქტის პირობა მაინც იქნება დაკმაყოფილებული. საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის დისპოზიცია ცალსახად განსაზღვრავს არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების შესაძლებლობას, თუკი სახეზე არის ერთზე მეტი, ე.ი. მინიმუმ ორი პირობა. იმ პირობებში კი, როდესაც საგადასახადო ორგანო არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების ერთადერთ საფუძველად უთითებს მხოლოდ საწარმოს მიერ ბუღალტრული აღრიცხვის პირობების დარღვევას, ამასთან, არ დგინდება რაში გამოიხატა კონკრეტულად ბუღალტრული აღრიცხვის წესის დარღვევა, მითითებული არ ქმნის არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების სამართლებრივ საფუძველს. კასატორებმა ასევე ვერ დაასაბუთეს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-6 ნაწილის გამოყენების წინაპირობების არსებობა, რამდენადაც ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის დადებული გარიგებით განხორციელებული მიწოდება, ჯერ ერთი, განხილულ უნდა იქნეს, როგორც წესი, საბაზრო ფასით მიწოდებად, და მეორე, ეს მიწოდება მიმწოდებელი მხარისათვის წარმოქმნის საბაზრო ფასით გამოანგარიშებულ შემოსავალს, ხოლო მიმღები მხარისათვის კი იმავე საბაზრო ფასით გამოანგარიშებულ ხარჯს. მოცემულ შემთხვევაში საზოგადოების მიერ თანამშრომლებზე რეალიზებულ თითოეული დასახელების საქონელზე გავრცელდა არაურთიერთდამოკიდებულ პირებზე რეალიზებული საქონლის დოკუმენტალურად დადასტურებული სარეალიზაციო ფასები, რის შედეგადაც გაიზარდა გადასახადის გადამხდელის მოგებისა და დღგ-ს გადასახადებით დასაბეგრი ბრუნვა, ასევე, საზოგადოების მიერ თანამშრომლებზე საბაზრო ფასზე დაბალ ფასად საქონლის რეალიზაცია განხილულ იქნა მათ მიერ ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლად და დაიბეგრა საშემოსავლო და სოციალური გადასახადებით. აღნიშნული ფაქტით საგადასახადო ორგანომ ფაქტობრივად ერთი და იგივე თანხა საქონლის გამოყიდველს და მყიდველს (თუ მივიჩნევთ, რომ ასეთ ოპერაციას ჰქონდა ადგილი) ორივეს ჩაუთვალა მიღებულ შემოსავლად და დაბეგრა შესაბამისი გადასახადებით, რაც არ გამომდინარეობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-6 ნაწილის დანაწესიდან. კონტრაქტზე ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადება არ არის შეზღუდული საბაზრო ფასით. საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-6 ნაწილი ეხება მხოლოდ

<sup>188</sup> საქმე №ბს-566-561(2კ-16).

გარიგების საგადასახადო შედეგებს და არა – მხარეთა ურთიერთშეთანხმებებს. საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება და განმარტა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ დაუსაბუთებია საწარმოს მიმართ არაპირდაპირი მეთოდით საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის წინაპირობების არსებობა. ის გარემოება, რომ გადასახადი გადამხდელი არ ახორციელებდა ბუღალტრულ აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძოდ, არ გააჩნდა სააღრიცხვო ჩანაწერები, სადაც იქნებოდა დაფიქსირებული კონკრეტული ჩეკით რა საქონელი გაიყიდა და ვინ იყო მყიდველი, არ ქმნიდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონშესაბამისად მიჩნევის შესაძლებლობას, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებდა გადასახადის გადამხდელს, საცალო ვაჭრობის პირობებში აღრიცხვა ეწარმოებინა იმის შესახებ, თუ კონკრეტული ჩეკით ვის მიჰყიდა საქონელი და რა საქონელი გაყიდა.

ასევე ერთ-ერთ საგადასახადო დავაზე,<sup>189</sup> რომელშიც ადმინისტრაციულმა ორგანომ სამეურნეო ოპერაციას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე შეუცვალა ფორმა და შინაარსი და მიიჩნია, რომ სადავო სამეურნეო ოპერაცია წარმოადგენს დასაბეგრ ოპერაციას. საკასაციო პალატამ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, არ გაიზიარა კასატორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილი. აღნიშნული ნორმის თანახმად, საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მხედველობაში არ მიიღოს სამეურნეო ოპერაციები, რომლებსაც არა აქვს არსებითი ეკონომიკური გავლენა ან სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს, შესაბამისად, კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს ოპერაციის კორექტირებას, თუ მისი გამოხატვის ფორმა და მხარეთა რეალური ნება არ ემთხვევა ერთმანეთს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა არ იძლევა მართლზომიერი გარიგების კვალიფიკაციის შეცვლის შესაძლებლობას, არამედ ეხება ბათილ, ნების ნაკლის მქონე გარიგებებს, მათ შორის, თვალთმაქცურ და მორწვევებით გარიგებებს. მოცემულ შემთხვევაში კასატორებმა ვერ დაასაბუთეს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის გამოყენების წინაპირობების არსებობა, რამდენადაც რაიმე ურთიერთობის ფარგლებში ოპერაციის ფორმიდან გამომდინარე შინაარსს ადგენს არა საგადასახადო ორგანო ან საგადასახადო კოდექსი, არამედ – ამ ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობა. როდესაც ოპერაციის საფუძველი კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებაა, მისი რეგულაცია ხორციელდება სამოქალაქო კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით. ამ ნორმატიული აქტების გამოყენებით უნდა მოხდეს კონკრეტული სამართლებრივი კონსტრუქციის ფორმის ნორმატიულად დადგენილი შინაარსისა და მხარეთა ფაქტობრივი ნების შეპირისპირება. სწორედ ეს ნორმატიული აქტები უნდა იქნეს გამოყენებული საგადასახადო ორგანოს მიერ იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა გარიგების ფორმა მხარეთა ნებას. თუ არის საკმარისად დიდი ალბათობა იმისა, რომ მხარე თვალთმაქცობს ან ცდება თავისი ნების გამოხატვაში, მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპი. სამართალწარმოების ვერც ერთ ეტაპზე საქმის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს იმ გარემოების დადასტურება, რომ სადავო სამეურნეო ოპერაციის მითითებული ფორმითა და შინაარსით განხორციელება მიზნად ისახავდა საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო ვალდებულების თავის არიდებას.

2018 წელს განხილულ ერთ-ერთ საქმეში, რომელიც შეეხებოდა საგადასახადო ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლას, საკასაციო პალატამ განმარტა საგადასახადო კოდექსის 73.9 მუხლი, მისი გამოყენების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, მიუთითა სპეციალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულირების პირობებში სამოქალაქო-სამართლებრივი მონესრიგების გამოყენების დაუშვებლობაზე, ყურადღება გაამახვილა ნორმის დროში მოქმედების წესზე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სათანადო შეფასების საჭიროებაზე.<sup>190</sup> დავა ეხებოდა სახელმწიფოს შეთავაზების საფუძველზე შპს-ს მიერ ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ პირობადადებული ნას-

<sup>189</sup> საქმე №ბს-702-695(2კ-16).

<sup>190</sup> საქმე №ბს-854-846(კ-16).

ყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შპს-თვის უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის ოპერაციების გაცვლის ოპერაციად მიჩნევას და აქედან გამომდინარე, შპს-ს დაბეგვრას. ახალი გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ 73.9 მუხლით („ბ“ ქვ.პ.) საგადასახადო ორგანოს მინიჭებული აქვს ოპერაციის კვალიფიკაციის შეცვლის უფლებამოსილება არა ყველა შემთხვევაში, არამედ სათანადო პირობების არსებობისას, არ დაიშვება კვალიფიკაციის შეცვლა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ოპერაციაზე. სააპელაციო პალატამ უგულვებელყო ის გარემოება, რომ ოპერაციების განხორციელების დროს მოქმედი სახელმწიფო ქონების განკარგვასთან დაკავშირებული მონესრიგება არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების გაცვლის შესაძლებლობას, გადასახადებით დაბეგვრისათვის კი გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი კანონმდებლობა. პალატამ ასევე აღნიშნა, რომ ოპერაციის კვალიფიკაციის შეცვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში უკეთეს ოპერაცია თავისი არსით ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, 73.9 მუხლი ეხება ბათილ, ნების ნაკლის მქონე გარიგებებს და არა მართლზომიერ გარიგებებს, რომელთა შინაარსიც შეესაბამება მათივე ფორმას. ნაკლები გადასახადის გადახდის მიზანი ყოველთვის არ იწვევს გარიგების მოწვევებითად მიჩნევას. გადაწყვეტილებაში განიმარტა ბარტერული ოპერაციის მახასიათებლები და აღნიშნა, რომ დაუშვებელია პასუხისმგებლობის დანესება გადამხდელის ისეთი მოქმედებისათვის, რომლებიც იდება კანონით გათვალისწინებული შეღავათების ფარგლებში, გადასახადისაგან გათავისუფლების კანონიერი შესაძლებლობის რეალიზაციის მიზნით.

**საპროცესო-სამართლებრივი დარღვევის გამოვლენის მოტივით** საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საგადასახადო დავაზე<sup>191</sup> გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს, კერძოდ, საკასაციო პალატის მიერ განიმარტა, რომ სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის ანუ ამ საჩივარში ჩამოყალიბებული აპელანტის მოთხოვნის ფარგლებით, რაც ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილების ფაქტობრივი თუ იურიდიული დასაბუთებულობა სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებით. საუარესოდ შემობრუნება, ე.ი. გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა იმ ნაწილში, რომელიც აპელანტს არ გაუსაჩივრებია, ან ისე, როგორც მას არ მოუთხოვია – დაუშვებელია. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან აპელანტს კონკრეტულ ნაწილში არ გაუსაჩივრებია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და თავისი გადაწყვეტილებით უარეს მდგომარეობაში ჩააყენა აპელანტი – სსიპ შემოსავლების სამსახური, ვიდრე ის სააპელაციო საჩივრის წარდგენამდე იმყოფებოდა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე განმარტა, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება მხარე თავისი გადაწყვეტილებით ჩააყენოს უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ის სარჩელის, სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრების წარდგენამდე იმყოფებოდა. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია, სააპელაციო სასამართლო სამოტივაციო ნაწილში აღნიშნავდა, რომ არ იზიარებდა საქალაქო სასამართლოს მხრიდან დავის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად გადაწყვეტას, მაგრამ მან თავად არ იმსჯელა სსიპ შემოსავლების სამსახურის გასაჩივრებული ბრძანების კანონიერებაზე, რომელიც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო საქალაქო სასამართლომ. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ბრძანების შესახებ არც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა.

**საგადასახადო დავებზე მიღებულ ახალ გადაწყვეტილებათა შორის აღსანიშნავია ცრუმაგიერ პირებად ცნობასთან დაკავშირებული საქმეები, სადაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში არსებული ძირითადი ხარვეზები პირთა ურთიერთდამოკიდებულების დადგენის, ასევე საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა ერთმანეთთან დაკავშირების, მათი ურთიერთობის გამოაშკარავების, აგრეთვე პირთა ერთმანეთისაგან განსხვავების შეუძლებლობის ტერმინის აღქმის კუთხით ვლინდება.** ასე მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე<sup>192</sup> საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილების მიღებით უარყო სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა პირთა ურთიერთდამოკიდებულების გამორიცხვასთან მიმართებით და აღ-

<sup>191</sup> საქმე №ბს-1034-1028(კ-17).

<sup>192</sup> საქმე №ბს-1195-1189(კ-17).



ნიშნა, რომ საგადასახადო კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავს არაპირდაპირ საწარმოს მართვის კლასიფიკაციას, როგორც განსაკუთრებულ ურთიერთობას. ამასთან, ამავე კოდექსით გათვალისწინებულია წილის არაპირდაპირი ფლობა, რომლის მიხედვითაც, საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის ფიზიკური პირი ითვლება წილის არაპირდაპირ მფლობელად, თუ ამ წილს ფლობს მისი ნათესავი. მითითებულ დავაში, საკასაციო პალატის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ ამა თუ იმ პირების ცრუმაგიერობის შესამოწმებლად მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული არა ის გარემოება, თუ რამდენად შესაძლებელი იყო გვაროვნულად, სამართლებრივი ფორმით ან საიდენტიფიკაციო ნომრით სუბიექტების ერთმანეთისაგან განსხვავება, არამედ ამოსავალი და უმნიშვნელოვანესი უნდა ყოფილიყო ის ბიზნესაქტივობა, რომელიც განაპირობებდა შემოსავლის მიღებას. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ცრუმაგიერი მფლობელობისათვის დამახასიათებელი ბუნდოვანება ვლინდებოდა სწორედ იმაში, თუ რა შეიძლება ეგულისხმა კანონმდებელს ერთმანეთისაგან პირთა განუსხვავებლობაში. მართალია, აღნიშნული კანონში არ იყო განმარტებული, თუმცა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების გზით შემოსავლის მიღების საერთო მიზანი ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად იქნა მიჩნეული განურჩევლობასთან მიმართებით. საბოლოოდ, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ფიზიკური პირის მიერ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის დაწყების შემდგომ უძრავ-მოდრავი ქონების გადაფორმება და სამენარმეო საქმიანობის შეჩერება, ხოლო შემდგომ ამისა, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადაწერა, მიზნად ისახავდა გადასახადის გადახდევინების ღონისძიებებისგან თავის არიდებას. ამასთან, სახეზე იყო საოჯახო ბიზნესი და მოგების მიღების საერთო მიზანი, ასევე, ერთი სამართლებრივი ფორმით საქმიანობის შეჩერება და იმავე სამართლებრივი სიკეთეების საშუალებით (ერთი და იგივე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები) ახალი სუბიექტის მიერ მისი გაგრძელება, რის საფუძველზეც, სააპელაციო სასამართლოს შეფასების საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლოს მიერ მოპასუხე პირები ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად იქნენ ცნობილი.

ზემოსხენებულ საკითხთან მიმართებით, საკასაციო სასამართლომ კიდევ ერთ საქმეზე<sup>193</sup> არ გაიზიარა გასაჩივრებული გადანყვეტილებით დამდგარი შედეგი და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ცრუმაგიერ პირებად აღიარებასთან მიმართებით, რომლითაც გამოირიცხა პირების ურთიერთდამოკიდებულება, კერძოდ, აღიარებითი სარჩელის პირობებში საჭირო იყო დადგენილიყო, რომ კომპანია ფაქტობრივად წარმოადგენდა მაკონტროლებელი ბენეფიციარის „მეორე მეს“ და მისი დამოუკიდებლობის ხარისხი არ იძლეოდა მისი გამიჯვნის შესაძლებლობას, რაც ხსენებულ საქმეზე არ დადასტურებულა. აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლომ ახალი გადანყვეტილებით განმარტა, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ნათლად ადასტურებდნენ იმას, რომ მოპასუხეთა ერთმანეთისაგან განსხვავება კონკრეტული ბიზნესაქტივობიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო. საკასაციო პალატის მითითებით, საქმის მასალებით დადასტურებული იყო, რომ სახეზე იყო ერთი სამართლებრივი ფორმით საქმიანობის შეჩერება და სხვა სამართლებრივი ფორმით ახალი სუბიექტის მიერ მისი გაგრძელება. ამასთან, მოცემული საწარმოები ახორციელებდნენ ერთი და იმავე საქმიანობას და ჰყავდათ საერთო მიმწოდებლები. ამდენად, აღნიშნული გარემოებები საკასაციო სასამართლოს მიერ მოპასუხეთა ცრუმაგიერ პირებად აღიარების საფუძველად იქნა მიჩნეული.

სხვა დავაზე,<sup>194</sup> რომელიც ასევე ცრუმაგიერ პირებად ცნობას შეეხებოდა, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომლითაც მან გამოირიცხა პირების ურთიერთდამოკიდებულება. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საგადასახადო კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავდა არაპირდაპირ საწარმოს მართვის კლასიფიკაციას, როგორც განსაკუთრებულ ურთიერთობას. ამასთან, წილის არაპირდაპირი ფლობა გათვალისწინებული იყო საგადასახადო კოდექსის დებულებებით, რომლის მიხედვითაც ფიზიკური პირი ითვლება წილის არაპირდაპირ მფლობელად, თუ ამ წილს ფლობს მისი ნათესავი. დადგენილი იყო, რომ მოპასუხე პირები იყვნენ მამა-შვილი. ინვენტარიზაციის პერიოდში გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, უძრავი ქონება მამის მიერ

<sup>193</sup> საქმე №ბს-302-302(კ-18).

<sup>194</sup> საქმე №ბს-672-672(კ-18).

შვილს გადაეცა, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მათ გაუმიჯნაობაზე მიუთითებდა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია ურთიერთდამოკიდებულება, კერძოდ, საგადასახადო შემონმების დაწყებისთანავე ქონების განრიდება და სამენარმეო საქმიანობის შეჩერება მაშინ, როცა საქმის მასალებით დადასტურებული იყო, რომ გადასახადის გადამხდელის მიმართ საგადასახადო დავალიანება წარმოიშვა 2014 წლის 15 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე ჩატარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად და მას იმავე წლის 24 ნოემბერს დაერიცხა სანქცია. საკასაციო სასამართლო განმარტა, რომ სახეზე იყო საგადასახადო ვალდებულების მქონე გადასახადის გადამხდელის მხრიდან გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით შვილისათვის უძრავი ქონების გადაცემა, რამდენადაც ინდივიდუალური მენარმისათვის ინვენტარიზაციის დაწყებისთანავე ცნობილი გახდა მის მიერ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადის გადამხდელის ვალდებულებების შესრულების კონტროლის ღონისძიებების დაწყების შესახებ და გადასახადის გადამხდელს გააჩნდა მოლოდინი შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულების დაკისრების თაობაზე, რის შემდეგაც განახორციელა მის საკუთრებაში არსებული აქტივების განკარგვა. ამდენად, ქვედა ინსტანციის სასამართლოთაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შეუძლებელი იყო მოპასუხედ დასახელებულ პირთა ერთმანეთისაგან განსხვავება იმ აქტივობებში, რამაც განაპირობა შეუსრულებელი საგადასახადო დავალიანების დაგროვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მნიშვნელოვანი განმარტებები იქნა გაკეთებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის დანაწესებთან მიმართებით ცრუმაგიერ პირებად ცნობასთან დაკავშირებით არსებითად განხილულ კიდევ ერთ საქმეზე,<sup>195</sup> სადაც საკასაციო პალატამ ერთმანეთისგან გამიჯნა მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირები და იმსჯელა იმ საკითხზე, თუ რამდენად წარმოადგენდენ მოპასუხედ დასახელებული ფიზიკური პირები ასევე მოპასუხე იურიდიულ პირთა ცრუმაგიერ პირებს. საკასაციო სასამართლომ მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესებზე და განმარტა, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც კანონმდებლობით ნებადართულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნება და კაპიტალის განსაზღვრა ნებისმიერი ოდენობით (რასაც ადგილი ჰქონდა მოპასუხე ფიზიკურ პირთა მიერ შპს-ების დაფუძნებისას), მხოლოდ ამ საფუძველით, ერთი მხრივ, ფიზიკურ პირებს, და მეორე მხრივ, მოპასუხე იურიდიულ პირებს შორის ერთმანეთისაგან გაუმიჯნაობის დადასტურება მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალებით, ფიზიკური პირები და შპს-ები წარმოადგენდენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რადგან არ დგინდებოდა მათ შორის განსაკუთრებული ურთიერთობები სამენარმეო საქმიანობის ამა თუ იმ მიზნით და ფორმით ერთობლივად განხორციელებისათვის. ამასთან, საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით განმარტა, რომ კომპანიის ვალდებულებებზე პასუხს აგებს არა საზოგადოების დამფუძნებელი, დირექტორი და ა. შ., არამედ თვითონ საზოგადოება მთელი თავისი ქონებით. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე დაფუძნებული კომპანიის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კომპანია დამფუძნებლისაგან (პარტნიორისაგან) განცალკევებულ და დამოუკიდებელ სუბიექტს წარმოადგენს. საზოგადოების პარტნიორი კომპანიის ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე არ არის პასუხისმგებელი. სწორედ აღნიშნული გარემოება განასხვავებს იურიდიულ პირებს ინდივიდუალური მენარმისაგან, რომელიც თავისი სამენარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით. საკასაციო სასამართლომ საქმეზე დადგინდა ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, მიიჩნია, რომ გამოირიცხებოდა იმის მტკიცების შესაძლებლობა, რომ მოპასუხე ფიზიკური პირები საერთო ინტერესების საფუძველზე მოქმედებდნენ გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მათი ერთმანეთისაგან განსხვავება და ისინი ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებს წარმოადგენდნენ. შესაბამისად, კასატორის მოთხოვნა მოპასუხე ფიზიკურ პირთა ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად ცნობასთან მიმართებით უსაფუძვლო იყო. რაც შეეხებოდათ მოპასუხე იურიდიულ პირებს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს), საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ნათლად ადას-

<sup>195</sup> საქმე №ბს-754-754(კ-18).

ტურებდნენ იმ ფაქტს, რომ დასახელებული იურიდიული პირების ერთმანეთისგან განსხვავება მოცემული ბიზნესაქტივობიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო. შესაბამისად, აბსოლუტურად დასაბუთებული იყო საკასაციო საჩივრის მოსაზრება შპს-ების ერთმანეთისაგან განსხვავების შეუძლებლობისა და მათი ერთ მენარმე სუბიექტად განხილვის თაობაზე, მათ ერთობლივად მთელი თავისი ქონებით უნდა ეგოთ პასუხი იმ საგადასახადო ვალდებულებისათვის, რომლის გადაუხდელობასაც ჰქონდა ადგილი. ყოველივე ზემოთქმული კი, სააპელაციო სასამართლოს საჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველად იქნა მიჩნეული.

საკასაციო სასამართლოს მიერ მნიშვნელოვანი განმარტებები იქნა გაკეთებული ცრუმაგიერ პირებად ცნობის მიმართ საგადასახადო ორგანოთა იურიდიული ინტერესის არსებობის აუცილებლობასთან დაკავშირებით, კერძოდ, არსებითად განხილულ ერთ-ერთ საქმეზე,<sup>196</sup> მართალია, საკასაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგი, თუმცა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს შეფასებას მოპასუხეთა ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარების საფუძველების გამორიცხვის თაობაზე. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული მასალები, კონკრეტული ბიზნესაქტივობიდან გამომდინარე, ნათლად ადასტურებდნენ მოპასუხეთა ერთმანეთისაგან განსხვავების შეუძლებლობას. თუმცა სადავო საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ დამატებით განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით განსაზღვრული აღიარებითი სარჩელი, რომლის დაკმაყოფილების მიმართაც აუცილებელი იყო მოსარჩელის კანონიერი, უფრო კონკრეტულად კი, იურიდიული, კონკრეტული, ლეგიტიმური და პატივსაღები ინტერესის არსებობა. ამგვარი ინტერესის არსებობა კი დამყარებული უნდა ყოფილიყო არა მოსარჩელის მოსაზრებებზე, არამედ – ობიექტურ მონაცემებზე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სახეზე იყო მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის გაფორმებული საგადასახადო შეთანხმებები, კასატორმა საკასაციო საჩივარში ვერ დაასაბუთა, თუ რა იურიდიული ინტერესი გააჩნდა მას აღძრულ სარჩელთან მიმართებით, რა განსახვავებული შედეგი დადგებოდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და ცრუმაგიერ პირებად ცნობის შემთხვევაში, მაშინ როდესაც სსიპ შემოსავლების სამსახური ვერ ასაბუთებდა, თუ რა შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებები გააჩნდათ მოპასუხე პირებს, რომლის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით მათ მოახდინეს ურთიერთშორის ისეთი კავშირის შექმნა, რომ საგადასახადო ორგანო ვერ ახდენდა გადასახადის გადამხდელი პირის იდენტიფიცირებას კონკრეტულ დასაბეგრ ოპერაციებზე.

საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე აღძრულ სარჩელზე საკასაციო პალატამ დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება არ შეესაბამებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შინაარსს. საკასაციო პალატამ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე მიუთითა, რომ „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციისა და საკონტროლო შესყიდვა/შეთავაზების ჩატარების შესახებ“ სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ბრძანების გადასახადის გადამხდელისათვის ჩაბარებისას, მისთვის ცნობილი გახდა სავარაუდო საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, რის შემდეგ მან ეტაპობრივად შესაძლო მოთხოვნებისგან თავის არიდების მიზნით მის სახელზე არსებული ფასიანი აქტივების იზოლაცია განახორციელა სხვა პირებზე, კერძოდ: გააფორმა „ჩუქების ხელშეკრულება“ მასთან ნათესაურ კავშირში მყოფ მოცემულ საქმეზე მოპასუხედ დასახელებულ ერთ-ერთ პირთან; ნათესაური კავშირის მქონე პირის გამოყენებით, შექმნილ კომპანიას გადასცა მის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომლებზეც შესაძლოა, გავრცელებულიყო სსიპ შემოსავლების სამსახურის ბრძანებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიება. მოცემულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელისათვის ცნობილი გახდა მის მიერ საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლით გათვალისწინებული გადასახადის გადამხდელის ვალდებულებების შესრულების კონტროლის ღონისძიებების დაწყების შესახებ და გადასახადის გადამხდელს გააჩნდა მოლოდინი შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულების დაკისრების თაობაზე, რის შემდეგაც ეტაპობრივად განახორციე-

<sup>196</sup> საქმე №ბს-122-122(კ-17).

ლა მის საკუთრებაში არსებული აქტივების განკარგვა, რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების მიქცევის თავიდან არიდებას ემსახურებოდა და მოპასუხეთა ცრუმაგიერობაზე მიუთითებდა.<sup>197</sup>

ანალოგიურ დავაზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, იმ გარემოების დადასტურების მიზნით, რომ გადასახადის გადახდელი წარმოადგენს სხვა პირის ცრუმაგიერ პირს, სავალდებულოა დადასტურდეს, რომ გადასახადის გადახდელის გამიჯვნა ამ სხვა პირისაგან რიგი ფაქტობრივი გარემოებების გამო პრაქტიკულად შეუძლებელია და კონკრეტული ერთი პირი ამ სხვა პირის მხრიდან გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით. აღნიშნული სამართლებრივი ინსტრუმენტის მიზანია დაიცვას საგადასახადო ორგანოს, როგორც კრედიტორის უფლებები.<sup>198</sup>

საკასაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება სარჩელზე მოპასუხედ დასახელებული პირების ცრუმაგიერი მფლობელობის არარსებობის შესახებ და განმარტა, რომ გამომხდელის მიერ კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების შესრულება, როგორც წესი არ უკავშირდება საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო მოთხოვნის გამოცემას, რამდენადაც საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გადასახადის გადახდელი ვალდებულია შეასრულოს საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირს საგადასახადო ვალდებულება ეკისრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ იმ გარემოებათა წარმოქმნის მომენტიდან, რომლებიც ითვალისწინებს გადასახადის გადახდას. ამდენად, გადასახადის გამომხდელის მიერ, მის საკუთრებაში არსებული აქტივების ნებისმიერი, თუნდაც კანონით დადგენილი წესით განკარგვა, მას შემდეგ, რაც შეიტყო საგადასახადო ორგანოს მიერ მისი საქმიანობის მოსალოდნელი შემონიშნების შესახებ, უკვე წარმოშობს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლით გათვალისწინებული ცრუმაგიერი მფლობელობის დადგენის საფუძველს.<sup>199</sup>

სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების შეფასებისას, საკასაციო სასამართლომ კიდევ ერთ საგადასახადო საქმეზე<sup>200</sup> იმსჯელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენების საჭიროებასა და მართლზომიერებაზე, რომლის შედეგადაც ზემოხსენებული საპროცესო შესაძლებლობის დაუსაბუთებლად გამოყენების მოტივით გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს. კერძოდ, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სრული პროცესუალური უფლებამოსილება ჰქონდა თავად გადაწყვიტა დავა, რამდენადაც გასაჩივრებული აქტების მიღებისას სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ არ იყო დარღვეული აქტის გამოცემის ის პროცედურები, რაც უპირობოდ შექმნიდა საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ზოგადად მიუთითა გამოსაკვლევ საკითხებზე და არ დაუსაბუთებია, რატომ იყო შეზღუდული თავად გამოევლინა ისინი, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ რამდენიმეჯერ იქნა განხილული მოსარჩელის საჩივარი. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას უნდა შეესწავლა და გამოეკვლია, სრულად იყო თუ არა წარმოდგენილი მოსარჩელის მიერ სადავო დეკლარაციებთან მიმართებით ხარჯის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები. ამასთან, მისთვის თავად დავებებინა იმპორტირებულ საქონელთან ერთად შეძენის დამადასტურებელი ინვოისების წარმოდგენა, რომლითაც დადგინდებოდა რეალურად განეული ხარჯები.

<sup>197</sup> საქმე №ბს-763-755(კ-16).

<sup>198</sup> საქმე №ბს-351-351(კ-18).

<sup>199</sup> საქმე №ბს-408-408(კ-18).

<sup>200</sup> საქმე №ბს-870-866(2კ-17).

## სამშენებლო დავები

სამშენებლო ურთიერთობების სიხშირისა და მნიშვნელობის ზრდამ, თანამდევმა ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ამ პროცესში მესამე პირების ინტერესების დაცვის საჭიროებამ, მშენებლობის მხოლოდ სათანადო სანებართვო დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელების აუცილებლობამ, სამშენებლო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელი პირის დადგენის საჭიროებამ არაერთი სამშენებლო დავა წარმოშვა. სამშენებლო სამართლის ფუნქციური დატვირთვა და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი განაპირობებს სამშენებლო ურთიერთობების ზედამხედველობასა და კონტროლს, რომლის განხორციელების შედეგად გამოცემული აქტების კანონიერება ხშირად ხდება სასამართლოს შეფასების საგანი. საკასაციო სასამართლომ ერთიანი სასამართლო პრაქტიკის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით არაერთ სამშენებლო-სამართლებრივ საკითხზე იმსჯელა. განხილულ დავებს შორის გვხვდება როგორც მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან მიმართებით ცალკეულ სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებული საქმეები, აგრეთვე, დავები, რომელზედაც სასამართლოს განხილვის მთავარ საგანს მშენებლობის ნებართვისა და უკანონოდ წარმოებული სამშენებლო სამუშაოების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების კანონიერება წარმოადგენდა.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე<sup>201</sup> საკასაციო პალატამ **ქალაქგეგმარებითი დასკვნა** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნია, კერძოდ, ხსენებული დოკუმენტი გამოიწვინა ზოგადი შინაარსის შემცველი, საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტისაგან და მისი ბუნება კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს დაუკავშირა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალაქგეგმარებითი დასკვნა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელსაც ჰყავს კონკრეტული ადრესატი – განმცხადებელი და რომლითაც მას **ექლევა ან არ ექლევა თანხმობა** მის დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის კონკრეტული მიმართულებით სამშენებლოდ განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით. ამასთან, ქალაქგეგმარებითი დასკვნა შესაძლებლობას აძლევს ნაკვეთის განვითარებით დაინტერესებულ პირს, მოახდინოს იმ გაუთვალისწინებელი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ხარჯების არიდება, რომელიც მიწის ნაკვეთის კონკრეტული მიმართულებით სამშენებლოდ განვითარების დაშვებაზე წინასწარი თანხმობის გარეშე მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით მთელი რიგი იურიდიული მნიშვნელობის მქონე სამომავლო მოქმედებების განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს. აღნიშნულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს მიერ გაიმიჯნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სისი ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მხრიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით განხორციელებული მმართველობითი ღონისძიების **კანონიერებისა და მიზანშეწონილობის** მიმართ სასამართლოსა და ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს კონტროლის ფარგლები. კერძოდ, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებულ და შემდგომში გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამონმებს როგორც კანონიერების, ისევე მიზანშეწონილობის კუთხით, მაშინ, როდესაც სასამართლოს კონტროლი ამგვარი აქტების მიმართ შეზღუდულია და იგი მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებით შემოიფარგლება. საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მიწის ნაკვეთის კონკრეტული მიმართულებით განვითარების მიმართ დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნის გაცემის კანონმდებლობით განსაზღვრული შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაშიც კი, შეუძლებელი იქნებოდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ დასაბუთებული, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის შემოწმება, ვინაიდან აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ზემოთქმული არ გულისხმობს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანოს სრულ, შეუზღუდავ და სასამართლოს მხრიდან კონტროლს დაუქვემდებარებელი გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას. ცხადია, ამგვარი გადაწყვეტილებები ექვემდებარება შეზღუდული სახით, მხოლოდ დასაბუთებულობის ფრილში სასამართლო კონტროლს, რამდენადაც ამ მხრივ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად სასამართლო უფლე-

<sup>201</sup> საქმე №ბს-602-602(2კ-18).

ბამოსილია, შეამონმოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების მიზნისა და ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალების, ასევე, საჯარო და კერძო ინტერესთა პროპორციულობის და დისკრეციის კანონმდებლობით განსაზღვრული ფარგლების დაცულობის საკითხი.

საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებით ახალი გადაწყვეტილება მიიღო კიდევ ერთ სამშენებლო დავაზე,<sup>202</sup> სადაც პროექტით გათვალისწინებული ღირებულებები მომიჯნავე მიწის ნაკვეთიდან დაშორებული იყო 3,00 მეტრზე ნაკლები მანძილით – 1.80 მეტრით, რის გამოც კანონის მიხედვით საჭირო იყო მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნოტარიულად დამონმებული თანხმობა. მოცემულ საქმეში სადავო იყო საკითხი იმის შესახებ, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სხდომის ოქმი, სადაც მითითებული იყო, რომ მოსარჩელე სხდომაზე გაეცნო წარდგენილ არქიტექტურულ პროექტს და ხელმოწერით დაადასტურა, რომ იმ ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით პრეტენზია არ გააჩნდა, უთანაბრდებოდა თუ არა ნოტარიულ თანხმობას, ეს საკმარისი იყო თუ არა სამშენებლო ნებართვის გასაცემად, თუ აუცილებელი იყო მიანცდამაინც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სანოტარო წესით დამონმებული თანხმობა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ნოტარიული თანხმობის წარდგენის აუცილებლობა, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებისა და თავად ნოტარიული დამონმების ფორმიდან გამომდინარე, ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საჭირო თანხმობის გაცემა ხორციელდება დისტანციურად, ანუ თანხმობა პოსტფაქტუმ წარედგინება შესაბამის ორგანოს, თანხმობის განმცხადებელი პირის დასწრების აუცილებლობის გარეშე. შესაბამისად, დაინტერესებული პირის პირადად გამოცხადებით ადმინისტრაციულ ორგანოში და ადმინისტრაციული წარმოებისას დაინტერესებული პირის უტყუარად, ლეგიტიმურად დაფიქსირებული თანხმობით კანონმდებლის მიზანი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს და საფუძველს მოკლებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე ნების უტყუარად დადასტურების პირობებში ნოტარიული ფორმით დადასტურებული თანხმობის წარდგენის აუცილებლობა. ამასთან, განიმარტა, რომ სხდომის ოქმზე დაინტერესებული პირის ხელმოწერის გათანაბრებისას კანონით მოთხოვნილ სანოტარო წესით დამონმებულ თანხმობასთან, გადამწყვეტი იყო დაინტერესებული პირის ნამდვილი ნების არსებობა, რომელიც პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად უნდა აცხადებდეს თანხმობას; ასევე უნდა დასტურდებოდა ის გარემოება, რომ მხარე ინფორმირებული იყო მისი უფლებების შესახებ. საკასაციო სასამართლოს მითითებით, საჯარო მოსამსახურეთა ვალდებულებას წარმოადგენს დაინტერესებულ პირთა სრული ინფორმირება არა მხოლოდ უფლებრივი ასპექტით, არამედ მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების თაობაზე.

ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის გამო აღძრულ სარჩელზე<sup>203</sup> ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული მოთხოვნა უარყო საკასაციო სასამართლომ, არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს განმარტება სადავო საკითხთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ საქმეში არ მოიპოვება სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ კანონით დადგენილი წესით არ იყო წარდგენილი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 69-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამესაკუთრ(ებ)ის თანხმობა. ამასთან, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი – პირველი სართულის რეკონსტრუქციისა და მანსარდის დაშენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, რაც ასევე ადასტურებდა გასაჩივრებული განკარგულების კანონიერებას და გამორიცხავდა მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანების ძალაში დატოვების შესაძლებლობას.

საქმეში, რომელშიც სადავო იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღმჭურველი ინდივიდუალ-

<sup>202</sup> საქმე №ბს-687-683(კ-17).

<sup>203</sup> საქმე №ბს-572-567(კ-16).

ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა,<sup>204</sup> პირველი ინსტანციის სასამართლო მიერ უარყოფილი სარჩელი სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა, საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შედეგად მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რადგან სადავო აქტის გამოცემის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას შესაძლოა დაეზიანებინა ასაშენებელი შენობის მიმდებარედ განთავსებული სანიაღვრე კოლექტორი (რომლის სამშენებლო ტერიტორიის მომიჯნავედ არსებობასაც მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ). პალატამ განმარტა, რომ სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მართალია, დაუშვებელია თუნდაც კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. მითითებული ნორმა დაუშვებლად მიიჩნევს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას ამ აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის არსებობისას. კანონიერი ნდობის უფლება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებულმა მხარემ აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება. მისი ნდობა ამ ადმინისტრაციული აქტისადმი არის დაცვის ღირსი და აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. ამგვარი აქტის ბათილად ცნობას კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიერი უფლებების ან ინტერესების დარღვევის შემთხვევაში. საკასაციო პალატის მოსაზრებით სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი, რომელსაც წარმოადგენდა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი უფლებისა და ინტერესის მატარებელი საწინააღმდეგო საკანალიზაციო სისტემის დაცვა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბათილად ცნობილი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესს.

ერთ-ერთ სამშენებლო დავაზე<sup>205</sup> საკასაციო სასამართლომ, მართალია, შედეგობრივად უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა არაერთ საკითხზე, მათ შორის, როდესაც საკითხი აქტის გამოცემის ფორმალური კანონიერების დარღვევის მოტივით ხელახლა განსახილველად უბრუნდება ადმინისტრაციულ ორგანოს და იგი არ ასაჩივრებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას. საკასაციო სასამართლომ ასეთ შემთხვევაში ყურადღება მიაქცია საქმეში მესამე პირის საპროცესო სტატუსზე და ამ კუთხით მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილებაზე. საკასაციო სასამართლოს მითითებით, იმ პირობებში, როდესაც სახეზეა აქტის ფორმალური კანონიერების დარღვევა, დარღვეულია მისი გამოცემის პროცედურა, ბუნებრივია საპირისპირო – აქტის გამოცემისას პროცედურების დაცვის მტკიცების ტვირთი თავად ამ აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება. ამავე საქმეზე შეფასება მიეცა დროში კანონის მოქმედების ძალას. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, იმპერატიული მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენების შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ აუცილებლად ძველი ან ახალი ნორმატიული აქტით უნდა იხელმძღვანელოს, არ არსებობს. თუ ახალი კანონით განმცხადებელი უფლების რეალიზაციას ველარ ახდენს, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია გამოიყენოს განცხადების წარდგენის დროს მოქმედი კანონი, რომლითაც განმცხადებელი უფლებამოსილი იყო მოეთხოვა ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა, რის საფუძველზეც მოხდებოდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემა, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო განაშენიანების კოეფიციენტისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით გაეცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. ასევე შეფასება მიეცა შენობა-ნაგებობების პარამეტრების გადამეტების წინაპირობებს. საკასაციო სასამართლომ საკითხის შეფასებისას ყურადღება მიაქცია აღმჭურველი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ადრესატებისა და მოსარჩელის ინტერესების ურთიერთშეპირისპირებაზე,

<sup>204</sup> საქმე №ბს-54-53(კ-17).

<sup>205</sup> საქმე №ბს-930-922(2კ-16).

რასაც გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა დავის საბოლოო შედეგზე. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს არ ჰქონდა შესაძლებლობა შეეფასებინა გადანონიდა თუ არა კანონიერი ნდობის პრინციპი კანონიერების/კანონიერი მმართველობითი საქმიანობის პრინციპს. სასამართლო მხოლოდ მაშინ შეძლებდა ზემოაღნიშნულ პრინციპთა კონკურენციის საკითხის არსებითად გადწყვეტას, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო სათანადოდ გამოიკვლევდა საქმის გარემოებებს და გამოკვეთდა დაინტერესებულ პირთა, ასევე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს გასაჩივრებული აქტების მიმართ. ამასთან, საკასაციო სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>.6 მუხლზე მითითებით, ადმინისტრაციულ ორგანოთა ყურადღება მიაქცია აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხზე.

არსებითად განხილულ საქმეთაგან ერთ-ერთ სამშენებლო დავასთან მიმართებით მიღებულ გადაწყვეტილებაში<sup>206</sup> მნიშვნელოვანი განმარტებები იქნა გაკეთებული აღსრულებული, თუმცა ადრესატისათვის კანონით დადგენილი წესით ჩაუბარებელი აქტების გასაჩივრების ხანდაზმულობის საკითხთან მიმართებით, რაზეც ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ უმსჯელიათ. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში სწორედ მხარისათვის მისი გაცნობის შედეგად შედის, თუმცა **აღსრულებული აქტების** გასაჩივრების უფლების რეალიზებისათვის სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხოლოდ ჩაუბარებლობისა და მათი გამოცემისათვის ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის, შემდგომში კი – საჩივრის ავტორისა თუ მოსარჩელის მოუწვევლობის საკითხი, ვერ განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას, რამდენადაც ასეთ ვითარებაში, გასაჩივრების უფლების ხანდაზმულობის შეფასებისას უნდა დადგინდეს, დაინტერესებული პირი რამდენად იყო ან უნდა ყოფილიყო ინფორმირებული სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისა და ამგვარი აღსრულების შედეგების თაობაზე. ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი ინფორმირებულობის დადასტურების ხარისხი მატულობს იმ დროს, როდესაც სადავო აქტები მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობით აღჭურვას უკავშირდება. ასეთი ქმედებები შესაბამისი აქტების ყოველგვარი ჩაუბარებლობის, აგრეთვე, ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის მოუწვევლობის პირობებშიც კი, დაინტერესებული მხარის მხრიდან საკუთარი უფლებების დარღვევის ობიექტურად შეცნობას უნდა ინვესტირდეს, ვინაიდან ამ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება ხილულად, მხარისათვის თვალსაჩინოდ მიმდინარეობს. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სამართლებრივ საფუძველზე, კერძოდ, გამონაკლის შემთხვევაში, ნაკვეთების საზღვრიდან 5,0 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, მეზობლის მხარეს შეიძლება მოწყობილი იქნეს ფანჯრის ღიობები, თუ ამაზე იქნება **ნოტარიული წესით დამონებული მეზობლის თანხმობა**. აღნიშნულ დანაწესზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლომ, აგრეთვე, არ გაითვალისწინა სააპელაციო სასამართლოს შეფასება კორპუსის მაცხოვრებლების მხრიდან კანონიერი ნდობის გამორიცხვასთან მიმართებით და აღნიშნულის საპირისპიროდ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უკანონო ქმედება გულისხმობს დაინტერესებული მხარის არა კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა საჭირო დოკუმენტის წარუდგენლობას, არამედ მის მიერ იმ კონკრეტული კანონსაწინააღმდეგო ქმედების უშუალოდ განხორციელებას, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას, შეაფასოს კონკრეტული საკითხი მის მიერ აქტის გამოცემის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან წარდგენილი რომელიმე დოკუმენტი არ არის საკმარისი კონკრეტული გარემოების დასადასტურებლად, აღნიშნული არ შეიძლება იქცეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის გამომრიცხველ გარემოებად. საკასაციო სასამართლოს მიერ, აგრეთვე, არ იქნა გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა კერძო პირთა ინტერესის შელახვის გამო კანონიერი ნდობის გამორიცხვასთან მიმართე-

<sup>206</sup> საქმე №ბს-708-708(კ-18).



ბით, კერძოდ, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის უფლებასთან ერთობლიობაში, აუცილებელი იყო აღნიშნულ კორპუსში მცხოვრებ მოქალაქეთა კერძო სუბიექტური უფლებების მხედველობაში მიღება და როგორც მოსარჩელის, ასევე, მითითებულ პირთა ინტერესების პროპორციულობის განსაზღვრის შედეგად კანონიერი ნდობის გამომრიცხველი გარემოების არსებობა-არარსებობის დადგენა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის სუბიექტურ ინტერესს წარმოადგენდა, სრულყოფილად უზრუნველყო მისი საკუთრებით სარგებლობა, თუმცა აღნიშნულის საპირწონედ, არსებობდა კორპუსის მაცხოვრებლების კანონიერი ინტერესები – შეენარჩუნებინათ მათ მიერ შესაბამისი შენობა-ნაგებობის მშენებლის მიმართ არსებული ნდობის საფუძველზე შექმნილი კონკრეტული საცხოვრებელი ფართის იერსახე და ესარგებლათ მისით. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად პოტენციურად გამოწვევადი ზიანის მხედველობაში მიღებით, წინააღმდეგობრივი ინტერესების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კორპუსის მესაკუთრეების უფლებათა და კანონიერი ინტერესთა დაცვის საჭიროება მოსარჩელის ინტერესთა დაცულობის აუცილებლობაზე აღმატებულად მიიჩნია.

უცვლელად დატოვებულ საქმეთაგან ხაზგასასმელია ერთ-ერთი სამშენებლო დავა,<sup>207</sup> რომელზეც მნიშვნელოვანი განმარტებები იქნა გაკეთებული არქიტექტურული პროექტის კორექტირებისა და მასში ცვლილებების შეტანისას ადმინისტრაციულ წარმოებაში მოსაწვევ დაინტერესებულ პირებთან, აგრეთვე, მათი სავალდებულო თანხმობის არსებობის აუცილებლობასთან დაკავშირებით, კერძოდ, საკასაციო პალატამ დამატებით განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დანაწესების შესაბამისად, ადმინისტრაციულ წარმოებაში ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით ჩასაბმელ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა შესაძლოა, იყოს **სავალდებულო ან ფაკულტატიური**. სავალდებულო მონაწილეობის შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა არის აუცილებელი იმდენად, რამდენადაც მათ მონაწილეობას წარმოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. კერძოდ, სწორედ აღნიშნულ პირთა წარმოებაში ჩართულობაზე, მათ აუცილებელ მოწვევაზეა დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება. ფაკულტატიური მონაწილეობისას კი, ადმინისტრაციულ წარმოებაში ერთგვებიან და მონაწილეობენ უბრალო მონაწილეები, რომელთა კანონიერი ინტერესსაც შეიძლება შეეხოს ეს გადაწყვეტილება და რომელთა ჩართულობა ადმინისტრაციულ წარმოებაში გავლენას ვერ მოახდენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიერ დამატებით იქნა შეფასებული ის გარემოება, რომ კასატორი იპოთეკის ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარების შემდგომ, აღარ წარმოადგენდა მინის ნაკვეთის იპოთეკარს, რაც გამოირიცხავდა მის უშუალო სამართლებრივ კავშირს მინის ნაკვეთისა და მასზე აღმართული შენობა-ნაგებობების მიმართ. მინის ნაკვეთის მყიდველისათვის გადაცემის სანაცვლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულების შესრულებულად ჩათვლის და იპოთეკის მოხსნის შესახებ ხელშეკრულების პირობების თანახმად, შენობა-ნაგებობის საბოლოო მესაკუთრე არა კასატორი, არამედ სხვა პირი უნდა გამხდარიყო. საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იპოთეკის ხელშეკრულების არარსებობის პირობებში, უშუალოდ მინის ნაკვეთზე განსათავსებელი შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის კორექტირებისა და მასში ცვლილებების შეტანის მიმართ ვეღარ იარსებებდა მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რაც ავტომატურად გამორიცხავდა პროექტში ცვლილებების შეტანაზე მისი სავალდებულო თანხმობის არსებობის აუცილებლობასაც.

ერთ-ერთ დავაში<sup>208</sup> პირი ასაჩივრებდა სახელმწიფოს მინაზე უნებართვო მშენებლობისათვის ჯარიმისა და დემონტაჟის დაკისრებას. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა საკითხი არსებითად ისე გადაწყვიტეს, რომ არ დაუდგენიათ ტერიტორიის სახელმწიფოსადმი კუთვნილება, საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უნებართვო ნაგებობის მოწყობის ადგილად უთითებდა კორპუსის წინ მდებარე ტერიტორიას, თუმცა არ იყო გამორიცხული ტერიტორიის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისადმი კუთვნილება. აღნიშნული პირდაპირ გავლენას ახდენდა მოსარჩელისათვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობაზე. ამავე დავაში სააპელაციო

<sup>207</sup> საქმე №ბს-222-222(კ-18).

<sup>208</sup> საქმე №ბს-210-209(კ-16).

პალატას არასწორად ჰქონდა განმარტებული სანქციის შეფარდების საფუძვლად მითითებული ნორმის დისპოზიციით გათვალისწინებული წინაპირობები, აღრუელი იყო ქ. თბილისის და სხვა თვითმმართველი ერთულის ტერიტორიაზე განხორციელებული უნებართვო მშენებლობისათვის სანქციის შეფარდების წესი და ნორმის გამოყენების წინაპირობები, გასამიჯნი იყო ახალი მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ცნებები. სააპელაციო პალატას არ ჰქონდა შეფასებული აგრეთვე პირველი კლასის ნაგებობის უნებართვოდ მონყობისას, მოგვიანებით უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მშენებლობის დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში სანქციისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება არ შეიცავდა აგრეთვე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარმოების ხელახლა ჩატარების დავალების დასაბუთებას.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>209</sup> უზენაესი სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევის, გადაწყვეტილების დასაბუთების, დავის გადაწყვეტისას სათანადო ნორმატიული მოწესრიგების გამოყენების საჭიროებაზე მითითების და ამ საფუძვლით სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების მიუხედავად,<sup>210</sup> საკასაციო სასამართლოს მითითებების უგულვებელყოფით სააპელაციო პალატამ მიიღო გაუქმებული გადაწყვეტილების იდენტური გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით ისევ გასაჩივრდა უფლებამოსილი მხარის მიერ. საქმის განხილვისას საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის დაბრუნების დროს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მითითებების გათვალისწინების სავალდებულობაზე. პალატამ იმსჯელა აგრეთვე სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების წინაპირობებზე, საქმეში დაცულ მტკიცებულებათა ყოველმხრივ და სრულად გამოკვლევის საჭიროებაზე. პალატამ აღნიშნა, რომ უნებართვო მშენებლობის მწარმოებელი კონკრეტული პირის დაუდგენლობის შემთხვევაში მესაკუთრესა და მოსარგებლეზე პასუხისმგებლობის დაკისრება არ ადასტურებს პასუხისმგებლობის დაკისრებას სხვისი ბრალისათვის, ასეთ შემთხვევაში მესაკუთრე/მოსარგებლე პასუხს აგებს არა სხვისი, არამედ თავისი ბრალისათვის, რომელიც გამოვლენას პოულობს მის უმოქმედობაში: სათანადო სამშენებლო ნორმების დაცვის, ნაგებობის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, კანონშესაბამისი ექსპლუატაციის, დემონტაჟის მოთხოვნის ვალდებულების შეუსრულებლობაში.

საკასაციო პალატას სხვა დავაშიც<sup>211</sup> დასჭირდა სამშენებლო სამართლადარღვევაზე პასუხისმგებელ სუბიექტზე ყურადღების გამახვილება და აღნიშნა, რომ სამშენებლო მიწის მესაკუთრეს ან მოსარგებლეს პასუხისმგებლობა ეკისრება, უკეთუ დაუდგენელია მშენებლობის მწარმოებელი პირი და არა ყველა შემთხვევაში. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე სამშენებლო სამართლადარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროზე და განმარტა, რომ ეს დრო მოიცავს აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდსაც. სანქციის დაკისრების შესახებ აქტის გასაჩივრების შემთხვევაში პირისათვის საბოლოო შედეგს იწვევს სასამართლო გადაწყვეტილება და არა სადავო აქტები, ამიტომ შეფასებას საჭიროებდა სანქციის შეფარდების შემდგომ წარმოშობილი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გამოყენების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობების არსებობა, რაც სააპელაციო პალატას არ განუხორციელებია.

**პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მიხედვით უნებართვო მშენებლობის გამო დაჯარიმებისა და უკანონოდ აგებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის დავალების კანონიერებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საქმეზე<sup>212</sup> საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჭირო იყო საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება, სადაც მიუთითა, რომ უდავოდ დასტურდებოდა მოსარჩელის მიერ უნებართვო მშენებლობის განხორციელება, რასაც თავად მოსარჩელეც როგორც სასარჩელო განცხადებაში,**

<sup>209</sup> საქმე №ბს-553-550(2კ-17).

<sup>210</sup> საქმე №ბს-311-307(2კ-14).

<sup>211</sup> საქმე №ბს-380-375(2კ-16).

<sup>212</sup> საქმე №ბს-360-357(2კ-17).

ასევე სასამართლოში საქმის განხილვისას ადასტურებდა. საკასაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა იმ მიზნის ნაკვეთის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – საკუთრების უფლების მონობა, რომელზედაც განხორციელდა უნებართვო მშენებლობა. საქმეზე ასევე არ იყო წარდგენილი სადავო კაპიტალური შენობა-ნაგებობების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ, მშენებლობის ნებართვა ან უნებართვო მშენებლობის ლეგალიზების აქტი. საკასაციო სასამართლომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ერთმანეთისაგან გამიჯნა არქიტექტურულ ქალაქმშენებლობის პროცესებსა და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები და მიუთითა, რომ კანონმდებლობა განსაზღვრავდა ამ უფლებამოსილებათა განმარტებულ განსხვავებულ ორგანოებს. კერძოდ, საჯარო რეესტრი განიხილება, როგორც საკუთრების უფლების მარეგისტრირებელი ორგანო, ხოლო სამშენებლო სამუშაოებისთვის კანონიერის სტატუსის მინიჭების სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვა ან ლეგალიზების აქტი. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ დემონტაჟის ნაწილში საქმის გადანყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა სწორედ სადავო შენობა-ნაგებობის სამართლებრივი მდგომარეობა. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, იმ ვითარებაში, როდესაც ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ ჰქონდათ დადგენილი სადავო შენობა-ნაგებობის სამართლებრივი მდგომარეობა, შეუძლებელი იყო მსჯელობა დემონტაჟის ნაწილში გასაჩივრებული აქტების კანონიერებაზე. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მასზე, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა პირის დაჯარიმების პირობა იმის გამო, რომ მიზნის ნაკვეთი წარმოადგენდა მოსარჩელის საკუთრებას. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ის გარემოება, რომ მოსარჩელემ საკუთრებად დაირეგისტრირა მიზნის ნაკვეთი, გულისხმობდა მისი საკუთრების უფლების გავრცელებას მიწაზე და არ ადასტურებდა მის მიერ განხორციელებული მშენებლობის კანონიერებას. სადავო მშენებლობის კანონიერად ცნობისათვის საჭირო იყო სათანადო ნებართვის მიღება, ან უკვე განხორციელებული მშენებლობის მოქმედ სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც მოსარჩელეს არ განუხორციელებია. საკასაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა სადავო სამართალურთიერთობების მიმართ უნებართვო მშენებლობის განხორციელების შემდგომ, ნაკვეთის კერძო საკუთრებაში მოქცევის გამო, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით გათვალისწინებული შეღავათიანი რეჟიმის გამოყენების შესაძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიერ არსებითად განხილულ საქმეთაგან გამოსარჩევად მნიშვნელოვანია **ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ვადის აღდგენის საფუძვლების შეფასების თაობაზე** ერთ-ერთი დავა,<sup>213</sup> სადაც საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაში განვითარებული მსჯელობები ვადის აღდგენის წინაპირობების არარსებობასთან მიმართებით და განმარტა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი გაშვებული ვადის აღდგენის უფლებამოსილება განეკუთვნებოდა შემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენებისას ადმინისტრაციულ ორგანოს კვლავ ეძლეოდა შესაძლებლობა სამართლებრივი კონტროლი განეხორციელებინა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადანყვეტილებებზე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს წარდგენილი საჩივრის ფარგლებში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის ვადის აღდგენის საფუძველად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დადგენილი და შეფასებული არ ჰქონდა, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დასკვნა – საჩივრის განხილვაზე უარი, ეყრდნობოდა იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ იქნა კანონით დადგენილი ვადის გაშვებით, რასაც მოსარჩელე სადავოდ არც ხდიდა. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, საჩივრის განმხილველ ორგანოს დავა საჩივრის ფარგლებში უნდა გადაეწყვიტა, კონკრეტულად, ემსჯელა და შეეფასებინა მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება – მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რამდენად უნდა ყოფილიყო მიჩნეული ვადის გაშვების საპატიო მიზეზად. ამასთან, საკასაციო სასამართლომ შემოაღნიშნული

<sup>213</sup> საქმე №ბს-861-853(კ-16).

ფაქტის გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, მნიშვნელოვნად მიიჩნია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სამშენებლო სამართალდარღვევის არსებობასთან დაკავშირებით ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას საკასაციო სასამართლომ, ერთი მხრივ, გამოიყენა ერთიანი ეროვნული სასამართლო პრაქტიკა, ხოლო მეორე მხრივ, იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით და მნიშვნელოვნად ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, განმცხადებლის ქონებრივი ინტერესი კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებულ „საკუთრებას“ დაუკავშირა, რომლის მიმართაც მოსარჩელეს სუბსტანციური ინტერესი გააჩნდა. გარდა ამისა, განმცხადებელს ჰქონდა „ლეგიტიმური მოლოდინი“ იმის შესახებ, რომ მას შეეძლო საკუთრებით სარგებლობა“. აღნიშნული განმარტებებისა და დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონტროლის/გადამოწმების შესაძლებლობა.

## უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავები

**მნიშვნელოვანი სამართლებრივი ხარვეზები გამოვლინდა ასევე სსიპ საჯარო რეესტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ დავებში, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობად იქცა.** ამ მხრივ, ხაზგასასმელია ერთ-ერთი დავა,<sup>214</sup> რომელზედაც საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სადავო საკითხთან მიმართებით სააპელაციო პალატის მოტივაცია და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებითა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შეცვალა საქმეზე დამდგარი შედეგი. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ რეგისტრაციის საფუძვლების მოქმედების, მისი ძალაში ყოფნის პირობებში გააბათილა უძრავი ქონების მესაკუთრეზე რეგისტრაცია. ამდენად, საკასაციო პალატამ დაუშვებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება და მოპასუხის სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაციის გაუქმება იმის გათვალისწინებით, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლები კანონიერ ძალაში იყო, რომელთა კანონიერებაც სასამართლოს განსჯის საგანი არ გამხდარა. ამასთან, საკასაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელდა მინისა და სხვა უძრავი ქონების შექმნის დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე, რომელიც ძალაში იყო და არ გაუქმებულა, სარეგისტრაციო სამსახურის მიერ პირველადი რეგისტრაცია განხორციელებული იყო იმ დროს, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა უშვებდა ძირითად ნივთსა და მის არსებით შემადგენელ ნაწილზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უფლების არსებობის შესაძლებლობას. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძველი.

საქმეში, რომელშიც დავის საგანი იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი „რეგისტრაციის შესახებ სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და ზეპირი მოსმენის დანიშვნის თაობაზე“,<sup>215</sup> საკასაციო პალატამ ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგი და გაიზიარა სააპელაციო პალატის მიერ საკასაციო სასამართლოს დადგენილ პრაქტიკაზე მითითება,<sup>216</sup> რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ თავისი ტერიტორიული სამსახურების გადაწყვეტილების (მათ შორის, საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების) კონტროლის/გადამოწმების შესაძლებლობას. საკასაციო პალატა შესაძლებლად მიიჩნევს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საჩივრის არსებობის გარეშე, საკუთარი ინიციატივით, მოახდინოს მის სისტემაში შემავალი სარეგისტრაციო სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, მათ შორის, საკუთარების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გა-

<sup>214</sup> საქმე №ბს-729-721(კ-16).

<sup>215</sup> საქმე №ბს-5-4(კ-17).

<sup>216</sup> საქმე №ბს-408-403(კ-14); №ბს-1695-1651(კ-10).

დასინჯვა. ამასთანავე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი ინიციატივით აქტის კანონიერების გადამოწმებისას დაცული უნდა იყოს გონივრული ვადა, რათა არ მოხდეს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წლების შემდეგ, ყოველგვარი გონივრული ვადის დაცვის გარეშე ბათილად ცნობა და დაინტერესებული მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ამასთან, გონივრული ვადის განსაზღვრა არ შეიძლება ეფუძნებოდეს სუბიექტურ შეხედულებებს. გონივრული ვადის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს კონკრეტული სამართალურთიერთობისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის გამოყენებით. მოცემულ შემთხვევაში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით არ არის განსაზღვრული ამავე კოდექსის 76.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების განხორციელების ხანდაზმულობის ვადა და არც „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონი და ინსტრუქცია ითვალისწინებს დათქმას სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საკუთარი ინიციატივით გადამოწმების ვადის თაობაზე. საკასაციო პალატამ ხანდაზმულობის ვადის შინაარსსა და მნიშვნელობაზე მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო სამართლის კანონმდებლობა არ ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების (გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შესრულების ვადას, მიიჩნია, რომ მოცემულ ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს, რომ სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოსათვის სზაკ-ის 76.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების კანონიერების შემოწმების თაობაზე შესაძლებელია, განხორციელდეს კანონით დადგენილ ათწლიან ვადაში.

საქმეზე, რომელშიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება უარყო სააპელაციო სასამართლომ, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ხანდაზმულობის თაობაზე და სსკ-ის 142-ე, 130-ე და 138-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ მოსარჩელის მამკვიდრებლის მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენით სსკ-ის 138-ე მუხლის საფუძველზე შეწყდა ხანდაზმულობის ვადა, რეგისტრაციის პროცესის წარუმატებლად დასრულების მიუხედავად. ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძველით სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველი.<sup>217</sup>

საქმეზე, რომელშიც სადავო იყო უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია,<sup>218</sup> პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოთხოვნის უარყოფის შესახებ გაუქმდა და სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა სარჩელი, რაც არ იქნა გაზიარებული უზენაესი სასამართლოს მიერ. მარეგისტრირებელმა ორგანომ იმ საფუძველით შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება, რომ განმცხადებლის მიერ წარმოსადგენი იყო უძრავი ქონების მესაკუთრის – სახელმწიფოს თანხმობა, ან ფართზე სათანადო უფლების დამდგენი დოკუმენტი. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ საქმეში წარმოდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, უძრავი ნივთი წარმოადგენდა ერთ სისტემაში გაერთიანებულ, ურთიერთდაკავშირებულ და იზოლირებულ ფართს, რამდენადაც აღნიშნული არ დასტურდებოდა ასკ-ის მე-17 მუხლითა და სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებებით, რომლებიც დაადასტურებდა, რომ მოთხოვნილი ფართი და პრივატიზაციის საფუძველზე გაცემული ფართი წარმოადგენდა ერთ სისტემაში გაერთიანებულ, ურთიერთდაკავშირებულ და იზოლირებულ ფართს. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 14.9 მუხლი, რომელიც ადგენს შენობა-ნაგებობის დაუზუსტებელ ფართობზე აზომვითი ნახაზის საფუძველზე რეგისტრაციის პირობებს. მოცემულ შემთხვევაში, მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსე-

<sup>217</sup> საქმე №ბს-135-133(კ-17).

<sup>218</sup> საქმე №ბს-805-797(კ-16).

ბული შენობა-ნაგებობები, რომელშიც განთავსებული იყო სადავო ფართი რეგისტრირებული იყო სახელმწიფო საკუთრებად, რომელმაც ამ შენობა-ნაგებობაში არსებული ფართების ნაწილი განკარგა, ხოლო ის ფართი, რომელიც სახელმწიფოს არ განუკარგავს კვლავ მის საკუთრებად რჩება და არ წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო საკუთრებას. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული აქტები მიღებული იყოს კანონის მოთხოვნათა დაცვით და მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ მოსარჩელის დაწარმებულ მტკიცებულებათა წარდგენის გარეშე დაუკმაყოფილდათ რეგისტრაციის თაობაზე მოთხოვნა, საჯარო რეესტრის მიერ, არ შეიძლება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდეს. საკასაციო პალატამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დისკრიმინაციის განმარტებაზე მითითებით<sup>219</sup> აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს არ მიუთითებია არც ერთი დასახელებული ნიშანი, რასაც შესაძლოა, გამოენვიან მისთვის უძრავ ნივთზე საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნაზე უარის თქმა.

ხელახლა განსახილველად დაბრუნებულ საქმეთაგან აღსანიშნავია აგრეთვე საკასაციო სასამართლოს მიერ არსებითად განხილული ერთ-ერთი ზემოხსენებული კატეგორიის დავა,<sup>220</sup> რომელზეც საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებები, შესაბამისად, საქმის გარემოებათა გამოუკვლევობის, გასაჩივრებული განჩინების დაუსაბუთებლობის საფუძველზე, გააუქმა აღნიშნული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად იმავ სასამართლოს დაუბრუნა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლოს უპირველესად უნდა გამოეკვლია და დაედგინა საქმის გადაწყვეტილების არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც მას არ განუხორციელებია. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე უთხრეს უარი მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რომ საერთოდ არ შეუფასებიათ საქმეში არსებული უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებები, კერძოდ, არ დაუდგენიათ ის გარემოება, რომ სადავო მიწის ნაკვეთთან მიმართებით მხარეებს შორის წლების განმავლობაში მიმდინარეობდა დავა და სადავო საკითხთან დაკავშირებით არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სარეგისტრაციო სამსახურს არ შეუდარებია სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია საალრიცხვო ბარათსა და ამონაწერებთან, რამაც გამოიწვია მომიჯნავე ნაკვეთებზე ურთიერთსაწინააღმდეგო რეგისტრაციების განხორციელება. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია სადავო ნაკვეთის ახლად რეგისტრირებული მესაკუთრის კეთილსინდისიერ შემძენად მიჩნევის შესაძლებლობა.

ასევე აღსანიშნავია საჯარო რეესტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი საქმე,<sup>221</sup> რომელზედაც მესამე პირის მიერ მოსარჩელის უფლებების თაღლითური მეთოდების გამოყენებით შელახვას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, მესამე პირმა ქირავნობის ხელშეკრულების ნასყიდობის ხელშეკრულებად თაღლითურად გადაკეთების გზით, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით უძრავი ქონებების აღრიცხვა, მათი გაერთიანება და შემდგომში იპოთეკით დატვირთვა განახორციელა. აღნიშნულ საქმეზე, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ უძრავი ქონების გარიგებაზე ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება დასაშვებია საჯარო რეესტრის უფლებამოსილი თანამშრომლის ან ავტორიზებული პირის მიერ. სხვა შემთხვევაში, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება მოითხოვს საჯარო აქტის ფორმით – ხელშეკრულების მონაწილეთა ნების დადასტურებას. ავტორიზებული პირი, შესაძლოა, ასევე ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე იყოს ნოტარიუსი. მითითებულ შემთხვევაში, მესამე პირსა და მოსარჩელეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე წარმოადგენდა კერძო აქტს, იგი საჯარო რეესტრს სარეგისტრაციოდ წარუდგინა არა ავტორიზებულმა ნოტარიუსმა, არამედ დაინტერესებულმა პირმა – დავაში მესამე პირად ჩაბმულმა პირმა. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო უძრავ ნივთებზე მესამე პირის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ სარეგისტრაციო სამსახურის გასაჩივრებული გადაწყვეტილებების მიღებისას მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებული იყო გამოეყვინა ის ხარვეზი, რომ მსგავსი სახით დამონმებული ხელშეკრულება წარდგენილი უნდა ყოფილიყო თავად

<sup>219</sup> საქმე №2/1/473.

<sup>220</sup> საქმე №ბს-870-862(კ-16).

<sup>221</sup> საქმე №ბს-975-971(კ-17).

ხელმოწერის ნამდვილობის დამადასტურებელი ნოტარიუსის მიერ ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ამგვარი ხარვეზის დადგენით უზრუნველყოფილი იქნებოდა სარეგისტრაციო წარმოების წესის დაცვა. შესაბამისად, აღნიშნულ ვალდებულებათა განუხორციელებლობა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველს წარმოშობდა. საკასაციო სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა უძრავი ქონების გაერთიანების თაობაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან მიმართებით და მიუთითა, რომ წინა რეგისტრაციის უკანონობა თავისთავად არ იწვევდა შემდგომი რეგისტრაციის ბათილობას, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის კანონიერების გადასინჯვის გარეშე, თუმცა აღნიშნული მიდგომა მოქმედებდა მესამე პირებთან მიმართებით, ვინაიდან რეგისტრირებული მესაკუთრე, თუნდაც ის არ ყოფილიყო უძრავი ნივთის ნამდვილი მესაკუთრე, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველზე, მესამე პირებისათვის მიიჩნეოდა ნამდვილ მესაკუთრედ. საკასაციო სასამართლომ მესამე პირის იპოთეკის უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებასთან მიმართებით აღნიშნა, რომ იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც საფუძვლად დაედო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხსენებულ გადაწყვეტილებას, გაფორმებული იყო სანოტარო მოქმედების დადასტურების გზით, რომელიც საჯარო რეესტრს ხელშეკრულების დამოწმებელი ნოტარიუსის მიერ წარედგინა. სადავო ფართზე იპოთეკის უფლება დავის განხილვის მომენტში რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში. საკასაციო სასამართლომ მიერ განიმარტა იპოთეკის სამართლებრივი ბუნება და აღინიშნა, რომ ვინაიდან საქმეში მესამე პირად ჩაბმული პირი ხელშეკრულებების დადებისას საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო უძრავი ნივთის მესაკუთრედ და იპოთეკარებს არ ჰქონდათ საშუალება ევარაუდათ საკუთრების ხარვეზიანობა, ისინი მიიჩნეოდნენ კეთილსინდისიერებად და მათ მიმართ უნდა გავრცელებულიყო მართლზომიერი იპოთეკარებისათვის განსაზღვრული საკანონმდებლო გარანტიები.

ნორმის განმარტების საჭიროება დადგა საჯარო რეესტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ დავაზე,<sup>222</sup> სადაც საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა სარეგისტრაციო სამსახურის ქმედებათა კანონიერების დადგენა თავდაპირველად სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, ხოლო შემდგომ ყადაღის რეგისტრაციის კანონიერების შეფასებით, რასაც, საბოლოო ჯამში, შედეგად მოჰყვა პირისთვის სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმა. მითითებულ შემთხვევაში სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველს წარმოადგენდა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც, წარმოება შეჩერდება თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტები მათი კანონიერების შესწავლის მიზნით გადაიგზავნა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოში. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა მითითებულ ნორმასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი შეფასება და მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო ფორმალურად მიუდგა სადავო საკითხს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველი გულისხმობს სწორედ იმ შემთხვევას, როდესაც სახელმწიფო ან კერძო პირთა ინტერესების ხელყოფის თავიდან აცილებისა და უძრავი ქონების დაცვის სტანდარტის გათვალისწინებით, სარეგისტრაციო სამსახური საეჭვოდ მიიჩნევს სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტებს და აჩერებს სარეგისტრაციო წარმოებას. სარეგისტრაციო სამსახურის აღნიშნული შესაძლებლობა განუყოფელია მისი დანიშნულებიდან და ეჭვის არსებობის შემთხვევაში სარეგისტრაციო სამსახური არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულია შეაჩეროს სარეგისტრაციო წარმოება. თუმცა სარეგისტრაციო სამსახურის აღნიშნული შესაძლებლობა არ უნდა იქცეს სარეგისტრაციო სამსახურის თვითნებობის და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობად. მითითებული ნორმის საფუძველზე სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისას სარეგისტრაციო სამსახურს ამის ობიექტური და რეალური საფუძველი უნდა გააჩნდეს, რათა არ მოხდეს განმცხადებლის ინტერესების დაუსაბუთებელი ხელყოფა სარეგისტრაციო სამსახურის უსაფუძვლო ვარაუდებზე დაყრდნობით. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისას არსებობდა არა თუ გონივრული ეჭვი მოთხოვნილი რეგისტრაციის კანონიერებასთან დაკავშირებით, არამედ – სარეგისტრაციო სამსახურს შესაბა-

<sup>222</sup> საქმე №ბს-443-443(კ-18).

მისი კომპეტენტური ორგანოს მიერ ეცნობა, რომ მიმდინარებდა გამოძიება ყალბი დოკუმენტების გამოყენებით მიწის ნაკვეთის მისაკუთრების ფაქტზე, ანუ იმ დოკუმენტების კანონიერების შემოწმების თაობაზე, რომელთა საფუძველზეც მარეგისტრირებელ ორგანოში მოხდა მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია. შესაბამისად, მესამე პირის მოთხოვნა სადავო საკუთრების რეგისტრაციის თაობაზე, იმთავითვე ექცეოდა იმ სამართლებრივ სივრცეში, რაც დაკავშირებული იყო გამოძიებით დასადგენ გარემოებასთან და მის შედეგებთან. რაც შეეხება ყადაღის რეგისტრაციის და რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადანყვეტილებების კანონიერებას, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარეგისტრაციო სამსახურმა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, მითითებული ნორმით განსაზღვრული რიგითობის შესაბამისად, მართებულად მიიღო გადანყვეტილება საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რის შემდგომაც აღნიშნული კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ასევე მართებულად ითქვა უარი საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილ უფლების საგანზე რეგისტრირებული იყო ყადაღა. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლოს იმ განმარტებებზე, რომელიც მან უძრავ ნივთებზე კეთილსინდისიერი შემძენის გამომრიცხავ გარემოებებზე გააკეთა.<sup>223</sup>

არსებითად განხილულ საქმეთაგან აღსანიშნავია ასევე საკასაციო სასამართლოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენებით გადანყვეტილი დავა,<sup>224</sup> რომელიც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადანყვეტილებების კანონიერების შეფასებას შეეხებოდა. აღნიშნულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ იყო დასაბუთებული არც პროცესუალური და არც მატერიალური თვალსაზრისით. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს სადავო საკითხს და ისე მიიღეს გადანყვეტილება განსახილველ საქმეზე, რომ არ იმსჯელეს მოსარჩელის არგუმენტებზე და ვერ დაასაბუთეს მისი მოთხოვნის უსაფუძვლობა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ყურადღების და შეფასების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ საქმეში ფიგურირებდა შესაბამისი სამსახურის ბრძანების ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული შინაარსის მქონე ვარიანტი. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სარეგისტრაციო სამსახურის მიერ საკითხისადმი ფორმალურმა მიდგომამ წარმოშვა ახალი დავა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ დუპლექსის ტიპის ბინის ნაწილზე, რაზეც აქამდე მხარეებს პრეტენზია არ ჰქონიათ. მხარეებს შორის სადავოდ გამხდარი იყო სხვენი, რასთან დაკავშირებითაც გამოიცა სადავო აქტები, თუმცა წარდგენილი მასალებით არ დასტურდებოდა სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტების სრულყოფილად გამოკვლევა და შეფასება. ადმინისტრაციული ორგანოს არ დაუდგენია რეალურად არსებობდა თუ არა სადავო აქტებში მითითებული ფართები, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდებოდა სადავო ფართების იდენტურობა საჯარო რეესტრის აქტებში მითითებულ ფართებთან. ამასთან, საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებმა თავადვე დაადასტურეს, რომ სადავო ფართების ადგილზე დათვალიერებისას საერთოდ ვერ იქნა აღმოჩენილი ის ფართი, რაზეც დავა მიმდინარეობდა. ამდენად, ბუნებაში არსებული ფართის რეალური მდგომარეობა შეუსაბამო იყო გასაჩივრებულ აქტებში მითითებული ფართებისა. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია სადავო აქტების ბათილად ცნობა და საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის მიზნით საკითხის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაბრუნება.

სარეგისტრაციო სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი საქმე, იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივი იყო, საკასაციო სასამართლომ ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.<sup>225</sup> სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით, გადანყვეტილება მიღებული იყო მოსარჩელეთა სასარგებლოდ, რომლის თანახმად, განსახილველი სარჩელით წარდგენილი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იყო ნაწილობრივ; ხოლო გასაჩივ-

<sup>223</sup> იხ. №3/4/550 გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>224</sup> საქმე №ბს-1037-1031(კ-17).

<sup>225</sup> საქმე №ბს-43-42(კ-17).



რებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილისგან განსხვავებით, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში გაკეთებული დასკვნები გამორიცხავდა მოსარჩელეთა საბოლოო მიზნის მიღწევის შესაძლებლობას, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება და საჯარო რეესტრს ახალი აქტის გამოცემა დაავალა, თუმცა ამავე დროულად, სააპელაციო სასამართლომ არსებითად იმსჯელა და შეფასება მისცა რეესტრაციის შესახებ გადაწყვეტილებას, რაც თავის მხრივ, ადმინისტრაციული საჩივრის საგანს წარმოადგენდა, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ადმინისტრაციულ ორგანოს იმთავითვე განუსაზღვრავდა მისაღები გადაწყვეტილების შინაარსს, რაც საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია. ამავე დავაზე საკასაციო სასამართლომ მიუთითა კონკრეტულ საქმეებზე,<sup>226</sup> სადაც საკასაციო სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ტერიტორიული სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილების (მათ შორის, საკუთრების უფლების რეესტრაციის შესახებ გადაწყვეტილების) კონტროლის/გადამოწმების შესაძლებლობა. მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29.3 მუხლი არ გამორიცხავს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში გადაამოწმოს ტერიტორიული სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება.

2018 წელს არსებითად განხილულ დავებს შორის იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დავის შედეგობრივად სწორად გადაწყვეტის მიუხედავად, საკასაციო პალატამ იმსჯელა სადავო საკითხებზე, რადგან გასაჩივრებული გადაწყვეტილებები არ შეიცავდნენ სათანადო იურიდიულ დასაბუთებას. მაგალითად, ერთ-ერთი დავა<sup>227</sup> წარმოიშვა ზედდების გამო საჯარო რეესტრის მიერ ფიზიკური პირისთვის დაზუსტებული რეესტრაციის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების და ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ განუხილველად დატოვების საკითხზე. კასაციის ფარგლების გათვალისწინებით სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ ადმინისტრაციულ საჩივართან მიმართებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერებასთან დაკავშირებით. პალატამ იმსჯელა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ორგანოს მიერ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების სრული და ყოველმხრივი გამოკვლევის, საჩივრის ავტორის პრეტენზიების შესწავლის, მათზე დასაბუთებული პასუხების გაცემის, სრულყოფილი წარმოების ჩატარების და მხოლოდ ამის შემდგომ გადაწყვეტილების მიღების საჭიროებაზე. სადავო აქტი არ პასუხობდა აღნიშნულ მოთხოვნებს, რამაც მართებულად გამოიწვია მისი ბათილად ცნობა.

**ყოველი დავის გადაწყვეტა საჭიროებს გარკვეული ფაქტების დადგენას, ვინაიდან სამართლით რეგულირებული ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ ფაქტების საფუძველზე, ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა გარკვეულ იურიდიულ შედეგს უკავშირებს. ფაქტების სწორ და სრულყოფილ დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწის ნაკვეთების რეესტრაციასთან დაკავშირებულ დავებში, სადაც, როგორც წესი, დასადგენია ნაკვეთის მდებარეობა, კონფიგურაცია, საზღვრები, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეები და სხვ.**

2017 წელს განხილულ ერთ-ერთ დავაში<sup>228</sup> მოსარჩელე ითხოვდა მეზობლების დაზუსტებული რეესტრაციების ბათილად ცნობას მის დაუზუსტებელ რეესტრაციასთან ზედდების საფუძველით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავდა საექსპერტო დასკვნის გაზიარებაზე უარის თქმის დასაბუთებას, არ იქნა გათვალისწინებული სასარჩელო მოთხოვნის რეალური შინაარსი – ის, რომ სადავო იყო არა მიწის ნაკვეთების გამოყოფის კანონიერება, არამედ მათი მდებარეობა და პარამეტრები. სადავო აქტების გასაჩივრების ფარგლების, მოსარჩელის

<sup>226</sup> საქმე №ბს-1695-1651(კ-10); №ბს-408-403(2კ-14).

<sup>227</sup> საქმე №ბს-743-735(კ-16).

<sup>228</sup> საქმე №ბს-231-227(კ-15).

სამართლებრივი ინტერესის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა აგრეთვე მოთხოვნის ტრანსფორმირების საჭიროებაზე. სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ მეზობელი ნაკვეთები საერთოდ არ კვეთდნენ მოსარჩელის ნაკვეთს, არ იყო დასაბუთებული. ასევე არ იყო დასაბუთებული მიღება-ჩაბარების აქტებში ასახული ნაკვეთების პარამეტრების დაცვით მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შეუძლებლობა. საკასაციო პალატამ აღნიშნულ საქმეშიც იმსჯელა დაზუსტებულ და დაუზუსტებელ რეგისტრაციებზე, მათ სამართლებრივ მნიშვნელობაზე, რეგისტრაციის დაზუსტების შესაძლებლობაზე, საკადასტრო რუკის შედგენის წესზე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა საქმეში დაცული მტკიცებულებები: აზომვითი ნახაზები, საკადასტრო რუკები, საექსპერტო დასკვნა, მოწმეთა ჩვენებები, არ იმსჯელა მეზობელი მიწის ნაკვეთის ჩანაცვლების გამომწვევ გარემოებებზე. უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე ერთ-ერთი მეზობელი ნაკვეთის შემქმნის ინტერესებზე და აღნიშნა, რომ სადავო აქტების გაუქმება შედეგად არ განაპირობებს ნაკვეთის კეთილსინდისიერი შემქმნის უფლების შელახვას, ვინაიდან დავის საგანს შეადგენს ნაკვეთის ადგილმდებარეობის შეცვლა და არა უფლებადამდგენი დოკუმენტების მართლზომიერება, შესაბამისად, არ დადასტურდა კეთილსინდისიერი შემქმნის მიერ შექმნილი ფართის შემცირება.

კეთილსინდისიერი შემქმნის ინტერესსა და სარჩელის მიზნის გათვალისწინებით მოთხოვნათა დაზუსტების საჭიროებაზე იმსჯელა უზენაესმა სასამართლომ აგრეთვე 2018 წელს განხილულ საქმეებშიც. ერთ-ერთ საქმეში<sup>229</sup> მოპასუხე მარეგისტრირებელი ორგანოს აქტების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ არ გასაჩივრებულა სადავო რეგისტრაციების საფუძვლები. გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათის მიუხედავად, სარჩელის უფლება დისპოზიციურია, სასამართლო შებოჭილია მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებით. თუმცა სასამართლო არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით, პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. დავის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, გარკვევას საჭიროებდა სარჩელის აღძვრის რეალური ინტერესი, სადავო რეგისტრაციების საფუძვლად არსებული აქტებით მოსარჩელის კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენება, რადგან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ შეიძლება ქმნიდეს მოპასუხის უფლებადამდგენი დოკუმენტების გაუსაჩივრებლობა, უკეთუ ამ დოკუმენტებს მოსარჩელისათვის უშუალო ზიანი არ მიუყენებია. სააპელაციო პალატის მიერ უფლებადამდგენი დოკუმენტები და საქმეში დაცული სხვა მტკიცებულებები არ შეფასებულა. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე ერთსა და იმავე ფართზე ჩანანერთა კონკურენციის დროს, უპირატესობის მქონე ჩანანერის დადგენის გზებზე, რეგისტრაციის განხორციელებამდე მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმის გარემოებათა ყოველმხრივ და სრულყოფილად გამოკვლევის საჭიროებაზე, აგრეთვე, კეთილსინდისიერი შემქმნის ინტერესების დაცულობის საკითხზე, როდესაც დავა ეხება არა უფლების არსებობა/არარსებობას, არამედ მიწის (საძოვრის) სივრცობრივ განლაგებას.

საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკასთან წინააღმდეგობის მოტივით საკასაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით გაუქმებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც შეილახა მოსარჩელის საკუთრების უფლება.<sup>230</sup> კერძოდ, აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო სასამართლო, გარკვეულწილად, ფორმალურად მიუდგა სადავო საკითხს და სააპელაციო საჩივრისა და, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უფლებადამდგენი დოკუმენტის წარუდგენლობას დააფუძნა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საკასაციო პალატამ დადგენილ პრაქტიკაზე დაყრდნობით მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავოდ არ გამხდარა მოსარჩელის სახელზე დაუზუსტებელი ფართობით მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისა და აღნიშნული რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონიერება. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტის მოკვლევიტ, მისი თანმდევი სამართლებრივი შე-

<sup>229</sup> საქმე №ბს-718-710(კ-15).

<sup>230</sup> საქმე №ბს-803(კ-18).

დეგების განსაზღვრითა და შეფასებით სააპელაციო სასამართლო, ფაქტობრივად, გასცდა დავის ფარგლებს. ამასთან, უფლების დამდგენი დოკუმენტის – მიწის მიღება-ჩაბარების აქტის მხარის მიერ სასამართლოსათვის წარუდგენლობა ან/და ხსენებული დოკუმენტის მარეგისტრირებული ორგანოს სარეგისტრაციო მასალებში დაუცველობა არ წარმოადგენდა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის მოსარჩელისათვის გამოყოფის ფაქტის უარყოფის საფუძველს. მეტიც, იმ პირობებში, როდესაც სადავოდ არ იყო გამხდარი მიწის ნაკვეთის მოსარჩელის ოჯახის სახელზე რეგისტრაციის ფაქტი, განსახილველ დავასთან მიმართებით, სამართლებრივად ირელევანტური იყო მითითებული სამართლებრივი დოკუმენტის იმ მდგომარეობით მატერიალურად არსებობის საკითხის განსაზღვრა.

საკუთრების უფლების შელახვა დადგინდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ მიმართულ კიდევ ერთ საქმეზე,<sup>231</sup> სადაც საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და შელახული უფლების აღდგენის მიზნით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებითა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით საჭიროდ მიიჩნია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენება. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ კასატორის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა არა საკუთრების უფლებადამდგენი დოკუმენტის – ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, არამედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ბათილად ცნობა, კერძოდ, ნაკვეთის არასწორი მდებარეობის მითითების გამო რეგისტრაციის გაუქმება, რამაც გამოიწვია სადავო მიწის ნაკვეთის ზედდება მოპასუხის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან. ამდენად, სადავო იყო არა მიწის ნაკვეთის გამოყოფა, არამედ მისი პარამეტრები და ადგილმდებარეობა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მარეგისტრირებული ორგანო უფლებამოსილი იყო კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოეთხოვა სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელი იყო განაცხადით მოთხოვნილ საკითხზე გადანყვეტილების მისაღებად, შესაბამისად, დაუსაბუთებელი იყო სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ვერ ხერხდებოდა ნაკვეთის იდენტიფიცირება და არ დასტურდებოდა დაუზუსტებელი მონაცემებით მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მოპასუხის სახელზე რეგისტრაცია. სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ფუნქციების განუხორციელებლობის გამო მოსარჩელეს ფაქტობრივად წაერთვა საკუთრების უფლება სადავო ნაკვეთზე, მით უფრო, რომ სარეგისტრაციო სამსახური ვერ უთითებდა მის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის რაიმე სხვა ადგილმდებარეობას. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კანონმდებლობა არ გამოიციხავდა დაუზუსტებელი რეგისტრაციის არსებობას, შესაბამისად, რეგისტრაციის არსებობის გადამოწმება მხოლოდ ელექტრონული ნახაზის მეშვეობით არ ადასტურებდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, აღნიშნული ყოველგვარ აზრს უკარგავდა დაუზუსტებელ რეგისტრაციას. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო დაინტერესებული მხარისათვის – მოსარჩელისათვის ეცნობებინა წარმოების დაწყების შესახებ, მიეცა მისთვის აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ დაუშვებელი იყო სარეგისტრაციო მონაცემისა და ნამდვილი მდგომარეობის შეუსაბამობა, საგანთა ნამდვილი მდგომარეობა და რეგისტრირებული მონაცემები უნდა ყოფილიყო თანხვედრაში. უნდა გარკვეულიყო, თუ რომელს გააჩნდა უკეთესი სამართლებრივი საფუძველი. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სახელზე გაცემული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი და სარეგისტრაციო ჩანაწერი ქმნიდნენ ნაკვეთის მოსარჩელის სახელზე აღრიცხვის საფუძველს, თუმცა არც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა და არც მარეგისტრირებელმა ორგანომ არ გამოიკვლიეს კონკრეტულად რომელ მიწის ნაკვეთზე იყო დავა მაშინ, როცა საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ მოპასუხეს ორი მიწის ნაკვეთი ჰქონდა შეძენილი სხვადასხვა მესაკუთრისაგან, ხოლო მოსარჩელე დავობდა მხოლოდ ერთ მიწის ნაკვეთზე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკითხის არსებითად გადაწყვეტისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა თავად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დადგენას და სწორედ მათი მხედველობაში მიღებით უნდა გამოცემულიყო შესაბამისი ინდივიდუალური ადმი-

<sup>231</sup> საქმე №ბს-270-270(კ-18).

ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

განხილულ სხვა საქმეში<sup>232</sup> მოსარჩელის მიერ მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილ დაზუსტებულ ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის ნაწილი ზედდება იყო კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ტერიტორიასთან, რომელიც აღრიცხული იყო ფიზიკური პირების თანასაკუთრებაში. მოსარჩელე ითხოვდა მესამე პირთა რეგისტრაციის ბათილად ცნობას და უძრავი ძეგლის საზღვრების კორექტირებას. მოსარჩელე თავისი საკუთრების დამდგენ დოკუმენტად უთითებდა მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც არამართლობიერების შესახებ მოსარჩელის არაერთგზის მითითების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ სათანადო შეფასების, მოსარჩელის არგუმენტაციაზე მსჯელობის გარეშე, ჩათვალა კანონიერად, საწინააღმდეგოს დამადასტურებელი სასამართლო გადაწყვეტილების არარსებობის გამო. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მტკიცებულებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური შეფასების საჭიროების, მტკიცებულებისათვის წინასწარ დადგენილი ძალის მინიჭების დაუშვებლობის, აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო წარმოების თაობაზე სააპელაციო პალატის ცოდნის, სასამართლოს მიერ მასთან წარდგენილი დოკუმენტაციის ფორმალური და შინაარსობრივი მხარის შემოწმების შესაძლებლობის საკითხზე. დადგინდა, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეისწავლა მასთან წარდგენილი მტკიცებულებები, შესაბამის პერიოდში მიღება-ჩაბარების აქტის გაცემის ნორმატიულად განსაზღვრული საფუძვლები. საკასაციო პალატამ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა, რომ მოგვიანებით, კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით დადასტურდა მოსარჩელის უფლებადამდგენი დოკუმენტის – მიღება-ჩაბარების აქტის უკანონობა. გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ, ისევე როგორც სხვა არაერთ დავაში, ყურადღება გაამახვილა აგრეთვე დაუზუსტებელი რეგისტრაციის სამართლებრივ შინაარსსა და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენისას მისი დაზუსტების შესაძლებლობაზე. კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების და საქმეში დაცული მტკიცებულებების: უძრავი ძეგლის პასპორტის, ტოპოგრაფიული გეგმისა და საექსპერტო დასკვნის ერთობლივი შეფასების საფუძველზე, საკასაციო პალატამ დადგინდა მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილ ნახაზზე ასახული ტერიტორია იჭრებოდა უძრავი ძეგლისათვის მიკუთვნილებული ტერიტორიის საზღვრებში, საქმეში დაცული მტკიცებულებები საკმარისი იყო დავის არსებითად გადაწყვეტისათვის.

საჯარო რეესტრის მიმართ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ აღძრული სარჩელი<sup>233</sup> პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა და მოპასუხეს დაავალა ახალი აქტის გამოცემა მოსარჩელის მიერ წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით. საკასაციო პალატამ ახალი გადაწყვეტილების გამოტანის შედეგად უარი უთხრა მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მიუთითა, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმის და რეგისტრაციის შესახებ გასაჩივრებელი გადაწყვეტილებების ბათილად ცნობით ვერ მიიღწეოდა ის იურიდიული ინტერესი, რაც მოსარჩელეს გააჩნდა, იმ პირობებში, როდესაც სადავო არ იყო სახელმწიფოს სახელზე განხორციელებული რეგისტრაციისას წარდგენილი სადავო მიწის ნაკვეთზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ხელახლა განსახილველად დაბრუნებულ დავებს შორის აღსანიშნავია ერთ-ერთი საქმე,<sup>234</sup> სადაც ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ მოსარჩელის საკუთრების უფლების შელახვისა და, შესაბამისად, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების უგულებელყოფასთან ერთად ასევე გამოვლენილ იქნა მნიშვნელოვანი საპროცესო-სამართლებრივი დარღვევები, რომლებსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ის შესაძლებლობები და მექანიზმები, რომელსაც მას კანონმდებლობა ანიჭებდა და დავის საგანი არსებითი განხილვის გარეშე დატოვა. აღნიშნულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს მიერ განიმარტა სარჩელის ტრანსფორმირების არსი და მიზანი, რაც ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობისა და დისპოზიციურობის პრინციპების შეჯერების ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს. ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამარ-

<sup>232</sup> საქმე №ბს-617-610(კ-15).

<sup>233</sup> საქმე №ბს-631-627(კ-17).

<sup>234</sup> საქმე №ბს-969-965(კ-17).

თლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათისა და სარჩელის ტრანსფორმირების შესაძლებლობისა, სასამართლოები შეზღუდული არიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე და მე-3 მუხლების მოქმედებით, რომელთა მიხედვითაც, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს და სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მაშინ როდესაც მხარე პროცესუალურად სწორად ვერ აცალიბებს თავის მოთხოვნას პროცესის დისპოზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, მოსამართლეს სარჩელის ტრანსფორმირებისას სწორად უნდა დაედგინა მოსარჩელის იურიდიული ინტერესი – რა უფლების აღსადგენად მიმართა მან სასამართლოს და რა იყო მისი საბოლოო ინტერესი. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, პროცესუალური უფლებები და მატერიალური მოთხოვნები არ უნდა იქნეს უარყოფილი მოსარჩელის გამოუცდელი გამო, არამედ მოსამართლეს შეუძლია, ხელი შეუწყოს მოთხოვნის სწორად ფორმულირებას.

## საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებული დავები

**ხაზგასმელია 2017-2018 წლებში საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ არსებითად განხილული საქმეებიც, რომლებზედაც საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის საფუძვლიანობის მტკიცებასთან დაკავშირებით.**

ერთ-ერთ ასეთ საქმეზე<sup>235</sup> საკასაციო სასამართლომ, მართალია, უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, თუმცა კასაციის მოტივების სრულყოფილი გამოორიციხვით განავრცო სააპელაციო პალატის მსჯელობა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი კრძალავს კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, როცა დადგენილია დაინტერესებული მხარის (იგულისხმება აქტის ადრესატი) კანონიერი ნდობის უფლება, საგამონაკლისო დათქმით, თუ ამგვარი აქტი არსებითად არღვევს მესამე პირის (სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის) კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონიერი ნდობის უფლებით აქტის ადრესატი დაცულია იმ ვითარებაში, როდესაც მისი ნდობის უფლება კონფლიქტშია მხოლოდ კანონიერების პრინციპთან, მაგრამ თუ ამავდროულად უკანონო აქტი მესამე პირის კანონიერი ნდობის უფლებას არსებითად არღვევს, შეუძლებელია პრიორიტეტულად იქნეს განხილული აქტის ადრესატის კანონიერი ნდობის უფლება სხვა, მესამე პირთა კანონიერი ნდობის უფლების უგულვებელყოფის ხარჯზე. საკასაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ფიზიკური პირების მხრიდან საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ იქნა კანონით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტები მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებისთვის და მათ კომისიისთვის რაიმე სახის არასწორი ინფორმაცია არ მიუწოდებიათ, რასაც არც მოსარჩელე ხდიდა სადავოდ. შესაბამისად, ის გარემოება, რომ საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ოქმი ხარვეზიანი იყო, ვერ გახდებოდა მათ სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მონმობების ბათილად ცნობის საფუძველი. ამდენად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ მესამე პირების კანონიერი ნდობა უნდა შეფასებულიყო, როგორც დაცვის ღირსი; მათ შესრულებული ჰქონდათ საკუთრების უფლების აღიარებისთვის კანონით განსაზღვრული ყველა სავალდებულო მოთხოვნა, რომლის არსებობის პირობებში შესაძლებელი იყო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ამასთან, ყურადღება გაამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ ფიზიკური პირების სახელზე საკუთრების უფლების მონმობები გაცემული იყო მანამ, სანამ სადავო მიწის ნაკვეთები სახელმწიფოს სახელზე დარეგისტრირდებოდა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის დაუსაბუთებლად გამოყენების საფუძვლით საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე<sup>236</sup> გააუქმა სააპელაციო სასა-

<sup>235</sup> საქმე №ბს-161-159(კ-17).

<sup>236</sup> საქმე №ბს-698-698(კ-18).

მართლოს გასაჩივრებული განჩინება და თავად შეაფასა სადავო საკითხი, რამდენადაც საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა საკითხის არსებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას. აღნიშნულ საქმეზე მნიშვნელოვანი განმარტება იქნა გაკეთებული პირის მიერ თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დღევანდელი ტექნოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მინის ნაკვეთზე კონკრეტულ პერიოდში უძრავი ქონების არსებობა-არარსებობის ფაქტის დადგენა ობიექტური რეალობის ამსახველი მტკიცებულებების – ორთოფოტოს (აეროფოტოგადაღების) მეშვეობით არის შესაძლებელი. ამგვარი ტექნოლოგიური საშუალებები გამორიცხავს მონმის ჩვენებით იმ გარემოების დადგენის საჭიროებას, რაც კონკრეტული, ობიექტური ფაქტების განმსაზღვრელი მტკიცებულებებით დადასტურებას ექვემდებარება. თავის მხრივ, მონმის ჩვენება ვერბალური ხასიათის მტკიცებულებაა, რომელიც ნოტარიულად დამონმებული განცხადების სახით იურიდიულ ფორმას იძენს. ამგვარი მტკიცებულებით გადმოიცემა მონმეთა მიერ სუბიექტური თვალთვლით დანახული რეალობა, რომლის ნამდვილობაც სწორედ ობიექტურად არსებული გარემოებების ამსახველ, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტებით დადგენილ მოცემულობასთან ერთობლიობაში უნდა შემოწმდეს. ამასთან, გარემოებები, რომლებიც შესაძლებელია დადასტურდეს კონკრეტული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურებული და, მით უფრო, უარყოფილი იქნეს სხვა სახის მტკიცებულებით. ამდენად, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მონმეთა ჩვენებებსა და ორთოფოტოთი, როგორც ობიექტური რეალობის ამსახველი მტკიცებულებით, დადგენილ რეალობას შორის წინააღმდეგობის არსებობის პირობებში, უპირატესობა სწორედ ორთოფოტოთი განსაზღვრულ მოცემულობას უნდა მინიჭებოდა, რამდენადაც აღნიშნული მტკიცებულებით ასახული მდგომარეობა ობიექტურად დადასტურებული იყო, რომელიც შესაძლოა გაქარწყლებულიყო ან მისი მართებულობა ეჭვქვეშ დამდგარიყო არა სუბიექტური ინფორმაციის შემცველი მონმის ჩვენებით, არამედ მხოლოდ იმავე მტკიცებითი ძალის, ობიექტური გარემოების ამსახველი მტკიცებულებებით. საკასაციო სასამართლომ აგრეთვე მიუთითა, რომ თავად უფლებააღიარებას მოთხოვნილი მინის ნაკვეთი მოსარჩელემ ჩუქების ხელშეკრულებით მიიღო, ხოლო თავად გამჩუქებელს იგი საკუთრებაში 2008 წელს, ქალაქ ბათუმის საკრებულოს მიწის აღიარების კომისიის მიერ გადაეცა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი მოცემულობით, მიზანშეუწონელი და გაუმართლებელი იყო აღიარებული მინის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული თვითნებურად დაკავებული მინის მომიჯნავეობის საფუძველით დაუსრულებელი ათვისება და შემდგომ მასზე საკუთრების უფლების აღიარება. ამდენად, ჩუქების ხელშეკრულების გზით მოსარჩელეზე უფლებააღიარებას მოთხოვნილი მინის ნაკვეთის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასვლამ გამოიწვია წინა მესაკუთრის (გამჩუქებლის) ჩანაცვლება თვითნებურად დაკავებული მინის აღიარების მიზნებისათვის.

საქმეზე, რომელშიც დავის საგანი იყო ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარება<sup>237</sup> პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად ცნო გასაჩივრებული აქტი. სააპელაციო სასამართლომ კომისიის საჩივრის საფუძველზე უარი უთხრა მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რაც გაუქმდა და საკასაციო პალატის გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა იმავე შედეგით, როგორც იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სადავო აქტი არ შეიცავდა მსჯელობას განცხადებაზე დართული დოკუმენტები, ადმინისტრაციულმა ორგანომ რა გარემოებაზე დაყრდნობით არ მიიჩნია განცხადების დაკმაყოფილებისათვის საკმარის მტკიცებულებად, რადგან განცხადებას ერთვოდა საკითხის მარეგულირებელი აქტით განსაზღვრული მინის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტები, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს მტკიცების მაღალი ხარისხით აკისრებს ვალდებულებას, განმცხადებლის მოთხოვნის უარყოფის შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება სათანადოდ დაასაბუთოს, რისთვისაც საჭიროა ადმინისტრაციულ ორგანოს დაედგინა: სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი იყო თუ არა მოსარჩელის ფაქტობრივ სარგებლობაში და თვითნებურად დაკავების ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაბამისი მტკიცებულების მითითებით, აესახა განმცხადებლის მიმართ გამოცემულ განკარგულებაში. ადმინისტრაციულ ორგანოს ასევე უნდა გამოეკვლია კონკრეტული მინის ნაკვეთის მიმართ ხომ არ არსებობდა მოქ-

<sup>237</sup> საქმე №ბს-689-689(კ-18).

მედი კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთრების უფლების აღიარების გამომრიცხავი გარემოებები და ასეთის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთება ასახული უნდა ყოფილიყო სადავო განკარგულებაში, რაც განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის მიერ განხორციელებული არ ყოფილა.

საქმეზე, რომელშიც სადავო იყო მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი,<sup>238</sup> სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტების ბათილად ცნობის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ისე სასამართლო ფორმალურად მიუდგა სადავო საკითხს და შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ კომისიას უნდა შეესწავლა და გამოეკვლია მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის მფლობელობისა და სარგებლობის ფაქტი, სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა რამდენად შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის ხელახალი განხილვისას საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება და იმ შემთხვევაში თუ კომისია დაადგენდა, რომ სახეზე იყო 2007 წლამდე მოსარჩელის მიერ მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი, როგორ განხორციელდებოდა მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა. ქვედა ინსტანციის სასამართლომ არ იმსჯელა, ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახალი განხილვის დავალებით, მოსარჩელისათვის რამდენად არსებობს მიღწევადი და სასურველი შედეგის დადგომის ალბათობა, ვინაიდან, მიწის ნაკვეთი, რომელთან დაკავშირებითაც სააპელაციო სასამართლომ დაავალა აღიარების კომისიას საკითხის სათანადო შესწავლა, არ წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. სააპელაციო პალატამ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა იმსჯელოს, რამდენად შესაძლებელია მოსარჩელის იურიდიული ინტერესის მიღწევა წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, იმის გათვალისწინებით, რომ ძალაშია და არ არის სადავოდ გამხდარი უძრავი ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულება. სააპელაციო სასამართლოს დაევალა საქმის ხელახლა განხილვისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, დახმარებოდა მოსარჩელეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში, სასარჩელო მოთხოვნის, მოპასუხეთა და მესამე პირთა წრის დაზუსტებაში და მხოლოდ აღნიშნული პროცესუალური მოქმედებების განხორციელების შემდეგ ყოფილიყო განხილული სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით.

## სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ დავები

**სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების კერძო საკუთრებაში პრივატიზაციის (ტრანსფორმაციის) პროცესში არაერთი სამართლებრივი დავა შეიძლება წარმოიშვას. 2017-2018 წლებში საკასაციო პალატის მიერ არსებითად განხილულ საქმეებს შორის აღსანიშნავი იყო ფიზიკური პირისათვის საცხოვრებელი ფართის (ბინის) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან, საძოვრის პრივატიზაციასთან დაკავშირებული დავები.**

2017 წელს განხილულ ერთ-ერთ საქმეში<sup>239</sup> პირი ითხოვდა მის სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას, თუმცა საქმის მასალებით არ დგინდებოდა პრივატიზების სავალდებულო პირობა – ფართით კანონიერი სარგებლობა, საქმეში არ იყო დაცული აგრეთვე ფართით კანონიერი სარგებლობის უფლებანარმომშობი დოკუმენტი. საკასაციო პალატამ ერთმანეთისაგან გამოიჯნა ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი განცხადება და ადმინისტრაციული საჩივარი, შეაფასა მოსარჩელის მიერ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი განცხადების შინაარსი, რომლის ტექსტიდან საერთოდ არ იყო შესაძლებელი იმის დადგენა, რომ შეტანილია ადმინისტრაციული საჩივარი და არა განცხადება პრივატიზაციის საკითხზე, შესაბამისად, არ გამოიკვეთა ორგანოს მიერ განცხადებისათვის ხარვეზის დადგენის საფუძველი და განცხადების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის წინაპირობა. საკასაციო პალატამ მიიჩნია აგრეთვე, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ არასწორი პროცესუალური ნორმის გამოყენებით განისაზღვრა საქმეზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა.

<sup>238</sup> საქმე №ბს-859-855(კ-17).

<sup>239</sup> საქმე №ბს-1062-1033(კ-10).

საცხოვრებელი ფართის (ბინის) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის საკითხს ეხებოდა აგრეთვე ამავე წელს განხილული დავა,<sup>240</sup> რომელშიც მოსარჩელე, როგორც კანონიერი მოსარგებლე, ითხოვდა რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე მდებარე ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას, უფლებადამდგენ დოკუმენტად ასახელებდა ორდერსა და მაცხოვრებელთა სიას. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა, თუმცა სააპელაციო პალატამ შეცვალა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წინაპირობებზე, კანონიერი სარგებლობის დამდგენ დოკუმენტაციაზე, რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე საცხოვრებელი უზრუნველყოფის უფლებასთან დაკავშირებით, ე.წ. „სოჭის შეთანხმებით“ სახელმწიფოების მიერ აღებული ვალდებულებებზე, შეაფასა საქმეში დაცული მტკიცებულებები: ორდერი, რომელიც მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ იყო გამოცემული; ბინების მფლობელთა სია, რომელიც იყო ერთ-ერთი, მაგრამ არა უტყუარი მტკიცებულება, ბინადრობის მონმობა, საჯარო რეესტრში წარდგენილი განცხადება და მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან არ დასტურდებოდა მოსარჩელისათვის ფართის კანონიერ სარგებლობაში გადაცემა და ფართში ფაქტობრივად ცხოვრება. ამდენად, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით უარყო მოსარჩელის მოთხოვნა და მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისათვის მნიშვნელოვანი იყო მოსარჩელის მიერ სადავო ფართის ნორმატიული აქტით დადგენილი წესით კანონიერი სარგებლობის ფაქტის არსებობის დადგენა<sup>241</sup> და არა მესამე პირის მამკვიდრებლის სარგებლობის უფლების დამდგენი დოკუმენტის კანონიერების შეფასება, რაზეც უკვე არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. საკითხის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პირის კანონიერ მოსარგებლედ მიჩნევისათვის საჭიროა ორი პირობის არსებობა: 1. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი და 2. ფიზიკური პირის მხრიდან საპრივატიზაციო ფართის ფლობისა და სარგებლობის ფაქტი. ამასთან, აღნიშნული ორი პირობა კუმულაციურად უნდა არსებობდეს. მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო წარმოდგენილი ანდერძის მიერ მემკვიდრეობის უფლების მონმობა, რომლითაც მოსარჩელემ მემკვიდრეობით მიიღო მამკვიდრებლის კუთვნილი ფულადი თანხა, ვერ მიიჩნეოდა სადავო ფართზე კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტად.

2005 წლის 8 ივლისამდე სახელმწიფოს მიერ იჯარით გაცემულ საძოვრებზე<sup>242</sup> არაერთი საქმე იქნა განხილული მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომლებშიც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მიზნებისთვის კანონი არ არეგულირებს, თუ როდის უნდა დარეგისტრირდეს საიჯარო ხელშეკრულება, მთავარია, მიწის პრივატიზებისას არსებობდა იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრიდან ამონაწერი და საკადასტრო გეგმა.

2018 წელს საძოვრის პრივატიზების კანონიერებასთან დაკავშირებულ დავაში,<sup>243</sup> სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად მოპასუხის მითითების მიუხედავად სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით მსჯელობის არარსებობის გამო, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკასთან შეუსაბამობაზე, ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტის, ხანდაზმულობის ვადის შეჩერება/შენწყვეტის საფუძველების არსებობის, ხანდაზმულობის ვადის გასვლისა და ამ საფუძველით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკითხებზე. საკასაციო პალატამ ხანდაზმულობასთან დაკავშირებული სა-

<sup>240</sup> საქმე №ბს-848-840(კ-16).

<sup>241</sup> საქმე №ბს-639-632(კ-16).

<sup>242</sup> საქმე №ბს-451-446 (კ-16).

<sup>243</sup> საქმე №ბს-767-759(კ-16).



კითხვების გარდა, განმარტებები გააკეთა აგრეთვე მმართველობის სისტემის ერთიანობის, ადმინისტრაციულ ორგანოთა შორის ფუნქციების განაწილების, ორგანოს გაუქმების მიუხედავად სახელმწიფოს მიერ ფუნქციის შენარჩუნების საკითხებზე.

საქმეზე, რომელშიც სარჩელი აღძრული იყო სახელმწიფო ორგანოს მიერ მინაზე უფლების დამდგენი დოკუმენტის ბათილად ცნობის მოთხოვნით,<sup>244</sup> პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უარყოფილი სარჩელი სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხზე საკასაციო სასამართლომ მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა არსებობდა.<sup>245</sup> საკასაციო პალატამ უარყო მოსარჩელის მოთხოვნა, რადგან არ დასტურდებოდა სარჩელის წარდგენა სასამართლოში, კანონით დადგენილი მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიან ვადაში, რაზეც მსჯელობას არ შეიცავდა სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხის მიერ სამართალწარმოების ეტაპზე აღნიშნულის თაობაზე გაკეთებული იყო განაცხადი.

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ქონების განკარგვასთან მიმართებით** არსებითად განხილულ ერთ-ერთ საქმეზე,<sup>246</sup> საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილების მიღებით გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით არ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოების არგუმენტები, ვინაიდან მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე მყოფი ყველა ბინა (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართები) გამოცხადდა მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის გამოსაყენებელ ბინებად. სადავო ბრძანება კი გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებისა და მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. საკასაციო სასამართლომ მოსაზრებით, ვინაიდან, სამსახურებრივი სარგებლობისათვის გამოსაყენებელი ბინის სტატუსის მოხსნა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა ურთიერთკავშირში იყო ერთმანეთთან, განმცხადებლის მიერ თავდაცვის სამინისტროში წარდგენილი უნდა ყოფილიყო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტი, რაც მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარდგენილი სრულყოფილი სახით. ამასთან, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მითითება მასზე, რომ შესაბამისი საცხოვრებელი ფართების ნაწილის განკარგვა მოხდა კერძო მესაკუთრეებზე, რის გამოც იზღუდებოდა მოსარჩელის კანონიერი უფლებები და ინტერესები და აღნიშნა, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი ბრძანებების კანონიერებაზე პალატა ვერ იმსჯელებდა, ხოლო მათი არსებობა არ გამორიცხავდა სადავო აქტის კანონიერებას.

## ზიანის ანაზღაურების შესახებ დავები

**ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა დაფუძნებულია საქართველოს კონსტიტუციაზე, რომლის მიხედვით ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. სახელმწიფოს, ისევე როგორც კერძო პირის, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შესაძლოა, წარმოიშვას ხელშეკრულებიდან ან კანონისმიერი საფუძვლიდან იმ განსხვავებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას უკავშირდება.**

საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა საქმეში, სადაც მოსარჩელეები მიუთითებდნენ მათთვის არაქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტზე და სადავოდ ხდიდნენ მათი – 10 პირის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დად-

<sup>244</sup> საქმე №ბს-748-744(კ-17).

<sup>245</sup> საქმე №ბს-364-359(კ-16); №ბს-851-843(კ-16); №ბს-767-759(კ-16); №ბს-281-279(კ-17).

<sup>246</sup> საქმე №ბს-1139-1133(კ-17).

გენილი რეპრესიული ღონისძიებით გამოწვეული შეზღუდვის – ადმინისტრაციული დაკავების შესაბამისობას კანონმდებლობასთან.<sup>247</sup> პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი უარყო, თუმცა სააპელაციო პალატამ 2 მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა ნაწილობრივ და მოპასუხეებს მათ სასარგებლოდ დაეკისრათ არაქონებრივი ზიანის გადახდა. მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ფაქტობრივი საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით მოსარჩელეთა მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით აღძრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა, რის გამოც სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მიმართ განხორციელდა ადმინისტრაციული წესით უკანონოდ დაკავება. საკასაციო პალატა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე მის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული დაკავების შედეგად მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძვლის არსებობისათვის მნიშვნელობა არ აქვს დაკავებულ პირთა მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის არსებობას. უზენაესმა სასამართლომ ადმინისტრაციული დაკავებისას პირის საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის საფუძველზე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დაუკავშირა პოლიციელის უფლებამოსილების განმსაზღვრელი კანონმდებლობით დადგენილი წესით პოლიციელის ქმედების შეფასებას და განმარტა, რომ „პოლიციის შესახებ“ კანონის მეორე თავით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 246-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის – პოლიციელის მიერ „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული ფუნქციის შესრულების მიზნით, ამავე კანონის მე-13, მე-17 და მე-18 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპოლიციო ღონისძიების გამოყენების – მოსარჩელეთა მიმართ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების შესახებ, რაც განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლით გათვალისწინებული დაკავებისა და დაკავების ოქმის შედგენის პროცედურის დაცვით. ამასთან, მოსარჩელეთა მიერ ადმინისტრაციული დაკავების ლეგიტიმურობა არ გამხდარა სადავო, რის გამოც არ არსებობდა პოლიციელის მიერ განხორციელებული რეპრესიული ღონისძიების – მოსარჩელეთა ადმინისტრაციული დაკავების კანონშეუსაბამოდ მიჩნევის საფუძველი, რამდენადაც მოსარჩელების მიერ არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი პირების მხრიდან მოსარჩელეთა ადმინისტრაციული წესით დაკავებისას დაცული არ იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურა და 247-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული დაკავების ვადა. ამდენად, საკასაციო პალატამ მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტზე მითითებით დაადგინა, რომ სასარჩელო მოთხოვნაზე საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მტკიცებულება არის მოსარჩელეთა მიმართ განხორციელებული პოლიციური ღონისძიების – ადმინისტრაციული დაკავების კანონით დადგენილი წესით გასაჩივრების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელზეც შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმება და იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რომელიც საფუძველად უნდა დაედოს დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებას. რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის მაკვალიფიცირებელია, საჯარო მოსამსახურის (პოლიციელის) მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტის დადგენა, რომლის ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე დადგენის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა არ გააჩნია სასამართლოს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის, დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების სრულად და ყოველმხრივ გამოუკვლევობისა და კონკრეტული ოდენობით ზიანის დადგომის დაუდასტურებლობის მოტივით იქნა გაუქმებუ-

<sup>247</sup> საქმე №ბს-1143-1137(2კ-17).

ლი სააპელაციო სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ზიანის ანაზღაურების საკითხთან იყო კავშირში.<sup>248</sup> აღნიშნული საქმე საკასაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად ქვედა ინსტანციის სასამართლოსათვის უკვე ჰქონდა დაბრუნებული, თუმცა საბოლოოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება საკასაციო პალატის შეფასებათა არასწორ აღქმასა და ინტერპრეტაციას დაეფუძნა, რამაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები წარმოშვა. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ ჰქონდა მსჯელობა მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე, სააპელაციო სასამართლოს არ დავალება მტკიცებულებათა ავტომატური გაზიარება მათი კრიტიკული შეფასების გარეშე. საქმეში წარდგენილი კერძო აუდიტის დასკვნის საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განუხილავს ხარჯების ჯამური ოდენობა არ შეადგენდა იმ თანხას, რომელიც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მიეკუთვნა მოსარჩელეს. საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება არც საქართველოს მთავარ პროკურატურას არ ჰქონდა წარდგენილი. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ზიანის სრულად ანაზღაურების ნაწილში იურიდიულად დაუსაბუთებელი იყო და მიყენებული რეალური მატერიალური ზიანის ოდენობა დადასტურებული ხარჯების ოდენობით დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>249</sup> საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯის განვილი პერიოდზე სრულად ანაზღაურების დაკისრების ნაწილში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის დადგენა წარმოადგენდა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მითითებულ შემთხვევაში უდავოდ დასტურდებოდა, რომ სახელმწიფო ორგანოების პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობამ – მიუხედავად იმისა, რომ საჭირო პრევენციული უსაფრთხოების ზომა სიცოცხლისათვის საშიში ინციდენტის თავიდან ასაცილებლად – გამოიწვია მოსარჩელისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება, რაც ქმნიდა მისთვის ზიანის ანაზღაურების ზოგად საფუძველს ყოველთვიური სარჩოს გადახდით. თუმცა, საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, კონკრეტულ შემთხვევაში, ყურადღება გამახვილებულიყო ხანდაზმულობის ინსტიტუტზე, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამი წელს წარმოადგენდა იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიჭყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ამასთან, ამავე კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პერიოდულად შესასრულებელი თითოეული ვალდებულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობდა მოთხოვნის უფლებას და ცალკე ქმნიდა ხანდაზმულობის ვადას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ქვედა ინსტანციების სასამართლოების მსჯელობა მოსარჩელისათვის სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ანაზღაურების ნაწილში, მაგრამ არ გაიზიარა მისი ანაზღაურება 2004 წლის 24 აგვისტოს პერიოდიდან და მიიჩნია, რომ ამ ნაწილში სარჩელის მთლიანად დაკმაყოფილება არ იყო საკმარისად დასაბუთებული. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელიათ ხანდაზმულობის საკითხზე, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა 2004 წლის 24 აგვისტოდან 2016 წლის 31 მაისამდე (სარჩელის აღძვრამდე) სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით დასტურდებოდა, არ იკვეთებოდა ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სასამართლოსადმი მიმართვის, ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების, შეწყვეტის, მატერიალურ და მორალურ ზიანთან ერთად სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯების ხანდაზმულობის ვადის ათვლის გამომრიცხავი გარემოება.

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმე<sup>250</sup> დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომელიც გამომწვეული იყო მუსლიმი მოსწავლეები-

<sup>248</sup> საქმე №ბს-19-18(კ-17).

<sup>249</sup> საქმე №ბს-34-34(კ-18).

<sup>250</sup> საქმე №ბს-864-860(კ-17).

სათვის განკუთვნილი პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირების ხელშეშლით, სადაც მოთხოვნა მორალური ზიანის ნაწილში ეფუძნებოდა დისკრიმინაციის მოტივით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობას. საკასაციო სასამართლომ, მართალია, ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მორალური ზიანის ნაწილში, თუმცა მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას კუმულაციურად შეფასებულიყო, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების განუხორციელებლობა, ასევე აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა დისკრიმინაციის მოტივით. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დაუდასტურებლობის პირობებში, მხოლოდ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა არ ქმნიდა მორალური ზიანის დაკისრების ნაწილში წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ პანსიონთან პოლიციის მხრიდან ხდებოდა მორიგეობა 24-საათიან რეჟიმში, ამასთან, როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ასევე ცენტრალური ხელისუფლება ჩართული იყო დაპირისპირებულ მხარეთა მორიგების პროცესში, ასევე იმ გარემოებაზე მითითებით, რომ იმავე ქალაქში შეუფერხებლად ფუნქციონირებდა მსგავსი ტიპის პანსიონი, გამოიციხა შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მოსარჩელეთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა. აღნიშნულის საპირისპიროდ კი კასატორები ვერ ადასტურებდნენ, რომ რელიგიურმა სიძულვილმა განაპირობა პოლიციის მხრიდან მათ მიმართ არასათანადო მოპყრობა. კასატორთა მიერ დასახელებული გარემოებები მიუთითებდა პოლიციის ქმედებათა არასათანადოობაზე და არ ადასტურებდა პოლიციის დისკრიმინაციულ მიდგომას კასატორთა მიმართ. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების სათანადოდ შეუსრულებლობის პირობებშიც, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა ამ ვალდებულების შეუსრულებლობა დისკრიმინაციის მოტივით, რაც გამოიციხა შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მოსარჩელეთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა. აღნიშნულის საპირისპიროდ კი კასატორები ვერ ადასტურებდნენ, რომ რელიგიურმა სიძულვილმა განაპირობა პოლიციის მხრიდან მათ მიმართ არასათანადო მოპყრობა. კასატორთა მიერ დასახელებული გარემოებები მიუთითებდა პოლიციის ქმედებათა არასათანადოობაზე და არ ადასტურებდა პოლიციის დისკრიმინაციულ მიდგომას კასატორთა მიმართ. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების სათანადოდ შეუსრულებლობის პირობებშიც, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა ამ ვალდებულების შეუსრულებლობა დისკრიმინაციის მოტივით, რაც გამოიციხა შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მოსარჩელეთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა. აღნიშნულის საპირისპიროდ კი კასატორები ვერ ადასტურებდნენ, რომ რელიგიურმა სიძულვილმა განაპირობა პოლიციის მხრიდან მათ მიმართ არასათანადო მოპყრობა. კასატორთა მიერ დასახელებული გარემოებები მიუთითებდა პოლიციის ქმედებათა არასათანადოობაზე და არ ადასტურებდა პოლიციის დისკრიმინაციულ მიდგომას კასატორთა მიმართ. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების სათანადოდ შეუსრულებლობის პირობებშიც, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა ამ ვალდებულების შეუსრულებლობა დისკრიმინაციის მოტივით, რაც გამოიციხა შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მოსარჩელეთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა. აღნიშნულის საპირისპიროდ კი კასატორები ვერ ადასტურებდნენ, რომ რელიგიურმა სიძულვილმა განაპირობა პოლიციის მხრიდან მათ მიმართ არასათანადო მოპყრობა. კასატორთა მიერ დასახელებული გარემოებები მიუთითებდა პოლიციის ქმედებათა არასათანადოობაზე და არ ადასტურებდა პოლიციის დისკრიმინაციულ მიდგომას კასატორთა მიმართ.

ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით 2017 წელს განხილული დავებიდან აღსანიშნავია საქმე,<sup>251</sup> რომელშიც მოსარჩელე ითხოვდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მისი მეუღლის გარდაცვალების გამო მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც გაუქმდა უზენაესი სასამართლოს მიერ და საქმე დაუბრუნდა სააპელაციო პალატას ხელახლა განსახილველად. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დადგენა საჭიროებდა უფლებამოსილების განხორციელების დროს ჯანმრთელობის მოშლასა და გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის გარკვევას, რაც სააპელაციო პალატის მიერ სათანადოდ არ იქნა გამოკვლეული. მტკიცებულებათა შეფასებით დასტურდებოდა პათოლოგიური პროცესის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაწყება, რასაც მოჰყვა პირის საავადმყოფოში გადაყვანა, ანევრიზმის გასკდომა, ოპერაცია, შრომისუუნარობის დადგომა, კომატოზური მდგომარეობა, გარდაცვალება. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია ერთიანი მიზეზობრივი კავშირის არსებობაზე, ერთიანი მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვის უარსაყოფად და მოვლენების ერთმანეთთან დამოუკიდებლად განვითარების დასადასტურებლად უნდა გარკვეულიყო მათი გამომწვევი ფაქტორები, რაც არ დადგენილა. სააპელაციო პალატის მიერ არ შეფასდა საქმეში დაცული ექსპერტიზის დასკვნა, ექიმთა ახსნა-განმარტებები, სამედიცინო დოკუმენტაცია, გარდაცვალების მონობა, არ დასაბუთებულა სამსახურებრივი მოვალეობის შეს-

<sup>251</sup> საქმე №ბს-830-822(კ-16).

რულეებისას ჯანმრთელობის მოშლასა და გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის წყვეტა, შრომისუუნარობის დადგომიდან გარდაცვალებამდე 11 თვის განმავლობაში კომატოზურ მდგომარეობაში ყოფნა, იმთავითვე არ ადასტურებდა მიზეზობრიობის წყვეტას. საკასაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ პირის გარდაცვალების გამო კომპენსაციის მოთხოვნის უფლება ჰქონდა არა მხოლოდ მის მეუღლეს, არამედ – ოჯახის წევრებსაც, რომლებიც სავალდებულო მონვევის მესამე პირებად უნდა ყოფილიყვნენ საქმეში ჩაბმული.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ტრავმების საფუძველზე მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ აღძრულ სარჩელზე სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საკასაციო პალატის მითითებები მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ,<sup>252</sup> რაზეც საკასაციო პალატამ კვლავ მიუთითა საქმეზე მის მიერ მანამდე გამოტანილ განჩინებაში მოყვანილ მსჯელობაზე და განმარტა, რომ განჩინებაში მითითებული დასაბუთებით საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლოს სრულყოფილად უნდა გამოეკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა შეკრებილი მტკიცებულებებისთვის. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მის მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების საფუძველზე გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლომ მორალური ზიანის მიყენების ფაქტი არასწორად დაუკავშირა მოსარჩელის ჯანმრთელობის გაუარესების გამო ჩატარებულ ოპერაციას, რომლის შედეგად, მოსარჩელეს მარჯვენა ბარძაყის არეში დაუდგინდა მკვეთრი დესტრუქციული პროცესი და შესაბამისად, ზიანის წარმოშობის ფაქტი სააპელაციო პალატის მოსაზრებით სწორედ იმ მომენტს უკავშირდება, როდესაც მოსარჩელემ საბოლოოდ დაკარგა რეაბილიტაციის იმედი და რწმენა იმისი, რომ მკურნალობის რაღაც ეტაპზე არასრულად, მაგრამ შესაძლებელი იყო რეალური შედეგის მიღება. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ემყარებოდა მოსარჩელის სუბიექტურ დამოკიდებულებას მისი ფიზიკური და სამართლებრივი მდგომარეობის მიმართ, რაც სასამართლოსათვის არ ქმნიდა ობიექტური გარემოებების უგულვებელყოფის საფუძველს. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სუბიექტურ ფაქტორს ყურადღება ექცევა იმ შემთხვევაში, უკეთუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში ზიანს წარმოადგენდა ავტოავარიის შედეგად ხილული ჯანმრთელობის დაზიანება: დასახიჩრება, ორგანიზმის მნიშვნელოვანი ფუნქციების დარღვევა, შრომის უნარის დაკარგვა, რაც იმთავითვე იყო ცნობილი მოსარჩელისათვის. ამასთან, მოსარჩელეს 100%-ით შრომის უნარის დაკარგვის გამო პირველი ჯგუფის ინვალიდობა უფადოდ დაუდგინდა ტრავმის მიღებიდან მოკლე პერიოდში. შესაბამისად, ობიექტური შეფასებით მოსარჩელის მორალური განცდები უკავშირდება სწორედ იმ დროს, როდესაც საავარიო შემთხვევის შედეგად მიიღო ჯანმრთელობის იმგვარი დაზიანებები, რომლებიც არ იძლეოდა ცხოვრების ჩვეულებრივი წესით გაგრძელების შესაძლებლობას. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის აღდგენის საფუძველს არ ქმნიდა ზიანის ფაქტის დადგომიდან ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ მკურნალობისა და ქირურგიული მანიპულაციების შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რამდენადაც აღნიშნული პირდაპირ კავშირშია მიღებულ ტრავმასთან და მოსარჩელის იმ დროინდელი დიაგნოზი იძლეოდა სამომავლოდ დღეს არსებული გართულებების განვითარების პროგნოზირების საშუალებას და წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დასახიჩრების მიღების დროიდან ათვლის საფუძველს.<sup>253</sup>

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ დავაზე<sup>254</sup> სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. საკასაციო პალატის განმარტებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის

<sup>252</sup> საქმე №ბს-710-702(2კ-15).

<sup>253</sup> საქმე №ბს-976-972(2კ-17).

<sup>254</sup> საქმე №ბს-352-352(კ-18).

ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი უნდა განისაზღვროს საქმის კონკრეტული გარემოებების შეფასების შედეგად. განსახილველ საქმეში ზიანის დადგომის შესახებ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო ავტოავარიის შედეგად დასახიჩრების მიღების, ორგანიზმის მნიშვნელოვანი ფუნქციების დარღვევისთანავე. ამასთან, ავარიიდან მოკლე დროში დაავადების მოწმობით დადგინდა მომხდარი ავტოავარიით გამოწვეული მოსარჩელის დიაგნოზი. შესაბამისად, საკასაციო პალატამ ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტად განსაზღვრა დაავადების მოწმობის გაცემის თარიღი. საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელემ თანხის ანაზღაურების მიზნით სამსახურებრივი შემომნების ჩატარების მოთხოვნით უფლებამოსილ ორგანოს მიმართა სამსახურებრივი მოვლეობის შესრულებისას მომხდარი ავტოავარიით გამოწვეული დიაგნოზის დადასტურებიდან 12 წლის შემდეგ. ამდენად, არ დასტურდებოდა მოსარჩელის მიერ არათუ სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი, არამედ აგრეთვე სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადის დაცვა.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 1 წლის განმავლობაში მიუღებელი პენსიის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ დავაზე<sup>255</sup> პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა. რაც საკასაციო ინსტანციის მიერ არ იქნა გაზიარებული და უარი ეთქვა მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ინტერესის დაკმაყოფილებას კანონმდებლობა უკავშირებს მასზე, როგორც ზიანზე პასუხისმგებლობის არსებობის საფუძველს. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქმედებაზე, რომელიც შესაძლოა, გამხდარიყო ზიანის მიყენების საფუძველი, მოსარჩელეს არ მიუთითებია. მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მხოლოდ იმ პირს, ვისი ქმედების გამოც დადგა კანონსაწინააღმდეგო შედეგი. თუ ზიანი პირის უშუალოდ მოქმედებით ან უმოქმედობით არ იქნება გამოწვეული, ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა გამოირიცხება. მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების საფუძველად სახელმწიფო ორგანოს მიერ დაბადების მოწმობის მონაცემის – დაბადების თარიღის არასწორად მითითებას მიიჩნევდა. იმის გათვალისწინებით, რომ პირის დაბადების თარიღის თაობაზე ინფორმაცია წარმოადგენს მისი მშობლებისათვის (მეურვეებისათვის) კარგად ცნობილ ინფორმაციას, შესაბამისი მონაცემების დაბადების მოწმობაში ასახვისას მის სისწორეზე უპირატესი პასუხისმგებლობა სწორედ მშობლებს (მეურვეებს) ეკისრებათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაბადების მოწმობაში დაბადების თარიღის მარეგისტრირებული ორგანოს ბრალით შეცდომით დაფიქსირების შემთხვევაში მისი გასწორების ინტერესი და შესაძლებლობა მოსარჩელის მშობლებს გააჩნდათ, ასეთი გასწორების განუხორციელებლობა კი მონაცემის არასწორად დაფიქსირებაში სწორედ მათ ბრალზე მეტყველებს, რაც გამოირიცხავს მარეგისტრირებული ორგანოს პასუხისმგებლობას ზიანის არსებობის შემთხვევაში.

ზიანის ანაზღაურების საკითხებს ეხებოდა აგრეთვე 2018 წელს განხილული საქმე,<sup>256</sup> რომელშიც მოსარჩელე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოებისაგან ითხოვდა უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების ოდენობით ზიანის ანაზღაურებას იმ საფუძველით, რომ ორგანოთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შედეგად სასამართლომ კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებებით ბათილად ცნო უძრავი ქონების შეძენის აუქციონი და მოსარჩელემ დაკარგა საკუთრების უფლება. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში – ნივთის სახელმწიფო საკუთრებაში აღრიცხვისას და აუქციონზე გასხვისებისას, დადგინდა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევა, ნაკვეთის უფლებრივი მდგომარეობის არასაკმარისი გამოკვლევა-შეფასება, ხოლო მოსარჩელე არ იქნა მიჩნეული კეთილსინდისიერ შემძენად. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეს აუქციონზე გადახდილი ღირებულების ნაცვლად აუნაზღაურა უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულება. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლება არასდროს წარმოშობილა, განხორციელებული ქმედებები არასდროს ყოფილა კანონიერ-

<sup>255</sup> საქმე №ბს-92-91(კ-17).

<sup>256</sup> საქმე №ბს-818-810(2კ-16).

რი, რადგან აქტის არამართლზომიერად ცნობა ადასტურებს აქტის გამოცემის მომენტიდანვე მის საფუძველზე განხორციელებული ქმედებების და წარმოშობილი შედეგების არამართლზომიერებას. ამდენად, დადასტურდა შესრულების სათანადო საფუძვლის გარეშე განხორციელება, რაც ქმნიდა სწორედ აუქციონზე ნივთის შესაძენად გადახდილი თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნების საფუძველს. მოსარჩელის საკუთრება არასდროს ყოფილა მართლზომიერი, შესაბამისად, მოთხოვნა ნივთის ჩამორთმევისათვის მისი სრული ღირებულების ოდენობით კომპენსაციის გაცემის შესახებ საკასაციო სასამართლოს მიერ დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული. საკასაციო პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მხოლოდ აუქციონზე გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება გაუქმდა და დაბრუნდა ხელახლა განსახილველად იმ საფუძველით, რომ დადგენას საჭიროებდა აუქციონზე გადახდილი თანხის ოდენობაზე მეტი თანხის – ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობა, უპირველესად კი, თვითონ ზიანის ფაქტი და მისი ოდენობა, რაზეც დავის გადაწყვეტისას სააპელაციო პალატას არ უმსჯელია, ამ მხრივ არ შეფასებულა საქმეში დაცული მტკიცებულებები (მაგ.: ნაკვეთის წითელი ხაზების დაკვალვაზე, რეგისტრაციაზე განეული ხარჯი), ზიანის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების არასაკმარისობის შემთხვევაში სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო დამატებით გამოეთხოვა ისინი და სრულად დაედგინა დავის გადაწყვეტისათვის საჭირო ფაქტობრივი გარემოებები.

ხაზგასასმელია **თანხის დაკისრებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი საქმე**,<sup>257</sup> სადაც საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა კანონისათვის უკუძალის მინიჭებასა და ხანდაზმულობის მომენტის ათვლასთან მიმართებით. კერძოდ, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საერთო წესის თანახმად, კანონის მოქმედების ძალა შემოფარგლულია კანონის გამოქვეყნებისა და გაუქმების პერიოდით. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი არ გამოიყენება: 1) იმ ფაქტების მიმართ, რომელიც განხორციელდა მის გამოცემამდე და 2) იმ ფაქტების მიმართ, რომელიც დადგა მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ; ორივე შემთხვევა წარმოადგენს უმაღლესი იურიდიული პრინციპის ორ მხარეს: განსახილველ ფაქტებთან დაკავშირებით სასამართლო გამოიყენებს იმ კანონს, რომლის მოქმედების პირობებში ამ ფაქტებს ჰქონდა ადგილი. საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ მოპასუხის ინსპექტირება მოიცავდა 2009 წლის 1 ივლისიდან 2012 წლის 1 მარტამდე პერიოდს, რა დროსაც დადგინდა, რომ მოპასუხე ვალდებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაეხადა 23 180,40 ლარი. ამდენად, გამოვლენილი დარღვევების ჩადენას ადგილი ჰქონდა იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ ამოქმედებული არ იყო „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილება. ამდენად, საკასაციო სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით გაიზიარა კასატორის მოსაზრება და განმარტა, რომ კანონის უკუძალის მინიჭება ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციურ პრინციპს, რომლითაც დაუშვებელი იყო აქტს უკუქცევითი ძალა მინიჭებოდა, თუკი იგი აუარესებდა პირის მდგომარეობას. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობის ვადა გამოთვალა „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №92 დადგენილების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, მიმწოდებელი ვალდებული იყო უზრუნველყო ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება აღიარებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის ათვლისას არ გაიზიარა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 8 იანვრის №04/462 წერილი, რომელიც გაეგზავნა კასატორს, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ამ წერილის ადრესატისათვის ჩაბარების ფაქტი. ამდენად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა იმ საკითხზე, თუ როდიდან უნდა დაწყებულიყო სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მასალებით სრულყოფილად არ დასტურდებოდა უფლების შესახებ შეტყობის ფაქტი. შესაბამისად, სასამართლოს საქმის განხილვისას უნდა გამოეკვლია მტკიცებულებები, სარწმუნოდ დაედგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მიეცა მათთვის სამართლებრივი შეფასება და გამოეტანა დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსე-

<sup>257</sup> საქმე №ბს-698-691(კ-16)

ბობის ან არარსებობის შესახებ, საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა სრულყოფილად დაუდგენლობის მოტივით მსგავსი შედეგი იქნა დაყენებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ თანხის დაკისრებასთან დაკავშირებულ, არსებითად განხილულ კიდევ ერთ საქმეზე,<sup>258</sup> რომელზედაც საკასაციო პალატის მიერ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველად მითითებულ იქნა, რომ დავის კანონიერად და ობიექტურად გადაწყვეტის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო, სათანადო შეფასება მისცემოდა იმ გარემოებას, მიუძღვოდა თუ არა ბრალი მოსარჩელეს შეტყობინების ვადის გადაცილებაში, სარწმუნოდ გამორკვეულიყო, რამ განაპირობა კლინიკის მიერ შეტყობინების დაგვიანებით განხორციელება და იყო თუ არა სახეზე მოსარჩელის ბრალის გამომრიცხავი გარემოებები. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოერკვია, მოცემული ადმინისტრაციული საქმე ხომ არ იყო შესაჩერებელი სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტამდე.

თანხის დაკისრებასთან დაკავშირებულ საქმეზე,<sup>259</sup> რომელზეც ყურადღება სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხზე გამახვილდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით არ იქნა გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დამდგარი შედეგი, კერძოდ, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სარჩელის არა ნაწილობრივ, არამედ სრულად დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით რეგლამენტირებული ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე მოთხოვნის არსებობის აღიარება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი იყო. ამდენად, მოვალეობის შესრულებას უთანაბრდება მოვალის დაპირება – ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე ვალის არსებობის აღიარება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ანუ თუ ვალდებულმა პირმა კონკრეტული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ აღიარა ხსენებული მოთხოვნის არსებობა და დაპირდა გადახდას, ხანდაზმულობის ვადის გასვლის ფაქტს სამართლებრივად აღარ აქვს არავითარი მნიშვნელობა მხარის შესაბამისი მატერიალური უფლების სასამართლო წესით რეალიზაციისათვის. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი მასალების შესაბამისად დასტურდებოდა, რომ მოპასუხემ მიმართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომლითაც, იმის გათვალისწინებით, რომ ვერ შეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება, ითხოვა საიჯარო ქირის დავალიანების – 8659,43 ლარის 2 წელზე გადანაწილება. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ წერილით მოპასუხეს აცნობა, რომ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა და მას დაევალა საიჯარო ქირის დავალიანების დაფარვა 2014 წლის 1 დეკემბრიდან ეტაპობრივად 2 წლის განმავლობაში – ყოველი თვის 15 რიცხვამდე 360.81 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა ვალის აღიარებას და დაპირებას, რომ იგი დავალიანებას გადაიხდიდა 2 წლის განმავლობაში, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა. ამდენად, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის (მოსარჩელის) განმარტებები ვალის აღიარებისა და ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის შესახებ და მიიჩნია, რომ არამართებული იყო სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება სარჩელის ნაწილობრივ ხანდაზმულად მიჩნევისა და სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თანხის დაკისრებასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ დავაზე<sup>260</sup> გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს შემოწმების აქტის მიხედვით, 3 ექიმის მიერ განხორციელებული იყო უკანონო საექიმო საქმიანობა. მათ მიერ სახელმწიფო სერ-

<sup>258</sup> საქმე №ბს-97-96(კ-17).

<sup>259</sup> საქმე №ბს-879-875(კ-17).

<sup>260</sup> საქმე №ბს-831-827(კ-17).



ტიფიკატის მიღებამდე, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 5 პაციენტისთვის განეულ იქნა დამოუკიდებელი სამედიცინო მომსახურება. საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დანაწესებზე, რომლის თანახმად, საექიმო საქმიანობა სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე გამოინვეს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. ამასთან, სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნების საფუძველი წარმოიშობოდა იმ შემთხვევაში, თუ მკურნალობის პროცესში ჩართული ყველა ექიმი არ ფლობდა შესაბამის სახელმწიფო სერტიფიკატს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელებისათვის. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, სახელმწიფო სერტიფიკატის მიღებამდე, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტებისთვის განეული დამოუკიდებელი სამედიცინო მომსახურება ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნების საფუძველს წარმოადგენდა, თუმცა საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის არგუმენტაცია და აღნიშნა, რომ საქმეში წარდგენილი შემონმების აქტით არ დგინდებოდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე მოპასუხე სამედიცინო დაწესებულების ექიმთა მიმართ გამოყენებულ იქნა თუ არა სანქცია სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელებისთვის, რაც თავის მხრივ, ეჭვქვეშ აყენებდა ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნების მოთხოვნის საფუძველიანობას. საკასაციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მხოლოდ შემონმების აქტზე დაყრდნობით მიიჩნიეს, რომ მოპასუხე სამედიცინო დაწესებულების 3 ექიმის მიერ განხორციელებული ქმედება იყო უკანონო საექიმო საქმიანობა. საკასაციო სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა სადავო პერიოდზე, რომელიც განისაზღვრებოდა ინსპექტირების პერიოდით და მოიცავდა 2011 წლის 26 დეკემბრიდან 2013 წლის 1 აპრილამდე თარიღს. აღნიშნულთან მიმართებით, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის – მოპასუხე სამედიცინო დაწესებულების არგუმენტაცია და აღნიშნა, რომ სადავო პერიოდში კანონმდებლობით „საოჯახო მედიცინის“ სუბსპეციალობად არ იყო გამოყოფილი „პალიატიური მზრუნველობა“. ამასთან, სუბსპეციალობის მოწმობა სავალდებულო იყო მხოლოდ სტაციონარული პალიატიური სერვისის მიმწოდებელი სუბიექტებისათვის, ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა კი შედიოდა სპეციალობა – „საოჯახო მედიცინის“ კომპეტენციაში. ამდენად, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის მოსაზრება მასზედ, რომ ექიმებს ჰქონდათ უფლება, რაიმე დამატებითი მოწმობის გარეშე ამბულატორიულად განეხორციელებინათ პალიატიური მზრუნველობა. მით უფრო, სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავდა ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიულ პალიატიურ მზრუნველობას. საკასაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა კასატორის განმარტება, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებდა არა სამედიცინო მომსახურების განვეის ხანგრძლივობას, არამედ სახელმწიფო პროგრამაში პაციენტების ჩართვის კრიტერიუმებს. შესაბამისად, ის გარემოება, რომ პაციენტები ჩართულნი იყვნენ პროგრამაში ხანგრძლივი (6 თვეზე მეტი) დროის განმავლობაში, არ ქმნიდა მოპასუხის მიმართ სანქციის გამოყენების საფუძველს.

## საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული დავები

საკასაციო სასამართლოს მიერ არსებითად განხილულ საქმეთა შორის ასევე აღსანიშნავია საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული დავები, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი განმარტება გაკეთდა. საჯარო დაწესებულებაში დაცული ოფიციალური დოკუმენტები, ასევე დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია ყველასთვის ღიაა, თუკი ის არ შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ამასთან, განსხვავებულია კონკრეტული ინფორმაციის გასაიდუმლოების, ღიაობის, გაცემის რეჟიმი, რაც არაერთ დავას წარმოშობს.

მაგალითად, საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შეეხება საჯარო ინფორმაციის საკითხს, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გაცემის და-

ვალეზა.<sup>261</sup> დავას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ფორმა. საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის ის ნაწილი, სადაც იგი განმარტავდა, რომ ელექტრონული ფოსტა, თავისი არსით, არაფორმალური კომუნიკაციის საშუალებაა და წარმოადგენს დროებით ჩანაწერს, რომელიც გამოიყენება შუალედური ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით და მასში გადაწყვეტილებები არ არის დაცული; ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია არ ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს, არ წარმოადგენს რაიმე ოფიციალური ხასიათის შემცველ ინფორმაციას/დოკუმენტს. საკასაციო სასამართლომ აღნიშნული მსჯელობის საპირისპიროდ განმარტა, რომ ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაციის ამგვარი ინტერპრეტაცია ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით განმარტებული საჯარო ინფორმაციის იმ მნიშვნელობას, რაც მას კანონმდებელმა მიანიჭა. მოცემული ნორმა „ოფიციალურ დოკუმენტს“ განმარტავს, როგორც სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებულ, დამუშავებულ, შექმნილ ან გაგზავნილ ინფორმაციას. ამასთან, მითითება იმაზე, რომ საჯარო ინფორმაციას ანუ ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს პროაქტიულად გამოქვეყნებული მონაცემები, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სავალდებულო არ არის ასეთი დოკუმენტი წარმოშობდეს რაიმე სამართლებრივ შედეგს ან გააჩნდეს მატერიალური დოკუმენტის რეკვიზიტები. სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა გულისხმობს ამ ელექტრონული რესურსის კონკრეტული, სპეციფიკური მიზნით გამოყენების აუცილებლობას და იგი მიმართულია სამსახურებრივი ვალდებულებების შესასრულებლად. სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებები, თავისთავად, არის ელექტრონული ფორმით არსებული საჯარო ინფორმაცია და იგი აკმაყოფილებს საჯარო ინფორმაციისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსსა და საჯაროობის მნიშვნელობაზე და განმარტა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე და ამ კანონის ერთ-ერთი მიზანი და ფუძემდებლური პრინციპია სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა (მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი). ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია, მით უფრო თუ იგი ეხება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ სახელმწიფო შესყიდვებს, წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისთვის. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული განმარტება არ გულისხმობს უწყების შიდა რგოლის თანამშრომლების მიერ გადაწყვეტილების შესაქმნელად წარმოებულ შიდა მოსამზადებელ მიმონერას. საკასაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით წარმოებულ კომუნიკაცია, რომელიც ეხება გამარტივებულ შესყიდვებს, არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს პირადი ხასიათის ინფორმაციასთან და იგი არ ხვდება კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრების დაცულ სფეროში.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილება მიიღო **პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით**, სადაც საკითხი ეხებოდა საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილების კანონიერებას, საჯარო ინფორმაციის დეპერსონალიზებული სახით გაცემის ნაწილში.<sup>262</sup> საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ადმინისტრაციულმა ორგანომ ორ შემთხვევაში შეიძლება თქვას უარი: 1. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში და 2. ინფორმაცია მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია იძლეოდა პირის იდენტიფიკაციის საშუალებას, ანუ ეხებოდა პირის პერსონალურ მონაცემებს. პალატის განმარტებით, საჯარო ინფორმაცია, რომელიც იძლევა იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, არის პირის პერსონალური მონაცემი, შესაბამისად, ასეთ ინფორმაციაზე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დაცვის რეჟიმი. მასზე ზემოქმედებს პირის სტატუსი, კერძოდ, საჯარო პირის მონაცემთა დაცვის რეჟიმი განსხვავდება სხვა პირების სამართლებრივი დაცვის რე-

<sup>261</sup> საქმე №ბს-286-284(კ-17).

<sup>262</sup> საქმე №ბს-936-932(კ-17).

ჟიმისაგან. სადავო ბრძანებაში მითითებული პირები არ წარმოადგენდნენ კანონით გათვალისწინებულ თანამდებობის პირებს, რომელთა ვინაობის გამხელაც უპირობოდ ეკისრებოდა ადმინისტრაციულ ორგანოს. ამასთან, ვერ დასტურდებოდა სადავო ბრძანებაში მითითებული პირების სახელებისა და გვარების მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვანად მიიჩნია „მაღალ საჯარო ინტერესსა“ და პერსონალურ მონაცემთა დაცულობას შორის ბალანსის დადგენა. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, სადაც განმარტებული იყო, რომ ინფორმაციის გაცემის კანონიერება არ უკავშირდება კონკრეტული სუბიექტის თანხმობას, რამდენადაც კონკრეტული საჯარო მოხელეებისა თუ დამხმარე მოსამსახურეებისათვის, რომლებიც ლეგიტიმურად, კანონიერი საფუძვლით სარგებლობენ სახელმწიფო ქონებით, იმთავითვე უნდა იყოს დასაშვები, რომ მათი სახელი, გვარი სამსახურებრივი მდგომარეობა და ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის უფლება, ისარგებლონ სახელმწიფო ქონებით, ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს პერსონალური მონაცემების შემცველი ფორმით. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო მოხელეთა ვინაობების მიმართ, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, ვერ იარსებებს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, რაც გადანონის პირის უფლებას პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მონაცემთა დეპერსონალიზაცია უზრუნველყოფს ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილის ღიაობას, ხელმისაწვდომობას, რაც ზედმიწევნით იყო დაცული სადავო აქტში. კერძოდ, მოთხოვნილი ინფორმაცია გაცემული იყო სრულად და დაშტრიხული იყო მხოლოდ იმ პირთა პერსონალური მონაცემები, რომლებმაც უარი განაცხადეს მათ გასაჯაროებაზე. პალატის მითითებით, პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის რეჟიმი იხსნება მონაცემების დეპერსონალიზაციის, აგრეთვე სუბიექტის ნებასურვილის შემთხვევაში. ინფორმაციის დეპერსონალიზაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მონაცემთა სუბიექტის სტატუსზე, ინფორმაციის საჯარო ინფორმაციისადმი კუთვნილებაზე. ამდენად, სახალხო დამცველის აპარატი ვერ გასცემდა ინფორმაციას იმ პირების შესახებ, რომელთაც უარი განაცხადეს თავისი პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაზე, რის გამოც დოკუმენტები გაიცა დეპერსონალიზებული სახით, მხოლოდ სახელისა და გვარის დაშტრიხვით.

უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმეებიდან აღსანიშნავია საიდუმლოებას მიკუთვნიებული ინფორმაციის იდენტიფიცირებისა და მისი დაცვის სტანდარტის თაობაზე მიღებული განჩინება. აღნიშნულ საქმეში,<sup>263</sup> დავის საგანი იყო **ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადება**. მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს აქტის ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვა სხვადასხვა ინფორმაციის, მათ შორის, ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა აღნიშნულ ნაწილში სარჩელი დააკმაყოფილეს, საკასაციო სასამართლომ საჩივრის ფარგლების გათვალისწინებით სწორედ აღნიშნული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის კანონშესაბამისობაზე იმსჯელა. უზენაესი სასამართლოს მიერ სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იყო სადავო საკითხის გადანყვეტისას ელექტროენერჯეტიკის დარგის მომწესრიგებელი კანონმდებლობის გამოუყენებლობა, სააპელაციო საჩივარში აღნიშნულზე სპეციალური მითითების არსებობის მიუხედავად. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა კომერციული საიდუმლოების დეფინიციაზე, მის მახასიათებლებზე, მისი დაცვის მნიშვნელობაზე, ინფორმაციის გასაიდუმლოების პროცედურის ნორმატიულად განსაზღვრულ წესზე, ინფორმაციის გასაიდუმლოებისათვის პირის მიერ ნების გამოხატვის საჭიროებაზე, ინფორმაციის კომერციული ფასეულობის მტკიცების ტვირთზე, ორგანოს მუშაკებისათვის კომერციული საიდუმლოების სამსახურებრივ საიდუმლოებად ტრანსფორმირების რეჟიმზე, პროფესიული საიდუმლოების ცნებასა და მახასიათებლებზე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზოგად წესზე, კომერციული საიდუმლოების მფლობელის უფლებაზე, მისთვის სასურველი რეჟიმის დაცვაზე. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კომერციული საიდუმლოების სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის ბუნებიდან გამომდინარე, ინფორმაციისათვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭება შესასრულებლად სავალდებულო იქნება იმ პირისთვის, რომელსაც ის წარედგინება – ადმინისტრაციული ორგანოსათვის და დისპოზიციური იქნება ინფორმაციის წარ-

<sup>263</sup> საქმე №ბს-33-32(კ-16).

მდგენი სუბიექტისათვის – მოსარჩელისათვის და იმ პირებისათვის, რომლებსაც ის უშუალოდ ეხება – ხელშეკრულებების კონტრაჰენტებისათვის. უკანასკნელთა მიერ რაიმე დაინტერესება ასეთი ინფორმაციის გასაიდუმლოებით საქმის მასალებით არ გამოკვეთილა, ისინი საერთოდ არ ყოფილან ჩართულნი საქმეში. შესაბამისად, არ გამოკვეთილა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების ძირითადი პირობა – ინფორმაციის მფლობელის (მოსარჩელისა და კონტრაჰენტების) ნება. საქმეზე არ გამოიციხულა კონტრაჰენტების მიერ ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად მისი ხელმისაწვდომობა, რის გამოც ასეთი ინფორმაციის მიმართ ვერ დადგინდება შემდგომში საიდუმლოების რეჟიმი, რადგან ინფორმაციის ერთიანობის თვისებიდან გამომდინარე, მისი გავრცელება აზრს უკარგავს დაცვას. სააპელაციო პალატას არ დაუდგენია აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების გამო მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება, წლების განმავლობაში ინფორმაციის ღიაობის პირობებში კომპანიის კონკურენტუნარიანობის შესუსტება. ამასთანავე, გადანყვეტილებაში მსჯელობა მიმდინარეობდა ხელშეკრულებათა დეპერსონალიზაციის შესახებ, რაც დავის საგანი არ ყოფილა. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნებზე, კეთილსინდისიერი კონკურენციის დაცვის საჭიროებაზე, არსებულ ბუნებრივ მონოპოლიებზე, ტარიფის განსაზღვრისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის აუცილებლობაზე, ტარიფის შესახებ ინფორმაციის ღიაობის და ხელმისაწვდომობის ნორმატიულად განსაზღვრულ წესზე. პალატამ მიუთითა, რომ არსებული ნორმატიული რეგულირება ითვალისწინებს ტარიფებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის საჯაროობას, ტარიფი აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება. უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რაციონალური და ობიექტური ტარიფის განსაზღვრის პროცედურის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ინფორმაციის საიდუმლოდ გამოცხადების უფლებას უპირისპირდება ადმინისტრაციული წარმოების ინფორმაციის საჯაროობის ვალდებულება, რომელიც ემსახურება მოქალაქეთა ინტერესების დაცვას. ამდენად, სააპელაციო პალატის განჩინება გაუქმდა და საქმე სათანადო მითითებებით დაბრუნდა ხელახლა განსახილველად.

ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც მოსარჩელე ითხოვდა სსიპ ალსრულების ეროვნული ბიუროს მიერ კონკრეტული კატეგორიისა და შედეგის მითითებით საქმეებზე გამოცემული განკარგულებებისა და გადანყვეტილებების გაცემის დავალებას,<sup>264</sup> პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უარყოფილი მოთხოვნა სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე არასწორი გადანყვეტილების მიღება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასებით იყო განპირობებული. პალატამ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის და საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის დანაწესის განვრცობისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნეს „გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო პრინციპები“, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს გამონაკლისები. პრინციპი – გამონაკლისები – ითვალისწინებს, რომ საჯარო დაწესებულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვალდებული დააკმაყოფილოს ინფორმაციის მოთხოვნა, თუ ვერ დამტკიცებს, რომ ეს ინფორმაცია გამონაკლისებს განეკუთვნება. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4 მუხლით იმპერატიულად არის დადგენილი გამონაკლისები აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კონკრეტულ საქმიანობებთან მიმართებაში, რომლებზეც არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება. ერთ-ერთ ასეთ საქმიანობად, აღნიშნული პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულია საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებასთან. ზემოაღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, ინფორმაციის გაცემის შესახებ ნორმები არ შეიძლება გავრცელდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელებული ცალკეული ქმედებების შედეგებთან მიმართებაში. საკასაციო პალატამ „საალსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და მე-19 მუხლებზე მითითებით გამიჯნა, კრედიტორის, მოვალისა და საალსრულებო წარმოებაში მონაწილე პირების უფლებები. საქმეზე დადგენილი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მხარე არ წარმოადგენს უფლებამოსილ პირს, ხოლო მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმო-

<sup>264</sup> საქმე №ბს-687-680(კ-16).

ადგენს საჯარო ინფორმაციას, სცდება ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებს და წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ გამონაკლისს, რის შესაბამისადაც, მოთხოვნილი ინფორმაციის მითითებულ ნაწილზე არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება.

საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება დადგა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით,<sup>265</sup> სადაც განიმარტა ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლები. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სადავო გადაწყვეტილება არ წარმოადგენდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ასევე არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ მხოლოდ განცხადებაზე დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში შეეძლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადება დაეტოვებინა განუხილველად. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი უფლებამოსილი იყო ხარვეზის დადგენის გარეშე განუხილველად დაეტოვებინა წარდგენილი განცხადება, ვინაიდან იგი არ წარმოადგენდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ განცხადებას, არ შეიცავდა ინფორმაციას მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევისა და მონაცემთა დამუშავების წესების შესაძლო დარღვევაზე. საკასაციო სასამართლომ შესაბამის ნორმებზე მითითებით დადგენილად მიიჩნია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი განიხილავს მხოლოდ იმ განცხადებებს, რომლებიც შეეხება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის ფაქტს; ხოლო განმცხადებელს მონაცემთა დამუშავების თაობაზე უნდა მიემართა არა ინსპექტორისათვის, არამედ – მონაცემთა დამმუშავებლისათვის, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ამდენად, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელების მოთხოვნა დაკმაყოფილდა სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანებების ბათილად ცნობაზე.<sup>266</sup> სადავო აქტების გამოცემის ფაქტობრივი საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ მოსარჩელების მიერ არ იქნა შესრულებული სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნა მათდამი დაქვემდებარებულ კომპანიაში დაზღვეული პირების (ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლე) თაობაზე ინფორმაციის (დაზღვეულის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, მზღვეველი და სადაზღვევო პერიოდი) მიწოდების შესახებ. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო ფორმალურად მიუდგა საკითხის გადაწყვეტას, არასწორად განმარტა კანონი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სადავო შემთხვევაში სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ მოსარჩელებისთვის ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული მიზნითა და სამსახურისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. მაკონტროლებელი ორგანოსათვის ნორმატიულ საფუძველზე დადგენილი საგამოძიებო და გაუფრთხილებელი ინსპექტირების უფლებამოსილება წარმოშობდა სამსახურის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაციის მზღვეველის მიერ გაცემის ვალდებულებას და მზღვეველს უფლება არ აქვს სამსახურს – მისი კომპეტენციის ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარი უთხრას „კანონით გათვალისწინებული საფუძველისა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვაზე მითითებით. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ სამსახურის წერილებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოთხოვნა შეესაბამებოდა დარგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საკასაციო პალატამ

<sup>265</sup> საქმე №ბს-765-761(კ-17).

<sup>266</sup> საქმე №ბს-407-407(კ-18).

განმარტა, რომ სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის მოთხოვნა არ საჭიროებს დამატებით დასაბუთებას. რამდენადაც, მაკონტროლებელი ორგანოს მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღებული მონაცემების დამუშავების უფლებამოსილება გათვალისწინებულია კანონით და მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

## სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დავები

**სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებულ დავაზე** საკასაციო სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც შეფასება მისცა შეეძლო თუ არა სააღსრულებო ბიუროს ყადაღადადებული ქონების განკარგვა.<sup>267</sup> საკასაციო სასამართლომ თავდაპირველად ყურადღება გაამახვილა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაზე, რომლის თანახმად, ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვნების ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვის გამოცხადებას. დასახელებული ნორმის თავდაპირველი რედაქცია არ შეიცავდა მითითებას რომელიმე კონკრეტულ სუბიექტზე ყადაღადადებული ქონების განკარგვის აკრძალვის თაობაზე, თუმცა მასში განხორციელებული ცვლილების თანახმად, შემოვიდა ახალი რეგულაცია და სპეციალურ სუბიექტს – მესაკუთრეს აკრძალა ყადაღადადებული უძრავი ქონების განკარგვა, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ ამ ნორმით აღმასრულებელს აკრძალვა ყადაღადადებული ქონების აუქციონზე გატანა. პალატამ ასევე ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებულ უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის სახით დადებული ყადაღის არსებობა არ წარმოადგენს აღსრულების შეჩერების საფუძველს, რადგან მსგავს პირობას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი არ ითვალისწინებს. ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული კანონის 75-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც არ არის უზრუნველყოფილი, საკუთრების გადასვლის მიუხედავად, ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებები რჩება უცვლელი. პალატამ მიიჩნია, რომ კანონმდებელი ამ ნორმის მიხედვით, ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებებში მოიაზრებს მხოლოდ სანივთო უფლებებს და იგი არ ეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებულ ყადაღას, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა არ წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას და იგი მხოლოდ ყადაღადადებული ქონების მესაკუთრის მხრიდან განკარგვის აკრძალვას ემსახურება, შესაბამისად, მას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავებით არ გააჩნია აქცესორული (მიმდევნებითი) ბუნება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ფუნქციას მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა წარმოადგენს, ხოლო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების, ანუ სანივთო უფლების ფუნქცია კი შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებაა, რაც გულისხმობს, რომ მოვალისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება, ანუ მოვალის შესასრულებელ ვალდებულებას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ანაცვლებს. ამასთან, დავის ობიექტურად გადაწყვეტისას საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვან გარემოებად მიიჩნია სააღსრულებო წარმოებაში დაინტერესებული პირის ინფორმირება სააღსრულებო წარმოების ყველა ეტაპსა და მოქმედებაზე, რაზეც დამოკიდებული იყო სააღსრულებო ბიუროს გადაწყვეტილების კანონიერება.

საქმეში, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის მოქმედების განხორციელებისაგან – მოსარჩელის სახელით სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვისაგან თავის შეკავება, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიერ უარყოფილ იქნა სარჩელი, ხოლო სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა და დაევალა მოპასუხეს თავი შეიკავოს აღსრულების ეროვნული

<sup>267</sup> საქმე №ბს-849-845(კ-17).

ნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე მოსარჩელის სახელით განთავსებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვისაგან. საქმეზე დადგინდა, რომ სადავო თანხა სადეპოზიტო ანგარიშზე მოსარჩელის მიერ განთავსებულ იქნა მესამე პირთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საპროცესო შეთანხმება ფორმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს გააჩნია საპროცესო შეთანხმების გაფორმების კანონით გათვალისწინებული ინტერესი. სადავო შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების გაფორმების სახელმწიფოს ინტერესს წარმოადგენდა მსჯავრდებულის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურება. ამდენად, მოსარჩელის მიერ სწორედ პროკურორსა და მესამე პირს შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმების პირობის შესრულების მიზნით იქნა შეტანილი სადავო თანხა სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე. საპროცესო შეთანხმების ოქმით გათვალისწინებული თანხის დადგენილ ვადაში აუნაზღაურებლობის შემთხვევაში სახეზე იქნებოდა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მიღებული განაჩენის გაუქმების ფაქტობრივი საფუძველი.<sup>268</sup>

## სხვა კატეგორიის დავები

**საკასაციო სასამართლოს მიერ ასევე არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხი იქნა შეფასებული სხვა კატეგორიის დავებზე.** კერძოდ, პრეცედენტულია საქმე, რომელშიც სადავო იყო სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სამედიცინო დანესებულებების მონაწილეობით სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის რეგისტრაციის შესახებ სამოქალაქო აქტში დედის შესახებ განხორციელებული ჩანაწერი.<sup>269</sup> მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო აქტის ჩანაწერში დედის შესახებ ჩანაწერის გაუქმებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას სამედიცინო დანესებულების მიერ არ იქნა მითითებული, რომ ბავშვი დაიბადა ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად და არც კანონმდებლობით გათვალისწინებული ის დოკუმენტები იყო დართული ცნობაზე, რომლებსაც ითვალისწინებს ნორმატიული აქტი. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაპირობა ფორმალურმა მიდგომამ. საკასაციო პალატის განმარტებით პრობლემას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ არ არსებობდა რაიმე საერთაშორისო შეთანხმება ან სტანდარტი, რომელიც სახელმწიფოთა შორის დაარეგულირებდა სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს. საკასაციო პალატამ სამედიცინო ლიტერატურის გამოყენებით განმარტა სუროგაციის შინაარსი და სახეები. მოცემულ შემთხვევაში საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა ჰქონდა ფაქტის დადგენას – რომელი სახის სუროგატ დედას წარმოადგენდა მოსარჩელე, რამდენადაც სადავო არ იყო ის გარემოება, რომ მოსარჩელე იმყოფება სუროგატთა მონაცემთა ბაზაში და სარგებლობს კონკრეტული სააგენტოს მომსახურებით. სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის სამოქალაქო რეგისტრაციის საკითხი მოწესრიგებულია „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებით, რომელიც ადგენს, რომ დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად დონორის ან „სუროგატული დედის“ მითითება დაუშვებელია. მითითებული წესის მე-19 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენის მიზანს წარმოადგენს ფაქტის დადგენა ბავშვის ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ არ გამოიკვლია და არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა ბიოლოგიურ თუ სუროგატ დედას და ბავშვი დაბადებულია ტრადიციული თუ გესტაციური სუროგაციის საფუძველზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დავის გადაწყვეტისთვის, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, მოსარჩელესთან მიმართებაში დასტურდებოდა ექსტრაკორპორული განაყოფიერების ფაქტი, რის შედეგადაც დაიბადა ბავშვი. მოსარჩელე მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მას ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებულ ბავშვთან გენეტიკური კავშირი არ აქვს. ამასთან, კლინიკაში მოძიებული ინფორმაციით

<sup>268</sup> საქმე №ბს-664-660(3კ-17).

<sup>269</sup> საქმე №ბს-874-866(კ-16).

დგინდებოდა მოსარჩელის სუროგატი დედობის ფაქტი. მოცემულ დავაში საკასაციო პალატამ ასევე იმსჯელა აღძრული სარჩელის მოსარჩელის იურიდიულ ინტერესთან შესაბამისობაზე და მიუთითა, რომ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მოსარჩელის მოთხოვნის მიზანი, სარჩელის შინაარსი, ის სამართლებრივი შედეგი, რისი დადგომაც სურდა მას და სასამართლოს, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე მოსარჩელისათვის უნდა მიეცა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირების შესაძლებლობა და დავის საგნის დაზუსტების შემდეგ, ემსჯელა როგორც გასაჩივრებული აქტების კანონიერების, ისე მოსარჩელის გენეტიკური დედობის არსებობა-არარსებობის შესახებ ექსტრაკორპორული განაცხადების შედეგად დაბადებული ბავშვის მიმართ. საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ სასამართლოებმა არ გამოიკვლიეს სადავო შემთხვევაში არსებობდა თუ არა სამოქალაქო აქტში (დაბადების მოწმობაში) მოსარჩელის მიერ გაჩენილი ბავშვის გენეტიკურ დედად მითითების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი, რისი დადგენაც შესაძლებელი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის გამოყენებით – გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად.<sup>270</sup> ამდენად, საკასაციო პალატის მიერ აღინიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში სამართალურთიერთობის მონაწილე მხარეების ჩართვის, დავის საგნის დაზუსტებისა და ტრანსფორმირების შემდეგ, უნდა გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და დაადგინოს სადავო შემთხვევაში ჰქონდა თუ არა ადგილი მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებას – მოსარჩელესა და მის მიერ გაჩენილ ბავშვს შორის გენეტიკური კავშირის არსებობას და ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს შეეძლო ემსჯელა სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობაზე.

**საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით განსაზღვრულ საპროცესო მექანიზმს** უკავშირდება საკასაციო სასამართლოს მიერ არსებითად განხილული ერთ-ერთი საქმე,<sup>271</sup> რომელზედაც საკასაციო პალატის მიერ შეფასებულ იქნა მითითებული საპროცესო შესაძლებლობის გამოყენების მართლზომიერება. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს განმარტება მასზედ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი, რამდენადაც საქმის გარემოებებით ცალსახად დგინდებოდა ის, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულყოფილად გამოიკვლია საქმის გარემოებები და სადავო აქტი მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით გამოსცა. საკასაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო დისკრიმინაციული გადაწყვეტილება, ვინაიდან კომისიამ 2015 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მიმართ გამოიყენა პასუხისმგებლობის ზომა – გაფრთხილება მაშინ, როდესაც მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწვევი ავტორიზებული სხვა პირის მიმართ 2015 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება, ფაქტის დაუდასტურებლობის გამო. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული შემთხვევების საფუძველზე გამოცემული გადაწყვეტილებების მიღებისას ადგილი არ ჰქონია საქმის გარემოებების იდენტიფიკაციას, კერძოდ, მოსარჩელისაგან განსხვავებით, მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწვევი ავტორიზებულმა პირმა, რომელსაც არ დაეკისრა პასუხისმგებლობა, სამართალდარღვევის აღკვეთისა და პრევენციის მიზნით მიიღო გარკვეული ზომები, რის გამოც კომისიამ მის მიმართ შეწყვიტა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. ამასთან, საყურადღებო იყო ისიც, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე მიღებული ზემოხსენებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე სასამართლოს არ უმსჯელია. საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ კანონშესაბამისად მიიჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული დავის გადაწყვეტისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა **შრომითი კო-**

<sup>270</sup> იხ. „მაია ოყროშიძე და გიორგი ოყროშიძე საქართველოს წინააღმდეგ“ 11.12.125. №60596/09, §§3-4.

<sup>271</sup> საქმე №ბს-1073-1067(კ-17).



**ლექტივის ნევრთა მიერ ნილთა არათანაბარი განაწილების**, როგორც „გარიგების“ ფორმის დაცვის სავალდებულობასთან მიმართებით.<sup>272</sup> საკასაციო პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნა. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორების მითითება იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, 1997 წლამდე მოქმედი „სამოქალაქო სამართლის კოდექსით“ გარიგებებისათვის დადგენილი ნორმები, რომლის 41-ე მუხლის თანახმად, „გარიგება არის მოქალაქეთა და ორგანიზაციათა მოქმედება, მიმართული სამოქალაქო უფლებათა ან მოვალეობათა წარმოშობის, შეცვლისა და მოსპობისათვის“. ამავე კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „წერილობით უნდა დაიდოს მოქალაქეთა გარიგებანი ურთიერთშორის ას მანეთზე მეტი თანხისა“. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ დავაში ძირითად სადავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა 1995 წლის 14 აპრილით დათარიღებული შრომითი კოლექტივის ნევრების მიერ დადებული ე.წ. „დამფუძნებელი ხელშეკრულება“, რომელიც თავისი შინაარსით გარიგებას წარმოადგენდა, თუმცა ამ დოკუმენტში მითითებული პირები გამორიცხავდნენ შეთანხმებას წარმოდგენილი სახით დოკუმენტის შინაარსზე, ანუ გარიგების პირობებზე. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ როგორც 1997 წლამდე მოქმედი „სამოქალაქო სამართლის კოდექსით“, ასევე თავად ე.წ. „დამფუძნებელი ხელშეკრულებით“ დადგენილი იყო, რომ ნების ნამდვილობის დადგენისათვის აუცილებელი იყო ამ დოკუმენტში მითითებული პირების ნება უფლებამოსილი სახელმწიფო თანამდებობის პირის (სახელმწიფო ნოტარიუსი ან მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირი) მიერ დადასტურებულიყო, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამდენად, ამ ტიპის გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელი იყო დოკუმენტში მითითებული გარიგების მონაწილე პირების ხელმოწერის დამონმება სახელმწიფო ნოტარიუსის ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირის მიერ. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სადავო არ იყო ის ფაქტი, რომ ნოტარიუსის მიერ დამონმებული იყო მხოლოდ ამ დოკუმენტის – „დამფუძნებელი ხელშეკრულების“ წარმდგენი პირის – მოსარჩელის მამის ხელმოწერის ნამდვილობა და არ იყო წარდგენილი დოკუმენტში მითითებული კოლექტივის 9 პირის ხელმოწერის ნამდვილობა. საკასაციო სასამართლომ შეფასებით, აღნიშნული გარიგება მიუთითებდა იმაზე, რომ ე.წ. „დამფუძნებელი ხელშეკრულებაში“ მითითებული ნილების არათანაბარ განაწილებაზე დანარჩენ 9 პირს თანხმობა არ განუცხადებია. ამასთან, ნილებთან დაკავშირებით წარმოებული სამოქალაქო დავის მასალებიდან ჩანდა, რომ შრომითი კოლექტივის ნევრებს არ უღიარებიათ ე.წ. „დამფუძნებელი ხელშეკრულებაზე“ ნების გამოვლენა. პირიქით, ისინი ყოველთვის აფიქსირებდნენ, რომ ეს დოკუმენტი შინაარსის გაყალბების გზით, მათი ნების საწინააღმდეგოდ იყო შექმნილი. ამდენად, საკასაციო სასამართლომ არარა გარიგებასთან მიმართებით დადგენილ ერთიან სასამართლო პრაქტიკაზე მითითებით, მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სათანადო ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთების გარეშე. საკასაციო სასამართლომ ამავედროულად აღნიშნა, რომ კასატორთა მიერ მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით გამოთქმული პრეტენზიების ფონზე, სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას ასევე უნდა ემსჯელა იმ საკითხზე, თუ როდიდან უნდა დაწყებულიყო სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მასალებით ცალსახად არ დასტურდებოდა უფლების დარღვევის შესახებ შეტყობის ფაქტი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სადავო აქტის ჩაბარების საკითხს არსებითად განხილულ ერთ-ერთ დავაზე,<sup>273</sup> სადაც საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით უარყო სააპელაციო პალატის მსჯელობა მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის სადავო აქტის ჩაუბარებლობასთან მიმართებით. კერძოდ, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ სსიპ არქიტექტურის სამსხურთან გამოითხოვა მოსარჩელის მიერ ადმინისტრაციული აქტების ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება, დედნის სახით. სსიპ არქიტექტურის სამსახურმა, სააპელაციო სასამართლოში წარადგინა ქ. თბილისის მერის სსიპ ქ. თბილისის არქიტექ-

<sup>272</sup> საქმე №ბს-270-268(კ-17).

<sup>273</sup> საქმე №ბს-1185-1179(კ-17).

ტურის სამსახურის ბეჭდით დამონმებული წერილი, რომლითაც დადასტურებულია ის ფაქტი, რომ მოსარჩელე გასაჩივრებულ ბრძანებას პირადად გაეცნო. აღნიშნულის საწინააღმდეგო რაიმე მტკიცებულება, რაც გაამყარებდა სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, გარდა სააპელაციო საჩივრის ავტორის ზეპირსიტყვიერი მითითებისა, საქმეში დაცული არ იყო. ამდენად, ზემოხსენებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ დადგინდა გარემოებად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიას მოსარჩელემ აქტების გასაჩივრებისათვის დადგინილი ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ მიმართა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ობიექტური შეფასება არ მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, ვერ მიუთითა ვერც ერთ კონკრეტულ ფაქტზე და სამართლებრივ ნორმაზე, რომელიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სადავო აქტით არ იქნა გამოკვლეული და შეფასებული. ასევე ვერ დაასაბუთა, რატომ არ გაიზიარა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი სათანადოდ დამონმებული დოკუმენტი სადავო აქტების ჩაბარების დამადასტურებელ მტკიცებულებად. ყოველივე ზემოაღნიშნული კი, საკასაციო პალატის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგის შეცვლის საფუძველად იქნა მიჩნეული.

2018 წელს განხილული დავებიდან აღსანიშნავია საქმე, რომელიც ეხებოდა **საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის ფიზიკური პირის სასარგებლოდ საშინაო ვალის ანაზღაურების დაკისრებას**,<sup>274</sup> სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა მოსარჩელის განცხადებაზე ხელახალი მსჯელობა ისე, რომ არ გაითვალისწინა სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი და სარჩელის სახე, დავის გადაწყვეტისათვის დაუსაბუთებლად გამოიყენა კონკრეტული ნორმატიული მოწესრიგება, ბუნდოვნად ჩამოყალიბდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის დროს ხელახალი განხილვისთვის საკითხის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაბრუნების შეუძლებლობაზე, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის არაბუნდოვნად, გარკვევით ჩამოყალიბების საჭიროებაზე. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაანალიზა საშინაო ვალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნორმატიული მოწესრიგება, არ გაითვალისწინა ობლიგაციების განაღდებას ძალაში მყოფი მექანიზმი, არ იმსჯელა ობლიგაციების ნორმატიულად განსაზღვრული დაფარვის ზღვრული ვადისა და მათი გასაანაღდეზად წარდგენის პერიოდზე.

სააპელაციო პალატის მიერ მისი მიღების მომენტში კანონშესაბამისი გადაწყვეტილება გაუქმდა საკასაციო საჩივრის წარდგენისას არსებული ნორმატიული მოწესრიგების ცვლილების გამო. 2017 წელს განხილული დავა ეხებოდა ადმინისტრაციული ორგანოსათვის **უკანონო მფლობელობიდან ბინის გამოთავისუფლების** დავალებას და გამოთავისუფლებაზე ორგანოს უარის ბათილად ცნობას.<sup>275</sup> ორგანო უარს აცხადებდა ნორმატიულად მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე იმ საფუძველით, რომ ბინასთან დაკავშირებულ გარკვეული დოკუმენტების ნამდვილობაზე მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი გამოძიება. სააპელაციო პალატამ ადმინისტრაციული ორგანოს ეს მოსაზრება არ გაიზიარა, რაც უცვლელად იქნა დატოვებული საკასაციო სასამართლოს მიერ, რადგან საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ აღნიშნული დოკუმენტის სიყალბის დადგენის შემთხვევაშიც კი მოსარჩელის საკუთრებას არ ეცლებოდა სამართლებრივი საფუძველი. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს უარი ფართის გამოთავისუფლებაზე არამართლზომიერად იქნა ცნობილი, ამის მიუხედავად გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც ორგანოს დაევალა გამოთავისუფლების მიზნით კონკრეტული ქმედებების განხორციელება, რადგან შეცვლილი ნორმატიული რეგულირების შედეგად აღნიშნული მიმართულებით შემცირდა ორგანოს კომპეტენცია, ორგანოს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გამოსახლების უფლება შეუნარჩუნდა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, რაც განსახილველ დავაში არ დასტურდებოდა.

<sup>274</sup> საქმე №ბს-728-720(კ-16).

<sup>275</sup> საქმე №ბს-563-556(კ-15).

დავაზე, რომელიც **სააქტო ჩანაწერის შეცვლის** მოთხოვნის საფუძვლიანობას შეეხებოდა,<sup>276</sup> საკასაციო პალატამ, მართალია, გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით დამდგარი შედეგი, თუმცა დამატებით განმარტა, რომ სადავო აქტი – ხაშურის რაიონის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერი (მმარჩის) განყოფილების მიერ რეგისტრირებული დაბადების აქტის ჩანაწერი, რომელსაც დაბადების ფაქტის დამადასტურებელ საბუთად საფუძვლად დაედო ხაშურის რაისამშობიარო სახლის ცნობა, კანონიერი იყო, ვიდრე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინებით ამ დოკუმენტის სიყალბე არ დადგინდებოდა, რაც შეიძლება გამხდარიყო რეგისტრაციის ჩანაწერში ცვლილების საფუძველი.

საქმეზე, რომელშიც სარჩელი აღძრული იყო **ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის მოთხოვნით**, სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველზე პირველი ინსტანციის მიერ უარყოფილი სარჩელი დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დავის განხილვის მიუხედავად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, რადგან ნორმატიული აქტი, რომელშიც მოსარჩელე მოითხოვდა ცვლილების შეტანას საკასაციო პალატაში საქმის განხილვის დროს უკვე გაუქმებული იყო. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ნორმატიული აქტის მიღების (გამოტანა) და მასში ცვლილების შეტანის წესს განსაზღვრავს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი, რომელიც არ იძლევა ძალადაკარგულ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით საქმეზე დადგენას საჭიროებდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დავალების შესაძლებლობა.<sup>277</sup>

საკასაციო სასამართლოს მიერ განხილულ კიდევ ერთ დავაზე<sup>278</sup> საკასაციო სასამართლო, მართალია, დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის კონკრეტული შედეგით გადაწყვეტას, თუმცა სამართლებრივ პრობლემათა სრულყოფილი შესწავლა-შეფასების, ასევე საკასაციო საჩივრის საფუძვლების მაქსიმალური გამორიცხვისა და დამდგარი შედეგის სათანადო დასაბუთების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნია არსებითად ემსჯელა კასატორის არგუმენტებზე. კერძოდ, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასაციის მოტივი იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანება და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილება. საკასაციო სასამართლომ მიუთითა სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ კანონმდებლობაზე. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 14<sup>2</sup> მუხლზე, რომლის თანახმად, „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული ელექტროსადგურის ტერიტორიულ საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დაწინაშელების მიწის ნაკვეთზე ფიზიკური და/ან კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისათვის, აგრეთვე, რეგისტრირებული დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემის დაზუსტებისას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციისა, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ცნობა), რომლითაც უნდა დასტურდებოდეს უფლების დამადასტურებელ დოკუმენტსა და საკადასტრო აზომვით ნახაზზე ასახული სარეგისტრაციო უძრავი ნივთის ურთიერთშესაბამისობა.

<sup>276</sup> საქმე №ბს-318-318(კ-18).

<sup>277</sup> საქმე №ბს-35-34 (3კ-17).

<sup>278</sup> საქმე №ბს-855-847(კ-16).

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად განსჯად სასამართლოში დაბრუნების აუცილებლობა გამოიწვია ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ სამართალწარმოების წესების დარღვევით დავის გადაწყვეტამ, კერძოდ, საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით საქმის განხილვამ და გადაწყვეტილების გამოტანამ. ერთ-ერთ ასეთ საქმეში<sup>279</sup> დავის საგანს წარმოადგენდა ქ. ბათუმის მერიისთვის შპს-თან გაფორმებული მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის დავალდებულება; ხოლო მეორე შემთხვევაში<sup>280</sup> დავის საგანი იყო – შპს-თვის ქ. თბილისის მერიის სასარგებლოდ აღნაგობის საფასურის და პირგასამტეხლოს დაკისრება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, სადავო საკითხები ფორმალურად ადმინისტრაციულ დავას ემსგავსებოდა, თუმცა მნიშვნელოვანი იყო არა დავის ფორმალური მხარე, არამედ მისი შინაარსი და საფუძვლები. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენდა, ხელშეკრულება არ აღჭურავდა პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით. მოცემულ შემთხვევებში ხელშეკრულების მხარე ადმინისტრაციულ ორგანოს არ მოუხდენია ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება, მან მოახდინა კერძო-სამართლებრივი უფლების რეალიზაცია. ერთ შემთხვევაში ქ. ბათუმის მერიის მიერ შპს-თან მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება, ხოლო მეორე შემთხვევაში თბილისის მერიის მიერ შპს-თვის აღნაგობის საფასურისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების მოთხოვნა არ გულისხმობდა მხარეებს შორის ვერტიკალური, ქვემდებარებითი ურთიერთობის არსებობას, ამ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანო არ გვევლინებოდა როგორც საჯარო უფლებამოსილების იმპერატიული ნების გამოხატველი სუბიექტი. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. ამასთან, ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების (რეალაქტის) განხორციელების მოვალეობის წარმოქმნას, ხელშეკრულების დადების შედეგად მხარის საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღჭურვას, რასაც მოცემულ შემთხვევებში ადგილი არ ჰქონდა. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა ორგანომ კერძო პირს, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ, აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადასცა უძრავი ქონება. ამასთან, საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოცემული საკითხები ეხებოდა სახელმწიფო ქონების კერძო პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემას და არა სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობას, საკუთრებაში კერძო პირისთვის გადაცემას, რაც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასახელებული საქმეები განხილული იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლების, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესების დარღვევით, ვინაიდან საქმე ექვემდებარებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას, რის გამოც საქმეები ხელახალი განხილვისათვის გადაეცა განსჯად სასამართლოებს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

## განსჯადობა

**ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2017-2018 წლებში გადაწყვიტა არაერთი დავა განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით. სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის,**

<sup>279</sup> საქმე №ბს-959-950(კ-16).

<sup>280</sup> საქმე №ბს-73-72(კ-17).

**პროცესის ეკონომიურობის და ოპერატიულობის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები.**

საკასაციო სასამართლოს მიერ მნიშვნელოვანი შეფასებები მიეცა სასამართლოთა შორის განსჯადობასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს და რიგ შემთხვევებში გამოიკვეთა ახალი მიდგომები. კერძოდ, საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. საკასაციო სასამართლომ ამ პრინციპიდან განდგომა გამონაკლისის წესით, სასამართლოებს შორის თანაზომიერი დატვირთვის მოსაზრებიდან და საჯარო რეესტრის ორგანიზაციული მოწყობიდან გამომდინარე, დაუშვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მის სისტემაში შემავალი რეგიონალური ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე.<sup>281</sup> საკასაციო სასამართლოს მითითებით, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები, რომლის თანახმად, სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იმსჯელა აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი დავების ტერიტორიული განსჯადობის შესახებ. ერთ-ერთ საქმეში,<sup>282</sup> სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მიმწოდებლის მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო გამოცემული სადავო აქტების კანონიერება, კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდებოდა ზემოხსენებული პროგრამით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციათა ბათილად ცნობას. საკასაციო სასამართლოს მიერ შესაბამის ნორმებზე მითითებით დადგინდა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში ნებაყოფლობით მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოადგენდა, ხოლო სადავოდ ქცეული აქტები კი სწორედ აღნიშნული ხელშეკრულების დანაწესებიდან გამომდინარეობდა. ამასთან, მოსარჩელის სასარჩელო განცხადება სამედიცინო დაწესებულების ფილიალის საქმიანობასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი, ხოლო ფილიალის ადგილმდებარეობა ხელშეკრულების შესრულების ადგილს ემთხვეოდა. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიერ განისაზღვრა, რომ ადგილი ჰქონდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით (საერთო განსჯადობა) დადგენილი ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი წესისა და ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (განსაკუთრებული განსჯადობა) დადგენილი განსჯადობის სპეციალური წესის კონკურენციას, რა დროსაც უპირატესობა სწორედ სპეციალური წესების დამდგენ დანაწესებს უნდა მინიჭებოდა, რის გამოც სარჩელი ხელშეკრულების შესრულების ადგილისა და ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით შესაბამის სასამართლოს დაექვემდებარა. მსგავს შემთხვევებში ამავე წესით გადაწყდა არაერთი დავა ტერიტორიული განსჯადობის შესახებ.<sup>283</sup> სხვა საქმეში პალატამ განმარტა აგრეთვე სამხედრო მოსამსახურისათვის დაკისრებულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების ადგილის დადგე-

<sup>281</sup> საქმე №ბს-952-943(გ-16); საქმე №ბს-960-951(გ-16); საქმე №ბს-439-436(გ-17); საქმე №ბს-715-711(გ-17); საქმე №ბს-639-635(გ-17); საქმე №ბს-597-594(გ-17); საქმე №ბს-984-980(გ-17); საქმე №ბს-629-625(გ-17); საქმე ბს-716-712(გ-17); საქმე ბს-613-610(გ-17); საქმე ბს-983-979(გ-17).

<sup>282</sup> საქმე №ბს-284-284(გ-18).

<sup>283</sup> საქმე №ბს-342-342(გ-18); №ბს-649-649(გ-18); №ბს-695-695(გ-18).

ნის თავისებურებები.<sup>284</sup>

სახელმწიფო ურთიერთობიდან გამომდინარე, საქმეებში ხშირ შემთხვევაში ხდება დავის წამოწყება საგნობრივ განსჯადობაზეც, რადგან პრაქტიკაში ხელმწიფოების ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო კატეგორიისადმი კუთვნილების დადგენა არ არის ცალსახა და ხშირად დაკავშირებულია სირთულეებთან. მაგალითად, 2017 წელს განხილულ ერთ-ერთ საქმეში<sup>285</sup> სადაზღვევო კომპანია ქ. თბილისის მერიისაგან ითხოვდა მუნიციპალიტეტის მიერ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დაზღვევის ხელმწიფოების დადგენის თანხის ანაზღაურებას. საკასაციო პალატამ აღნიშნული ხელმწიფოების ჩათვლა ადმინისტრაციულ ხელმწიფოებად და განმარტა, რომ სოციალური სახელმწიფო არის მმართველობის ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე, აღნიშნული ფუნქციის ფარგლებში სახელმწიფო მატერიალურად ეხმარება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, უწესებს მათ სხვადასხვა შეღავათებს, რასაც ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იურიდიული პირების მეშვეობით. ჯანმრთელობის დაცვის უფლება სოციალური უფლებაა, სამედიცინო დაზღვევა არის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სოციალური გარანტია. მუნიციპალიტეტის მიერ საზოგადოების იმ ჯგუფების სამედიცინო დაზღვევა, რომელთაც სათანადო სამედიცინო დახმარების მიღება არ შეუძლიათ მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, არ იქნა განხილული კერძო-სამართლებრივ ხელმწიფოებად, რადგან მიმართული იყო კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განმტკიცებული, სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული – სოციალური ფუნქციის განხორციელებისაკენ. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ძირითადი, უშუალო ფუნქციის განხორციელებისკენ მიმართულ საქმიანობას გულისხმობს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. ის, რომ სახელმწიფო უშუალოდ არ ახდენდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე განეული ფაქტობრივი ხარჯის ანაზღაურებას და დებდა სამედიცინო დაზღვევის ხელმწიფოებას, არ იქნა მიჩნეული ხელმწიფოების სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის დამადასტურებელ გარემოებად, რადგან ორგანო თავის ფუნქციებს ახორციელებს უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით. მსგავსი შინაარსის ხელმწიფოების დადგენის თანხის დაკისრების შესახებ დავის საგნობრივ განსჯადობაზე ისმჯელა საკასაციო პალატამ 2018 წელსაც,<sup>286</sup> სასამართლომ კვლავ გაამახვილა ყურადღება სახელმწიფოს სოციალურ ფუნქციების განხორციელების მიზნით დადებული ხელმწიფოების ადმინისტრაციულ ხასიათზე. ხელმწიფოების შინაარსისა და დადების მიზნის გათვალისწინებით, საგნობრივი განსჯადობის საკითხზე, საკასაციო პალატამ იმსჯელა სხვა არაერთ დავაშიც.<sup>287</sup>

მნიშვნელოვანი განმარტებები გაკეთდა საქმეში,<sup>288</sup> რომელშიც საგნობრივი განსჯადობა იყო გადასაწყვეტი, საკასაციო პალატამ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტამდე უწყებრივი ქვემდებარების საკითხის განსაზღვრის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. პალატამ აღნიშნა, რომ შუალედური აქტი დამოუკიდებლად არ ახდენს მოსარჩელეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების ხელყოფას, ამგვარი აქტის/ქმედების გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გამოცემულ, მხარისათვის უშუალო შედეგის წარმომშობ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან ერთად. ვითარება არ იცვლება ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც აღნიშნული შუალედური ქმედება/აქტი შესაძლოა დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მიზეზი გახდეს. პალატამ აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნა ან აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნა ურთიერთდაკავშირებული მოთხოვნებია და მათი განხილვა ერთობლივად უნდა მოხდეს, თუმცა დისკრიმინაციულ ქმედებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც კერძო-სამართლებრივ, ასევე საჯარო სფეროში, როგორც კერძო პირის, ისე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, შესაბამისად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეები შესაძლოა იყოს

<sup>284</sup> საქმე №ბს-621-621(გ-18).

<sup>285</sup> საქმე №ბს-212-211(გ-16).

<sup>286</sup> საქმე №ბს-1-1(გ-18).

<sup>287</sup> საქმე №ბს-832-824(გ-16); №ბს-923-915(გ-16); №ბს-1138-1132(გ-17).

<sup>288</sup> საქმე №ბს-377-374(გ-17).

როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოს განსჯადი. დაუშვებლად იქნა მიჩნეული დისკრიმინაციის საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილი ყველა დავის სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოების იურისდიქციაში მოქცევა, რადგან აღნიშნული გამოიწვევს საჯარო მმართველობის კანონიერების ყველაზე აქტუალური საკითხების ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოების იურისდიქციის სფეროდან გამოსვლას.

საგნობრივი განსჯადობის თაობაზე არაერთი დავა წარმოიშობა აგრეთვე სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების დადგენის მიზნით აღძრულ სარჩელებზე. მაგალითად, 2017 წელს განხილულ ერთ-ერთ საქმეში,<sup>289</sup> სადაც პირი გათავისუფლებული იყო სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებიდან, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებული ყველა პირი არ მიიჩნევა საჯარო მოხელედ, პირის მოხელედ მიჩნევისათვის უნდა დადგინდეს მისი სამსახურში მიღების სამართლებრივი საფუძვლები და მის მიერ განხორციელებული უფლება-მოვალეობების შინაარსი, რადგან დაწესებულებაში შესაძლოა დასაქმებული იყოს არაერთი ტექნიკური მუშაკი ან სხვა პირი, რომელიც არ იღებს მონაწილეობას დაწესებულების საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების განხორციელებაში. პალატამ ერთმანეთისაგან გამიჯნა საჯარო მოხელე და შტატგარეშე მოსამსახურე, ყურადღება გაამახვილა მათ ფუნქციებს, სამართლებრივ სტატუსსა და დასაქმების საფუძველს შორის არსებულ განსხვავებებზე.

სხვა საქმეში<sup>290</sup> სარჩელი აღძრული იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან დასაქმებულის გათავისუფლების გამო. საკასაციო პალატამ, უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკაზე მითითებით აღნიშნა, რომ საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობა ენიჭება სადავო აქტების გამოცემის საფუძვლებს, სამართალურიეროობის სუბიექტის მოქმედების ფორმას. პირის გათავისუფლების შესახებ ბრძანება არ იქნა მიჩნეული ადმინისტრაციულ აქტად, რადგან იგი გამოცემული იყო კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე. განჩინებაში ყურადღება გაამახვილდა სსიპ-ში დასაქმებული პირების სამართლებრივ სტატუსსა და ფუნქციებზე, განიმარტა, რომ მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური რეკვიზიტების ქონა და დასახელება, სათანადო შინაარსობრივი დატვირთვის გარეშე, ასევე დასაქმების პროცედურების ფორმალურად საჯარო კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარება, დოკუმენტს ვერ აქცევს ადმინისტრაციულ აქტად. პალატამ, ისევე როგორც სხვა არაერთ განჩინებაში, ხაზი გაუსვა დავის განმხილველი სასამართლოს კომპეტენციის სისრულეს, როგორც კერძო, ასევე საჯარო-სამართლებრივი ნორმების სრულად გამოყენების შესაძლებლობას, განიმარტა განსჯადობის შესახებ დავის წამოწყებასთან დაკავშირებით სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლის კომპეტენციის ფარგლები.

სხვა შრომით დავებში<sup>291</sup> შესამოწმებელი იყო ერთ-ერთი სკოლის დირექტორის განთავისუფლების კანონიერება. საკასაციო პალატამ იმსჯელა აღნიშნული საქმის საგნობრივი განსჯადობის საკითხზე და დავა მიიჩნია სამოქალაქო-სამართლებრივად, მსგავსი დავების განსჯადობის წესთან დაკავშირებით კანონმდებლობაში პირდაპირი და ერთმნიშვნელოვანი ჩანაწერის არსებობის გამო. პალატამ აღნიშნა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების კომპეტენცია შედგება კანონებით და სასამართლო პრაქტიკით, ისტორიული მეტამორფოზებით დამკვიდრებული საერთო და საგამონაკლისო წესებისაგან, საგამონაკლისო წესები ზოგჯერ აფართოებენ ან ზღუდავენ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების იურისდიქციას, თუმცა კანონისმიერი განსჯადობის იმპერატიული წესი არ იძლევა ადმინისტრაციული სასამართლო-წარმოების იურისდიქციის გაფართოების შესაძლებლობას, საამისოდ საჭიროა კანონში ცვლილების შეტანა.

<sup>289</sup> საქმე №ბს-893-885(გ-16).

<sup>290</sup> საქმე №ბს-221-221(გ-18).

<sup>291</sup> საქმე №ბს-203-203(გ-18); №ბს-204-204(გ-18).

## საპროცესო ხარჯები

საკასაციო სასამართლოს მიერ გამახვილდა ყურადღება სასამართლო ხარჯების განაწილების კანონიერების საკითხზე. მაგალითად, ერთ-ერთ დავაზე<sup>292</sup> არსებითად სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად არასწორად იყო გადაწყვეტილი **სახელმწიფო ბაჟის განაწილების საკითხი**, რამაც აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება გამოიწვია. სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო სასკ-ის მე-9 მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებულია სოციალური კატეგორიის საქმეები. აღნიშნულ შემთხვევაში სარჩელი აღძრული იყო სწორედ სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისად, არ არსებობდა რომელიმე მხარის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის საჭიროება, თუმცა მოსარჩელემ სახელმწიფო ბაჟი მაინც გადაიხადა. სარჩელის დაკმაყოფილების გამო, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მიერ გადახდილი ბაჟის გადახდა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დააკისრა მაშინ, როდესაც დავის საგნის გამო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებულ საქმეზე მოსარჩელის მიერ ბაჟის გადახდა ინვესტ გადახდილი თანხის არა მოპასუხისათვის დაკისრებას, არამედ შეცდომით გადახდილი ბაჟის ბიუჯეტიდან დაბრუნებას.

არის შემთხვევები, როდესაც მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით დავის სწორად გადაწყვეტის მიუხედავად ხარვეზებით ხდება საპროცესო ხარჯების განაწილება, მაგალითად, 2017 წელს განხილულ ერთ-ერთ დავაზე<sup>293</sup> მხარეს არასწორად ეთქვა უარი **ადვოკატის ხარჯის** ანაზღაურებაზე, რის გამოც აღნიშნულ ნაწილში სასაკაციო საჩივარი დაშვებულ იქნა და ახალი განაწილებით მოსარჩელეს აუნაზღაურდა განუხლები საადვოკატო მომსახურების ხარჯი, რადგან სააპელაციო პალატის მიერ აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნაზე საქმის წარმოება შეწყდა მოპასუხის მიერ აქტის თავისი ინიციატივით გაუქმების გამო, ამასთანავე, დასტურდებოდა მოსარჩელის მიერ საადვოკატო მომსახურების ხარჯის განევა.

საქმეზე, სადაც სასარჩელო მოთხოვნას საჯარო ინფორმაციის გაცემა და წარმომადგენლობითი მომსახურების ხარჯის ანაზღაურება წარმოადგენდა, საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა **წარმომადგენლის დახმარებისათვის განუხლები ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით** და აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებით საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება.<sup>294</sup> საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მხარისათვის წარმომადგენლის დახმარებისათვის განუხლები ხარჯების დაკისრებისას, აუცილებელია, შეფასება მიეცეს ამგვარი ხარჯის განევის აუცილებლობას და საჭიროებას, პირის სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც ამგვარი ხარჯის ანაზღაურებას მოითხოვს ე.ი. უნდა შეფასდეს ფაქტობრივი საფუძველი, რაც განაპირობებს წარმომადგენლის დახმარებისათვის განუხლები ხარჯის ანაზღაურების აუცილებლობას, მით უფრო იმ ოდენობით, რომელსაც მხარე მოითხოვს. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ითხოვდა ორგანიზაციის იმ წარმომადგენლობაზე განუხლები ხარჯების ანაზღაურებას, რაც მან გასწია სასამართლოში და რაც მისი, როგორც ორგანიზაციის უფროსის (ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის) უშუალო კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენდა. ამდენად, სახეზე იყო იმ პირის მიერ წარმომადგენლობაზე განუხლები ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელმაც კანონისმიერი ვალდებულების საფუძველზე სააგენტოს ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა სასამართლოში. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო „იურიდიული დახმარება“, როგორც ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების დაკისრების აუცილებელი პირობა. ანალოგიური განმარტება გააკეთა საკასაციო პალატამ კიდევ ერთ საქმეზე, რომელშიც სასარჩელო მოთხოვნას ასევე საჯარო ინფორმაციის გაცემა და წარმომადგენლობითი მომსახურების ხარჯის ანაზღაურება წარმოადგენდა.<sup>295</sup> პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუხედავად სარჩელის დაკმაყოფილებისა უარი უთხრა მოსარჩელეს წარმომადგენლობითი მომსახურების ხარჯის ანაზღა-

<sup>292</sup> საქმე №ბს-626-622(კ-17).

<sup>293</sup> საქმე №ბს-135-134(კ-კს-16).

<sup>294</sup> საქმე №ბს-918-910(კ-16).

<sup>295</sup> საქმე №ბს-294-292(კ-17).



ურებაზე, რაც სააპელაციო პალატამ სრულად დააკმაყოფილა, ხოლო საკასაციო პალატამ აღნიშნული მოთხოვნის ნაწილში არ დააკმაყოფილა სარჩელი.

შრომით დავაზე, რომელშიც მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის მოპასუხეთათვის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში, საკასაციო პალატამ მიუთითა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებაზე<sup>296</sup> და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა საადვოკატო მომსახურების ხარჯი მიუხედავად იმისა, რომ ხარჯის განევის დამადასტურებელი მტკიცებულება – ადვოკატისათვის თანხის გადახდის ქვითარი არ იყო წარმოდგენილი.<sup>297</sup>

## დასკვნა

დასკვნის სახით, დაშვებული და დაუშვებელი საკასაციო საჩივრების, 2017 და 2018 წლებში არსებითად განხილული საქმეების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვის ხარისხის, სამართლებრივი შედეგის დადგენის სისწორის კუთხით დადებითი ტენდენცია იკვეთება. თუმცა, კვლავაც რჩება გარკვეული ხარვეზები, რომელთა განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორად საქმეთა სიმრავლის დასახელება შეიძლება.

საკასაციო სასამართლოს მიერ არსებითი განხილვის შედეგად ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების გაუქმება განპირობებულია, ზოგ შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მხრიდან მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება-განმარტებით, ზოგჯერ კი, საპროცესო-სამართლებრივი ნორმების დარღვევით. საპროცესო დარღვევებს შორის იკვეთება შემთხვევები, როდესაც ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ არ მოხდა სარჩელის დაზუსტებასა და ტრანსფორმირებაში მოსარჩელისათვის დახმარება, საქმეში სავალდებულო მესამე პირების ჩაბმა, სარჩელის აღძვრის მიზნისა და შინაარსის გააზრება. დაფიქსირდა ასევე იმგვარი საპროცესო დარღვევები, როგორცაა მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევა და შეფასება, მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილება, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენებით საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების მოუძიებლობა, სასკ-ის 32.4 მუხლის სათანადო წინაპირობების არსებობის გარეშე გამოყენება, უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის გაუთვალისწინებლობა. გარკვეულ შემთხვევებში, სასამართლოების მხრიდან არასწორად ხდება საკითხის გადასაწყვეტად საჭირო ნორმატიული მოწესრიგების მოძიება, ნორმათა განმარტება, თუმცა შეიმჩნევა კანონშესაბამისი და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების დადებითი განვითარების ტენდენცია.

<sup>296</sup> საქმე №ბს-776-768(2კ-4კს-15).

<sup>297</sup> საქმე №ბს-1158-1152(3კ-17).

### III. სისხლის სამართლის საქმეთა პალატა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატაში შემოსულ საქმეთა რაოდენობა 2017-2018 წლებში თითქმის თანაბარია, ასევე თითქმის თანაბარია საქმეთა განხილვის მაჩვენებელიც. კერძოდ: 2017 წელს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განსახილველად შემოვიდა 870 საქმე (დამატებით დაუმთავრებელ საქმეთა ნაშთი – 395). აქედან, 717 სისხლის სამართლის საქმე, 122 ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლო წარმოება, 31 სხვა კატეგორიის საქმე. დამთავრებულ საქმეთა რაოდენობა 2017 წლის მონაცემებით არის 913. აქედან, 712 სისხლის სამართლის საქმე, 170 ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლო წარმოება, სხვა კატეგორიის საქმეები 31. 712 სისხლის სამართლის საქმიდან 624-ზე საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დაუშვებლად (87,6%), 26 საქმე დატოვებულია უცვლელად (3,7%), განაჩენი შეიცვალა 54 საქმეზე (7,7%), 3 დარჩა განუხილველი (0.4%), შეწყდა 1 (0.1%), 3-ზე გაუქმდა გამამტყუნებელი განაჩენი და გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი (0.4%), 1-ზე გაუქმდა გამამართლებელი განაჩენი და გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი (0.1%).

2018 წელს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განსახილველად შემოვიდა 987 საქმე (დამატებით დაუმთავრებელ საქმეთა ნაშთი – 349). აქედან, 836 სისხლის სამართლის საქმე, 113 ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლო წარმოება, 38 სხვა კატეგორიის საქმე. დამთავრებულ საქმეთა რაოდენობა 2018 წელს არის 904, აქედან, სისხლის სამართლის საქმე 737, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლო წარმოება 129, სხვა კატეგორიის საქმე – 38. 737 სისხლის სამართლის საქმიდან 654-ზე საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დაუშვებლად (88,7%), 11 დატოვებულია უცვლელად (1,5%), განაჩენი შეიცვალა 46 საქმეზე (6,2%), 10 დარჩა განუხილველი (1.4%), შეწყდა 2 (0.3%), 7-ზე გაუქმდა გამამტყუნებელი განაჩენი და გამოტანილ იქნა გამამართლებელი (0.9%), 7-ზე გაუქმდა გამამართლებელი და გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი (0.9%).

2017-2018 წლების საქმეთა ანალიზიც, რაც დეტალურად ქვემოთ იქნება მოცემული, ცხადყოფს, რომ ხარვეზები, რომლებიც დაშვებული აქვთ ქვედა ინსტანციის სასამართლოებს თითქმის ერთგვაროვანია.

#### მტკიცებულებათა არასაკმარისობა

2017 წელს, საკასაციო პალატის მიერ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებების შეცვლა ან გაუქმება ძირითად შემთხვევაში მტკიცებულებათა არასაკმარისობის მოტივითაა განპირობებული, რა დროსაც საკასაციო პალატამ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადგენილად არ მიიჩნია პირის მიერ ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, რის გამოც გააუქმა ან ბრალდებულების სასიკეთოდ შეცვალა გამამტყუნებელი განაჩენები. პალატამ ყურადღება გაამახვილა მონშეთა ჩვენებების არასარწმუნოებაზე იმ მოტივით, რომ ისინი ურთიერთგამომრიცხავი, არალოგიკური ან საქმის სხვა მტკიცებულებებთან არათავსებადი იყო. პალატამ ხაზი გაუსვა პირის მსჯავრდებისათვის ერთი მტკიცებულების არასაკმარისობასა და ეჭვის ბრალდებულის საარგებლოდ გადანყვეტის აუცილებლობას.<sup>298</sup>

2018 წელსაც სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებების შეცვლა ან გაუქმება ძირითადად მტკიცებულებათა არასაკმარისობის მოტივითაა განპირობებული. ამ შემთხვევაშიც, საკასაციო პალატამ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადგენილად არ მიიჩნია პირის მიერ ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, შესაბამისად, გააუქმა ან ბრალდებულების სასიკეთოდ შეცვალა გამამტყუნებელი განაჩენები. აღნიშნულ საქმეებში პალატამ იმსჯელა მტკიცებულებათა შეფასების ნესებზე, მიუთითა, რომ ნივთმტკიცებათა მოპოვება საეჭვო გარემოებებში სანდოობას უკარგავს ამ ნივთმტკიცებას და, შესაბამისად, მის საფუძველზე ჩატარებული ექსპერტიზებიც სამართლებრივად უვარგისია. პალატამ აღნიშნა, რომ სატელეფონო საუბრის არსებობა

<sup>298</sup> საქმე №570აპ.-16; №4აპ.-17; №33აპ.-17; №291აპ.-17; №480აპ.-16; №448აპ.-16; №527აპ.-16; №45აპ.-17; №462აპ.-16; №466აპ.-16; №560აპ.-16; №19აპ.-17; №62აპ.-17; №51აპ.-17.

ბის ფაქტი, მისი შინაარსის ცოდნის გარეშე, შეიძლება მხოლოდ გამამყარებელი იყოს ბრალდების სხვა მტკიცებულებებისა და არ შეიძლება დამოუკიდებლად ამტკიცებდეს პირებს შორის დანაშაულზე შეთანხმების ფაქტს. პალატამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადანყვეტის პრინციპს და მიუთითა, რომ პირის მსჯავრდება მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს უნდა ეფუძნებოდეს. პალატამ აღნიშნა, რომ პირის დამნაშავედ ცნობისთვის აუცილებელია უტყუარად დასტურდებოდეს როგორც ქმედების ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობა. პალატამ მიუთითა, რომ მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა არ აკმაყოფილებდა გამამტყუნებელი განაჩენისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს. პალატამ იმსჯელა ასევე, ურთიერთგამომრიცხავი ექსპერტიზებისა და მონმეთა ჩვენებების საქმის სხვა მტკიცებულებებთან შეუსაბამობის არსებობისას გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაუკმაყოფილებლობის შესახებ.<sup>299</sup> მტკიცებულებათა არასაკმარისობის მოტივით გადააკვალიფიცირა საკასაციო პალატამ მსჯავრდებულის ქმედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის მცდელობიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოდან უკანონო გატანის მცდელობაზე. ამასთან, მოცემულ საქმეში პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლი თავისთავად არ მოიცავს 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობასაც, ვინაიდან საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანა (მოცემულ შემთხვევაში გატანა) უცხო ქვეყნიდან წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დამოუკიდებელ დანაშაულს, რომელსაც წინ უსწრებდა მსჯავრდებულის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენა – ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა; ამიტომ თუ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანას (მოცემულ შემთხვევაში გატანას) საქართველოში წინ უსწრებდა ამ ნივთიერების შექმნა-შენახვა, სამართლებრივი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით – საქართველოს სსკ-ის 260-ე და 262-ე მუხლებით, თუმცა პალატამ ვერ დაამძიმა მსჯავრდებულის მდგომარეობა ბრალდების მხარის მოთხოვნის არარსებობის გამო.<sup>300</sup>

## მტკიცებულებათა არასათანადო შეფასება

ზოგიერთ საქმეზე სააკვლაციო სასამართლოთა გადანყვეტილებების პირთა საუარესოდ შეცვლა ან გაუქმება გამოიწვია პირის ბრალეულობის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებების არასათანადოდ შეფასებამ.<sup>301</sup> თალითობის დანაშაულის საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა: ის ფაქტი, რომ ბრალდებულზე სრულად დაუბრუნეს თანხა იპოთეკარს, მათ ქმედებაში არ გამორიცხავდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანს, რადგან დანაშაული დამთავრებული იყო იმ მომენტიდან, როდესაც მათ მოატყუეს ნოტარიუსი და სხვა პირის სახელით, მოტყუებით გააფორმეს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რის შედეგადაც ამ პირს იპოთეკარის სასარგებლოდ წარმოეშვა ვალდებულება. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ თალითობის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ როდის, ან საერთოდ დაუბრუნა თუ არა ბრალდებულმა ნასესხები თანხა იპოთეკარს, ვინაიდან ბრალდებულთა ქმედებებით ზიანი მიადგა არა იპოთეკარს, არამედ – მესამე პირს, რადგან მისი უძრავი ქონება დაიღვირთა იპოთეკით და მას წარმოეშვა ვალდებულება იპოთეკარის სასარგებლოდ.<sup>302</sup> ნარკოტიკული დანაშაულის საქმეზე საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მონმე პოლიციელების ჩვენებებზე და მიუთითა, რომ პოლიციელთა ჩვენებების სანდოობა და უტყუარობა უნდა შეფასდეს თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, იმის მიხედვით, თუ მთლიანობაში რამდენად კეთილსინდისიერად, დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად მიმდინარეობდა წინასასამართლო გამოძიება. პალატამ ასევე შეაფასა ბიოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზების დასკვნებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომ გამოსაკვლევ ობიექტზე ბრალდებულის გენეტიკური თანამონაწილეობა არ გამოვლინდა და ასევე, მასზე ხელის თითის კვლები საერთოდ არ აღმოჩნდა და აღნიშნა, რომ მხოლოდ მითითებული ექსპერტიზის დას-

<sup>299</sup> საქმე №393აპ.-17; №507აპ.-17; №549აპ.-17; №584აპ.-17; №19აპ.-18; №170აპ.-18; №5აპ.-18; №308აპ.-18; №119აპ.-18; №288აპ.-18; №531აპ.-17.

<sup>300</sup> საქმე №407აპ.-18.

<sup>301</sup> საქმე №634აპ.-16; №114აპ.-17.

<sup>302</sup> საქმე №112აპ.-17.

კვნები, მით უფრო იმ მოცემულობით, როდესაც დასკვნების გამცემმა ექსპერტებმა განმარტეს, თუ რა შემთხვევაში და რა ალბათობით იყო შესაძლებელი, რომ გამოსაკვლევ ობიექტზე დარჩენილიყო კვალი და რომელი გარემოებები გამოიწვია კვალის დარჩენის შესაძლებლობას, არ წარმოადგენდა უპირობოდ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს.<sup>303</sup>

2018 წელსაც, სააპელაციო სასამართლოთა გადაწყვეტილებების პირთა საუარესოდ შეცვლა ან გაუქმება გამოიწვია პირის ბრალეულობის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებების არასათანადოდ შეფასებამ.<sup>304</sup> ლ.კ-ს საქმეში საკასაციო სასამართლომ იმსჯელა მტკიცებულებათა შეფასების წესზე, მიუთითა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი დეტალური ანალიზი და მოწმეთა ჩვენებების სანდოობის შემოწმება მათი ერთმანეთთან და საქმეში არსებულ სხვა უტყუარ მტკიცებულებებთან შეჯერებით. საკასაციო პალატამ მიუთითა: ზოგჯერ სასამართლოები საკითხს იმის თაობაზე, რომ მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული კონკრეტული ინფორმაცია ან საქმეში არსებული რაიმე ფაქტობრივი მონაცემი წარმოადგენს პირდაპირ თუ ირიბ ჩვენებას, ან სხვა პირდაპირ, თუ არაპირდაპირ მტკიცებულებას, წყვეტენ ამ მტკიცებულების წარმოშობის წყაროს, მისი ფორმირების პირობების, მომხდარი შემთხვევის განვითარებისა და დანაშაულის ჩადენის ვითარების თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებლად. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არ არსებობს უნივერსალური კრიტერიუმების საფუძველზე ჩამოყალიბებული სტანდარტი, რომელთან მისადაგებითაც განვსაზღვრავთ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება, მათ შორის – მოწმის ჩვენება, პირდაპირია თუ ირიბი. ცალკეულ შემთხვევაში საამისოდ შესაძლოა, საჭირო გახდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეული და მრავალმხრივი ანალიზი, მცდარი და დაუსაბუთებელი სამართლებრივი დასკვნების გამოტანის თავიდან ასაცილებლად. მტკიცებულებათა ობიექტური და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატამ შეცვალა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ბრალდებულის საუარესოდ და პოლიციის განყოფილების უფროსი დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებაში, რაც გამოიხატა ადვოკატის ცემაში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას.<sup>305</sup>

## მატერიალური და საპროცესო ნორმების არასწორი განმარტება და გამოყენება

საკასაციო პალატამ მსჯავრდებულ პირთა ქმედება საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილიდან (იძულება) გადააკვალიფიცირა სსკ-ის 143-ე მუხლზე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა). პალატამ განმარტა, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთა მიეკუთვნება ფორმალურ დანაშაულთა კატეგორიას და იგი დამთავრებულია თავისუფლების უკანონო აღკვეთის მომენტიდან, რომლის ხანგრძლივობას ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამავე საქმეში საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულთა ქმედება არ იყო წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი და განმარტა: ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით დანაშაული მაშინ ჩაითვლება ჩადენილად, როდესაც ასეთი შეთანხმება დანაშაულში მონაწილე პირებს შორის მიღწეულია და არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში მითითებული ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც უშუალოდ დანაშაულის დაწყების შემდეგ, თუნდაც ერთ-ერთი ამსრულებელი დაიწყებს ქმედების შემადგენლობის განხორციელებას, მისი ჩადენის პროცესში დამნაშავეთა შორის შეთანხმება ერთობლივი მოქმედების თაობაზე არ შეიძლება ჩაითვალოს წინასწარ შეთანხმებად, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ ვერ იარსებებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ისეთი შემთხვევა, როგორცაა წინასწარ შეუთანხმებლად ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა, რომელშიც ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი.<sup>306</sup>

საკასაციო პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის საკასაციო საჩივარი და მსჯავ-

<sup>303</sup> საქმე №96აპ-17.

<sup>304</sup> საქმე №117აპ-18; №269აპ.-18.

<sup>305</sup> საქმე №231აპ.-18.

<sup>306</sup> საქმე №75აპ-17.

რდებულს დაუძიმა სასჯელი, ვინაიდან სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაშაული, რომლის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დადების გარდა, თუ ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ნახევარი. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულს ჩადენილი ჰქონდა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, რისთვისაც პირობით მსჯავრად მას ჩაეთვალა დანიშნული სასჯელის ნახევარზე მეტი, რაც არ შეესაბამებოდა სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნას.<sup>307</sup>

გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხა საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup> მუხლზე მითითება, როგორც ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლით, საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup> მუხლზე მითითებით. საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მსჯავრდებული და დაზარალებული არ იმყოფებოდნენ კანონით განსაზღვრული წესით რეგისტრირებულ ქორწინებაში, რის გამოც, აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, დაზარალებული ვერ ჩაითვლებოდა მსჯავრდებულის ოჯახის წევრად – მეუღლედ. გარდა ამისა, ისინი ასევე ვერ ჩაითვლებოდნენ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ ისეთ პირებად, რომლებიც მუდმივად ენეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, ვინაიდან მათი თანაცხოვრების პერიოდი შეადგენდა მხოლოდ 5-6 დღეს, რაც არ შეიძლება მიჩნეულიყო მუდმივი საოჯახო მეურნეობისათვის საჭირო აუცილებელ დროდ.<sup>308</sup>

საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯავრდებულთათვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სასჯელის სახით ჯარიმის შეფარდების ნაწილში და მიუთითა, რომ ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 26 თებერვლის განჩინებით არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი „მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით უკანონო შეძენა-შენახვის გამო, ხოლო ალტერნატიული სახის სანქცია მუხლით არ იყო გათვალისწინებული, მსჯავრდებულთა მიმართ გამოყენებული ვერ იქნებოდა სასჯელის სხვა რომელიმე სახე, რის გამოც მსჯავრდებულები ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის დაუნიშნავად.<sup>309</sup>

საკასაციო პალატამ შეცვალა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, რომლითაც დადგენილად იყო მიჩნეული, რომ პირმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა წინა განაჩენით დადგენილი გამოსაცდელი ვადის გასვლამდე. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი, რომლითაც აპელანტი ითხოვდა პირის მიმართ პირობითი მსჯავრის გაუქმებასა და სასჯელის დანიშვნას განაჩენთა ერთობლიობის წესით. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ბრალდების მხარეს მისი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის არსებით განხილვასა და შესაბამისად, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა შემდეგი მოტივით: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში. მოცემულ შემთხვევაში კი პირველი ინსტანციის სასამართლოში ბრალდების მხარეს სასჯელთან დაკავშირებით არანაირი პოზიცია არ დაუფიქსირებია. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხებოდა სისხლის სამართლის კოდექსის იმპე-

<sup>307</sup> საქმე №553აპ-16.

<sup>308</sup> საქმე №487აპ-16.

<sup>309</sup> საქმე №483აპ-16.

რატიული მოთხოვნის დარღვევას პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ. სასამართლოს ვალდებულება, გააუქმოს პირობითი მსჯავრი, არ არის დამოკიდებული პროკურორის პოზიციაზე და იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა გამოსაცდელ ვადაში, სასამართლოს მიერ პირობითი მსჯავრის არგაუქმებით არსებითად ირღვევა მატერიალური კანონი, რისი გასაჩივრების უფლებაც ბრალდების მხარეს ვერ შეეზღუდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს არსებითად უნდა ემსჯელა ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარში სასამართლოს მიერ დაშვებული უკანონობის თაობაზე და განეხილა მხარის მოთხოვნა მის მიმართ პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და განაჩენთა ერთობლიობის წესით სასჯელის დანიშვნის შესახებ. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილია, რომ პირობით მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელ ვადაში ახალი განზრახი დანაშაულის ჩადენის ნებისმიერ შემთხვევაში, პირობითი მსჯავრი გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს და ახალი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს განაჩენთა ერთობლიობის წესი, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პირობების დაცვით.<sup>310</sup>

საკასაციო პალატამ შეცვალა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გ.ჩ-ს საქმეზეც, ვინაიდან სააპელაციო პალატამ ამოურიცხა პირს ბრალად შერაცხული მაკვალიფიცირებელი გარემოება მხოლოდ იმ მოტივით, რომ ბრალის დადგენილებაში არ იყო გადატანილი მუხლის დისპოზიცია, რასთან დაკავშირებითაც საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სსკ-ის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებში, რომლებიც განსაზღვრავენ პირის ბრალდების შესახებ დადგენილების სავალდებულო რეკვიზიტებს, არ არის მითითებული ბრალდების ამ დოკუმენტში სამართლებრივი შეფასების სახით შესაბამის სისხლისსამართლებრივ ნორმაში მოცემული დისპოზიციის შინაარსის გადმოცემის ვალდებულებაზე და ამ უკანასკნელზე, როგორც სავალდებულო რეკვიზიტზე. ამ საპროცესო ნორმის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ ხსენებულ დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, საშუალება და იარაღი, აგრეთვე, ამ ქმედებით გამოწვეული შედეგი. რაც შეეხება იმავე საპროცესო ნორმის „დ“ ქვეპუნქტს, მასში ნათქვამია, რომ პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია ჩადენილი დანაშაული. ამ მიმართებით რაიმე სხვა მოთხოვნას სსკ-ის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილი ბრალდების მხარეს არ უყენებს. პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, უმრავლეს შემთხვევაში, როგორც პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებში, ასევე მათ შესაბამისად გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებში, გარდა ზემოაღნიშნული რეკვიზიტებისა, მითითებულია ასევე შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციაზეც, მაგრამ ასეთი მითითება მხოლოდ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკითაა დამკვიდრებული, თუმცა ის არც ამჟამად წარმოადგენს და არც წინათ წარმოადგენდა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო მოთხოვნას. რა თქმა უნდა, როდესაც ფაქტობრივი გარემოებების აღწერასა და ქმედების კვალიფიკაციასთან ერთად საბრალდებო დოკუმენტსა თუ გამამტყუნებელ განაჩენში შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციის შინაარსიცაა წარმოდგენილი, ეს უფრო მეტ სისრულესა და სრულყოფილებას ანიჭებს პირის მიმართ წარდგენილ ან შერაცხულ ბრალს, მაგრამ მისი არარსებობა არ შეიძლება გახდეს ბრალისა და დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი, ამიტომ მსჯავრდებულის ქმედების გადაკვალიფიცირება მხოლოდ იმ მოტივით, რომ მუხლის დისპოზიცია სრულად არ იყო გადატანილი ბრალის დადგენილებაში, არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან.<sup>311</sup>

სააპელაციო სასამართლოების განაჩენების შეცვლა 2018 წელსაც რიგ შემთხვევებში მატერიალური ნორმების არასწორად განმარტებითა და გამოყენებითაა განპირობებული, კერძოდ:

რ.გ-ს ბრალი დაედო ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატურ ცემაში, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 126-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილით და ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატურ შეურაცხყოფასა და დამ-

<sup>310</sup> საქმე №349აპ-17.

<sup>311</sup> საქმე №456აპ-16.

ცირებაში, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილი მოიცავს სისტემატურ ძალადობასაც და ამ ნაწილში დამატებით საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 126-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილით კვალიფიკაცია არ არის საჭირო. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციების აღნიშნული განმარტება და მიუთითა, რომ სისხლის სამართლის კანონი არ უნდა იქნეს იმგვარად განმარტებული, რომ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ძალადობა მოიცავს როგორც ერთჯერადად განხორციელებულ ძალადობას, ისე – სისტემატურ ძალადობასაც. ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილი იყო, რომ მსჯავრდებული 2017 წლის მარტიდან – 2017 წლის 8 სექტემბრამდე პერიოდში სისტემატურად სცემდა დედას (საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა), მისი ქმედება ამ ნაწილში უნდა დაკვალიფიცირებულიყო საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 126-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილით. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის განაჩენში შევიდა ცვლილება და რ. გ.-ის ქმედება სისტემატური ცემის ნაწილში დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 126-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილით.<sup>312</sup>

საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დამატებითი სასჯელის სახით საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე ჩამორთმეული ავტომანქანისა და მისი ძარის კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების შესახებ და განმარტა, რომ ჩამორთმეული ავტომობილი წარმოადგენდა არა მსჯავრდებულის, არამედ – სხვა პირის საკუთრებას, რომელიც მის კანონიერ მფლობელობაში იყო დანაშაულებრივი შემთხვევის დღეს. გარდა ამისა, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მესამე პირმა არ იცოდა, რომ მისი ავტომანქანა გამოიყენებოდა დანაშაულებრივი საქმიანობისათვის, რის შესაბამისადაც არ არსებობდა საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რაც შეიძლება, გამხდარიყო ავტომობილის ჩამორთმევის საფუძველი.<sup>313</sup>

საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მსჯავრდებულისათვის სასჯელის დამძიმების შესახებ, ვინაიდან დანაშაულის ჩადენის დროს იგი ნაწარმოებელი იყო განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, რის გამოც გამოკვეთილი იყო დანაშაულის რეციდივი. საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას, მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას, რის საფუძველზეც მსჯავრდებულს დაუმძიმდა სასჯელი.<sup>314</sup>

საკასაციო პალატამ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება მათ შორის ქალს, რომელსაც ჰყავს 7 წლამდე ასაკის შვილი. ვინაიდან დადგინდა, რომ მსჯავრდებულს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ჰყავდა 7 წლამდე ასაკის შვილი, მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გამოყენებული ვერ იქნებოდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და მას მითითებული სასჯელი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – ჯარიმით.<sup>315</sup>

საკასაციო პალატამ შეცვალა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გ.ნ-ის საქმეზე იმ მოტივით, რომ დარღვეული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლების დანაწესი, რომელთა თანახმადაც, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს; სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს, ვინაიდან 2013 წლის 31 დეკემბრიდან გამკაცრდა საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სანქცია (კერძოდ: აღნიშნული ქმედებისათვის სასჯე-

<sup>312</sup> საქმე №355აპ-18.  
<sup>313</sup> საქმე №167აპ-18.  
<sup>314</sup> საქმე №354აპ-18.  
<sup>315</sup> საქმე №50აპ-18.

ლის სახით განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა შვიდიდან ცხრა წლამდე ვადით, მაშინ, როდესაც მსჯავრდებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას მოქმედი რედაქცია სასჯელის სახით ითვალისწინებდა ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას), საკასაციო პალატამ მსჯავრდებულის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლით (2013 წლის 31 დეკემბრიდან მოქმედი რედაქცია), გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლზე (2013 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელი განუსაზღვრა დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სანქციის ფარგლებში.

საკასაციო პალატამ შეცვალა სააპელაციო პალატის განაჩენი მსჯავრდებულის სასიკეთოდ და ამოურიცხა მას მაკვალიფიცირებელ გარემოებად შერაცხული ნასამართლობა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 ნოემბრის განკარგულების საფუძველზე შ. ბ. სრულად გათავისუფლდა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელისგან. საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.<sup>316</sup>

საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს პირის ქმედების საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ქურდობა, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლავი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის) დაკვალიფიცირების ნაწილში, იმ მოტივით, რომ მხოლოდ ორი განაჩენის ფაქტობრივად არსებობა, იმ პირობებში, როდესაც ორივე განაჩენით დადგენილი დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია პირველი განაჩენის გამოტანამდე, ვერ გახდება პირის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდების საფუძველი და ასეთ შემთხვევაში გამოკვეთილია არაერთგზის ჩადენილი ქურდობა, რის გამოც მსჯავრდებულის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე.

საკასაციო პალატამ შეცვალა სააპელაციო სასამართლოს განაჩენები, რომლებითაც არ იყო გაუქმებული მსჯავრდებულთათვის წინა განაჩენებით შეფარებული პირობითი მსჯავრი, მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო პალატას არაერთხელ ჰქონდა განმარტებული, რომ საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პირობით მსჯავრდებულის მიერ გამოცდელ ვადაში ახალი განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პირობითი მსჯავრი გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს და ახალი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს განაჩენთა ერთობლიობის წესი, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პირობების დაცვით.<sup>317</sup>

არაერთი განაჩენი გაუქმდა და შეიცვალა სააპელაციო სასამართლოთა მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების არასწორი გამოყენების გამო, კერძოდ:

საკასაციო პალატამ გააუქმა გამამართლებელი განაჩენი და პირი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2016 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოტივაცია მონმეთა დეპონირებულ ჩვენებებთან დაკავშირებით, რომ ისინი საფუძვლად ვერ დაედებოდა გამამტყუნებელ განაჩენს და მიუთითა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების მხარის მონმეები საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მონმის სახით არ დაკითხულან, ეს იმთავითვე არ წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას და განმარტა: მიუხედავად ამ გარემოებისა, იმის გათვალისწინებით, რომ მონმეები წინასწარ გამოძიებაში დაცვის მხარის უშუალო მონაწილეობით დაიკითხნენ მაგისტრატ მოსამართლესთან, რადგან უცხო ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ და დიდი ხნით ტოვებდნენ საქართველოს, დაცვის მხარეს არ შეზღუდვია დაცვის უფლება, ვინაიდან მას წინასწარ გამოძიებაში ჰქონდა მონმეებისათვის კითხვების დასმის შესაძლებლობა, რითაც ისარგებლა კიდევამასთან, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ პირის ბრალდება უნდა ემყარებოდეს არა მხოლოდ აღნიშნული მონმეების დეპონირებულ ჩვენებებს, არამედ ასევე საქმეში არსებულ სხვა მტკი-

<sup>316</sup> საქმე №395აპ-17.

<sup>317</sup> საქმე №421აპ-17; №682აპ-17; №419აპ-17.



ცებულებებს, რაც სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილ მოთხოვნებს.<sup>318</sup>

საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მსჯავრდებულისათვის შეფარდებული გირაოს თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის შესახებ, ვინაიდან დადგინდა, რომ მან დაარღვია აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ განჩინებით დაკისრებული ვალდებულება, კერძოდ: არ ჩააბარა მისი პიროვნების მაიდენტიფიცირებელი ყველა დოკუმენტი და გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, რითაც დაარღვია გირაოს გამოყენების პირობა, რაც, თავის მხრივ, საქართველოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, წარმოადგენდა გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის საფუძველს.<sup>319</sup>

საკასაციო პალატამ გააუქმა სააპელაციო პალატის განჩინება საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ და დაამტკიცა პროკურორსა და მსჯავრდებულებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. **საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების მხარე სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სააპელაციო პალატას მიმართავს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ შუამდგომლობით და მოითხოვს მსჯავრდებულის დამნაშავედ ცნობას ბრალდების იმ ნაწილშიც, რომელშიც იგი პირველი ინსტანციის სასამართლომ გაამართლა და უდანაშაულოდ ცნო, სააპელაციო პალატა ვალდებულია, შეაფასოს და იმსჯელოს მსჯავრდებულის გამართლების ნაწილში არსებულ მტკიცებულებებზე, რის შემდეგაც, საქართველოს სსსკ-ის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, უფლებამოსილია, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში. საკასაციო პალატამ ამავე განაჩენში ასევე განმარტა საქართველოს სსკ-ის 214-ე და მე-200 მუხლების დისპოზიცია, კვალიფიკაციის საკითხი და მიუთითა: საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის შემადგენლობისათვის გადამწყვეტია დიდი ოდენობის ან განსაკუთრებით დიდი ოდენობის ღირებულების მქონე მოძრავი ნივთის საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გადატანის ან გადმოტანის ფაქტი, ხოლო საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლით პასუხისმგებლობა დაწესებულია საქართველოს ტერიტორიაზე აქციზური მარკებით ნიშანდების გარეშე გამოშვების, შენახვის, რეალიზაციისა ან გადაზიდვისათვის, საქონლის შიდა – საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნვიდან გამომდინარე. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის დისპოზიციის თანახმად, იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს მითითებული მუხლით, აუცილებელი არაა, რომ პირმა საქართველოში მარკირებას დაქვემდებარებული ნივთი საქართველოს საბაჟო საზღვარზე აუცილებლად მარკირებული სახით გადაიტანოს, ან გადმოიტანოს, არამედ აღნიშნული ქმედება უნდა განხორციელდეს საქონლის გადაადგილებასთან და არა – მარკირებასთან დაკავშირებული წესის დარღვევით. ამდენად, ამ მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის არარელევანტურია, საბაჟო წესების დარღვევით გადატანილი მოძრავი ნივთი ექვემდებარებოდა თუ არა მარკირებას.<sup>320</sup>**

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-4 ნაწილის საფუძველზე შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა ზ. კ-ს მიმართ: საკასაციო პალატამ შეცვალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მსჯავრდებულის საზიანოდ იყო განმარტებული კანონის გამოყენების წესი.<sup>321</sup>

<sup>318</sup> საქმე №334აპ-18.

<sup>319</sup> საქმე №372აპ-18.

<sup>320</sup> საქმე №30'-18.

<sup>321</sup> საქმე №588აპ-17.

## ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა და მათი არასწორი სამართლებრივი შეფასება

რამდენიმე საქმეზე პალატამ შეცვალა სააპელაციო სასამართლოს განაჩენები ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენისა და მათი არასწორი სამართლებრივი შეფასების გამო.<sup>322</sup> ყაჩაღობის საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ქმედების ყაჩაღობად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია ასევე დადგინდეს, თუ დაზარალებულმა როგორ აღიქვა და შეაფასა მის მიმართ გამოთქმული მუქარის შინაარსი. პალატამ მიუთითა, რომ იარაღთან მიმსგავსებული საგნით ობიექტურად შესაძლოა, პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქროს, მაგრამ თუ დაზარალებულმა იარაღი ნამდვილად აღიქვა, მას შესაძლოა, დაეუფლოს შიში და გახდეს იძულებული, ნების სანინააღმდეგოდ, დათმოს ქონება<sup>323</sup>. მ. ც-ს საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, თუმცა არ გაიზიარა გასაჩივრებული განაჩენის სამართლებრივი შეფასება მ. ც-ს მიერ ჩადენილი ქმედებისა და მიუთითა, რომ გამოკვეთილი არ იყო ქრთამის აღების შემადგენლობის ყველა ელემენტი, კერძოდ: გასაჩივრებული განაჩენით მ. ც-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით იმაში, რომ მან (მოხელემ) პირდაპირ მოითხოვა და მიიღო ფული, რათა თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით ნ-ს სასარგებლოდ განხორციელებინა ქმედება (დაესაქმებინა). საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ იმისათვის, რათა პირს შეერაცხოს ბრალად წარდგენილი ქმედება, უნდა დადგინდეს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი. მოცემულ შემთხვევაში უტყუარად დადგინდა, რომ მ. ც-მ მოსთხოვა და მიიღო ფული ნ-სგან მისთვის სასარგებლო ქმედების განხორციელების პირობით. პალატამ განმარტა, რომ ქრთამის აღების საფუძველზე შესრულებული მოქმედება შეიძლება არ შედიოდეს მოხელის სამსახურებრივ უფლებამოსილებაში, მაგრამ მის თანამდებობრივ ავტორიტეტს შეეძლო ხელი შეუწყოს ქრთამის მიმცემის სასარგებლო მოქმედების შესრულებას/შეუსრულებლობას. ამასთან, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია იმის დადგენა, რომ მოხელე სწორედ თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით აპირებს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას. აღნიშნულის დასადაგენად საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა ნ-ს ჩვენებასა და ფარულ ვიდეოჩანანერებზე, საიდანაც ირკვევა, რომ მ. ც. ნ-ს დასაქმებას სამსახურებრივი ავტორიტეტის გამოყენებით კი არ ჰპირდებოდა, არამედ ამ საკითხის მოგვარებას პირადი, ახლობლური ურთიერთობების გამოყენებით აპირებდა, რითაც გამოირიცხა მ. ც-ს მიერ თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით უკანონო ქმედების განხორციელების შეპირება და, შესაბამისად, მისი ქმედების ქრთამის აღებად შეფასების სამართლებრივი შესაძლებლობა. გამოკვეთილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ მ. ც. ჰპირდებოდა ნ-ს, რომ ახლობლური ურთიერთობებით გავლენა მოეხდინა სხვა პირზე, რომელსაც ხელენიფებოდა ნ-სთვის თანხის სანაცვლოდ შეპირებული ქმედების განხორციელება, რაც საქართველოს სსკ-ის 339<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით (ზეგავლენით ვაჭრობა) გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას შეიცავს, რომლის თანახმადაც, დასჯადია პირისთვის ფულის მოთხოვნა და მიღება იმის სანაცვლოდ, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ამ პირის სასარგებლოდ.<sup>324</sup>

2018 წელს განხილულ საქმეებზეც სააპელაციო სასამართლოების განაჩენის გაუქმება ზოგიერთ შემთხვევაში გამოიწვია საქმის ფაქტობრივი გარემოებების არასწორმა სამართლებრივმა შეფასებამ, კერძოდ:

საკასაციო პალატამ მ. შ.-ის ქმედება ყაჩაღობიდან გადაკვალიფიცირა იძულებაზე იმ მოტივით, რომ მტკიცებულებებიდან არ იკვეთებოდა, რომ მსჯავრდებულს და მის თანამზრახველებს ჰქონდათ დაზარალებულის ავტომანქანის მისაკუთრების მიზანი, რაც ყაჩაღობის, როგორც სისხლის-სამართლებრივი უმართლობის, დამფუძნებელ და აუცილებელ სუბიექტურ ნიშანს წარმოადგენს.<sup>325</sup>

<sup>322</sup> საქმე №674აპ-16; №449აპ-16; №13აპ-17.

<sup>323</sup> საქმე №191აპ-17.

<sup>324</sup> საქმე №497აპ-16.

<sup>325</sup> საქმე №99აპ-18.

საკასაციო პალატამ გააუქმა გამამართლებელი განაჩენი და დამნაშავედ ცნო პირი საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის. საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ მ.დ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის ერთი ქმედებისათვის ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის აბსოლუტური უფლების დარღვევა იქნებოდა, იმ მოტივით, რომ მ.დ. გასამართლებული იყო იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომლის საზღვარიც ასევე უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის შემდეგ, რადგანაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის თანახმად, „დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე იქნა საბოლოოდ გასამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონისა და სისხლის სამართლის პროცედურის შესაბამისად“. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, „არავის მეორედ გასამართლება ან დასჯა არ შეიძლება დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი უკვე საბოლოოდ იყო მსჯავრდებული ან გამართლებული თითოეული ქვეყნის კანონისა და სისხლის სამართლის პროცესუალური სამართლის შესაბამისად“. ამდენად, სხვა ქვეყნის მიერ მ.დ-ს მსჯავრდება იმ ქვეყნის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისათვის არ ზღუდავს საქართველოს სახელმწიფოს, პასუხისმგებში მისცეს იგი საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისათვის.<sup>326</sup>

სააპელაციო სასამართლოების განაჩენების შეცვლა რიგ შემთხვევებში ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასებითაა განპირობებული:

ლ. კ-ს საქმეში საკასაციო პალატამ მსჯავრდებულის ქმედება განზრახ მკვლელობის მცდელობიდან გადააკვალიფიცირა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაზე და განმარტა, რომ განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების გამიჯვნის დროს, ქმედების კვალიფიკაციისას შეცდომის გამოსარიცხად, სასამართლოებმა ზედმინევნიტ დეტალურად უნდა შეისწავლონ და გააანალიზონ საქმეში არსებული ყველა გარემოება, რადგან გამოსაკვეთია დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის ელემენტი, რომლის (ანუ განზრახვის) მიმართულებაც განასხვავებს განზრახ მკვლელობის მცდელობას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისგან. განზრახვის დასადგენად კი შესწავლილ უნდა იქნეს: დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი და მათი ლოკალიზაცია, როგორ ვითარებაში იქნა ისინი მიყენებული, დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება საერთოდ და დაზიანების მიყენების მომენტში და სხვ. დანაშაულებრივი ქმედების სწორად დაკვალიფიცირებისათვის სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ასევე დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტის მიზეზები და დამნაშავის ქცევა მოქმედების ჩადენის შემდეგ. სწორედ ყველა ამ გარემოების შეფასების შედეგად უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ – ჩადენილი უმართლობა გამონვეული იყო თუ არა პირის მოკვლის სურვილით.<sup>327</sup>

რ. შ-ს მსჯავრდების საქმეში საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ გვამების აღმოუჩენლობა და, შესაბამისად, მათზე სამედიცინო ექსპერტიზების ჩატარებლობა, ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის მიზნით, გამორიცხავს ქმედების დამთავრებულ მკვლელობად დაკვალიფიცირების შესაძლებლობას. პალატის მოსაზრებით, გვამის აღმოუჩენლობა ერთმნიშვნელოვნად არ გამორიცხავს ქმედების განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირების შესაძლებლობას. როდესაც მტკიცებულებებით უტყუარად დგინდება გარემოებები, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით მიუთითებენ პირის გარდაცვალებაზე, როგორც განხორციელებული ქმედების ერთადერთ ლოგიკურ შედეგზე, ქმედების დანაშაულის მცდელობად დაკვალიფიცირება სამართლებრივად არასწორია და დამნაშავის მიერ გვამის გაქრობის შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობისგან თავის არიდების/პასუხისმგებლობის შემსუბუქების მცდარი პრაქტიკის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. **საკასაციო პალატამ განმარტა, რომ** სიცოცხლის ხელყოფის ისეთ ატიპურ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილის გვამი ნაპოვნი არ არის რაიმე განსაკუთრებული ობიექტური გარემოებების გავლენის შედეგად ან იმ ქმედების თავისებურებათა გამო, რამაც

<sup>326</sup> საქმე №699აპ-17.

<sup>327</sup> საქმე №680აპ-17.

სიკვდილი გამოიწვია, მიუხედავად იმისა, ეს ქმედება ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, სასამართლოს შეუძლია, სიკვდილის გამოწვევის ფაქტი დადგენილად ცნოს შესაბამისი სასამართლო ექსპერტიზების დასკვნების გარეშეც. ასეთი რამ დასაშვებია იმ პირობებში, როდესაც არსებობს სხვა სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც უდავოდ ადასტურებენ დამნაშავეს მიერ ჩადენილი ქმედების შედეგად მსხვერპლის სიცოცხლის გარდაუვალ მოსპობას განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ხდება ისეთ ვითარებასა და გარემოებებში, რომელთა გათვალისწინებით, ადამიანის ცოცხლად გადარჩენის შესაძლებლობა არ არსებობს ნებისმიერი ობიექტური და მიუკერძოებელი დამკვირვებლისათვის. ცხადია, რომ აქ იგულისხმება ისეთი გამოწვევის შემთხვევები, რომლებსაც ქმნის დანაშაულებრივი ქმედებისა და მისი ჩადენისას არსებული გარემოებებისა თუ ვითარების განსაკუთრებული და ტიპური შემთხვევებისაგან რადიკალურად განმასხვავებელი ხასიათი და თავისებურებები.<sup>328</sup>

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან თანხის დაუფლება საცავში უკანონო შეღწევის მცდელობად არ უნდა იქნეს მიჩნეული და აღნიშნა: იმისათვის, რათა პირი სწრაფი ჩარიცხვის აპარატში არსებულ ქონებას ფარულად დაეუფლოს, უნდა გააჩნდეს აპარატის გასაღები, ან უნდა გამოიყენოს სპეციალური იარაღი, მაგ. ძალაყინი, ე.წ. „ლომი“. სხვა შემთხვევაში პირისათვის აპარატიდან მატერიალური ფასეულობის დაუფლება შეუძლებელია. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სწრაფი ჩარიცხვის აპარატი მოძრავი ნივთია, მისი ტექნიკური მდგომარეობა პირს არ აძლევს საშუალებას, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაეუფლოს მასში არსებულ მატერიალურ ფასეულობას. თავის მხრივ, რაც უფრო მეტ დაბრკოლებას გადალახავს პირი, მით უფრო საშიშ ხასიათს იძენს მისი ქმედება. მაგალითად, ჩანთიდან ძვირფასი სამკაულის ფარულად ამოღების დროს პირი უგულვებლყოფს დადგენილ ნორმას და ლახავს დაზარალებულის საკუთრების უფლებას, ხოლო ე.წ. „ლომით“ ან სხვა მსგავსი იარაღის გამოყენებით აპარატიდან ნივთის დაუფლებით პირი არა მარტო ლახავს საკუთრების უფლებას, არამედ გამოხატავს მზადყოფნას, გადალახოს ის დაბრკოლებაც, რომელიც ნივთის დაუფლებისათვის არის აუცილებელი. აქედან გამომდინარე, გაუმართლებელია სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან თანხის დაუფლების (ან დაუფლების მცდელობის) შემთხვევის ქურდობის ტიპურ (მაგ., ჩანთიდან ნივთის ამოღება) შემთხვევასთან გაიგივება და, შესაბამისად, ორივე ქმედების ჩამდენი პირის – ერთი და იმავე ნაწილით დასჯა. ამდენად, მატერიალური ფასეულობა გარეშე პირთაგან შესაძლოა, დაცული იყოს როგორც სწრაფი ჩარიცხვის აპარატი – ისე უძრავი ნივთით (მაგ., ჯიხური). ორივე მათგანისათვის საერთო გარემოებას წარმოადგენს ის, რომ პირს შესაძლებლობა არ აქვს დამატებითი „ძალისხმევის“ გარეშე, იმავე პირობებში დაეუფლოს ნივთს, როგორც ამას, მაგალითად, ჯიბიდან ნივთის ფარულად დაუფლების შემთხვევაში გააკეთებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სწრაფი ჩარიცხვის აპარატი წარმოადგენს საცავს და აპარატიდან თანხის დაუფლების მცდელობა განხილულ უნდა იქნეს როგორც ქურდობის მცდელობა საცავში უკანონოდ შეღწევით.<sup>329</sup>

## საკანონმდებლო ცვლილებები

რამდენიმე საქმეზე განაჩენის ცვლილება განაპირობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 24 ოქტომბრისა და 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებებმა, რომელთა თანახმადაც, „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისათვის შექმენა-შენახვის გამო (260-ე მუხლის 1-ლი ნაწ.) სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა და ასევე, „მარიხუანის“ მოხმარებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.<sup>330</sup>

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გამოიწვია სააპელაციო პალატის განაჩენების ცვლილება ს.კ-სა და ვ.შ-ს საქმეებში, რა დროსაც მსჯავრდებულთა ქმედება შესაბამისო-

<sup>328</sup> საქმე №138აპ-18.

<sup>329</sup> საქმე №186აპ-18.

<sup>330</sup> საქმე №675აპ-17; №365აპ-17.

ბაში მოვიდა მოქმედ კანონმდებლობასთან.<sup>331</sup>

გარკვეულ შემთხვევებში გადანყვეტილებათა შეცვლა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვისა და მოხმარების შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებებისა და ამ გადანყვეტილებების საფუძველზე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით არის განპირობებული.<sup>332</sup>

## ცვლილებები სასჯელის ნაწილში

სხვადასხვა მოტივით შემსუბუქდა სასჯელები რამდენიმე საქმეზე, კერძოდ, პალატამ შემსუბუქების კუთხით გაითვალისწინა დანაშაულის სიმძიმე (ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული), დამნაშავის წარსული ცხოვრება (ნასამართლობის არმქონე), მძიმე მატერიალური მდგომარეობა, დანაშაულის აღიარება და გულწრფელი მონანიება, გამოძიებასთან თანამშრომლობა, ზიანის არ არსებობა, ქმედების არაძალადობრივი ხასიათი, დანაშაულში მონაწილეობის როლი.<sup>333</sup> რიგ შემთხვევებში კი სხვადასხვა მოტივით დამძიმდა სასჯელები. მაგალითად, რ.ა-ს საქმეზე სასჯელის დამძიმების მოტივაციას წარმოადგენდა მსჯავრდებულის მიერ ერთი და იმავე კატეგორიის – საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის 14 ეპიზოდის ჩადენა და ამ ქმედებებით შპს „მ-ის“ საბაზო სადგურისა და შპს „ჯ-ის“ სალოკაციო სადგურის ქსელიდან გამორთვა, რამაც არსებითად დააზიანა დაზარალებულთა ინტერესები, ზიანი კი არ იყო ანაზღაურებული,<sup>334</sup> ხოლო გ. თ-სთვის სასჯელის დამძიმება განაპირობა მიყენებული ზიანის არსებობამ და დაზარალებულის მიმართ გულგრილმა დამოკიდებულებამ.<sup>335</sup>

რამდენიმე საქმეზე საკასაციო პალატამ მსჯავრდებულებს შეუმსუბუქა სასჯელები სხვადასხვა მოტივებით, მათ შორის – ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის, ნასამართლობის არქონის, დანაშაულის აღიარებისა და მონანიების, ასაკის, მძიმე სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შერაცხადობის, დანაშაულის კატეგორიის, მისი არაძალადობრივი ხასიათის, დამდგარი ზიანის, დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურების, გამოძიებასთან თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების არარსებობის გათვალისწინებით.<sup>336</sup>

საკასაციო პალატის განაჩენით სასჯელი შეუმსუბუქდა მსჯავრდებულ გ.ლ-საც იმ მოტივით, რომ შემთხვევისას იყო 19 წლის, სტუდენტი, შემთხვევამდე არ ჰქონია კანონთან კონფლიქტი და არ გააჩნდა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები. საკასაციო პალატამ ამავე საქმეში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს არასწორ შეფასებაზე მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის დამძიმების კუთხით, კერძოდ: სააპელაციო პალატამ მსჯავრდებულს განუსაზღვრა მაქსიმუმთან მიახლოებული სასჯელი, ფაქტობრივად იმის გათვალისწინებით, რომ იგი არ აღიარებდა და არ ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული შეფასება სამართლებრივად მიზანშეუწონელია, ვინაიდან პირისათვის წარდგენილი ბრალდების არაღიარების პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევა ირიბად ეწინააღმდეგება ბრალდებულის კონსტიტუციურ უფლებას, არ მისცეს საკუთარი თავის სანაღმდეგო ჩვენება.<sup>337</sup>

საკასაციო პალატის გადანყვეტილებით რამდენიმე საქმეზე დამძიმდა მსჯავრდებულთათვის განსაზღვრული სასჯელი, ძირითადად, ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასია-

<sup>331</sup> საქმე №251აპ-17; №188აპ-17; №275აპ-17.

<sup>332</sup> საქმე №6აპ.-18; №405აპ.-17; №429აპ.-17; №533აპ-17.

<sup>333</sup> საქმე №694აპ-16; №157აპ-17; №58აპ-17; №742აპ-16; №3აპ-17; №121აპ-17; №69აპ-17; №602აპ-16; №622აპ-16; №572აპ-16; №324აპ-17; №282აპ.-17.

<sup>334</sup> საქმე №525აპ-16.

<sup>335</sup> საქმე №332აპ-17.

<sup>336</sup> საქმე №157აპ-18; №273აპ-18; №59აპ-18; №397აპ-18; №314აპ-18; №310აპ-18; №71აპ-18; №162აპ-18, №50აპ-18; №116აპ-18; №58აპ-18.

<sup>337</sup> საქმე №331აპ.-18.

თის, მიყენებული ზიანისა და დაზარალებულთა მიმართ გამოჩენილი გულგრილი დამოკიდებულების გათვალისწინებით.<sup>338</sup>

## ოჯახში ძალადობის საქმეები

აღსანიშნავია ოჯახში ჩადენილი დანაშაულების საქმეებზე საკასაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. საკასაციო პალატამ გააუქმა სააპელაციო სასამართლოების გამამართლებელი განაჩენები და ხაზი გაუსვა ამ კატეგორიის დანაშაულთა სპეციფიკურ ხასიათსა და მტკიცებულებათა შეფასების წესს, კერძოდ:

სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახური დანაშაული, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მოწმეთა სიმრავლით არ გამოირჩევა. დანაშაულის მსხვერპლი შესაძლოა, მისი ოჯახის წევრისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ცდილობდეს, რის გამოც მისი ჩვენების უტყუარობა საქმეში არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოებისა და მტკიცებულების დეტალური ანალიზით უნდა შეფასდეს. მტკიცებულებათა დეტალურმა ანალიზმა ცხადყო, რომ დაზარალებულის ჩვენება, რომელშიც ის უთითებდა, რომ დაზიანებები მიიღო ნაქცევისა და გარკვეულ საგანზე დაცემის შედეგად, არ იყო უტყუარი და იგი ემსახურებოდა შვილისთვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას, რის გამოც ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შედეგად მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებების, მათ შორის ბრალდებულისგან ამოღებული ნივთმტკიცებით – დანით, რომელზეც დაზარალებულის სისხლის კვალი აღმოჩნდა, ჩატარებული ექსპერტიზებითა და საქმის სხვა მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების შედეგად საკასაციო პალატამ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გამამართლებელი განაჩენი ი. კ.-ს მიმართ, იგი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 19, 108-ე მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის მცდელობა).<sup>339</sup>

სხვა საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან ბრძოლის პროცესში სასამართლო სისტემას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი აკისრია, ვინაიდან სწორედ მან უნდა დააკისროს მოძალადეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, შეასრულოს „სტამბოლის კონვენციის“ მოწოდება იმის შესახებ, რომ ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დანაშაულები იყოს დასჯადი „ეფექტური, თანაზომიერი და გადაამაფიქრებელი“ სანქციის მეშვეობით, მათი სიმძიმეიდან გამომდინარე. თუმცა, პალატამ ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული არ უნდა მოხდეს ბრალდებულის საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლებების დარღვევის ხარჯზე და პირის მსჯავრდება უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით მიუთითებს მის ბრალეულობაზე. მოცემულ საქმეზე პალატამ დეტალურად შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებები, დაზარალებულის ჩვენების უტყუარობა შეამოწმა სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთთავსებადობის კონტექსტში და მიიჩნია, რომ დაზარალებულის ჩვენება, რომელიც დეტალურად და დამაჯერებლად მიუთითებს მეუღლის მხრიდან განხორციელებულ ძალადობაზე, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და გამომძიებლის ჩვენება, რომლებიც ამყარებენ დაზარალებულის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ქმნის საკმარის მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენაში, რის გამოც გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გამამართლებელი განაჩენი და გ.ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახური ძალადობა) წარდგენილ ბრალდებაში.<sup>340</sup>

## არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 12 ივნისს მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. კოდექსი კანონთან კონფლიქ-

<sup>338</sup> საქმე №109აპ-18; №634აპ-17; №645აპ-17; №591აპ-17; №632აპ-17; №713აპ-17.

<sup>339</sup> საქმე №527აპ.-17.

<sup>340</sup> საქმე №614აპ.-17.

ტში მყოფი ბავშვებისთვის ნოვაციებს ამკვიდრებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შექმნის მიზანს წარმოადგენდა 18 წლამდე ასაკის მოზარდებისათვის სპეციალიზებული, ევროპული სტანდარტებისა და გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანილი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბება. ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული ამგვარი სპეციალური კოდექსი ახალი ინსტიტუტია თანამედროვე ქართული მართლმსაჯულებისათვის. არასრულწლოვანთა საქმეებს მხოლოდ სპეციალიზებული მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები, პოლიციელები, ადვოკატები და სოციალური მუშაკები წარმართავენ. კოდექსის ცალკეული დებულებები ასევე ვრცელდება 18-21 წლის პირებზეც.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ერთ საკანონმდებლო აქტში აერთიანებს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის პროცესის, სასჯელაღსრულებისა და სხვა საკითხების მომწესრიგებელ ნორმებს და ანესებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ახალ სტანდარტსა და მექანიზმებს.

ძირითადი პრინციპები, რომელთაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ეყრდნობა, შემდეგია: არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა; ნასამართლობის გაქარწყლება; ინდივიდუალური მიდგომა; პატიმრობა და თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში; მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა; პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის გაუმჯობესებული პირობები; პასუხისმგებლობის ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობა; თანაზომიერება და შესაბამისობა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზანია, მისცეს მოზარდებს სპეციალური, ბავშვებზე ორიენტირებული მართლმსაჯულება და განსაკუთრებული მიდგომები დაანესოს ბრალდებულ, დაზარალებულ და მონმე მოზარდებზე. ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული ამგვარი სპეციალური კოდექსი არასრულწლოვანთათვის საქართველოს კანონმდებლობისათვის სრულიად ახალი ინსტიტუტია და თანამედროვე ქართული მართლმსაჯულებისათვის არამარტო ინოვაციურ, არამედ რევოლუციურ პროექტს წარმოადგენს.

სისხლისსამართლებრივ დევნასთან შედარებით, უპირატესობით სარგებლობენ განრიდებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების, მათ შორის, მედიაციის ინსტიტუტები. თავისუფლების აღკვეთის, როგორც სასჯელის ფორმის, გამოყენება არასრულწლოვანთან მიმართებით მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაშია შესაძლებელი. იგივე ეხება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას. იკრძალება არასრულწლოვნისათვის უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება. არასრულწლოვანი ბრალდებული არ შეიძლება განთავსდეს სრულწლოვანთან ერთად არათუ ერთ საკანში, არამედ ერთ დანესებულებაშიც კი.

ამდენად, კოდექსის მთავარი მიზანი არასრულწლოვნისთვის ცხოვრების სუფთა ფურცლიდან დაწყებისა და რესოციალიზაციის შანსის მიცემაა.

ქვემოთ მიმოვიხილავთ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ განხილულ საქმეებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე.

კ. ტ-ს საქმეზე სააპელაციო პალატამ დაუშვებლად ცნო მსჯავრდებულის შუამდგომლობა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვისა და მისთვის დანიშნული სასჯელის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ისარგებლოს განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებით, რა დროსაც მისთვის საბოლოო სასჯელი განისაზღვრება ახალი კანონის შესაბამისად. საკასაციო პალატამ, მის წინაშე არსებული კონკრეტული მოცემულობის გათვალისწინებით, არ გაიზიარა სააპელაციო პალატის აღნიშნული მიდგომა და განმარტა: მოცემულ შემთხვევაში მხარე შუამდგომლობდა განაჩენის გადასინჯვას მხოლოდ სასჯელის ნაწილში, რაც მსჯავრდებულის მიერ სამომავლოდ განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში არ იქნებოდა შემაფერხებელი საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოსთვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში სასამართლო არ აფასებს განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, არ მსჯელობს ქმე-

დების კვალიფიკაციის სისწორესა და შეფარდებული სასჯელის სამართლიანობაზე; სასამართლომ უნდა შეასრულოს მხოლოდ კანონის იმპერატიული მოთხოვნა დანაშაულთა ერთობლიობისას საბოლოო სასჯელის შეფარდებისა და არასრულწლოვნისთვის საბოლოო სასჯელის განსაზღვრის შესახებ, რაც არ წარმოადგენს შეფასების საგანს (ვინაიდან კანონით ზუსტადაა განსაზღვრული აღნიშნული წესები) და, შესაბამისად, განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაშიც არც ერთ ასპექტში არ იქნებოდა საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს შემოჭრვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ გააუქმა განჩინება მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატების შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და წარმოება დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობის განსახილველად დაშვების მიზნით.<sup>341</sup>

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა არასრულწლოვან დაზარალებულ – ლ. შ.-სა და მის კანონიერ წარმომადგენელს არ განუმარტეს საქართველოს კანონის – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, რაც მითითებული ნორმის საფუძველზე უზრუნველყო საკასაციო პალატამ.<sup>342</sup>

საკასაციო პალატამ სააპელაციო პალატის განაჩენი შეცვალა მსჯავრდებულის სასიკეთოდ და ამოურიცხა მას მაკვალიფიცირებელ გარემოებად შერაცხული ნასამართლობა იმის გათვალისწინებით, რომ პირს წინა განაჩენით ბრალად შერაცხული ქმედება (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) ჩადენილი ჰქონდა არასრულწლოვან ასაკში და ამავდროულად, იყო ნასამართლობის არმქონე, ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასჯელის მოხდისთანავე იგი ითვლება ნასამართლობის არმქონედ. საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით კი – გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადანყვეტისას.<sup>343</sup>

არასრულწლოვნის მიმართ ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი და აღნიშნა, რომ როგორც სასჯელი, ისე დაზარალებულის ნახვის აკრძალვა ერთი წლის განმავლობაში (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად) ჩადენილი ქმედების გარემოებების, მსჯავრდებულის მდგომარეობის, მისი მოთხოვნების თანაზომადია და ემსახურება არასრულწლოვნის ჭეშმარიტი და საუკეთესო ინტერესის დაცვას. ზემომითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, სწორად შეფარდებული სასჯელის სახე და ზომა (და არა განრიდების ხელშეკრულება) წარმოადგენს ადეკვატურ ღონისძიებას მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, მისი მხრიდან ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისადმი პატივისცემით განწყობისათვის.<sup>344</sup>

სხვა გადანყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ აგრეთვე უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება და მიუთითა, რომ საკასაციო პალატა არ ეთანხმება დაცვის მხარის პოზიციას მტკიცებულებათა არასაკმარისობის თაობაზე, რომ თითქოს, საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იგი შეესაბამება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსითა და საერთაშორისო სამართლით დადგენილ ნორმებს. საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია ასევე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში ასახულ დადებით და უარყოფით ფაქტორებს, კერძოდ: მსჯავრდებულს უყვარს, როდესაც რაიმე საქმით არის დაკავებული, იგი უფროს ადამიანებთან თავაზიანობით გამოირჩევა; ამავდროულად, მსჯავრდებულს უჭირს ემოციების მართვა და საკუთარი ქცევის ანალიზი; იგი ვერ იაზრებს სარისკო ქცევის შედეგებს. პალატამ მიიჩნია, რომ როგორც სასჯელი, ისე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე განსაზღვრული ღონისძიებები ჩადენილი

<sup>341</sup> საქმე №211აგ-16.

<sup>342</sup> საქმე №90აპ-17.

<sup>343</sup> საქმე №334აპ-17.

<sup>344</sup> საქმე №201აპ-17.



ქმედების გარემოებების, მსჯავრდებულის მდგომარეობის, მისი მოთხოვნების თანაზომადია და ემსახურება არასრულწლოვნის ჭეშმარიტი და საუკეთესო ინტერესის დაცვას.<sup>345</sup>

სხვა საქმეში საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით ადასტურებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობას. ამდენად, განაჩენი დატოვა უცვლელად. საკასაციო პალატამ აგრეთვე აღნიშნა, რომ ვინაიდან პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა არასრულწლოვანი დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს (მის უფლებამონაცვლეს) არ განუმარტეს საქართველოს კანონის – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება, საკასაციო პალატა მითითებული ნორმის საფუძველზე მას აცნობებს აღნიშნული საქმის სასამართლო განხილვის შედეგებს და განუმარტავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას.<sup>346</sup>

არასრულწლოვნის მიმართ ერთ-ერთ საქმეში საკასაციო პალატამ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულს შეფარდებული ჰქონდა ზედმეტად მკაცრი და „ბავშვთა უფლებების კონვენციის“ მე-3 და მე-40 მუხლების მოთხოვნების შეუსაბამო სასჯელი და გასაჩივრებული განაჩენი დატოვა უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების“ („პეკინის წესები“) 17.1 – „ბ“, „გ“ წესების თანახმად, არასრულწლოვნის პირადი თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დანვრილები განხილვის შედეგად და უნდა შემოიფარგლოს შესაძლო მინიმუმით. პირადი თავისუფლების შეზღუდვა არ გამოიყენება, თუ არასრულწლოვანს არ ასამართლებენ სერიოზული ქმედების – სხვა პირის მიმართ ძალადობის ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევების არაერთჯერადი ჩადენისათვის და თუ არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ღონისძიება. განსახილველ საქმეში მსჯავრდებულს ბრალი შერაცხული ჰქონდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ხოლო წარსულში იგი ორჯერ იყო ნასამართლეთი მძიმე დანაშაულების ჩადენისათვის. საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლის დანაშაული, რომლის თანახმად, მოსამართლე უფლებამოსილია, არასრულწლოვანს შეუფარდოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი არ ყოფილა გამოტანილი, მაგრამ განმარტა, რომ უფლებამოსილი არ იყო, მსჯავრდებულის მიმართ გამოეყენებინა მითითებული შედეგით, რადგან იგი წარსულში ორჯერ იყო ნასამართლეთი მძიმე დანაშაულების ჩადენისათვის. გარდა ამისა, საკასაციო პალატამ ასევე გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ადგენდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას და არ გააჩნდა არც ერთი სხვა, ალტერნატიული სასჯელი.<sup>347</sup>

არასრულწლოვნის მიმართ ერთ-ერთ საქმეზე, საკასაციო პალატამ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი და აღნიშნა, რომ გამამტყუნებელი განაჩენით დაუსწრებლად დადგენილი სასჯელი მსჯავრდებულს არ მოუხდია, მან თავი აარიდა სასჯელის მოხდას, რის გამოც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის, 36-ე მუხლისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მის მიმართ ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერებულია და მსჯავრდებულს უფლება აქვს, გამამტყუნებელი განაჩენი გაასაჩივროს კანონით დადგენილი წესით. ამასთან, მსჯავრდებულის დაუსწრებლად მისივე საქმის განხილვა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს, კერძოდ: ამ კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „დაუშვებელია არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა მის დაუსწრებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას და სხდომის გადადება საქმის გონივრულ ვადაში განხილვას შეუძლებელს გახდის“.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის თანახ-

<sup>345</sup> საქმე №491აპ-17.

<sup>346</sup> საქმე №595აპ-17.

<sup>347</sup> საქმე 362აპ-17.

მად, ამ კოდექსის დებულებებს, გარდა ამ კოდექსის საპროცესო ნორმებისა, აქვს უკუძალა, თუ ამით უმჯობესდება არასრულწლოვნის მდგომარეობა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებებიც, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს ან/და არასრულწლოვნისთვის შეღავათს ითვალისწინებს, ხოლო ამ კოდექსში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია კანონის ანალოგიის გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და თუ ეს არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია არასრულწლოვნის მიერ სასჯელის მოხდისგან თავის არიდების შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების დაუშვებლობის შესახებ და განმარტა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყოველი ქცევის მომწესრიგებელ ნორმებს, რის გამოც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში შეიძლება საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებების გამოყენება (მოცემულ შემთხვევაში – სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილი: ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება მსჯავრდებულის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან). ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 36-ე მუხლით დადგენილია მხოლოდ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სპეციფიკური ვადები, ხოლო ხანდაზმულობის ვადის დინების განსხვავებული წესი ან ვადის დინების შეჩერების აკრძალვა ამავე კოდექსით მოწესრიგებული არ არის, სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი არათუ ეწინააღმდეგება, არამედ ავსებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 36-ე მუხლს.<sup>348</sup>

## ახლად გამოვლენილი გარემოებები

ნარკოტიკული საშუალება „დეზომორფინის“ დამზადების, შექმნისა და შენახვის შესახებ, ასევე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით შექმნა-შენახვისა და მოხმარების შესახებ მიღებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო წარდგენილი შუამდგომლობების დაუშვებლად ცნობის შესახებ არაერთი განჩინება გააუქმა საკასაციო პალატამ და მიუთითა სააპელაციო სასამართლოებს პირთა ქმედებების საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და მოქმედ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე.<sup>349</sup> ამავე საფუძველზე საკასაციო პალატამ შეცვალა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების ფარგლებში მიღებული სააპელაციო სასამართლოების განაჩენები.<sup>350</sup>

საკასაციო პალატამ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების ფარგლებში შეცვალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ დარღვეულად მიიჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი კანონის უკუძალით გამოყენების აკრძალვის პრინციპი.<sup>351</sup>

საკასაციო პალატამ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და დააბრუნა საქმე შუამდგომლობის დასაშვებლად ცნობის მიზნით საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გა-

<sup>348</sup> საქმე №65აგ-17.

<sup>349</sup> საქმე №87აგ-16; №28აგ-16; №502აგ-15; №27აგ-16; №43აგ-16; №530აგ-15; №24აგ-16; №53აგ-16; №77აგ-16; №176აგ-16; №71აგ-16; №41აგ-16; №111აგ-16; №76აგ-16; №88აგ-16; №29აგ-16; №82აგ-17.

<sup>350</sup> საქმე №68აგ-17; №205აგ-16.

<sup>351</sup> საქმე №83აგ-17.

მოძიების დეპარტამენტის პროკურორის 2017 წლის 17 იანვრის დადგენილების – „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“ საფუძველზე. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მსგავს საქმეებზე, როდესაც ვლინდება მსჯავრდებულის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, ბრალდების მხარე არ უნდა შეიზღუდოს და უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სრულყოფილად განახორციელოს კანონით დაკისრებული მოვალეობა, რისი წინა პირობაც იყო წარდგენილი შუამდგომლობის დასაშვებად ცნობა და საქმის არსებითად განხილვა სასამართლოში.<sup>352</sup>

2018 წელს განხილულ საქმეებზე წარკოტიკულ საშუალება „მარისუანასთან“ დაკავშირებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების ფარგლებში, შეიცვალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები პ.ჩ-ს, ს.ჭ-სა და თ.კ-ს საქმეზე.<sup>353</sup>

საკასაციო პალატამ გაიზიარა მსჯავრდებულის არგუმენტები, რომ სააპელაციო სასამართლომ პირის ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის ახალ რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხზე ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას მიიღო მსჯავრდებულისათვის საუარესო გადაწყვეტილება და მისთვის შეფარდებული სასჯელი უკანონოდ დაამძიმა, ვინაიდან ამ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ წარსულში მიღებულ განჩინებაში უკვე იყო მსჯელობა, რის გამოც საკასაციო პალატამ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი და ძალაში დატოვა წინა განაჩენი, რომლითაც მსჯავრდებულის მდგომარეობა უფრო მსუბუქი იყო.<sup>354</sup>

საკასაციო პალატამ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების ფარგლებში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისისა და 2008 წლის 29 აპრილის განაჩენები გააუქმა და ი. შ-ს მიმართ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“ დადგენილებისა და ახალი გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე.<sup>355</sup>

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების ფარგლებში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა საკასაციო პალატამ ვ.კ-ს მიმართაც, იმ მოტივით, რომ ახალმა კანონმა გააუქმა ქმედების დანაშაულებრიობა.<sup>356</sup>

## სხვა კატეგორიის საქმეები

2017 წელს საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრები „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე, რა დროსაც გადაწყვეტილებების შეცვლა ძირითადად გამოიწვია მსჯავრდებულთა მხრიდან დაზარალებულების პოზიციების (მათთვის შელავათის განევის თაობაზე) საკასაციო პალატაში წარმოდგენამ, რაც თაღლითობის საქმეებში აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა.<sup>357</sup>

საკასაციო პალატამ ერთი საქმე განიხილა პრეიუდიციის საფუძველზე, რის შედეგადაც სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 1 ივნისის გამამართლებელი განაჩენი დარჩა უცვლელად, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს 2000 წლის 20 ივნისის განაჩენი ტ. კ-ს მიმართ გაუქ-

<sup>352</sup> საქმე №25აგ-17.

<sup>353</sup> საქმე №95აგ-17; საქმე №19აგ-18; №103აგ-17.

<sup>354</sup> საქმე №34აგ-18.

<sup>355</sup> საქმე №80აგ-17.

<sup>356</sup> საქმე №72აგ-17.

<sup>357</sup> საქმე №26<sup>1</sup>-17; №7<sup>1</sup>-17; 11<sup>1</sup>-17.

მდა, იმ მოტივით, რომ მისი მსჯავრდების საქმეში წარმოდგენილი იყო ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება, კერძოდ, თავად მსჯავრდებულ ტ. კ-ას აღიარებითი ჩვენება, რომ იგი სხვა პირებთან ერთად მონაწილეობდა ყაჩაღურ თავდასხმაში. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა ტ. კ-ას ჩვენებაზე და აღნიშნა, რომ მის მიერ მიცემული არაერთი ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები მოკლებული იყო ყოველგვარ დამაჯერებლობას და არ აკმაყოფილებდა უტყუარობის სტანდარტს, რის გამოც არ შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა გამამტყუნებელ განაჩენს, ხოლო სხვა რაიმე პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ამ პირებმა ჩაიდინეს მითითებული დანაშაული, საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა.<sup>358</sup>

2018 წელს საკასაციო პალატამ ასევე განიხილა საკასაციო საჩივრები „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე, რა დროსაც გადაწყვეტილებების შეცვლა ძირითადად გამოიწვია მსჯავრდებულთა მხრიდან დაზარალებულების პოზიციების (მათთვის შეღავათის განევის თაობაზე) საკასაციო პალატაში წარმოდგენამ, რაც თაღლითობის საქმეებში აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა.<sup>359</sup>

საკასაციო პალატამ ერთი საქმე განიხილა პრეიუდიციის საფუძველზე, რის შედეგადაც სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 მარტის გამამართლებელი განაჩენი თ. გ-ის მიმართ დარჩა უცვლელად, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს 1999 წლის 22 ნოემბრის განაჩენი კ. გ-ას მიმართ შეიცვალა შემდეგი მიმართებით: კ. გ-ას მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (1960 წლის რედაქცია) შერაცხული მსჯავრდებისათვის (ერთ ეპიზოდში), შემდეგ გარემოებათა გამო: კ. გ-ას მსჯავრდების საქმეში წარმოდგენილი იყო ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება, კერძოდ, თავად მსჯავრდებულ კ. გ-ას აღიარებითი ჩვენება, რომ მან საცხოვრებელი ბინა გაქურდა თ. გ-სთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, ხოლო სხვა რაიმე პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მათ ჩაიდინეს მითითებული დანაშაული, საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა. რაც შეეხება დანარჩენი მოწმეების ჩვენებებს, ისინი წარმოადგენდა ირიბ ჩვენებებს, რის გამოც არ შეიძლება მიჩნეულიყო უტყუარ მტკიცებულებებად და საფუძვლად დასდებოდა გამამტყუნებელ განაჩენს.<sup>360</sup>

## დასკვნა

**დასკვნის სახით**, შეიძლება ითქვას, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების გაუქმება ძირითადად განპირობებულია: გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტის არარსებობით, ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასებითა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევით ან/და ამ ნორმების არასწორად გამოყენება-განმარტებით.

გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებით სტანდარტთან დაკავშირებით საკასაციო პალატის არაერთ გადაწყვეტილებაში არის მსჯელობა. მიუხედავად ამისა, მაინც ხშირია შემთხვევა, როდესაც ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება სწორედ ამ მოტივით უქმდება ან იცვლება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი ფაქტები, როდესაც ბრალდება ძირითადად მოწმეთა ჩვენებებს ეფუძნება და, მიუხედავად ამისა, ისინი კრიტიკულად გაანალიზებული არ არის. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები დაცვის მხარის მტკიცებულებებს ფაქტობრივად შეფასების გარეშე ტოვებენ.

ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილებების შეცვლის საფუძველს ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასება წარმოადგენს. ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან ქმედ-

<sup>358</sup> საქმე №5<sup>1</sup>-17.

<sup>359</sup> საქმე №32<sup>1</sup>-18; №33<sup>1</sup>-18.

<sup>360</sup> საქმე №4<sup>1</sup>-17.

ბის არასწორი კვალიფიკაცია, ზოგჯერ, მატერიალური ნორმების არასწორი განმარტებით, რიგ შემთხვევებში კი, ფაქტობრივი გარემოებების არასათანადოდ დადგენითაა გამოწვეული.

ხშირია ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან პირის ნასამართლობასთან დაკავშირებული შეცდომები, რაც გავლენას ახდენს როგორც ქმედების კვალიფიკაციაზე, ისე – სასჯელზე.

უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკასთან წინააღმდეგობრიობის თვალსაზრისით, უნდა გამოიკვეთოს პირობითი მსჯავრის არგაუქმების შემთხვევები მაშინ, როდესაც განზრახი და ნაშულის ჩადენა ხდება წინა განაჩენით დადგენილ გამოსაცდელ ვადაში.

აღსანიშნავია ასევე, რომ კვლავ ხშირია განაჩენის არასაკმარისი დასაბუთების შემთხვევები სასჯელის ნაწილში, რაზეც მეტყველებს კიდევ ანგარიშში მოხსენიებული, სასჯელის ნაწილში შეცვლილი არაერთი განაჩენი.

2017-2018 წლებში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა გადანყვეტილებები ხშირად იცვლებოდა, ასევე, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებებისა და მის საფუძველზე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო.

## სადისციპლინო პალატა

სადისციპლინო პალატა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე საჩივრებს განიხილავს. იგი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დაკისრებული სახდელის ძალაში დატოვების, შეცვლის ან საქმის სადისციპლინო კოლეგიისთვის დაბრუნების თაობაზე.

უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა სწავლობს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მიხედვით ადვოკატებისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების კანონიერებას და მის შესაბამისობას კანონით დადგენილ მოთხოვნებთან.

2018 წლის განმავლობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში დარეგისტრირდა 6 საჩივარი (სამი საჩივარი ეხებოდა მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ხოლო სამი – ადვოკატის დისციპლინურ პასუხისმგებლობას).

სადისციპლინო პალატის არსებითი გადაწყვეტილებები იხილეთ უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე.

## საკვალიფიკაციო პალატა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, საკვალიფიკაციო პალატა განიხილავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით ან უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ.

საკვალიფიკაციო პალატას 4 საჩივარი აქვს განხილული და მისი გადაწყვეტილებები შეგიძლიათ იხილოთ უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე.

## პლენუმი


„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი წარმოადგენს ორგანოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს საორგანიზაციო საკითხების შესახებ, უფლებამოსილია დაასახელოს და წარადგინოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები, მიმართოს საქართველოს პარლამენტს წინადადებით საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების თაობაზე და განახორციელოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა პლენუმის ოთხი სხდომა: დამტკიცდა უზენაესი სასამართლოს ახალი რეგლამენტი, გაიმართა მსჯელობა სასამართლო უფლებამოსილების მანდატებისა და ბიუჯეტის თაობაზე, აირჩიეს სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

## სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის თანახმად, სასამართლოს „ლია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მთლიანად ქვეყნდება სასამართლოს ვებგვერდზე, ხოლო დახურულ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში, სასამართლოს ვებგვერდზე, ამ გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი ქვეყნდება“.<sup>361</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2000 წლიდან დღემდე მიღებული გადაწყვეტილებები განთავსებულია ელექტრონულ საძიებო ბაზაში, რომელიც სასამართლოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისიის (NORLAG) მხარდაჭერით 2011 წლიდან ფუნქციონირებს. 2018 წელს, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით მომზადებული სასამართლო ინფრასტრუქტურისა და პროგრამული უზრუნველყოფის აუდიტის ანგარიშის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო ელექტრონული ბაზა და საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემა – info.court.ge ტექნიკურად მოძველებულია. უზენაესი სასამართლო, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ მენეჯმენტის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, სასამართლო გადაწყვეტილებების საძიებო ერთიანი ბაზის განახლების პროცესში ჩართვას გეგმავს.

2018 წლიდან, ევროკავშირის „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის დაფინანსებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს და აპარატის თანამშრომლებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სხვა დიდ სასამართლოებს წვდომა აქვთ საერთაშორისო სამართლებრივი საძიებო პროგრამის „ლექსის-ნექსისის“ საძიებო ბაზასთან. პროგრამის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია, გაეცნოს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, ევროკავშირის ქვეყნების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვან სამართლებრივ ინფორმაციას, რომელთა შორისაა სამართლებრივი კომენტარები, სტატიები, გადაწყვეტილებები, მონაცემები ინტელექტუალური საკუთრების შესახებ და მრავალი სხვა.



<sup>361</sup> საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-13 მუხლი.

## უზენაესი სასამართლოს ორგანიზაციული სტრუქტურა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 2018 წლის 18 იანვარს დაამტკიცა უზენაესი სასამართლოს ახალი რეგლამენტი, ახალი სტრუქტურით და საშტატო განრიგით. მასზე მუშაობა ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით და რეკომენდაციების გათვალისწინებით მიმდინარეობდა. მოსაზრებების გაზიარებისა და წინადადებების შემუშავების მიზნით, პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და აპარატის თანამშრომლები.

უზენაესი სასამართლოს რეგლამენტით, სტრუქტურა ემყარება მმართველობის წრიულ მოდელს, რომლის თანახმად, სასამართლოს წინაშე არსებული ამოცანების – უზენაესი სასამართლოს სამართალწარმოების გამჭვირვალობის, საერთო სასამართლოებთან კოორდინაციის, მართლმსაჯულებისადმი სანდოობის, უზენაესი სასამართლოს გადწყვეტილებებისა და მომსახურების ხარისხის გაზრდის – დროული შესრულების მიზნით, ჩამოყალიბდა მმართველი საბჭო. მის შემადგენლობაში შედიან სასამართლოს მენეჯერი, სამართლებრივი მხარდაჭერის ხელმძღვანელი და კომუნიკაციისა და კოორდინაციის ხელმძღვანელი. მმართველი საბჭო, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით, უზრუნველყოფს სასამართლოს წლიური გეგმის შემუშავებასა და შესრულების მონიტორინგს, სასამართლოს მუშაობის გამართულ და ეფექტიან ადმინისტრირებას.

უზენაესი სასამართლოს რეგლამენტის მიხედვით, ჩამოყალიბდა უზენაესი სასამართლოს პალატების (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის, საკვალიფიკაციო, სადისციპლინო, დიდი პალატა, პლენუმი) მხარდაჭერი რგოლი – **სამართლებრივი მხარდაჭერის ხელმძღვანელი**, რომელიც უზრუნველყოფს პალატების გამართულ ფუნქციონირებას და ეხმარება მათ ყოველდღიურ საქმიანობაში.


უზენაესი სასამართლოს რეგლამენტის მიხედვით, **კომუნიკაციისა და კოორდინაციის ხელმძღვანელი** უზრუნველყოფს სასამართლოს მჭიდრო თანამშრომლობას დონორ, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე უზენაეს სასამართლოს სტრუქტურებს შორის კომუნიკაციაზე. რეგლამენტის მიხედვით, სიახლეს წარმოადგენს **დონორებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და პროტოკოლის განყოფილებები**. მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით, მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია ამავე დასახელების სამსახური, რომელიც ძირითად ფუნქციასთან ერთად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელს სასამართლოს მონაწილეობით გამართული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციითა და ფოტომასალით უზრუნველყოფს. ამავე სტრუქტურის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ბეჭდური, სატელევიზიო და ფოტოარქივის შექმნა.

უზენაეს სასამართლოს სტრუქტურაში სიახლეა **ხარისხის მართვის სამსახური**. იგი შეიმუშავებს წინადადებებს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, გამოავლენს საჭიროებებს ინფორმაციის გაცემის გამარტივების, მომსახურების გაუმჯობესებისა და კადრების განვითარების თვალსაზრისით. ასევე, შეისწავლის დოკუმენტბრუნვაში არსებულ შეფერხებას, ვადის დარღვევას და მომხმარებლებთან განეული მომსახურების ხარისხს.

უზენაესი სასამართლოს გამჭვირვალობისა და საქმიანობის ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიზნით, გაძლიერდა მოქალაქეთა მისაღებისა და კანცელარიის განყოფილებების მუშაობა და ახალი რეგლამენტის მიხედვით ჩამოყალიბდა **სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება**.

ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით, მიმდინარე წელს გაიმართა შეხვედრა ხარისხის მართვის, სერვისის დიზაინისა და მიწოდების საკითხებზე, რომელსაც მონვეული ექსპერტი – სლოვენის უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელი უძღვებოდა. სამომავლოდ იგეგმება ხარისხის მართვის სამსახურის საქმიანობის გაძლიერება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.





უზენაესი სასამართლოს ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა **ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილება**, რომელიც აპარატის პროფესიული საქმიანობის ხელშეწყობას უზრუნველყოფს.

მიმდინარე წელს **ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების** განყოფილებამ, სამუშაოს ანალიზის საფუძველზე, თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა შეადგინა. აპარატის თანამდებობათა ფუნქციების შეფასების საფუძველზე მოხდა პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა იერარქიულ რანგებში განაწილება და 2018 წლის დეკემბერში თანამშრომელთა პირველი შეფასება. თანამშრომელთა შეფასების სისტემა საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით დაინერგა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტმა“ შეიტანა. სამომავლოდ იგეგმება მისი შემდგომი გაუმჯობესება გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემის სრულყოფილად ამოქმედების მიზნით. დამატებით, ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში, მიმდინარე წელს შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო და მოეწყო შეხვედრა სასამართლოს მენეჯერებისთვის პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხებზე. ასევე, ევროსაბჭოს „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში, საერთო სასამართლოების სისტემის მენეჯერებისთვის გაიმართა ყოველწლიური ფორუმი სისტემაში მენეჯერის როლის გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიზნით.

უზენაეს სასამართლოში 2018 წლის 3 მაისიდან მოქმედებს იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა, რომელიც აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებთან კოორდინაციის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

უზენაეს სასამართლოში ცალკე ჩამოყალიბდა **სტატისტიკის სექტორი**, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო სტატისტიკის წარმოებას საერთო სასამართლოების მიხედვით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სამსახური საერთო სასამართლოებიდან მიღებული და დამუშავებული მონაცემების საფუძველზე ამზადებს და უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ყოველთვიურად განახლებად ფორმატში ათავსებს ინფორმაციას „საქართველოს საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემების“ თაობაზე, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების მიხედვით. ასევე, ამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს: სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ; „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ ევროსაბჭოს (სტამბოლის) კონვენციის შესაბამისად, დაზარალებული ქალების თაობაზე; „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის შესაბამისად, გამოცემული დამცავი ორდერებისა და გასაჩივრებული შემაკავებელი ორდერების მიხედვით, ძალადობის ფორმების, მსხვერპლისა და მოძალადის სქესის თაობაზე; აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობების თაობაზე. უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ყოველწლიურად ქვეყნდება ელექტრონული სტატისტიკური კრებული „მართლმსაჯულება საქართველოში“, სადაც მოცემულია ვრცელი ინფორმაცია სასამართლოებისა და საქმეთა კატეგორიების მიხედვით.

ევროსაბჭოს პროექტმა „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ დაიწყო მუშაობა დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ სტატისტიკური აღრიცხვის გასაუმჯობესებლად. მომავალი წლიდან იგეგმება სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით დისკრიმინაციის თაობაზე განხილულ საქმეთა მონაცემების გამოქვეყნება; პარალელურად, ევროკავშირის პროექტის „გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მხარდაჭერის“ ფარგლებში, მიმდინარეობს მუშაობა გამოცემული დამცავი და გასაჩივრებული შემაკავებელი ორდერების უფრო სრულყოფილი მონაცემების ელექტრონულად მიღებასა და გამოქვეყნებაზე.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლებთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად ერთიანი ელექტრონული ბაზის შესაქმნელად.

დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტთან თანამშრომლობის ფარგლებში, იგეგმება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკის ელექტრონული მოდულის ჩამოყალიბება.

## გამოცემები ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის თაობაზე

უზენაეს სასამართლოში სამართლებრივი მხარდაჭერის რგოლში გაერთიანებულია ანალიტიკური და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილებები. ისინი უზრუნველყოფენ მოსამართლეებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების განმარტებების თაობაზე. უზენაესი სასამართლოს კრებულების მომზადებასა და გავრცელებას უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს საგამომცემლო სექტორი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის შეფასებისა და დასაბუთების ხელშეწყობისათვის, ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილებამ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეების გაანალიზებით შემდეგი კრებულები შეადგინა:<sup>362</sup>

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა ადმინისტრაციულ საქმეებზე;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ დავებზე;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამშენებლო დავებზე;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სისხლის სამართლის საქმეებზე;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებები სამოქალაქო დავებზე;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო დავებზე;
- მტკიცების ტვირთი.

2018 წლის განმავლობაში უზენაესი სასამართლოს ანალიტიკურმა განყოფილებამ ადამიანის უფლებების მიმართულებით მოამზადა შემდეგი გამოცემები:

- „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015-2017 წლების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები“; კრებული შემუშავდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის – „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“ – ფარგლებში;
- „სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თაობაზე“ (სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები);
- „ბავშვის მეურვეობის საკითხები სამოქალაქო სამართალწარმოებაში“;
- „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში“;<sup>363</sup>
- „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინე-

<sup>362</sup> დეტალური ინფორმაცია განყოფილების კვლევებისა და გამოცემების თაობაზე იხილეთ: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/civil-cases/>;


<http://www.supremecourt.ge/court-decisions/administrative-cases/>;

<http://www.supremecourt.ge/court-decisions/administrative-cases/>.

<sup>363</sup> დაკაბადონების პროცესშია.

ბული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში<sup>364</sup>

უზენაესი სასამართლო უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თარგმნასა და გამოცემას. ადამიანის უფლებათა ცენტრისა და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლობით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოამზადა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო ბაზის ქართულენოვანი ვერსია (HUDOC). ქართულენოვანი ბაზის მომზადებას (HUDOC) მხარი დაუჭირა ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივმა პროექტმა „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“. ამასთან, HUDOC-ის ქართულენოვანი ვერსიისთვის, უზენაესი სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ანალიტიკური რგოლების მიერ და ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ ხელშეწყობით, ითარგმნა ევროსასამართლოს 150 გადაწყვეტილება თუ შემაჯამებელი დასკვნა.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო მონაცემთა ბაზაზე წვდომა შესაძლებელია ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, თურქულ, ესპანურ და უკვე ქართულ ენებზე

სასამართლოს შიდა ქსელის (ინტრანეტის) საშუალებით მოსამართლეები და აპარატის თანამშრომლები ადამიანის უფლებათა ცენტრს ინდივიდუალურად მიმართავენ ადამიანის უფლებების დარღვი პრეცედენტული სამართლის თაობაზე გადაწყვეტილებების, სტანდარტებისა და შესაბამისი განმარტებების მიღების მიზნით. 2018 წელს ცენტრში დაფიქსირდა 110 მომართვა, ცენტრის მიერ გაანალიზდა 170 საქმე.

უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებას, კონკრეტული კვლევებისა და რეკომენდაციების მომზადებით. სანგარიშო პერიოდში მომზადდა:

- კვლევა „ოჯახში ძალადობის საქმეებში საერთაშორისო სტანდარტების ასახვა“, საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილული, 2016-2017 წლებში სსკ-ის 126 პრიმა მუხლით დაკვალიფიცირებული საქმეების თაობაზე;
- კვლევა თავშესაფრის მინიჭების შესახებ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების თაობაზე; კვლევა განხორციელდა გაეროს

<sup>364</sup> დაკაბადონების პროცესშია.

უმალლესი კომისარიატის საქართველოს წარმომადგენლობის ოფისთან (UNHCR) ერთობლივი მუშაობით;

- კვლევა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შესახებ და მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან. დოკუმენტი მომზადდა სისხლის საქმეთა პალატის სამდივნოსა და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის განზოგადების განყოფილებასთან ერთობლივი მუშაობის შედეგად, ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში მონვეული ექსპერტის მხარდაჭერით;
- ბავშვთა უფლებების განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი.<sup>365</sup>

ანალიტიკური განყოფილების კვლევების ნახვა შესაძლებელია უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე.

## თანამშრომლობა საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან

უზენაესი სასამართლოში სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან, ადვოკატებსა და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებთან კოორდინაციისა და კომუნიკაციისთვის ცალკე რგოლი ჩამოყალიბდა. აღნიშნული მიმართულება უზრუნველყოფს სასამართლოს თაობაზე სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას. ასევე თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების მომზადებაში, საერთაშორისო ვალდებულებებით განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანების დაგეგმვასა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაში.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით უზენაესი სასამართლო აქტიურად იყო ჩართული სასამართლოს 2017-2021 წლების სტრატეგიისა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესში, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის მიხედვით, საერთო სასამართლოების მოსამართლეების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურის, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნოს, სახალხო დამცველის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის საპარლამენტო მდივნის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით წარიმართა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობით მიმდინარე სამუშაო შეხვედრებში, რომლებიც სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღის საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებისთვის გაიმართა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მხარდაჭერას, ამ პროცესში შესაბამისი ინფორმაციის მოძიებისა და საკანონმდებლო წინადადებების შემუშავების კუთხით, უზრუნველყოფდა კომუნიკაციის და კოორდინაციის მიმართულებით.

უზენაესი სასამართლო თანამშრომლობდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან სასამართლო სისტემის სტრატეგიის ერთი წლის ანგარიშის შემუშავების პროცესში, ასევე ხელს უწყობდა საერთაშორისო ორგანიზაციებს, სტრატეგიით გათვალისწინებული კვლევების მომზადებისას, ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემების მიწოდების კუთხით.

უზენაესი სასამართლოში ფუნქციონირებს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომელიც სასამართლო პრაქტიკის აქტუალურ საკითხებს განიხილავს. ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, საბჭო მსჯელობს და საკუთარ მოსაზრებებს წარუდგენს საკანონმდებლო

<sup>365</sup> გამოცემის პროცესშია.

ან აღმასრულებელ ხელისუფლებას საკანონმდებლო წინადადებებთან დაკავშირებით. ისმენს ადვოკატების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების თაობაზე.

2018 წელს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭომ გამართა სხდომები:

- იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო წინადადების თაობაზე სისხლის სამართლის კოდექსში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით და შემუშავა რეკომენდაციები, რომელთა უმეტესი ნაწილი იუსტიციის სამინისტრომ გაითვალისწინა და ცვლილებები შეიტანა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ შესაბამისი მუხლების პროექტში;
- აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების, მოწმის დაკითხვის წესის, ოჯახური ძალადობისა და ნარკოტიკული დანაშაულების საკითხებზე ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის თაობაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან მათ შესაბამისობაზე;
- ევროკონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის გამოყენებისა და დანერგვის თაობაზე, ევროპული სასამართლოს კომუნიცირებული საქმეების შესახებ, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისა და საქმეთა გადასინჯვის სასამართლო პრაქტიკის თაობაზე. სხდომებში დონორი ორგანიზაციების<sup>366</sup> მოწვევით მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისტები, ინგლისელი ექსპერტი, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენელი, ევროკავშირის ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სხდომებზე წარმოდგენილი იყო უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური სამსახურის და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის კვლევისა და განზოგადების სამსახურების კვლევები და გამოცემები;
- დრეზდენის სამხარეო უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მონაწილეობით, ვალდებულების შესრულების დროის, ფულადი ვალდებულების შესრულების, უძრავი ნივთის სარგებლობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებისა და ჩუქების ხელშეკრულების თაობაზე. ღონისძიება განხორციელდა დონორი ორგანიზაციის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების მონაწილეობით, დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ), სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცალკეულ ნორმებზე კომენტარების შემუშავების საკითხებზე;
- ბავშვის საუკეთესო ინტერესის, მონაწილეობის უფლებისა და ღირსების დაცვის საკითხებზე, ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ მიერ მოწვეული ინგლისელი მოსამართლის მონაწილეობით სასამართლო პრაქტიკის თაობაზე;
- არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მონაწილეობით, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკის თაობაზე;
- მაქს პლანკის ინსტიტუტთან თანამშრომლობით ნარკოდანაშაულის თაობაზე, „ნარკორეგულაციები გზაჯვარედინზე – ნარკოტიკების კონტროლის სისტემის ლიბერალიზაცია“;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების მომართვის საფუძველზე საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარების, სამოქალაქო საქმეებზე საერთაშორისო კერძო და საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლისა და უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების თაობაზე;
- ბიზნესომბუდსმენის წარმომადგენლის მონაწილეობით ლიზინგის ხელშეკრულების თაობაზე;
- ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით პერსონალური მონაცემების დამუშავე-

<sup>366</sup> ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“, ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტი“.

ბისა და გავრცელების კანონიერების თაობაზე;


- საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) დაფინანსებითა და ორგანიზებით, თემაზე „გადანყვეტილების მიღების ტექნიკა სისხლის სამართალში“.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სისხლის სამართლის სექტორის მიმართულებით, უზენაეს სასამართლოში ჩამოყალიბდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი. შემუშავდა კოდექსის 40-ზე მეტი მუხლის კომენტარი. პროცესს მხარს უჭერდნენ ევროკავშირის „სასამართლო რეფორმის მხარდამჭერი“ პროექტისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ექსპერტები.

უზენაეს სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის ინსტრუქციების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი ფუნქციონირებს. მუშავდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებების შესახებ შესაბამისი განმარტებები. ამ პროცესს მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის რეზიდენტი სამართლებრივი მრჩეველი საქართველოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების მონაწილეობით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცალკეულ ნორმებზე კომენტარების შემმუშავების საკითხებზე. დამატებით, GIZ-ის მხარდაჭერით მომზადდა სასამართლო გადანყვეტილებების სტრუქტურის სახელმძღვანელო საერთო სასამართლოების მოსამართლეების მონაწილეობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო მჭიდროდ თანამშრომლობს დონორებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და გამოხატავს მადლიერებას სასამართლო რეფორმის პროგრამების ფარგლებში სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, საქმიანობის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაძლიერების საქმეში შეტანილი წვლილისთვის.



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia

გერმანიის  
თანამშრომლობა  
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT



USAID  
აშშ-ის საერთაშორისო  
დახმარების აგენტი

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
Promoting Rule of Law  
in Georgia (PROLoG)



Empowered lives.  
Resilient nations.



## საქმიანობა მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულ კომისიასა (CEPEJ) და ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოში (CCJE)

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია არის ევროპის საბჭოსთან არსებული მუდმივი ორგანო, რომელიც შეიქმნა 2002 წელს და შედგება ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნის ექსპერტებისგან. კომისიის მთავარი დანიშნულებაა შეაფასოს წევრი ქვეყნების მართლმსაჯულების სისტემები და შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები მათი ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, რათა მიღწეულ იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების სრულად რეალიზაცია.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) ასევე ევროპის საბჭოსთან არსებული მუდმივი ორგანოა 2000 წლიდან და შედგება ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნის მოსამართლეებისგან. ყოველწლიურად საკონსულტაციო საბჭო შეიმუშავებს დასკვნებს მართლმსაჯულების სხვადასხვა პრობლემებზე. აღნიშნული დასკვნები წარმოადგენს ევროპის საბჭოს, როგორც ორგანიზაციისა და მისი წევრი სახელმწიფოებისათვის სახელმძღვანელო დოკუმენტებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა მრავალ ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის პროცესში.

საქართველოს CEPEJ-სა და CCJE-ში 2016 წლიდან წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნინო ბაქაძური, რომელიც კომისიისა და საბჭოს წევრად წარდგენილია სამოსამართლო უფლებამოსილების ვადით. 2018 წელს CEPEJ-ისა და CCJE-ს პლენარულ სესიებზე ნინო ბაქაძური აირჩიეს აგრეთვე კომისიის მართლმსაჯულების ხარისხის სამუშაო ჯგუფისა (CEPEJ GT-QUAL) და საკონსულტაციო საბჭოს დასკვნების შემუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრად.

მიმდინარე წელს CEPEJ-ის 30-ე და 31-ე პლენარული სესიები გაიმართა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ მორიგი ორწლიანი ანგარიშის თაობაზე. აღნიშნული ანგარიში მოიცავს 2016-2017 წლების მონაცემებს და ოფიციალურად გამოქვეყნდა 2018 წლის ოქტომბერში.

2018 წელს გაიმართა მართლმსაჯულების ხარისხის სამუშაო ჯგუფის (CEPEJ GT-QUAL) ორი შეხვედრა, მომზადდა მართლმსაჯულების სისტემების ეფექტიანობისა და ხარისხის შეფასების 2018 წლის ანგარიში, ევროპის ეთიკის ქარტია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების თაობაზე CEPEJ(2018)14, სახელმძღვანელო პრინციპები სასამართლოებისა და პროკურატურისთვის მედიასა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის შესახებ (CEPEJ(2018)15), სასამართლოებში დროის მენეჯმენტის თაობაზე სახელმძღვანელო წესებში ცვლილებები (CEPEJ(2018)20) და სხვა გამოცემები მართლმსაჯულების ეფექტიანობის საკითხის ირგვლივ.

2018 წლის განმავლობაში ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ მიიღო დასკვნა „მოსამართლეთა შორის კორუფციის პრევენციის შესახებ“. CCJE №21 (2018) დასკვნა „მოსამართლეთა შორის კორუფციის პრევენციის შესახებ“ გამოხატავს ევროპის საბჭოს წევრი 47 სახელმწიფოს მოსამართლეების დამოკიდებულებას მოსამართლეთა შორის კორუფციის პრობლემისადმი, მათ ხედავს მოსამართლეთა კორუფციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში თითოეული მოსამართლის როლის თაობაზე.



CCJE №21 (2018) დასკვნის დამტკიცების შემდგომ, სესიამ მოისმინა ინფორმაცია ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში საბჭოს მიერ შემუშავებული დასკვნების გამოყენებისა და მათ შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებაზე; მათ შორის, ინფორმაცია 2018 წლის ზაფხულში ევროპის





საბჭოს თბილისის ოფისის ორგანიზებით CCJE დასკვნების ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოქვეყნების, აგრეთვე, მათი პრეზენტაციის თაობაზე.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება მომავალ წელს №22 დასკვნის მომზადების შესახებ მოსამართლეთა თანაშემწეების საქმიანობის თაობაზე. ასევე მიიღო გადაწყვეტილება, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის შეთავაზების შესაბამისად, 2019 წლისათვის ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე ახალი ანგარიშის მომზადების შესახებ.

CCJE პლენარულმა სესიამ მოისმინა ინფორმაცია საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე, რომლებიც ეხება უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობას, მათი არჩევის წესსა და უფლებამოსილების ვადას.

## **ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების უმაღლეს სასამართლოთა ქსელი (SCN)**

2018 წელს უზენაესი სასამართლო განვერიანდა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების უმაღლეს სასამართლოთა ქსელში, რომლის მიზანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა, სასამართლო პრაქტიკისა და სამართლის აქტუალური საკითხების ირგვლივ ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა, პროფესიული კავშირების დამკვიდრება. მიმდინარე წელს სტრასბურგში გაიმართა უმაღლეს სასამართლოთა ქსელის საკონტაქტო პირთა მეორე ფორუმი ევროკონვენციის მე-16 ოქმის ძალაში შესვლისა და ამოქმედების საკითხებზე.

## კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები, დელაგაციათა ვიზიტები

მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფისა და ნდობის ამაღლების მიზნით, უზენაესმა სასამართლომ უმასპინძლა 27 საგანმანათლებლო ღონისძიებას და გაიმართა 54 იმიტირებული სასამართლო პროცესი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით.



საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ვიზიტები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად, სამოსამართლო გამოცდილებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების მიზნით:

- 2018 წლის 17-18 იანვარი, ჰააგა, (ნიდერლანდები), საერთაშორისო სისხლის სასამართლოს (ICC) წლის სესიების გახსნისადმი მიძღვნილი სემინარი;
- 2018 წლის 29 იანვარი, სტრასბურგი (საფრანგეთი), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამუშაო წლის გახსნის ცერემონია სასამართლო ხელისუფლების გამონწვევების, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის, სასამართლოსა და მოსამართლეების პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების, სასამართლოების კომუნიკაციის სტრატეგიის თაობაზე. ვიზიტი ევროპის საბჭოს პროექტის „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის“ ფარგლებში განხორციელდა;
- 2018 წლის 26 თებერვალი – 1 მარტი, ჟენევა, (შვეიცარია), მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხები გარემოს დაცვის თემებზე, სამიზნე ჯგუფის XI შეხვედრა. ვიზიტი მხარდაჭერილი იყო ევროპის ეკონომიკური კომისიის სამდივნოს მიერ (UNECE);
- 2018 წლის 26 თებერვალი – 2 მარტი, ბუდაპეშტი (უნგრეთი), საერთაშორისო სამართალდამცავი აკადემიის (ILEA) სასწავლო კურსი მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის. ვიზი-

ტი საქართველოში ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით განხორციელდა;

- 2018 წლის 15-16 მარტი, პარიზი, ბორდო, (საფრანგეთი), საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების სასწავლო ვიზიტი. განხორციელდა ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ მხარდაჭერით;
- 2018 წლის 23-26 აპრილი, ლუბლიანა, (სლოვენია), სლოვენიაში საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის ხელმძღვანელ პირთა სასწავლო ვიზიტი. განხორციელდა ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ მხარდაჭერით;
- 2018 წლის 28-30 მაისი, პარიზი, (საფრანგეთი), ბავშვთა მართლმსაჯულების სისტემის გაძლიერების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ვიზიტი გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელდა;
- 2018 წლის 20-23 მაისი, სტრასბურგი, (საფრანგეთი), საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, მოსამართლეების, თანაშემწეებისა და ანალიტიკური სამსახურის წარმომადგენლების სამუშაო ვიზიტი. განხორციელდა ევროპის საბჭოს პროექტის „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის“ ფარგლებში;
- 2018 წლის 27-30 მაისი, ვილნიუსი, (ლიტვა), ლიტვის უზენაესი სასამართლოს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების ყოველწლიური კონფერენცია;
- 2018 წლის 5-8 სექტემბერი, მოლეტაი, (ლიტვა), სამართლებრივი ფორუმი „საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერა, სამართლებრივი რეფორმების განხორციელება“;
- 2018 წლის 10-13 ოქტომბერი, სტამბოლი, (თურქეთი), უზენაესი სასამართლოების IV საერთაშორისო სამიტი „გამჭვირვალობა მართლმსაჯულების პროცესში“;
- 2018 წლის 9-23 ოქტომბერი, გერმანია, მოსამართლეთა გერმანული ასოციაციისა და გერმანიის ფედერალური სახელმწიფოების იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერით, სასწავლო პროგრამა სამოქალაქო და კომერციული სამართლის საქმეებზე ინგლისურენოვანი მოსამართლეებისთვის. ვიზიტი გერმანიის იუსტიციის სამინისტროსა და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მხარდაჭერით განხორციელდა;
- 2018 წლის 8-9 ნოემბერი, სტრასბურგი, (საფრანგეთი), სასწავლო ვიზიტი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრებისა და უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური სამსახურის მონაწილეობით. ვიზიტი ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის – „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“ – მხარდაჭერით განხორციელდა;
- 2018 წლის 3-7 დეკემბერი, დრეზდენი (გერმანია), მოსამართლეთა სამუშაო ვიზიტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოში. ვიზიტი განხორციელდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით;
- 2018 წლის 5-6 დეკემბერი, ვენა, (ავსტრია), ელექტრონული მართლმსაჯულების კონფერენცია 2018 („e-Justice Conference“). ვიზიტი საქართველოში ავსტრიის საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა;
- 2018 წლის 16-19 დეკემბერი, ბაქო, (აზერბაიჯანი), მეორე ევრაზიული სამართლებრივი შეხვედრა „საერთაშორისო სამართალი მართლმსაჯულებისთვის“, რომელიც ორგანიზებული იყო ერთობლივად თურქეთის სამართლებრივი პლატფორმის (THP), საერთაშორისო სამართლის ასოციაციისა და აზერბაიჯანის ადვოკატთა ასოციაციის მიერ.

უზენაესი სასამართლოს სტუმრობდნენ შემდეგი ქვეყნების წარმომადგენლები:

- თურქმენეთის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დელეგაცია
- ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის პროგრამის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის შტატის მოსამართლეთა დელეგაცია
- ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLOG) – ფარგლებში, ამერიკის მეოთხე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე
- საერთაშორისო იურისტთა კომისიის გერმანული სექციის წარმომადგენლები, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლისა და საერთაშორისო იურისტთა კომისიის გერმანული სექციის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით
- ნორვეგიის სამეფოს მართლმსაჯულების სისტემის მაღალი წარმომადგენლობის დელეგაცია
- უკრაინის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრები
- უკრაინის სასამართლო სისტემის დელეგაცია, ქართული მართლმსაჯულების სისტემის გაცნობითი და სამუშაო ვიზიტი
- სლოვაკეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მუდმივი წევრი და სენატის თავმჯდომარე მოსამართლე და დელეგაციის წევრები
- ყაზახეთის იუსტიციის სამინისტროს, ადვოკატთა ასოციაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის წარმომადგენლები
- ნეპალის მართლმსაჯულების დელეგაცია
- სლოვენის უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელი
- არგენტინის იუსტიციის მინისტრი
- ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო მართვის აკადემიის თანამშრომელთა დელეგაცია
- ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები
- ტაჯიკეთისა და ბელარუსიის სასამართლო სისტემების წარმომადგენელთა გაერთიანებული დელეგაციები (UNICEF)
- სეულის (სამხრეთი კორეა) უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე
- ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას წევრები
- ავღანეთის კონსტიტუციის იმპლემენტაციაზე ზედამხედველობის დამოუკიდებელი კომისიის (ICOIC-Independent Commission for Overseeing the Implementation of the Constitution) მაღალი რანგის დელეგაციის წევრები
- უნგრეთის იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით

**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების და დელეგაციების ვიზიტების მომზადებასა და მხარდაჭერას ახორციელებდა უზენაესი სასამართლოს პროტოკოლის სამსახური.**



უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეების ვიზიტი დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოში, რომლის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები სასამართლოს თავმჯდომარე გილბერტ ჰეფნერთან, უმაღლესი სამხარეო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილესა და საქსონიის მხარის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ბირგით მუნცთან, მოსამართლეებთან – გეზინე თიუსთან, ელიზაბეთ ლიუკჰოფ-ზემსდორფთან, ულფ იოჰანეს დიკერთან, საბინე შლოსჰანთან, საბინე შიონკნეხტსა და დითმარ ონუსაითთან. დრეზდენი, 2018 წელი



უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეების ვიზიტი დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოში. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები სასამართლოს თავმჯდომარე გილბერტ ჰეფნერთან, ყოფილ თავმჯდომარე ულრიხ ჰაგენლოხთან, სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილესა და საქსონიის მხარის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ბირგით მუნცთან, მოსამართლეებთან – გეზინე თიუსთან, ელიზაბეთ ლიუკჰოფ-ზემსდორფთან, ულფ იოჰანეს დიკერთან, საბინე შლოსჰანთან, საბინე შიონკნეხტსა და დითმარ ონუსაითთან. დრეზდენი, 2018 წელი



უზენაესი სასამართლოს ვიზიტი სტრასბურგში

საანგარიშო წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური რგოლებისა და მოსამართლეთა თანამშენებელთა მოენყო სამუშაო შეხვედრა, რომელიც შეეხებოდა ევროპული სტანდარტების დანერგვას აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით. ტრენინგს მონაწილე ინგლისელი ექსპერტი – ჯერემი მაკბრაიდი უძღვებოდა. უზენაესი სასამართლოს, საქალაქო და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეებისთვის გაიმართა ტრენინგი „შესავალი ევროკავშირის სამართალში და ადამიანის უფლებათა სტანდარტები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში“. მათი გამართვა უზრუნველყო „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტმა“.

ევროკავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტების დახმარებით, კვლავ გაგრძელდა სამუშაო შეხვედრები მოსამართლეებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების დანერგვის თაობაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ ერთობლივი ორგანიზებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი რგოლის განყოფილებების წარმომადგენლებისათვის სამუშაო შეხვედრა გაიმართა ანალიტიკური ანგარიშების მომზადების მიზნით უზენაეს სასამართლოში შესაბამისი სამსახურების კოორდინაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

უზენაესი სასამართლოსა და დონორი ორგანიზაციის თანამშრომლობის ფარგლებში, კონკურენტის სამართლის საკითხებზე მოსამართლეებისა და მწერალი თანამშენებელთა სემინარების ციკლი გაიმართა, რომელსაც უძღვებოდნენ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს

მოსამართლეები, ევროპის წამყვანი იურიდიული კომპანიის ადვოკატები და მონვეული ექსპერტები.

უზენაესმა სასამართლომ დააფინანსა მოსამართლეთა ინგლისური ენის სწავლების კურსი და სასამართლოს თანამშრომელთა იურიდიული ინგლისური ენის სწავლების კურსი, რომლებიც ბრიტანეთის საბჭოს (British Council) სპეციალისტებმა ჩაატარეს.

საანგარიშო პერიოდში, ევროპის სხვადასხვა წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებაში უზენაესი სასამართლოს აპარატის სამი თანამშრომელი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა.

### მართლმსაჯულების ზამთრისა და ზაფხულის სკოლა

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან ერთად, მოსამართლეთა თანაშემწეებისა და ანალიტიკური რგოლების თანამშრომლებისთვის მართლმსაჯულების საკითხებზე ზამთრისა და ზაფხულის სკოლის გამართვის ტრადიცია დაამკვიდრა. აღნიშნული ინიციატივა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდა.<sup>367</sup>

„ზამთრის და ზაფხულის სკოლის“ ფარგლებში, მონაწილეებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია შემდეგ საკითხებზე:

- საქართველოს სასამართლო სისტემის განვითარება და მიმდინარე სამიზნეები საერთაშორისო ვალდებულებების ქრილში;
- სასამართლოს დამოუკიდებლობის აუცილებელი წინაპირობები მოსამართლის პერსპექტივიდან;
- კომუნიკაციის სტანდარტები სასამართლო სისტემაში;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი პრაქტიკის მიმოხილვა;
- დისკრიმინაციის აკრძალვა;
- სასამართლო ეთიკა;
- ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა;
- აღდგენითი მართლმსაჯულებისა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საკითხები;
- ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემა;
- სამართლებრივი წერა.

<sup>367</sup> ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის (EU4 Justice), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტის“ (USAID/PROLOG), საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის მიერ განხორციელებული პროექტის „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (პროექტი ფინანსდება ბულგარეთის, ლიხტენშტეინის სამეფოს, ლიტვის, ნორვეგიის, სლოვაკეთისა და შვედეთის კეთილი ნების შემოწირულობით, რომლის მიზანია ევროპის საბჭოს 2016-2019 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელება (CoE)), ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროექტი „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“, რომელსაც ახორციელებს გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამა „ადამიანის უფლებები ყველასთვის – ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ხელშეწყობა და მონიტორინგი“, რომელსაც ახორციელებს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის ოფისი (UN OHCHR).

სკოლაში სწავლება ქართულ და ინგლისურ ენებზე მიმდინარეობდა. ზამთრისა და ზაფხულის სკოლის 9 გამარჯვებული – თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწეები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების წარმომადგენელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების წარმომადგენელი და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე, სასამართლო რეფორმის მხარდამჭერი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაწესებული საგანგებო ჯილდოებით – ამერიკის შეერთებულ შტატებში (ვაშინგტონი და სან ფრანცისკო), ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (სტრასბურგი, საფრანგეთი), აღდგენითი მართლმსაჯულების სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად (ბილბაო, ესპანეთი) და საერთაშორისო სისხლის სასამართლოში (ჰააგა, ჰოლანდია) გასამგზავრებელი სასწავლო-პროფესიული ტურით დაჯილდოვდა. იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ორი გამარჯვებული მონაწილე დააჯილდოვა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსით.



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი მართლმსაჯულების ზამთრის სკოლის გამარჯვებულებსა და დონორ ორგანიზაციებთან ერთად

### მართლმსაჯულების მუზეუმი

2013 წლიდან უზენაესი სასამართლოს შენობაში ფუნქციონირებს „მართლმსაჯულების მუზეუმი“. მასში ის ნივთები და ატრიბუტებია განთავსებული, რომლებიც საქართველოში სამართლის განვითარებასთან ისტორიულადაა დაკავშირებული. გამოფენილია ძველი ქართული სამართლის ძეგლები, ასევე განთავსებულია ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს ისტორიისა და იმ ცნობილი საზოგადო მოღვაწეების შესახებ, რომლებსაც ქართული სამართლის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით.

### ბიბლიოთეკა


საქართველოს უზენაესი სასამართლოს სპეციალიზებული იურიდიული ბიბლიოთეკა 2003 წელს გაიხსნა. მასში 6812 წიგნია დაცული, მათ შორის, ქართულენოვანი – 3550, უცხოური – 2700 (რუსული, გერმანული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური).



## ინფორმაცია სასამართლოს ბიუჯეტის შესახებ

2018 წლის უზენაესი სასამართლოს ბიუჯეტი შეადგენდა 8.4 მილიონ ლარს, ხოლო 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია 9 500 000 ლარის ოდენობით.

უზენაესი სასამართლოს ბიუჯეტის მუხლები (თანხა ათას ლარებში)



2018 წლის პერიოდში მოეწყო 30 ტენდერი 796 648 ლარის სავარაუდო ღირებულებით. სატენდერო წინადადება შეადგინა 696 634.72 ლარი, ე.ი. სასამართლომ გამართული ტენდერებიდან მიიღო 100 013.28 ლარის ეკონომია; გამარტივებული შესყიდვების საშუალებით გაფორმებულია 124 ხელშეკრულება, შესყიდულია 213 721.92 ლარის საქონელი და მომსახურება; კონსოლიდირებული ტენდერით დაიდო 15 ხელშეკრულება, საერთო თანხით 246 557.36 ლარის ოდენობით.


დანართი

## სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა განხილვის თაობაზე

ბოლო ათი წლის (2008-2018 წლები) მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სააპელაციო სასამართლოების მიერ სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განხილული საქმეებიდან, საკასაციო ინსტანციაში საშუალოდ საჩივრდება სამოქალაქო საქმეების 40%, ადმინისტრაციული საქმეების 56% და სისხლის სამართლის საქმეების 40%.


საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2018 წელს სულ შემოვიდა 4741 საქმე, რაც 1017-ით, ანუ 27,3%-ით აღემატება 2017 წელს შემოსული საქმეების რაოდენობას. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საკასაციო ინსტანციაში შემოსული საქმეების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2018 წელს დაფიქსირდა.

უზენაეს სასამართლოში შემოსული საქმეების რაოდენობა



2018 წელს უზენაესი სასამართლოს მიერ სულ განხილულია 3844 საქმე, რაც 324-ით, ანუ 9,2%-ით, აღემატება 2017 წელს განხილული საქმეების რაოდენობას.


უზენაეს სასამართლოში განხილული საქმეების რაოდენობა



## სამოქალაქო საქმეთა პალატა


სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2018 წელს **სულ შემოვიდა 2138 საქმე** (საკასაციო საჩივარი, კერძო საჩივარი, შუამდგომლობა, სარჩელის უზრუნველყოფა), ანუ 30,3%-ით მეტი 2017 წელს შედარებით. აქედან, 1963 საქმე შემოსულია საკასაციო და კერძო საჩივრის საფუძველზე, რაც 34,8%-ით აღემატება 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

სამოქალაქო საქმეთა პალატაში შემოსული საქმეების რაოდენობა



სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2018 წელს **სულ განხილულია 1681 საქმე**, ანუ 8,1%-ით მეტი, ვიდრე 2017 წელს. აქედან, საკასაციო და კერძო საჩივრის საფუძველზე განხილულია 1522 საქმე, ანუ 9,8%-ით მეტი 2017 წელს შედარებით.

განხილული საქმეების რაოდენობა




სამოქალაქო საქმეთა პალატაში, 2018 წელს, საკასაციო საჩივრის საფუძველზე, განხილულია 1051 საქმე (2017 წელს – 1020), აქედან:


- დაუშვებლადაა ცნობილი 568 საქმე, ანუ განხილული საქმეების 54,0% (2017 წელს – 544 საქმე, ანუ 53,3%);
- განუხილველად დარჩა საკასაციო საჩივარზე ხარვეზის შეუვსებლობის ან სხვა საფუძველის გამო 281 საქმე, ანუ განხილული საქმეების 26,7% (2017 წელს – 265 საქმე, ანუ 26%);
- გაუქმდა და მიღებულია 59 ახალი გადაწყვეტილება, ანუ განხილული საქმეების 5,6% (2017 წელს – 67 საქმე, ანუ 6,6%);
- გაუქმდა და ხელახალი განხილვისათვის სასამართლოს დაუბრუნდა 29 საქმე, ანუ განხილული საქმეების 2,8% (2017 წელს – 38 საქმე, ანუ 3,7%);
- გაუქმდა და სარჩელი დარჩა განუხილველი 18 საქმეზე, ანუ განხილული საქმეების 1,7% (2017 წელს – 6 საქმეზე, ანუ 0,6%);
- უცვლელად დარჩა 65 გადაწყვეტილება, ანუ განხილული საქმეების 6,2% (2017 წელს – 63 საქმე, ანუ 6,2%);
- მორიგებით დასრულდა 20 საქმე, ანუ განხილული საქმეების 1,9% (2017 წელს – 9 საქმე, ანუ 0,9%);
- შეწყდა 11 საქმე, ანუ განხილული საქმეების 1,0% (2017 წელს – 13 საქმე, ანუ 1,3%).

საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგები

2018 წელი




2017 წელი




საკასაციო ინსტანციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი არის გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი, რომელიც სამოქალაქო საქმეების მიხედვით დინამიკაში შემდეგ სურათს იძლევა:

სტაბილურობის მაჩვენებელი სამოქალაქო საქმეების მიხედვით (პროცენტი)




საკმაოდ მნიშვნელოვანია საქმეთა განხილვის საშუალო ვადები: 2018 წელს საკასაციო საჩივრის საფუძველზე განხილული 1051 საქმის მიხედვით, განხილვის საშუალო ვადა შეადგენდა 4,4 თვეს, 2017 წელს – 3,8 თვეს.

საკასაციო საჩივრების განხილვის საშუალო ვადები (თვე)



სამოქალაქო საქმეთა პალატაში ყოველწლიურად იზრდება ზეპირი მოსმენით განხილული საქმეების რაოდენობა: თუ 2012-2014 წლებში ზეპირი მოსმენით განხილული იყო მხოლოდ 24 საქმე, 2015-2017 წლებში მათი რიცხვი 98-მდე გაიზარდა, ხოლო 2018 წელს ზეპირი მოსმენით განხილულია 52 სამოქალაქო საქმე, რაც 89%-ით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს.

ზეპირი მოსმენით განხილული საქმეების რაოდენობა




2018 წელს ზეპირი მოსმენის საფუძველზე განხილული 52 საქმიდან (2017 წელს – 27 საქმე):

- გაუქმდა და მიღებულია 13 ახალი გადაწყვეტილება, ანუ ზეპირი მოსმენით განხილული საქმეების 25,0% (2017 წელს – 5 საქმე, ანუ 18,5%);
- გაუქმდა და ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა სასამართლოს 7 საქმე, ანუ ზეპირი მოსმენით განხილული საქმეების 13,5% (2017 წელს – 3 საქმე, ანუ 11,1%);

- გაუქმდა და 3 სარჩელი დარჩა განუხილველი, ანუ ზეპირი მოსმენით განხილული საქმეების 5,8%;
- უცვლელად დარჩა 9 გადაწყვეტილება, ანუ ზეპირი მოსმენით განხილული საქმეების 17,3% (2017 წელს – 12 საქმე, ანუ 44,4%);
- მორიგებით დასრულდა 16 საქმე, ანუ ზეპირი მოსმენით განხილული საქმეების 30,8% (2017 წელს – 2 საქმე, ანუ 7,4%);
- დაუშვებლადაა ცნობილი 4 საქმე, ანუ ზეპირი მოსმენით განხილული საქმეების 7,8%.


ზეპირი მოსმენით განხილული  
სამოქალაქო საქმეების განხილვის შედეგები (პროცენტი)



## ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა


ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 2018 წელს **სულ შემოვიდა 1616 საქმე** (საკასაციო საჩივარი, კერძო საჩივარი, განსჯადობის საქმეები, სარჩელის უზრუნველყოფა), ანუ 33,2%-ით მეტი 2017 წელთან შედარებით. აქედან, 1575 საქმე შემოსულია საკასაციო და კერძო საჩივრის საფუძველზე, რაც 35,1%-ით აღემატება 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში შემოსული საქმეების რაოდენობა



ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2018 წელს **სულ განიხილა 1259 საქმე**, ანუ 19,7%-ით მეტი, ვიდრე 2017 წელს. აქედან, საკასაციო და კერძო საჩივრის საფუძველზე განხილულია 1216 საქმე, ანუ 21,0%-ით მეტი 2017 წელთან შედარებით.

განხილულ საქმეთა რაოდენობა



ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 2018 წელს, **საკასაციო საჩივრის საფუძველზე**, განხილულია 1139 საქმე (2017 წელს – 948), აქედან:


- დაუშვებლადაა ცნობილი 969 საქმე, ანუ განხილული საქმეების 85,1% (2017 წელს – 832 საქმე, ანუ 87,8%);
- განუხილველად დარჩა საკასაციო საჩივარზე ხარვეზის შეუვსებლობის ან სხვა საფუძვლის გამო 72 საქმე, ანუ განხილული საქმეების 6,3% (2017 წელს – 46 საქმე, ანუ 4,9%);




- გაუქმდა და მიღებულია 56 ახალი გადაწყვეტილება, ანუ განხილული საქმეების 4,9% (2017 წელს – 31 საქმე, ანუ 3,3%);
- გაუქმდა და ხელახალი განხილვისათვის სასამართლოს დაუბრუნდა 21 საქმე, ანუ განხილული საქმეების 1,8% (2017 წელს – 19, ანუ 2,0%);
- უცვლელად დარჩა 13 გადაწყვეტილება, ანუ განხილული საქმეების 1,1% (2017 წელს – 9 საქმე, ანუ 0,9%);
- მორიგებით დასრულდა 2 საქმე, ანუ განხილული საქმეების 0,2% (2017 წელს – 2, ანუ 0,2%);
- შეწყდა 6 საქმე, ანუ განხილული საქმეების 0,5% (2017 წელს – 9, ანუ 0,9%).

საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგები

2018 წელი




2017 წელი




გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი ადმინისტრაციული საქმეების მიხედვით, დინამიკაში შემდეგ სურათს იძლევა:

სტაბილურობის მაჩვენებელი ადმინისტრაციული საქმეების მიხედვით (პროცენტი)



ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 2018 წელს საკასაციო საჩივრის საფუძველზე განხილული 1040 საქმის მიხედვით, განხილვის საშუალო ვადა შეადგენდა 4,5 თვეს, 2017 წელს – 3,8 თვეს.


საკასაციო საჩივრების განხილვის საშუალო ვადები (თვე)



2018 წელს, **ზეპირი მოსმენის საფუძველზე**, განხილულია 9 საქმე (2017 წელს – 10), აქედან:


- გაუქმდა და მიღებულია 2 ახალი გადაწყვეტილება, ანუ ზეპირი მოსმენით განხილული საქმეების 22,2% (2017 წელს – 4 საქმე, ანუ 40%);
- გაუქმდა და ხელახალი განხილვისათვის სასამართლოს დაუბრუნდა 1 საქმე, ანუ ზეპირი მოსმენით განხილული საქმეების 11,1% (2017 წელს – 3, ანუ 30%);
- უცვლელად დარჩა 5 გადაწყვეტილება, ანუ ზეპირი მოსმენით განხილული საქმეების 55,6% (2017 წელს – 3 საქმე, ანუ 30%);
- მორიგებით დასრულდა 1 საქმე, ანუ ზეპირი მოსმენით განხილული საქმეების 11,1%.

**ზეპირი მოსმენის საფუძველზე განხილული ადმინისტრაციული საქმეების შედეგები (პროცენტი)**



ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, განხილული საკასაციო საჩივრების მიხედვით, უკანასკნელი წლების განმავლობაში შენარჩუნებულია ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ გადაწყვეტილი საქმეების რაოდენობის ზრდის ტენდენცია – 2018 წელს ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დასრულდა განხილულ საქმეთა 64,1%, აქედან, საგადასახადო დავების მიხედვით, ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ გადაწყვეტილია განხილული საქმეების 68,9%.


**საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგები**



## სისხლის სამართლის საქმეთა პალატა


სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში 2018 წელს **სულ შემოვიდა 987 საქმე** (საკასაციო საჩივარი, კერძო საჩივარი, საჩივარი), ანუ 13,4%-ით მეტი 2017 წელთან შედარებით. აქედან, 874 საქმე შემოსულია საკასაციო და კერძო საჩივრის საფუძველზე, რაც 16,8 %-ით აღემატება 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

სისხლის სამართლის პალატაში შემოსული საქმეების რაოდენობა



სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2018 წელს **სულ განხილულია 904 საქმე**, ანუ 1%-ით ნაკლები, ვიდრე 2017 წელს. აქედან, საკასაციო და კერძო საჩივრის საფუძველზე განხილულია 775 საქმე, ანუ 4,3%-ით მეტი 2017 წელთან შედარებით.

სისხლის სამართლის პალატაში განხილული საქმეების რაოდენობა




სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, 2018 წელს, საკასაციო საჩივრის საფუძველზე, განხილულია 737 საქმე (2017 წელს – 712), აქედან:


- დაუშვებლადა ცნობილი 654 საქმე, ანუ განხილული საქმეების 88,7% (2017 წელს – 624, ანუ 87,6%);
- განუხილველად დარჩა საჩივრის უკან გათხოვის ან სხვა საფუძველის გამო 10 საქმე, ანუ განხილული საქმეების 1,4% (2017 წელს – 3, ანუ 0,4%);
- უცვლელად დარჩა 11 განაჩენი, ანუ განხილული საქმეების 1,5% (2017 წელს – 26 საქმე, ანუ 3,7%);
- გაუქმდა 16 განაჩენი, ანუ განხილული საქმეების 2,2% (2017 წელს – 5 საქმე, ანუ 0,7%);
- შეიცვალა 46 განაჩენი, ანუ განხილული საქმეების 6,2% (2017 წელს – 54 საქმე, ანუ 7,6%).

**საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგები (პროცენტი)**

2018 წელი




2017 წელი



სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2018 წელს 14 პირის მიმართ გააუქმა გამამტყუნებელი განაჩენი და გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი (2017 წელს – 3 პირის მიმართ), ხოლო 7 პირის მიმართ გააუქმა გამამართლებელი განაჩენი და გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი (2017 წელს – 1 პირის მიმართ).


გადანყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი სისხლის სამართლის საქმეების მიხედვით დინამიკაში შემდეგ სურათს იძლევა:

სტაბილურობის მაჩვენებელი სისხლის სამართლის საქმეების მიხედვით (პროცენტი)



სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში 2018 წელს საკასაციო საჩივრის საფუძველზე განხილული 730 საქმის მიხედვით, განხილვის საშუალო ვადა შეადგენდა 5,1 თვეს, 2017 წელს – 4,8 თვეს.

საკასაციო საჩივრების განხილვის საშუალო ვადები (თვე)



2018 წელს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ ზეპირი მოსმენის საფუძველზე განხილულია 63 საქმე (2017 წელს – 59), აქედან:

- გაუქმდა 8 განაჩენი/განჩინება, ანუ ზეპირი მოსმენის საფუძველზე განხილული საქმეების 12,7% (2017 წელს – 4 საქმე, ანუ 6,8%);
- შეიცვალა 15 განაჩენი, ანუ განხილული საქმეების 23,8% (2017 წელს – 21 საქმე, ანუ 35,6%);
- უცვლელად დარჩა 36 განაჩენი/განჩინება, ანუ განხილული საქმეების 57,1% (2017 წელს – 34 საქმე, ანუ 57,6%);
- განუხილველად დარჩა საჩივრის უკან გათხოვის ან სხვა საფუძველის გამო 4 საქმე, ანუ განხილული საქმეების 6,3%.

ზეპირი მოსმენის საფუძველზე საქმეების განხილვის შედეგი (პროცენტი)

